Вопрос неорошаемости почвы, как отмечали выше, был тяжелой проблемой для крестьянства. В отличие от Джавахети в Месхети, где орошалась часть почвы, вопрос недостатка воды все же стоял остро. Поэтому для вызова небесной росы применялась масса средств. Одним из них является Чобаретский обряд вызова дождя, о котором Чобаретский сказитель Костана Андреевич Зедгенидзе (78 лет, 1965 г.) сообщает следующее: во время засухи трое старух усаживались на каменные ящики у родника спиной друг к другу, вымаливали у бога дождь. К ним подкрадывались женщины и обливали их водой, веря, что дождь пойдет. Как видно, и в этом случае женщина заботилась о судьбе урожая. Женщины стараются вызвать дождь. К сожалению Чобаретский обряд вызова дождя сохранился в весьма фрагментальном виде. Мы много старались, но немного смогли собрать. Видно, что вместе с циклом других обрядов и этот обряд был передан забвению — только гораздо ранее, чем другие обряды. Этому способствовало окружение элементов других верований, среди которых приходилось жить грузинам. Известен факт, что здешние грузины из страха или уважения перед соседними магометанами отказывались разводить свиней. Поэтому исчезновение некоторых древнегрузинских обычаев из быта местных жителей считалось законным явлением.

Следует призадуматься над участием троих старух в Чобаретском обряде вызова дождя.

Дело в том, что вообще с ритуалом обливания Лазаре водой связаны три «старухи». А ритуал Лазаря же, как выясняют Л. Гварамадзе и Д. Джанелидзе, раньше выполняли с песней и танцами. К позднему времени, как выясняется из этнографических материалов, от ритуала в честь «Лазаря» на территории Грузии отделились элементы танца. В этнографическом быту соседних с Грузией адыгейцев сохранились хороводные танцы при вызове дождя. К могилам убитых громом шли мужчины, чтобы взять камень и опустить в воду, одновременно у могилы устраивался хоровод. Следует отметить, что ритуал вызова дождя в Грузии, в основном, выполнялся женщинами. Некоторые ритуалы, исполняемые мужчинами, позднего происхождения. Таковыми считаем, например, вынос иконы на поле или обливание иконы, звон колоколов, вынимание костей с могил бедняков и бросание в воду и др.; так что основной ритуал вызова дождя исполнялся

³⁹ В. Бардавелидзе Из истории верований грузин (божество Варвара), 1941, стр. 118.

женщинами. Обряд в честь Лазаря исполнялся женщинами. Обряд в честь Лазаря, отмечает Л. Гварамадзе, сопровождался песней очень древнего происхождения «Лазаре», но т. к. в древнее время песни и танцы были нераздельными, это позволяет думать, что во время пения в честь «Лазаре» исполнялся ритуальный обрядовый танец, медленный и плавный: со своим ритмичным очертанием⁴⁰. По мнению Д. Аракишвили ритуальное исполнение Лазаре является двухголосой песней, она небольшая по объему и простая по музыкальной мысли, что указывает на ее древность⁴¹.

Д. Джанелидзе отмечает, что в виде лазароба мы имеем остатки языческого обряда⁴², т. е. в ритуале в честь Лазаре, который дошел до нас в виде фрагмента песен, песни и танцы были слиты воедино с времен язычества (языческих времен). О рисунке этого ритмичного танца материалов мы не имеем. Мы считаем, что чобаретский обряд вызова дождя, исполняемый тремя старухами и стоящим в стороне хором, который обливал старух водой во время молений, должен составлять часть ритуала Лазароба.

Важно, что эти три «старухи» находились на каменных ящиках, а не у поющих женщин. Они исполняли молитву, прислонившись друг к другу спиной. В этом случае возможно молитвенный ритуал исполнялся тремя женщинами под знаком почтения, этот ритуал, как и многие другие потеряли в народе божественное значение. Ведь обряд Лазаре позднее исполнял только детский хор.

Мы думаем, что древний ритуал вызывания дождя Лазаре, исполняемый тремя старухами, был пережитком танца Самая. Начало танца Самая, по нашему мнению, нужно искать в Чобаретском обряде вызова дождя. Следует отметить, что в Аджарии и Имеретии народ говорит не самаиа, а сама⁴³.

Сама, т. е. составленный из трех людей (по-грузински сами) и действительно, если сцена моления «трех старух» является предшественником самая, то его название должно быть именно сама, а не самаиа.

Под «сама» в древности возможно подразумевалась ассоциация той большой троицы, которая, по мнению верующих, состояла из Солнца, Луны и Земли. Танец сама должен быть связан не с ритуалом рождения детей, как об этом указывает Л. Гварамадзе, а является составной частью ритуала Лазаре и должен быть сформирован из мо-

⁴⁰ Л. Гварамадзе. Грузинская народная хореография, стр. 50.

⁴¹ Д. Аракишвили. Грузинская музыка, 1925, стр. 7.

⁴² Д. Джанелидзе. Народные основы грузинского театра, стр. 91.

⁴³ Там же, стр. 174.

литвы божеству Тароси в виде своих танцевальных ритмичных движений и приемов, в дальнейшем в виде отдельного совершенного танца.

В танцевальном ритме самаяя руки трех женщин, стоящих спиной друг к другу, опущены, молящееся лицо устремлено вверх, левая рука развернута до конца, правая рука поднимается и устремляется в небо, а затем опускается плавно со стороны вниз.

И этот прием является ни чем иным, как молитвой, обращенной к божеству Тароса, чтоб оно дало с неба небесную росу засушливой стране.

დ. აბუანადამ

დაჩითვის სახმის ისტორიისათვის საქართველოში

(წერილობითი წყაროების მიხედვით)

ქსოვილის ორნამენტით შემკობის ხელოვნება საზოგადოების კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესთაგანია. ორნამენტით შემკობა სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. ერთ-ერთი მათ შორის არის დაჩითვა, რაც მზა ქსოვილზე სახეების ხელით გამოყვანას გულისხმობს სპეციალურად გამოჭრილი ყალიბების, საბეჭდავების, კალმისა და ე. წ. „საჩითავი ქვების“ საშუალებით. ქსოვილის შემკობის ეს ხერხი უძველესი დროიდან იყო ცნობილი სხვადასხვა ხალხისათვის და მას დიდი გამოყენება ჰქონდა გვიანი შუა საუკუნეების ბოლომდე; ზოგიერთი ხალხისათვის კი ის დღესაც მეტად დამახასიათებელი და ნიშანდობლივია¹.

ქსოვილთა დაჩითვის წესით შემკობის საწყისი უცნობია. დაჩითული ქსოვილების უძველეს ხანაში არსებობის შესახებ ცნობებს გვხვდებით ძველ ისტორიო წყაროებში (პეროდოტე, სტრაბონი და სხვ.). შორეულ წარსულში მათი არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალაცაა მოპოვებუ-

¹ В. Г. Б о к. О коптском искусстве, М., 1897, გვ. 13; Н. Н. С о б о л е в. Набойка в России, М., 1912; მ ი ს ი ვ ე. Очерки по истории украшения тканей, М.—Л., 1934, გვ. 156—161; მ ი ს ი ვ ე. Старинная русская набойка, М., 1948; Л. И. Я к у н и н а. Русские набивные ткани, XVI—XVII вв., М., 1954; Е. А. Ц е й т л и н. Очерки истории текстильной промышленности. М.—Л., 1940, გვ. 27; В. А. А б р а м я н. Ремесла в Армении, IV—XVIII вв., Ереван, 1956; Б. Н. А р а к е л я н. Развитие ремесел и товарного производства в Армении в XI—XIII веках, Советская археология, XXVI, М., 1956; Н. Р. Г у с е в а. Орнаментированные ткани в Индии. Советская этнография, 4, М., 1956, გვ. 92—104; გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ხალხური საჩითავები, საბჭოთა ხელოვნება, 10, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე. საქართველოს მუზეუმის საჩითავები, თბ., 1962; მ ი ს ი ვ ე. ქართული დაჩითული ქსოვილები, ძველის მეგობარი, 24, თბ., 1971, გვ. 12—15; С. Б. П е в з н е р. Средневековые египетские ткани как источник для истории культуры Египта X—XV вв., Автор ферт кандидатской диссертации, Л., 1962; Кустарная набойка Узбекистана, составитель Б. С. С е р г е е в. Ташкент, 1968; О. Н. Т о м и л и н а. Искусство набивки тканей в Индии, Искусство Индии, сборник статей, М., 1969; Н. Б и р ю к о в а. Западноевропейские набивные ткани, XV—XVIII вв., М., 1973.

ლი². ქსოვილის შემკობის აღნიშნული ხერხის სამშობლოდ თვლიან ინდოეთს, საიდანაც ის გავრცელდა აზიის ქვეყნებსა და აფრიკაში. ამ საქმიანობით I ს. განსაკუთრებით დაწინაურდა ეგვიპტე (პლინიუსი). დაჩითვის ტექნიკა შედარებით გვიან გავრცელდა ევროპაში (XIII—XIV სს.)³.

ქსოვილთა მხატვრული შემკობის ეს ხერხი ცნობილი იყო ჩვენი წინაპრებისათვისაც. ჩვენამდე სხვადასხვა გზით შემორჩენილია ქართველი ხელოსნების მაღალი ოსტატობით შესრულებული დაჩითული ქსოვილების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებით, დახვეწილი გემოვნებითა და შემოქმედებითი ფანტაზიის მრავალმხრივობით ხასიათდება.

საქართველოში დაჩითული ქსოვილების წარმოების არსებობის შესახებ მრავალი წერილობითი წყარო მოგვითხრობს და საჩითავი სახელოსნოების არსებობაც დასტურდება, მაგრამ ყველაფერი ეს მოგვიანო ხანას განეკუთვნება. ადრეული პერიოდის შესახებ კი წყაროებმა ბევრი არაფერი შემოგვინახა. მაგრამ თუ შემორჩენილი დაჩითული ქსოვილების ორნამენტული მოტივების, ტექნიკისა და მხატვრული ღირსების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამასთან ერთად, ძველი საისტორიო წყაროების⁴ მონაცემებსა და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალებს⁵ გავითვალისწინებთ, აგრეთვე მხედველობაში მივიღებთ იმ პირობებს, რომლებიც ძველთაგანვე ამ საქმის ადგილობრივ ბაზაზე განვითარებისათვის (მრავალგვარი საფეიქრო ნედლეული, ბუნებრივი საღებავები, ცვილი, მრავალფეროვანი ხის მასალა) ფართო შესაძლებლობებს სახავდა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქსოვილთა დაჩითვას ჩვენში საკმაოდ დიდ ხნის ისტორია აქვს.

² მოხენჯო-დაროში გათხრების დროს აღმოჩენილია ბამბის ქსოვილი, რომელზედაც ადგილადგილ ენდროთი შეღებვის კვალი შეინიშნება (ძვ. წ. III—II ათასწლეული). იხ. *О. Н. Томилина*. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

³ *Е. А. Цейтлин*. დასახ. ნაშრ., გვ. 27; *Н. Н. Соболев*. Очерки по истории..., გვ. 156—164; *Б. И. Сыромятников*. Очерк истории русской текстильной промышленности, Иваново-Вознесенск, 1925, გვ. 3, 5; *О. Н. Томилина*. დასახ. ნაშრ., გვ. 137; *И. Бирюкова*. დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.

⁴ *თ. ყაუხჩიშვილი*. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 66; *თ. მიქელაძე*. ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, 1967, გვ. 81, 101; *თ. ყაუხჩიშვილი*. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., გვ. 124.

⁵ *ნ. ხოშტარია*. „დიხა გუძუბა“ — კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, V, 1944, გვ. 210—212; *გ. ნიორაძე*. დმნისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIV—B, თბ., 1947, გვ. 17, 40; *Б. Куфтин*. Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, გვ. 291—232; *ივ. ჯავახიშვილი*. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 442—443; *დ. ქორიძე*. გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული), საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, თბ., 1954, გვ. 44; *ა. აფაქიძე*, *გ. გობეჯიშვილი*, *ა. კალანდაძე*, *გ. ლომთათიძე*. მცხეთა, 1, თბ., 1955, გვ. 25, 29; *ლ. ჭილაშვილი*. ქ. რუსთავი, თბ., 1958, გვ. 79; *ნ. ხოშტარია*. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 47; *ქ. ისაკაძე*. საფეიქრო საქმე ძველ საქართველოში, „მაცნე“, თბ., 1967, 4, გვ. 178, 182—183; *მისივე*. საფეიქრო ბოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში, მაცნე, თბ., 1969, 4, გვ. 75—90; *მისივე*. საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ., 1970.

XVII—XVIII სს. წერილობით წყაროებში დაჩითული ქსოვილების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინია შემონახული. ეს ტერმინები ჩვენში უცხოურიდანაა შეთვისებული და დამკვიდრებული.

მზითვისა და ნასყიდობის წიგნებში, ქონებისა და ხარჯის ნუსხებში და სხვა ხასიათის დოკუმენტურ მასალებში სხვადასხვა ქსოვილებთან ერთად ხშირადაა ნახსენები ჩითი. ჩითი, საბას განმარტებით, „ჭრელი ნარმა და ლაინია“⁶. ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს დ. ჩუბინაშვილს და აღნიშნავს: „დ. ჩუბინაშვილით ჩითი სპარსულ تاج, რუსულ «ситец» უდრისო და იძლევა ჩიოის ფრანგულ განმარტებას «Ces toiles peintes (расписанные ткани) არისო»⁷. იგივე ძირი ჩანს ინდურ „ჩინტც“-შიც, რომელიც ბამბის ქსოვილია დაბეჭდილი სახეებით⁸. ევროპაში ეს სახელწოდება — „ჩინტც“ XVIII ს. გამოჩნდა ინდოეთიდან⁹, რუსეთში კი, როგორც ლ. იაკუნინა აღნიშნავს, «в XV веке, бытовал особый сорт бумажных набивных тканей известных тогда под названием «шиты», «читы», или «шиды», что затем перешло в «цицы» и «ситцы»¹⁰.

როდის შემოვიდა ის ჩვენთან, ამის დადგენა წყაროთა სიმცირის გამო ჭერჭერობით შეუძლებელია (დამკვიდრებული კი უნდა იყოს ინდურიდან), მაგრამ XVII ს. ის უკვე ხშირად გვხვდება დოკუმენტურ წყაროებში (ჩითი, დაჩითული, საჩითავი, მჩითავი და სხვ.).

XVII ს. და შემდგომ საუკუნეებშიც წერილობით წყაროებში ჩითთან ერთად გვხვდება ყალამქარი.

ყალამქარი სპარსული ტერმინია და იქიდანაა ჩვენში დამკვიდრებული. მილერის სპარსულ-რუსულ ლექსიკონში განმარტებულია (галамкар) — калемкар (ситец ручной набойки)¹¹. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ეს ტერმინი საერთოდ არაა შეტანილი. მ. ბერძინიშვილი „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ შედგენილ „დანართში“ ყალამქარს შემდეგნაირად განმარტავს: „ყალამქარი“ — (სპარს. کالامق) — ჩითი (კალენკორი) სახეებ დაბეჭდილი ხელით“¹². ეს ტერმინი XVII ს. უფრო ადრე არ ჩანს ჩვენს წერილობით წყაროებში.

დაჩითული, მოხატული ქსოვილების აღმნიშვნელი ტერმინია, აგრეთვე, წყაროებში შემონახული დაბასმული (ბასმა). ლ. იაკუნინა მიუთითებს, რომ «Басма» — выбойка по-бухарски и по-калмыцки¹³, „დანართით“ ბასმა თეთრი

⁶ სულხან-საბა ორბელიანი სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 424.

⁷ ივ. ჯავახიშვილი მასალები ქართული ენის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 162; ფრანგული განმარტებისათვის იხილეთ Н. Бирюкова. Западноевропейские набивные ткани, 16—18 века, М., 1973, გვ. 31.

⁸ О. Н. Томина. დასახ. ნაშრ., გვ. 138.

⁹ იქვე. გვ. 138—139.

¹⁰ Л. И. Якунина. Русские набивные ткани, გვ. 18.

¹¹ Б. В. Миллер. Персидско-русский словарь, М., 1953.

¹² მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, შეადგინა მ. ბერძინიშვილმა, თბ., 1957, გვ. 44.

¹³ Л. И. Якунина, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

წებოს მსგავსი ნივთიერებაა, ხმარებული ლეჩაქის ასაჭრელებლად. დაბასმული — შალი, ლეჩაქი ბასმით სახეებგამოყვანილი¹⁴.

საბუთებში ვკითხულობთ:

„ოქროს მელნით დაბასმული იმწვანე საგულე...“,

„ბასმა სარტყელი ერთი...“,

„ჩალაყოფი ოქროს ვარაყით დაბასმული წითელი.

„თავსახურაი ხელსახოცი ფერადით დაბასმული“,

„საბანი დაბასმული ყალამქრისა“.

„კარის ფარდა ყვითლის ფერადით დაბასმული“,

„სამი ცხრა ხელსახოცი: ერთი ნაკერი და მეორე „დაბასმული“ და

სხვ.¹⁵

საბას ლექსიკონში შეტანილია ქსოვილის ერთი სახელწოდება, რომლითაც ჩვენში დაჩითული ქსოვილის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინის არსებობა დგინდება. ს. ორბელიანი „ყუმამაში“ განმარტებისას აღნიშნავს, რომ „ყუმამაში კუმამაში ლარიაო“, ხოლო „სერანგის“ შესახებ მიუთითებს: ის „ლარია ყუმამაშთაგანია“¹⁶ და მოჰყავს ამონაწერი რომელიც საბუთიდან: „ხატის გარდასახურავი ხავედი 1, სერანგი 1, ქამხა 1“¹⁷. ივ. ჯავახიშვილი იესე ოსესშვილის სიტყვებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „ყუმამაში“ დაბალხარისხოვანი ქსოვილი უნდა ყოფილიყო¹⁸. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „ყუმამაში“ არაბული სიტყვაა და ბამბის ქსოვილს ნიშნავს. ის მის რუსულ შესატყვისად «кумачь»-ს («Простая бумажная ткань красного или синего цвета») ასახელებს, ხოლო მის ფრანგულ განმარტებას უფრო ვრცლად იძლევა და აღნიშნავს: წითლად შეღებილი ბუნრული ბამბის ქსოვილიაო¹⁹.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „სერანგი სპარსული სახელი უნდა იყოს, რადგან სერენგ სპარსულად სამფერს და ჭრელს ნიშნავს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, ყუმამათა ეს სახეობა უნდა სამფერიანად, ანდა ჭრელ ქსოვილად ვიგულისხმობთ“²⁰. რაკი „ყუმამაში“ ბამბის უბრალო ქსოვილია და თანაც შეღებილი, „სერანგი“ კი „ლარია ყუმამათაგანი“, სამფერია ანდა ჭრელია, სავსებით დასაშვებია, რომ ის დაჩითულ ქსოვილად მივიჩნიოთ. განსხვავებით ყალამქრისაგან, რომელიც ყალმით მოხატულ ქსოვილსაც აღნიშნავდა, სერანგი მხოლოდ საბეჭდავებით, ყალიბებით სახეებგამოყვანილი ქსოვილის გამომხატველი ტერმინი ხომ არ იყო?

მიუხედავად იმისა, რომ დაჩითული ქსოვილის აღმნიშვნელი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინი უცხოური წარმოშობისაა, აღნიშნულ პერიოდში ჩვენში დამოწმებული ამ სახელების მატარებელი ყველა ქსოვილი, რა თქმა უნდა, უცხოურ ნაწარმს არ წარმოადგენდა. ქართველი ოსტატების დამზადებული დაჩითული ქსოვილების მრავალფეროვნება კარგად დგინდება წერილობითი

¹⁴ მ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 10, 13.

¹⁵ მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, გვ. 28, 65, 84—87, 140.

¹⁶ სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, გვ. 314, 404.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 183.

¹⁸ იქვე. გვ. 184.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე. გვ. 180.

წყაროებით, მათი აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინი კი ჯერჯერობით წყაროთა უკმარისობის გამო გამოურკვეველი რჩება. მაგრამ რაკი ქსოვილთა და ჩითვის საქმე უშუალო კავშირში იყო მღებრობასთან და თავიდანვე მის სფეროში შედიოდა, შესაძლოა, ამ საქმიანობის გამომხატველი ტერმინიც და შესაბამისად ნაწარმის სახელწოდებაც მღებრობასთან, ლებვის, მოხატვის ადგილობრივ ტერმინთან იყოს დაკავშირებული.

„დაბადების“ ქართულ თარგმანში „ნაქსოვი ჭრელად“—თან ერთად მოხსენებულია „ლებული ჭრელად“, რომელიც, ვფიქრობთ, საკითხის ამ მიმართებით წარმოსადგენად მეტად საყურადღებოა. თარგმანში ვკითხულობთ; „ჰქმენ სამჯრე იგი ზეზისაგან ძახილისა ქმნულად ქსოილად ჭრელად“ (გამოსლვათა, 286); A — 51; „შექმნან სამჯარი ბისონისაგან გრეხილისა ნაქმარად ქსოილად ჭრელელებულად“ (გამოს. 286)²¹; „ვიხილე ნატყუენავსა შინა ნაქსოი ჭრელი“²²; „საქმედ ქსოვასა და ჭრელსა ქსოვად მეწამულისა მას და ზეზისა ხუროთმოძღვრებდა“ (მოსე, II, 353)²³.

„დაბადების“ თარგმანში ვკითხულობთ: „კაცისა ძლიერისა ნატყუენავი ლებილთა განთვთებულთა... ღებილთა თვთო ფერთა ღებილი თვთოთა ჭრელთა (მსაჯულთაი, 530; ომკ.)²⁴ და „არა მოაქციონ მისსა განმყოფელმან ნატყუენავი... ღებილთა განთვთებულთა სისრას. ნატყუენავი ღებილთა თვთო — ფერთა, ღებილი თვთოთა ჭრელთა“ (მსაჯ., 530)²⁵.

როგორც მოტანილი ტექსტებიდან ჩანს, აქ ქსოვილის ჭრელი სახეებით შემეკობის ორ სხვადასხვა წესთან გვაქვს საქმე²⁶. ერთი წესით, ქსოვილისათვის ჭრელი სახის მიცემა, მასზე სხვადასხვა ფერის ორნამენტის გამოყვანა ქსოვის პროცესში ხდება (ქმნულად ქსოილად ჭრელად“, ნაქმარად ქსოილად ჭრელად“, „ნაქსოი ჭრელი“, „ჭრელად ქსოვად“), ხოლო მეორეთი — ღებვის პროცესში („ღებილი ჭრელად“).

„ღებვა ჭრელად“ თავისი შინაარსით გამოხატავს იმას, რასაც დაჩითვა გულისხმობს. ვფიქრობთ, ვიდრე დაჩითული ქსოვილისათვის ადგილობრივი, კონკრეტული ტერმინი არაა გამოვლენილი, „ღებილი ჭრელად“ ან „დაჭრელელებული“ მის სავარაუდო ერთ-ერთ ტერმინად შეიძლება მივიჩნიოთ. შესაძლოა, ჩვენი ვარაუდი სიმართლეს არცაა მოკლებული და ძველ ხალხურ პოეზიაში შემონახული „გამაცივა, გამაცხელა, ჭრელ ჩიტივით დამაჭრელა“²⁷ მისი რეალური გამოძახილია.

ჩვენში დაჩითვის საქმის საწყისის ზუსტი განსაზღვრისათვის პირდაპირი საბუთი ჯერჯერობით არ გავაჩნია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია და საყუ-

²¹ ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის..., გვ. 194.

²² ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 327.

²³ შ. მესხია. საკანდიდატო დისერტაცია — „ხელოსნობა ძველ საქართველოში“, 1942, გვ. 120.

²⁴ ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 193.

²⁵ იქვე.

²⁶ „ჭრელი — სხვადასხვა ფერი, მოხატული აბრეშუმის ქსოვილი, ოქრო-მკედი“, იხ. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 558; სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, გვ. 460.

²⁷ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1617, გვ. 36.

რადლებო პეროდოტესთან (ძვ. წ. V ს.) დაცული ცნობა, რომელიც საქართველოში ქსოვილის შემკობის ამ ხერხის უძველეს ხანაში არსებობას ადასტურებს. პეროდოტე წერს: „ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს კავკასიონის მთებში და მთელი ეს სიმრავლე იკვებება ტყის გარეული მცენარეებით. ამბობენ, რომ ამ ხეებს ფოთლები თავისებური მოყვანილობისა აქვთ. ამ ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წყალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს. ეს ხატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილი არის მასში“²⁸.

გ. ჩაჩაშვილი და ქ. ისაკაძე ამ ცნობაში საქართველოში ქსოვილის დაჩითვის ტექნიკის არსებობას ხედავენ, მიაჩნიათ ის ჩვენში სამღებრო ხელოვნების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებლად და ამ მოსაზრებას გასაძვირებლად და საილუსტრაციოდ ა. აფაქიძის 1946 წ. მცხეთაში აღმოჩენილი ქსოვილის ფრაგმენტის (ახ. წ. II ს.) კარგად შენახული შეფერილობა მოჰყავთ²⁹.

ჩვენ ვიზიარებთ მათ მოსაზრებას. პეროდოტეს შემომოყვანილ ცნობაში დაჩითვის საქმის არსებობის მყარსა და ღრმა საფუძველს ვხედავთ. ხოლო ჩვენში სამღებრო საქმის სიძველისა და ჩვენი წინაპრების სამღებრო ხელოვნების მაღალი დონის წარმოსადგენად და გასათვალისწინებლად, რაც დაჩითვის საქმის წარმატების საწინდარიც იყო, მცხეთაში აღმოჩენილ ქსოვილთან ერთად გვინდა ამ მხრივ საყურადღებო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი მოვიხსენიოთ. ეს არის 1966 წელს ბედენის ზეგანზე, ე. წ. „გადაჭრილ გორაზე“, ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის აკლდამაში აღმოჩენილი შინოსთერი ნაზი ქსოვილის ნაშთები³⁰. ეს მონაპოვარი ადრე აღმოჩენილ ანალოგიურ მასალებთან შედარებით გაცილებით ადრეულ ხანას განეკუთვნება. გაოცებას იწვევს საღებავის სიმტკიცე ქსოვილთა ამ ნაშთებზე, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი ელვარება. სპეციალისტები ამ ქსოვილს მაღალ შეფასებას აძლევენ³¹.

ამ აღმოჩენამ, რომელმაც დაადასტურა ჩვენში სამღებრო საქმის მაღალი დონე და მისი ტრადიციული ფესვების სიღრმე, რეალურობა შემატა პეროდოტეს ცნობას და ნივთიერად დაასაბუთა მისი სისწორე. ამ მონაპოვარმა ცალმხრივობა და ერთგვარი შეზღუდულობა გამოირიცხა და უფრო გაამყარა მოსაზრება ჩვენში ქსოვილთა დაჩითვის საქმის უძველესი დროიდან მომდინარეობაზე.

ჩვენი აზრით, უკვე შეიძლება დარწმუნებით ლაპარაკი, რომ ქსოვილთა შემკობის ეს ხერხი აღმოცენებულია მყარ ადგილობრივ საფუძველზე, რომელიც, უდავოდ, განპირობებული იყო ჩვენში როგორც საფეიქრო საქმის ტრადიციულობით, ასევე სამღებრო საქმის დაწინაურებითაც. კ. მარქსის ცნობილი დებულება — „პირველდაწყებით ისტორიაში გამოგონება ყოველდღიურად უნ-

²⁸ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 66.

²⁹ ქ. ისაკაძე. საფეიქრო საქმე საქართველოში, გვ. 83—84; გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15.

³⁰ გ. გობეჯიშვილი. ბედენის აკლდამა, „ძეგლის მეგობარი“, 12, თბ., 1967, გვ. 21; ქ. ისაკაძე. საფეიქრო ბოჭკოვან..., გვ. 75—77.

³¹ ქ. ისაკაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 77.

და შექმნილიყო და ყოველ ადგილას დამოუკიდებლად³², ვფიქრობთ, საფუძველს მატებს ჩვენს მოსაზრებას და უფრო მყარს ხდის მას.

პეროდოტეს ცნობას კარგად ეხმაურება შედარებით მოგვიანო პერიოდის — ახ. წ. IV ს. პირველი ნახევრის ერთი საყურადღებო ფაქტიც.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორი აღწერს მცხეთაში დიდი საკულტო დღესასწაულის გამართვასთან დაკავშირებით ქალაქის მორთვას საზეიმოდ და აღნიშნავს: „სიმრავლე ურიცხვი და ფერად-ფერადად შემოსილი გამოვიდეს ქალაქით და ვითარ მოჰრიდა ერმან, გამოვიდა ნინო დედოფალი და ფოლოცნი შეემკუნეს თვთო ფერთა სამოსელითა“³³.

ეს ცნობა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია როგორც სამღებრო, ასევე დაჩითვის საქმის წარმოსადგენად. საგულისხმო ფაქტია, რომ აქ სხვადასხვა ღირსების ქსოვილებია მოხსენიებული. ურიცხვი ერი, ქალაქის ძირითადი მოსახლეობა, როგორც ცნობიდან ჩანს, შემოსილა „ფერად-ფერადითა“ სამოსელითა, ე. ი. სხვადასხვა ფერის, ჭრელი და სახეებიანი ქსოვილის სამოსელით. საფიქრებელია, რომ „ურიცხვი ერის“ ჭრელი, ფერად-ფერადი სამოსი დაჩითული ქსოვილისაგანაც იქნებოდა შეკერილი. ვფიქრობთ, ხელოსნობის ეს დარგი იმდროინდელ მცხეთაში დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. წყაროებით დადგენილია, რომ V—VI სს. აქ ხელოსანთა გაერთიანებები არსებობდა; უეჭველია, მათ შორის მღებავებიც, მხითავებიც იქნებოდნენ წარმოდგენილნი. ამ დროს მცხეთას ჰყავდა მხატვართუხუცესიც³⁴, რომელსაც, შესაძლოა, ევალებოდა ქსოვილთა მოხატვისათვისაც ედევნებინა თვალყური.

პირდაპირი ცნობა დაჩითული ქსოვილებისა და, საერთოდ, დაჩითვის შესახებ ჯერჯერობით არც მომდევნო საუკუნეებისათვის გაგვაჩნია. წერილობითი წყაროები მიუთითებენ, რომ X—XII სს. საქართველოში განვითარებული იყო შუა საუკუნეებისათვის ცნობილი ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, მათ შორის ფიქრობა და მღებრობა.

საქართველომ განსაკუთრებულ წარმატებას სწორედ XI—XII სს. მიაღწია, რის შედეგადაც დადგა ხელსაყრელი პირობები ხელოსნობის განვითარებისათვის. აყვავდა ქალაქები, გაცხოველდა აღებ-მიცემობა. ამ დროს საქართველოს არა თუ მხოლოდ შემოპქონდა საზღვარგარეთიდან, არამედ თვითონაც დიდი რაოდენობით გაჰქონდა ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი. სავარაოდაც ქრობის ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენდა ადგილობრივ დამზადებული სხვადასხვაგვარი ქსოვილიც³⁵. წყაროთა ამ მონაცემებს კარგად ადასტურებს მარკო პოლოს ცნობაც, რომ თბილისში ხელოსნობის სხვა ნაწარმთან ერთად დიდი რაოდენობით მზადდებოდა სხვადასხვა სახის ქსოვილებიც³⁶. საერთო

³² კ. მარქსი, და ფ. ენგელსი. ანტიურობის შესახებ, თბ., 1937, გვ. 218.

³³ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 88.

³⁴ Т. Кау х ч и ш в и л и. Греческие надписи в Грузии, Тб., 1951, გვ. 254—257; Ш. М е с х и а Города и городской строй феодальной Грузии, თბ., 1959, გვ. 29; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 125.

³⁵ Ш. А. М е с х и а დასახ. ნაშრ., გვ. 53—54, 56, 57, 61; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიაი. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 173; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 44, 48.

³⁶ Книга Марко Поло, გვ. 252.

აღმავლობის ასეთ ვითარებაში მოულოდნელი არ უნდა იყოს, საფეიქრო და სამღებრო საქმესთან ერთად, ქსოვილთა დაჩითვის საქმის დაწინაურებაც.

პირდაპირი ცნობა ჩვენში დაჩითვის საქმის შესახებ ჯერჯერობით არც მომდევნო საუკუნეთა დღემდე ცნობილ წყაროებში ჩანს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია ყოველგვარი მითითება თუნდაც არაპირდაპირი, რომელშიც შესაძლებელია, საყურადღებო მომენტები დავინახოთ.

XV ს. იტალიელი მოგზაურის კონტარინის ცნობაში აღნიშნულია, რომ ახალციხე იყო «незначительным городом... производящим торг шелком, грубым полотном и отчасти воском»³⁷. აქ, მართალია, ქსოვილთა დაჩითვის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ, ვფიქრობთ, ხელოსნობის ეს დარგი სასაქართველოს ამ პუნქტში საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო.

კონტარინის ცნობით დასტურდება ახალციხეში დასაჩითავად საქირო მასალების (ტილო, ცვილი) არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინება იმ ფაქტთან ერთად, რომ საჩითავი ყალიბების ყველაზე დიდი რაოდენობა ჩვენამდე სწორედ ამ კუთხიდანაა შემორჩენილი, ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდის გარკვეული რეალური საფუძველია. ამასთან, ქართული ხელნაწერი წიგნის ყდაზე აღნიშნული პერიოდის ქსოვილიცაა შემონახული (A — 1110), რაც, ჩვენი აზრით, ასეთი, თუნდაც არაპირდაპირი, ცნობის ერთგვარი ნივთიერი დადასტურებაა და დაჩითვის საქმის არსებობის პირდაპირი მიმანიშნებელი.

ცნობა მოეპოვება კონტარინის ფოთის შესახებაც: «Вся промышленность города фазиса заключается в выделке небольшого количества грубого полотна и добывании воска»³⁸. ასეთივე არაპირდაპირი ცნობები შეიძლება ამოვიკითხოთ ამ პერიოდის ადგილობრივ წყაროებშიც³⁹.

დაჩითული ქსოვილების წარმოების არსებობა შეიძლება დავინახოთ XV ს. ერთ-ერთ მწვინელოვან დოკუმენტშიც. ეს არის ალექსანდრე კახთა მეფის საფიცრის წიგნი. რუსეთის მეფე თედორე ალექსანდრეს ავალზედა, რომ მას ყოველწლიურად „მოსაკითხის“ სახით მისთვის მიერთმია ორმოცდაათი ყიზილბაშური ოქრონემსური ფარჩა და ათი ოქროქსოვილი ხალი. კახთა მეფე თანახმა ყოფილა ამ პირობებზე, მაგრამ, ამავე დროს დასძინდა, რომ ასეთი საჭონელი კახეთში არ მოიპოვებოდა ირანისაკენ სავაჭრო გზის ჩაკეტვის გამო და რომ მას ასეთი ძღვენის მირთმევა გაუჭირდებოდა. კახეთის მეფეს უთხოვია, რომ „მოსაკითხი“ კახური საქონელით შეეცვალოს.

ალექსანდრე მეფის ვალდებულება რუსთა მეფის წინაშე საფიცრის წიგნში შემდეგნაირად განისაზღვრა: „რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავს იღებს ყოველწლიურად მოსაკითხი გაუგზავნოს ხელმწიფეს, — ნაცვლად 50 ოქრონემსული ყიზილბაშური ფარჩისა და 10 ოქროვერცხლით ქსოვილი ნოხისა, ისეთი ლარით, რაც მის ქვეყანაში მოიპოვება“⁴⁰.

XVI ს. კახეთი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ კუთხეს, სადაც აყვავებული იყო საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა-ვაჭრობა.

³⁷ Путешествие Амвросия Контарини, გვ. 30.

³⁸ იქვე

³⁹ თ. ჟორდანიას. ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 128—129.

⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 25, 26, 153, 156.

სავარაუდებელია, რაკი მეფის საკადრისი და „მოსაკითხად“ შესაფერისი ქსოვილები მზადდებოდა, მით უმეტეს იქნებოდა იაფი, ხალხის ფართო მასისათვის საჭირო ქსოვილების წარმოება, რომელიც, ალბათ, იღებებოდა და იჩითებოდა კიდეც.

ჩვენში დაჩითვის საქმის წარმოსადგენად წერილობითი წყაროების ასეთი ფრაგმენტულობა და ცნობათა ეპიზოდურობა ხასიათი XVII ს-მდე გრძელდება. XVII ს-დან მოყოლებული ამ საქმის ამსახველი მასალები უფრო სტაბილურია ხდება. უმეტესი ნაწილი ცნობებისა მაინც XVIII ს. მოდის. ამ პერიოდის მასალებით ჩვენში დაჩითვის საქმის არა თუ არსებობა მტკიცდება, არამედ უკვე შესაძლებელი ხდება ქსოვილთა ღირსებისა და ხარისხის დადგენა. წერილობითი წყაროები პირდაპირ, კონკრეტულად მიუთითებენ ცალკეულ პუნქტებს, სადაც მჩითავები და საჩითავი სახელოსნოები არსებობდა. ამ პერიოდის მასალებით მტკიცდება, რომ ხელოსნობის ეს დარგი საკმაოდ განვითარებული იყო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ქსოვილთა დაჩითვა იმ დონეს, რაც ეს XVIII ს. მასალებით ჩანს, ერთბაშად ვერ მიღწევდა. ის თანდათანობით განვითარების შედეგი იყო. ამ დარგს, უდავოა, წინა საუკუნეებშიც სათანადო ადგილი უნდა სჭეროდა ხელოსნურ წარმოებაში.

XVII ს. უცხოელ მოგზაურთა თუ ელჩთა აღწერილობებსა და ანგარიშებში დაჩითული ქსოვილები ხშირად ნახსენები, რაც მათი გავრცელებისა და ფართო მოხმარების ანარეკლია. შარდენთან მოხსენიებული „ჭრელი ტილოებიც“⁴¹. უდავოდ, დაჩითული ტილოებია. ამ მხრივ საყურადღებოა, აგრეთვე, რუსი ელჩების ანგარიშებიც, რომლებშიც დაჩითული ქსოვილები ხშირად ნახსენები⁴².

XVII—XVIII სს. დაჩითვის საქმის წარმოსადგენად მეტად საყურადღებოა ადგილობრივი წყაროების მონაცემები, რომლებიც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ამ საქმის მასშტაბურობის გასათვალისწინებლად, ხოლო მეორე მხრივ კარგად ავლენს ნაწარმის ასორტიმენტს, მის მრავალფეროვნებას. სხვადასხვა ხასიათის საბუთებში ხშირად იხსენიება „თეთრანი ჩითი“, „შავიანი ჩითი“⁴³, „დაბალი ყალამქარი“, „ყალამქრის ჩითი“, „ყალამქარი არეული“, „ყალამქარი წვრილი ხეებისანი“, „ქალაქის ჩითი“⁴⁴, „ჭრელი ტილო“, „ქალაქის წკებლა ჩითი“, „წკებლა ყუთნი“, „განიერი წკებლა“, „ქეგმოური ფრინველებიანი ჩითი“, „ქალაქის წითელი ჩითი“ და სხვ.⁴⁵ ხელოსნობის ამ დარგს, ჩანს, მმართველი წრეებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, რაც აისახა კიდეც სპეციალურ კანონ-პროექტში.

⁴¹ შარდენის მოგზაურობა, გვ. 120, 156, 158, 221.

⁴² Материалы..., გვ. 270, 321, 362, 419; Посольство князя Мышценкого, გვ. 126, 134—135, 142—143; Посольство русских послов, გვ. 221—222.

⁴³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1938, საბუთი 3614—Hd, 13439—Hd.

⁴⁴ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, საბუთები 116, 402, 406.

⁴⁵ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1955, საბუთები 165, 166, 167, 181, 203.

იოანე ბატონიშვილი კანონ-პროექტით აწესებს უფროსებს ვაჭრობა-ხელოსნობის, სასოფლო მეურნეობისა თუ მოხელეობის ხაზით და მიუთითებს: „იყოს მღებრებისა, ჩითების მკეთებლებისა, ფეიქრებისა, მელაინებისა და თავთათა, დარაიას მქსოველთ უფროსი და ესე აძლევდეს რიგსა და ფასსაც ესევე მიაწერდეს რიგით და ნართებსაც და ლაზღებსაცა. ზედამხედველი ესევე იყოს და ესე ცდილობდეს ამათსა გამრავლებასა, რადგან დაბალი ხალხი ამას უფრო ხმარობენ საცემელად“⁴⁶.

წყაროებით კარგად დგინდება, რომ დაჩითულ ქსოვილებს ჩვენი წინაპრების, განსაკუთრებით კი ქართველი გლეხკაცის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში ფართო გამოყენება ჰქონდა, რაც განპირობებული იყო როგორც ნაწარმის სიიაფით, რაც მისი დამზადების შედარებით სიმარტივეთაც იყო გამოწვეული, ასევე ნაწარმის ზედმიწევნით დეკორატიულობით. იყენებდნენ მას როგორც სამოსისათვის, ასევე სხვადასხვა დანიშნულებისათვის; გადასაფარებლად, ფარდაგებად, სუფრებად, ფუთებად, მუთაქის, საბნის, ბალიშის პირებად და სხვა.

დაჩითვის საქმის მასშტაბურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობას სწორედ აღნიშნული წარმოადგენდა. მისი ზრდა-განვითარება ცხოვრებით იყო ნაკარნახევი და დამყარებული იყო როგორც სამეურნეო-ეკონომიკურ, ისე ესთეტიკურ მოთხოვნილებებზე.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მოგვიანო ხანის, განსაკუთრებით კი XVIII ს., წერილობითი წყაროები პირდაპირ მიუთითებენ ცალკეულ პუნქტებს, სადაც მჩითავები მოღვაწეობდნენ ან საჩითავი სახელოსნოები არსებობდა.

XVII ს. წერილობითი წყაროები მცირე ცნობებს შეიცავენ ცალკეულ პუნქტებში საჩითავი სახელოსნოების არსებობის შესახებ, თუმცა მაინც მიუთითებენ თბილისში, გორსა და ცხინვალში მჩითავების არსებობას⁴⁷.

დოკუმენტური მასალის ასეთი სიმცირის პირობებში საყურადღებოა თეიმურაზ კახთა მეფის კარზე მყოფი ელჩების თავადი თევდორე ვოლკონსკისა და დიაკი არტემ ხვოსტოვის (1637—1640 წწ.), აგრეთვე თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის (1640—1643 წწ.) ცნობები. ცნობებში აღნიშნულია, რომ «узорочья в грузинской земле никакого не видали и торговых людей нет»⁴⁸, მაგრამ ამავე დროს მიუთითებენ, რომ «приезжают к Теймуразу царю из шахови земли из Тифлизу и из иных городов арменья с худым товаришком, с кандяки и с кумачи с петредю з бязью»⁴⁹. ეს ცნობა საინტერესოა ჩვენთვის იმ მხრივ, რომ მიუთითებელია თბილისური და სხვა პუნქტების ნაწარმი, რითაც ჩვენი წყაროების მონაცემები დასტურდება.

რუსი ელჩების შენიშვნა კახეთის შესახებ არ არის შემთხვევითი. კახეთი ამ დროს შაჰ-აბასის შემოსევებისაგან თითქმის განადგურებული იყო. მაგრამ არც ის არის მოულოდნელი, რომ ამ ცნობაში მოხსენიებულია თბი-

⁴⁶ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 312—313.

⁴⁷ Ш. А. М е с х и а. დასახ. ნაშრ., გვ. 125, 129.

⁴⁸ გულისხმობენ მხოლოდ კახეთს.

⁴⁹ М а т е р и а л ы..., გვ. 332; Посольство князя Мышецкого..., გვ. 161.

ლისისა და სხვა ქალაქების ნაწარმი. როგორც ცნობილია, XVII ს. 30-იანი წლებიდან ქართლის სამეფო ვასალობის პირობით მოუტივდა ირანის შაჰს, რის შედეგადაც 1723 წლამდე შემოსევებს თითქმის არ ჰქონია ადგილი. დადგა ერთგვარი შესვენებისა და აღორძინების პერიოდი. როსტომ მეფის დროიდან სამეფო ხელისუფლების პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უწყობდა ხელს. ქვეყანას აღორძინება დაეტყო. აღდგა საქალაქო ცხოვრება. პირველ რიგში გამოცოცხლება დაეტყო თბილისს, რაზედაც არაერთგზის მიუთითებენ უცხოელები (ფრანგი კომერსანტი ტავერნიე, მეფის მკურხალი — ქიოსელი ბერძენი ანდრია ეპიფანე, იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი, შარდენი)⁵⁰. თბილისში განვითარებული ყოფილა იმ დროისათვის ცნობილი ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი; როგორც შ. მესხია მიუთითებს თავის გამოკვლევაში, ამ დროს ყოფილან ფეიქრები, მჩითავები, მღებავები⁵¹.

ხელოსნური ნაწარმი, ჩანს, მზადდებოდა როგორც ადგილობრივი ბაზრისათვის, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებსა და უცხოეთში გასატანადაც⁵².

მართალია, იმ პერიოდში, რომელსაც რუსი ელჩები ეხებიან, კახეთში ჩამკვდარი და განადგურებული იყო სულ ცოტა ხნის წინ დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა-ვაჭრობა, სამაგიეროდ საქართველოს სხვა კუთხე აგრძელებდა ცხოვრებას. იმდენად ტრადიციული იყო ხელოსნობის ესა თუ ის დარგი ჩვენი ქვეყნისათვის, რომ კახეთში თუ არა, ქვეყნის რომელიმე სხვა ნაწილში, რომელშიც ერთგვარი შესვენების პერიოდი ღებოდა, განაგრძობდა არსებობას, რის შედეგადაც მისი განვითარების საერთო, ერთიანი ხაზი არ იკარგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობები უშუალოდ ამა თუ იმ პუნქტში საჩითავი სახელოსნოების ან მჩითავების არსებობის შესახებ ძალზე მცირეა, ამ პერიოდის ნაწარმი, ვფიქრობთ, კარგად აირეკლა XVII ს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. მაგ., XVII ს. მზითვის წიგნებში უცხო წარმოების დაჩითულ ქსოვილებთან ერთად, რომელთაც წარმოების ადგილის განმსაზღვრელი მიმანიშნებელიც ახლავს ყოველთვის, ზოგიერთი ქსოვილი ასეთი მიმანიშნებლის გარეშეა მოხსენიებული. მაგ., შაჰნავაზ მეფის ასულის მზითვის წიგნში (1667 წ.) ვკითხულობთ: „ყ ა ლ ა მ ქ რ ი ს ს უ ფ რ ა ო რ ი, ი ს პ ა ნ ი ს ჩ ი თ ი ს ს ა ჯ ე ლ გ ო ს უ ფ რ ა ზ უ თ ი, ზ ე წ ა რ ი ყ ა ლ ა მ ქ რ ი ს ა“⁵³, ხოლო ანა ქსნის ერისთავის მზითვის წიგნში (1692—1703 წწ.) აღნიშნულია: „ერთი ყ ა ლ ა მ ქ რ ი ს ყ ა დ ი თ ა.“

კიდევ ერთი ახალუხი ყ ა ლ ა მ ქ რ ი ს ა, მისის ნაქსოვის ს ა ხ ე ბ ი თ ა და დ ა რ ა ი ა ს ბ ო ღ ჩ ი თ ა.

ს უ ფ რ ა ყ ა ლ ა მ ქ რ ი ს ა ჯ უ ფ თ ი ერთი.

კიდევ ს უ ფ რ ა ბ ა ვ რ ი ჯ ი ს ჩ ი თ ი ს ა ჯ უ ფ თ ი ერთი“⁵⁴.

⁵⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 177.

⁵¹ III. A. М е с х и ა. დასახ. ნაშრ., გვ. 125—126.

⁵² ი ქ ვ ე. გვ. 126, 132.

⁵³ მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), გამოცემად მოაწვდა მ. იშვილიძე, თბ., 1974, გვ. 28, 30, 32.

⁵⁴ ი ქ ვ ე. გვ. 38, 40, 41.

ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ხელოვნებათმცოდნე სარა ბარნაველის მოსაზრება, რომ ქსოვილები ადგილის მიმანიშნებლის გარეშე ქართულ ნაწარმს წარმოადგენს⁵⁵.

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, XVII ს. თბილისისა და გორის გარდა, ქართლში სხვა დაწინაურებული ქალაქებიც არსებობდა, რაზედაც უცხოური წყაროებიც მიუთითებენ. ესენია: სურამი, ალი, ცხინვალი, ახალდაბა. წყაროები მიუთითებენ ამ ქალაქებში ხელოსნობისა და ვაჭრობის დაწინაურებაზე⁵⁶. არ იქნება უსაფუძვლო ვიფიქროთ, რომ სხვა ხელოსნებთან ერთად ამ პუნქტებში მჩითავეები და მღებრებიც მოღვაწეობდნენ.

ჩვენში ცალკეულ პუნქტებში მჩითავეებისა და საჩითავე სახელოსნოების არსებობის შიდა ანუ პირობითი კანონების სივრცეში მნიშვნელოვანი რაოდენობა XXVIII ს. წყაროებმა შემოგვინახეს. ამ მხრივ საყურადღებოა როგორც ადგილობრივი წყაროების მონაცემები, ასევე უცხოელ მოგზაურთა აღწერილობებიც. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ ჩვენში ასეთ სახელოსნოთა თართო ქსელის არსებობაში, დავინახოთ მათი გავრცელების არე და რაოდენობრიობა.

ბუნებრივია, ეიოქროთ, რომ თბილისში, როგორც ხელოსნობის წარმოების მთავარ ცენტრში, სხვა პუნქტებთან შედარებით ყველაზე მეტი იქნებოდა ამ დარგში მოსაქმეთა რიცხვი. რა მასთან ერთად, რა თქმა უნდა, სახელოსნოებიც. წყაროების მიხედვით კანობილია, რომ თბილისში სხვადასხვა დარგის ხელოსნები ცალკე რიგებში. ჩოჩებო იყვნენ განლაგებულნი⁵⁷. ამ მხრივ გამონაკლისს არც მჩითავები წარმოაოჯინონენ. მათთვის აქ სპეციალური რიგი, სპეციალური ქოჩა არსებობდა, მას შესაბამისად „მჩითავეთა რიგი“, „მეჩითეების ქუჩა“ ეწოდებოდა. წყაროები არაფერს გვიუბნებენ ამ რიგში მომუშავე არც ხელოსანთა და არც სახელოსნოთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ მათთვის ცალკე რიგის, ცალკე ქოჩის არსებობა, ვფიქრობთ, უკვე თავისთავად ლაპარაკობს მათ მრავალრიცხოვნობაზე.

გარდა ზემოთ დასახელებული ფაქტისა, საჭიროა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თბილისში არსებულ ქარვასლებში (რასაც დოკუმენტური მასალა კარგად ადასტურებს), გარდა ვაჭრებისა, ცალკეული დარგის ხელოსნებსაც ჰქონიათ ბინა დაღებული, ზოგჯერ მუდმივადაც. როგორც 1781—1782 წწ. თბილისის აწერილან ჩანს, ერთ-ერთ, კერძოდ, ნაზარბევიანთ ქარვასლაში მცხოვრებ ხელოსანთა შორის მჩითავეიც ყოფილა⁵⁸.

ცნობილია, რომ XVIII ს. თბილისში ამა თუ იმ ხელობის რამდენიმე წარმომადგენელს ერთად ან ცალკე თავისი დუქანი ჰქონიათ. ამიტომ თბილისურ დოკუმენტებში დუქანი ხშირად იქ მოსაქმე ხელოსანთა თუ ვაჭართა სპეციალობის მიხედვით მოიხსენიება. აქ არა მარტო ხელოსნური ხაწარმი იყიდებოდა, არამედ გამართული ყოფილა ამა თუ იმ ხელობისათვის საჭირო

⁵⁵ სარა ბარნაველი. გასათხოვარი ქალის მზითვეი XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XI—B, თბ., 1941, გვ. 110.

⁵⁶ III. A. Месхиа დასახ. ნაშრ., გვ. 111.

⁵⁷ შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 229; III. A. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

⁵⁸ შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 368.

დაზგები, სახელოსნოები. დუქანი XVIII ს. თბილისში როგორც სავაჭრო, ისე სახელოსნო ნაგებობაც იყო. 1809 წ. ცნობით, რომლითაც შეიძლება დაახლოებით XVIII ს. დასასრულის სურათის წარმოდგენა, თბილისში მეჩითეებს ექვსი დუქანი ჰქონიათ⁵⁹.

XVIII ს. სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტურ წყაროებში მოხსენებულნი არიან თბილისელი მხითავები — ერთ-ერთი მღვდლის სამწყსოს ხუსხაში თანდილა მხითავი, აბანოს იჯარის წიგნში მხითავი მამადა და სხვ.⁶⁰ გარდა ამისა, დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება „თბილისის საბეჭდავი“, „საბეჭდავის იჯარა“, „საბეჭდავის სარგო“⁶¹, რითაც, აგრეთვე, თბილისში საჩითავი სახელოსნოების არსებობა დასტურდება. თბილისის საჩითავი სახელოსნოები ამჟამებდნენ მრავალი სახის ქსოვილს და ნაწარმით ამარაგებდნენ არა მხოლოდ თბილისის ბაზარს, არამედ იგი საქართველოს სხვა ქალაქებშიც და საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. გიულდენშტედტი აღწერს რა ზონის ბაზრობას, აღნიშნავს, რომ იქ სხვადასხვა ნაწარმთან ერთად იყიდებოდა „ბამბის წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალთა ზედატანისათვის და სახიანი ბამბის ქსოვილები ქვედატანისათვის თბილისის დაბრიკებიდან“⁶².

პოლკოვნიკ ბურნაშოვის ცნობით, რომელიც თბილისში 1783—1787 წწ. იმყოფებოდა, „თბილისის ხელოსნები კავკასიის ყველა მთის ხალხებსა და უახლოეს ირანელ მეზობლებს აწვდიდნენ სპილენძის ჭურჭელს, დაჩითულ და თეთრეულ ბამბეულს, ტანსაცმელს და სხვა საგნებს“⁶³.

მხითავთა სახელოსნოების სიმრავლით არანაკლებ მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენდა ქ. გორი. დ. გვრიტიშვილი „გორის ისტორიაში“ ხელოსნური წარმოების დარგების დახასიათებისას, რომელსაც 1802 წ. ხელოსანთა აღწერის მიხედვით იძლევა, აღნიშნავს, რომ იქ მხითავთა ათი და მღებავთა ცხრა სახელოსნო მოქმედებდა⁶⁴. ვფიქრობთ, გორის სახელოსნოების ნაწარმზეა ლაპარაკი, ნაწილობრივ მაინც, გიულდენშტედტის ცნობაში, როდესაც ონის შესახებ მიუთითებს: „ონში კხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები. ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე, სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით — ქართლიდან და მარილითა და ფეტვით, ამიტომაც ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგორიდან; მალყარები, ბასიანელები და აგრეთვე სვანებიც მოდიან“⁶⁵.

⁵⁹ შ. მისხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 222, 369.

⁶⁰ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, საბუთი, 188; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, საბუთი 353.

⁶¹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, 3699—Hd; II, გვ. 135; III, გვ. 101.

⁶² გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 153.

⁶³ С. Д. Бурнашев, Картина Грузии, გვ. 2.

⁶⁴ დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 118; Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 131—131.

⁶⁵ გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 107.

ჩანს, ეს საკმაოდ მოზრდილი საჩითავი სახელოსნო ცენტრი ნაწარმს ფაქტობრივად
 თო ბაზრისათვის ამზადებდა და ის მეზობელ რაიონებშიც გაჰქონდა გასაყი-
 დად.

ხელოსნური წარმოების ეს დარგი არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს დუ-
 შეთის სინამდვილისთვისაც. XVIII ს. რუსეთთან გაცხოველებული ეკონო-
 მიური ურთიერთობის გამო, დუშეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენი-
 ჭა თავისი მდებარეობით და ის თანდათან ქალაქად იქცა. XVIII ს. ბოლო
 წლების მონაცემების მიხედვით აქ ხელოსანთა უმრავლესობა საფეიქრო საქ-
 მით ყოფილა დაკავებული, ხოლო ნაწილი ქსოვილების დაჩითვაში ჩანს და-
 ხელოვნებული⁶⁶. დუშეთში ხელოსნობის ეს დარგი საკმაოდ ტრადიციული
 ჩანს და მას მყარი საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, შემთხვევითი
 არ უნდა იყოს და ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ
 ქსოვილთა დაჩითვის ერთ-ერთი წესი, რომელიც ამ საქმის სიძველის მიმა-
 ნიშნებლადაა აღიარებული, სწორედ დუშეთშია დამოწმებული⁶⁷. დუშეთში
 საჩითავი სახელოსნოს არსებობა დოკუმენტური წყაროებითაც დასტურდე-
 ბა. ერთ-ერთი მათ შორის დუშეთის საბეჭდავის იჯარით გაცემას ეხება⁶⁸.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ საჩითავი სახელოსნოები და მჩი-
 თავები ახალციხეშიც ყოფილან. 1782 წ. თბილისელმა მოქალაქემ იყიდა ჯა-
 ვახელი ხელოსანი-მჩითავი მატოზა⁶⁹. ქსოვილთა დაჩითვა ჯავახელთა საქ-
 მიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი უნდა ყოფილიყო. გარდა სა-
 ბუთებისა, ჩვენ ამის კონკრეტული ნივთიერი დამადასტურებელიც გავვაჩნია,
 რაც ჯერჯერობით არ შეგვიძლია ვთქვათ სხვა პუნქტების მიმართ. ზემოთაც
 იყო აღნიშნული, რომ საჩითავი ყალიბების საკმაოდ დიდი ჯგუფი სწორედ
 ამ მხრიდანაა შემორჩენილი. მესხეთ-ჯავახეთი სელის ქსოვილების წარმო-
 ების ერთ-ერთი უძველესი კერათაგანია. შესაძლებელია, რომ ეს მხარე და-
 ჩითვის საქმის ერთ-ერთი უპირველესი კერაც იყო და ადრინდნვე ცნობილი
 იყო ამ საქმიანობით.

ქსოვილთა დაჩითვა, როგორც ჩანს, ხდებოდა თელავშიც. ამის დამა-
 დასტურებელია ერეკლე II ბრძანება თელავის საბეჭდავის იჯარადრისადმი:
 „ვინც თელავის საბეჭდავის იჯარადარნი იყვნენ, ხუთს თუმანს მისცემდეთ
 ხოლმე ყოელს წელს ალექსის-შვილს დავითს თავის ჯამაგირში... ან არა
 და ჩემი მოხელეები ანგარიშში ჩაიგდებენ“⁷⁰. XVIII ს. II ნახევარში თელა-
 ვის საწარმოთა შორის ყველაზე მსხვილ საწარმოს სამღებრო წარმოადგენდა.
 ჩანს, ამ სამღებროსთან ერთად გარკვეული ადგილი საბეჭდავს. საჩითავსაც
 ეჭირა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებისა, დოკუმენტური მასალით, მჩი-
 თავთა სახელოსნოების არსებობა სიღნაღშიც დასტურდება. როგორც ცნობი-
 ლია, 1870 წ. ერეკლე II ის ქალაქების სიაში შეაქვს, რაც იმის მიმანიშნებე-

⁶⁶ III. Месхиа. დასახ. ნაშრ. გვ. 131.

⁶⁷ გ. ჩ ა ზ ვ ი ლ ი. საქართველოს მუზეუმის საჩითავები, გვ. 9.

⁶⁸ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, გვ. 129. საბუთი 3541—Hd;
 ბ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 322—323, 342.

⁶⁹ III. А. Месхиа. დასახ. ნაშრ., გვ. 162, 185.

⁷⁰ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, საბუთი 340.

ლია, რომ სიღნაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ცხოვრებაში. როგორც წყაროებიდან ირკვევა, სიღნაღი XVIII ს. II ნახევარში ხელოსნური წარმოების საკმაოდ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, გარკვეული ადგილი მათ შორის მჩითავებსაც სჭერიათ. 1802 წლის სიღნაღის აღწერაში სხვა სახელოსნოებთან ერთად მითითებულია მჩითავეთა ორი სახელოსნო ორი ოსტატით⁷¹. მართალია, საბუთი XIX ს. დასაწყისის ეკუთვნის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მისი გათვალისწინება XVIII ს. II ნახევრის ვითარების წარმოსადგენად.

საკუთრადღებოა მანუჩარ თუმანიშვილის 1788 წ. ფარჩის ნუსხა, რომელშიც, მართალია, ადგილი არაა მითითებული, მაგრამ, ცხადია, გარკვეული პუნქტის საჩითავეი სახელოსნოს ნაწარმზეა საუბარი. აღნიშნულ ნუსხაში სხვა ნივთებთან ერთად ჩამოთვლილია დიაკვნის საპერანგედ განკუთვნილი „განიერი წითელი წკვპლა ქვემოური ფრინველებიანი ჩითი“⁷². სავარაუდებელია, რომ „ქვემოურში“ დასავლეთ საქართველოს რომელიღაც პუნქტი იგულისხმება.

1784 წ. დათარიღებულ თამარ ბატონიშვილის მოკითხვის წიგნში არქიმანდრიტ თომასადმი მოხსენებულია „მუხათელი მჩითავე“⁷³.

საჩითავეი სახელოსნოები, გარდა იმ პუნქტებისა, რომლებზედაც წერილობითი წყაროები პირდაპირ მიუთითებენ (თბილისი, გორი, დუშეთი, ახალციხე, თელავი, სიღნაღი, მუხათი, დასავლეთ საქართველოს რომელიღაც პუნქტი — ასეთი პუნქტი, ალბათ, არა ერთი იყო), სავარაუდოა, რომ სხვაგანაც არსებობდა. ამისათვის კონკრეტული საბუთი, მართალია, არ გავაჩნია, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას შემდეგი გარემოება გვიკარნახებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მღებრობაში „საკუთრივ მღებრობის გარდა შედიოდა ქსოვილებზე მხატვრული სახეების გამოყვანის ერთ-ერთი წესი — დაჩითვა“⁷⁴ და მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოში XVIII ს. სამღებროების ფართო ქსელი არსებობდა⁷⁵, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ყველა სამღებროში თუ არა, ზოგიერთ მათგანში მაინც (მსხვილ სამღებროებში) იჩითებოდა ქსოვილები. ამდენად, პუნქტები, სადაც ეს სამღებრო-სახელოსნოები არსებობდა, შეიძლება ვთქვათ, დაჩითული ქსოვილების წარმოების ერთგვარი „ცენტრები“ იყო. თუ ამგვარად წარმოვადგენთ დაჩითვის საქმის მასშტაბურობას (შესაძლოა ასეთი სისრულით საჩითავეი სახელოსნოების წარმოდგენა რეალურობას მოკლებული იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად ზოგად სურათს მაინც იძლევა) და ანგარიშს გავუწევთ იმას, რომ ზოგიერთი სახელოსნო არა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისათვის უშვებდა პროდუქციას, არამედ ნაწარმი გაჰქონდათ როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ასევე მეზობელ ქვეყნებშიც, მაშინ შეიძლება გადაჭრით ითქვას: ქსოვილთა დაჩითვის საქმე ჩვენში XVIII ს. საკმა-

⁷¹ III. A. Месхиа. დასახ. ნაშ., გვ. 109, 130.

⁷² მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, საბუთი 165.

⁷³ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, გვ. 33, 177.

⁷⁴ გ. ჩ ა ხ ა შ ვ ი ლ ი. ქართული დაჩითული ქსოვილები, გვ. 12; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 325.

⁷⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 317.

ოდ განვითარებული იყო და მაღალ დონეზე იდგა. გარდა ამისა, განვითარების ყველაზე უტყუარი საბუთი, როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, ის ფაქტია, რომ მჩითავეები ბევრ შემთხვევაში გამოყოფილი არიან სამღებრო სახელოსნოებიდან და ცალკე დარგს ქმნიან (თბილისი, გორი, სიღნაღი). დიფერენციაცია, რასაც საკმაოდ დრო სჭირდებოდა და ხელშემწყობი პირობები, თავისთავად ევოლუციის მაჩვენებელია და მისი შედეგი.

ამრიგად, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მონაპოვრისა და ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინება, აგრეთვე, იმ პირობების მხედველობაში მიღება, რაც საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა დაჩითვის საქმის ადგილობრივ ბაზაზე განვითარებისათვის, უფლებას გვაძლევს ჩვენში ქსოვილთა დაჩითვის წესით შემკობის საწყისი უძველეს დროს დავუკავშიროთ.

ადგილობრივი დოკუმენტური წყაროებითა და უცხოელ მოგზაურთა ცნობებით საჩითავი სახელოსნოების არსებობა საქართველოს მრავალ პუბქტში დასტურდება (გვიანფეოდალურ ხანაში) და ისინი ძირითადად ხელოსნური წარმოების ცენტრებს უკავშირდება. საჩითავი სახელოსნოების არსებობა დგინდება. როგორც ცალკე, ისე მსხვილ სამღებრო სახელოსნოებთან. საჩითავი სახელოსნოების ცალკე არსებობა, მისი სამღებრო სახელოსნოებისაგან გამოყოფა, ამ საქმის დაწინაურების, მაღალი დონისა და ევოლუციის მაჩვენებელია.

წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხელოსნობის ამ დარგს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ნაწარმი მზადდებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისათვის, არამედ ის მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის ერთ-ერთ საგანსაც წარმოადგენდა.

Д. К. АБЖАНДАДЗЕ

ИСТОРИЯ НАБИВНОГО ДЕЛА В ГРУЗИИ

(По письменным источникам)

Резюме

В статье исследуется история набивного дела в Грузии по данным письменных источников.

Условия для развития набивного дела в Грузии существовали издревле, что в первую очередь было обусловлено наличием разнообразного сырья для производства тканей и естественных красителей. На основании письменных источников (Геродот), а также археологических и этнографических данных, истоки набивного дела тоже связываются с древнейшим временем.

Письменные источники до XVII века дают лишь сведения эпизодического характера о существовании набивного дела в Грузии, а с XVIII века они становятся более стабильными. По данным источников этого периода устанавливается не только существование этой отрасли ре-

месленного производства, но и характер и качество, ассортимент и многообразие продукции грузинских мастеров («тетрани чити», «шавиани чити», «дабали каламқари», «каламқари цврили хебниани», «калакис чити», «чрели тило», «калакис цкепла чити», «цкепла кутни», «ганлери цкепла», «принвелебиани чити», «калакис цители чити» и др.).

По грузинским документальным источникам и сведениям иностранных путешественников, устанавливается существование набивных мастерских во многих значительных пунктах Грузии позднефеодального периода (Тбилиси, Гори, Душети, Ахалцихе, Телави, Сигнахи и др.). Устанавливается также, что набойщики работали как при крупных кра- сильных мастерских, так и отдельно, в специальных набивных мастер- ских, что является показателем высокого уровня и эволюции набив- ного дела в Грузии.

На основании изучения письменных источников, можно заклю- чить, что эта отрасль ремесленного производства играла значительную роль в экономической жизни страны. Продукция изготовлялась не только для нужд местного рынка, но и представляла предмет вывоза в соседние страны.

ბ. ბერძენიშვილი

ელის ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადი გვიანყოფაა
ხანაში

მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული საქართველო მრავალ შემოსევას განიცდიდა მოძალადეთაგან. ოსმალთა, ირანელთა და ლეკთა თავდასხმები საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. შემოსევებს ხშირად მოსახლეობის მოსპობა, აყრა და გაქცევა მოსდევდა. მტერი ზოგჯერ თავის ქვეყანაში მიერეკებოდა ქართველობას, რომელთა ნაცვლად უცხო ტომებს ასახლებდა დაცარიელებულ ადგილებში. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართულ მიწაზე საბოლოოდ დამკვიდრებულიყო. დაუსრულებელი ომები აუარესებდა საქართველოს მდგომარეობას, რიცხობრივად ამცირებდა მოსახლეობას, რაც იწვევდა ქართველი ხალხის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას.

ქართველმა ხალხმა გაუძლო საუკუნეთა მიძინვარე, მკაცრ გამოცდას და ეროვნული სახე შეინარჩუნა; ამასთან თავის მიწა-წყალზე ჩამოსახლებული უცხო ტომები პოლიტიკურად და ეკონომიურად ქვეყნის ინტერესებს დაუმორჩილა. ქართულმა ფეოდალურმა გარემოცვამ თავისი გავლენის სფეროში მოაქცია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მოსახლე ელის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი და შეუზღუდა მას გავრცელების არეალი. მიწის ხელისუფლებამ მტკიცედ განსაზღვრა თურქმანთა ტრადიციულ ადათ-ჩვევებზე დაფუძნებული ვალდებულებანი და დაუმორჩილა იგი სახელმწიფო ინტერესებს. ეს ფაქტი კარგად აისახა სხვადასხვა ისტორიულ საბუთებსა და ნატიულ წყაროებში.

„დასტურლამალის“ ერთი ნაწილი თურქმანთა ტომების ვალდებულებებს ეხება. მას „ელის დებულება“ ან „ელის გადასახადების რიგი“ ეწოდება. „ელის დებულებიდან“ აშკარად ჩანს, ერთი მხრივ, ადგილობრივ ხელისუფლებასე მათი დამოკიდებულება და ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ზეგავლენა ამ ხალხებზე, ხოლო მეორე მხრივ, მომთაბარეთა სოციალური ორგანიზაცია და მათი ძირითადი საგადასახადო სისტემა. გარდა ამისა, ბორჩალოსა და ყაზახში სახანოების გაუქმების შემდეგ შემოერთებულ მოსახლეობასა და ქართულ სამეფოს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო ადგილობრივი სახელმწიფო გადასახადებისა და ვალდებულებების განწესება და იქ არსებული გადასახადების აკრეფის მოლიანი ორგანიზაცია: ეს იყო სწორედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საფუძველი ელის დამოკიდებულებისა ქართულ სამეფოსთან. რაღა თქმა უნდა, ამ ხალხების მმართველობაც აღნიშნულ ფაქტორებზე იყო დამყარე-

ბული. ამიტომაცაა, რომ ამჟერად ყურადღება გავამახვილეთ გადასახადებზე, რომელიც ელ მოსახლეობაზე ქართული ხელისუფლების გავლენის ერთ-ერთი ფაქტორთაგანი იყო.

გადასახადების რიცხვი გვიანფეოდალურ ხანაში წლების განმავლობაში იზრდებოდა, დიდდებოდა საზომ-საწყაო ერთეულებიც, ჩნდებოდა ახალი სახის ბეგარა¹. გადასახადების ასეთი ცვლილებები დამახასიათებელი იყო ელმებისათვისაც. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ქართული გარემოცვა ცვლილებებს იწვევდა ელის სოციალურ ურთიერთობაში, იცვლებოდა გადასახადთა მოცულობა და ფორმა. პირვანდელი გადასახადები კი არ ქრებოდა ახლის გაჩენისას, არამედ მის გვერდით განაგრძობდა არსებობას და თანდათანობით იზრდებოდა კიდევ. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს XIX ს. დამდეგისათვის ელის ვალდებულებები მთლიანად ქართულ საგადასახადო სტრუქტურას დაემსგავსა. ქვემო ქართლში ელი ხალხის კომპაქტური დასახლება და მის შიგნით სოციალური შეუვალობა იქ ძირეული გარდაქმნის შესაძლებლობას არ იძლეოდა, თუმცა ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობა, მისი მიწათმოქმედების მაღალი კულტურა გავლენას ახდენდა² აღნიშნულ მომთაბარეებზე. ელის ჩამოსახლებიდან XVIII ს. ბოლომდე მომხდარი ცვლილებების, განსაკუთრებით ფეოდალიზმის თანდათანობითი გახვითარების შედეგად გაიზარდა საგადასახადო ვალდებულებების რაოდენობრივი მხარე, მაგრამ შინაარსი ისევ აღმოსავლური დარჩა.

გვიან შუა საუკუნეებში თურქმანული მოსახლეობა დაყოფილი იყო სოციალურ ფენებად. პრივილეგირებულნი ექსპლოატაციას უწევდნენ მწარმოებელ მოსახლეობას. ელების ასეთი საზოგადოებრივი დიფერენციაცია კი არ გამქრალა ჩვენს ქვეყანაში მათი ჩამოსახლების შემდეგ, არამედ დროთა განმავლობაში იგი თანდათან გაღრმავდა კიდევ. გადასახადის გადამხდელი სოციალური ფენა მწარმოებელი საზოგადოება იყო, პრივილეგირებულნი (აღალარები, აღალართა ნათესავები, სულთნები, ვექილები და ა. შ.) ამ ვალდებულებებისაგან თავისუფალი იყვნენ. გარდა ამისა, გადასახადს არ იხდიდა გლეხთა ის ნაწილიც, რომელიც მეფისაგან გათარხნებული იყო. ამდენად, გადასახადების მთელი სიმძიმე აწვა მშრომელი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ხელისუფლებისაგან შეღავათებით არ სარგებლობდა.

ისტორიოგრაფიაში დამოწმებულია მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მაჰმადიანური მოსახლეობის ორი ფენა: „რაია“ („რაიათი“) და „ელი“. პირველი გლეხს, მიწის მუშას აღნიშნავს, ხოლო მეორე — მომთაბარეს³. ივ. პეტრუშევსკი გამოყოფს რაიას კიდევ ორ მნიშვნელობას. რაიათებად იწოდებოდნენ ყველა სახის „ქვეშემოდომნი“, რომლებიც გადასახადებს იხდიდნენ, და ვიწრო გაგებით, რაია ერქვა მიწაზე მიმაგრებულ მიწათმოქმედებს.

¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1948, გვ. 190; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 76—77.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. 1, თბ., 1930, გვ. 243. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. აქ ლაპარაკობს მეზობელი ხალხების მეურნეობის დარგებზე ქართული მიწათმოქმედების მაღალი კულტურის გავლენის შესახებ.

³ ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., გვ. 314.

შომთაბარეებს „ილიათი“ ანუ ელი ეწოდებოდა. სომხეთსა და აზერბაიჯანში რაიას უწოდებდნენ სახელმწიფო და ფეოდალის ყველა გლეხს, განურჩევლად მისი ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა, ხოლო თურქეთში — არამუსულმანს, ე. ი. ქრისტიანს ან ებრაელს⁴.

ქვემო ქართლში მოსახლე თურქმანული ტომები ძველ ქართულ საბუთებში ძირითადად ელის სახელით მოიხსენიება, ხოლო „ელის დებულებაში“ კი ელის გვერდით ვხვდებით „გლეხსაც“. ამ ტერმინების არსებობა ელის მწარმოებელი საზოგადოების აღსანიშნავად აიხსნება იმით, რომ დასახლებულ ტომთა შორის იყვნენ როგორც ნახევრად ბინადარნი, ისე შომთაბარენიცა და მიწაზე მსხდომნიც. აქედან გამომდინარე გადასახადებიც მწარმოებელი საზოგადოების ამ კატეგორიების შესაბამისი იყო: მეურნეობის მიხედვით არსებობდა როგორც მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული, ისე მესაქონლეობაზე დაწესებული გადასახადები.

საქართველოში გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ სამეფო (სახელმწიფო), საბატონო, საეკლესიო გადასახადები; აგრეთვე სამოხელეო და სათათრო (უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ, ე. ი. ხარკი) გამოსაღებები.

სახელმწიფო გადასახადებში XVIII ს. მეორე ნახევრამდე უცხოელ დამპყრობთა სასარგებლოდ განკუთვნილ გადასახადებს ძირითადი ადგილი ეჭირათ, XVIII ს. მეორე ნახევარში კი ისინი ადგილს უთმობენ სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის გადასახადებს⁵. ელი ხალხიც ძირითადად ამ პრინციპით იხდიდა გადასახადს მეფის, სახელმწიფოსა და ადგილობრივ პრივილეგირებულთა სასარგებლოდ. ფეოდალის მფლობელობაში მოხვედრილი ელი გადასახადს მას უხდიდა, ამასთან დაკისრებული ჰქონდა დამპყრობთათვის განკუთვნილი გადასახადის გამოღებაც. ქვემო ქართლის მაჰმადიანურ მოსახლეობაში აკრფილი სახელმწიფო გადასახადები ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს ხმარდებოდა და საერთო ხარჯების დიდ ნაწილს ფარავდა.

მეფისა და სახელმწიფოსათვის განკუთვნილ გადასახადებს სახელმწიფო მოხელეები თავისი ინტერესების შესაბამისად ზრდიდნენ და ნამატს თვითონ ეპატრონებოდნენ. ამიტომაც, გადასახადის მოცულობა თანდათან მატულობდა. საქართველოში ეს ფაქტი დადასტურებული აქვთ საბჭოთა მკვლევარებს (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.), რომელთა გამოკვლევით XVIII ს. წონა-ზომის ერთეულები 10-12-ჯერ უფრო დიდი იყო წინა საუკუნესთან შედარებით⁶. ასე იყო ელ მოსახლეობაშიც, მშრომელთა მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ხშირად, როცა ფეოდალურ ექსპლოატაციას სხვა მიზეზებიც დაერთვოდა, მწარმოებელი გადასახადის დაფარვას ვეღარ ახერხებ-

⁴ И. П. Петрушевский. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., Л., 1949, стр. 248—249.

⁵ გ. აკოფაშვილი. გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა XVIII ს. II ნახევარსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. ნარკვევები საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 132.

⁶ დ. გვიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 229.

და, იგი ვალად მომავალ წელზე გადადიოდა და მისი გადახდა საურავის დადებით უხდებოდა. გადასახადის ამკრებთა თავნებობა ხშირად მეფის ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა და ისინი დაუსჯელნი კვლავ განაგრძობდნენ მოსახლეობისაგან ზედმეტის გამოძალვას.

ელებში აკრეფილი გადასახადები მრავალფეროვანი იყო. გადასახადებით დაბეგრილი იყო მშრომელი, წლის მოსავალი, საქონელი, საქოვარი, ხელოსნობის ნაწარმი, მამული და ა. შ. რადგანაც გადასახადები (როგორც სახელმწიფო, ისე საბატონო) მეურნეობის დარგებისა და გლეხთა კატეგორიების მიხედვით ნაწილდებოდა, იგი თანაბარი არ იყო ქვემო ქართლის მაჰმადიანურ მოსახლეობაში. რაიას (მიწათმოქმედისა) და ელის (მომთაბარის) გადასახადი სხვადასხვა იყო. მისი განაწილება ხდებოდა როგორც თაბუნებზე, ისე კომლებზეც.

სახელმწიფო გადასახადი მშრომელთათვის სავალდებულო იყო (თარხანთა გამოკლებით). ქართველ მშრომელზე გავრცელებული კანონი — გლეხი ვალდებული იყო სახელმწიფოს წინაშე „სიკვდილითა, სისხლის დათხევითა და კიდევ სხვა რიგის სამსახურითა“⁷, — ვრცელდებოდა ქვემო ქართლის მაჰმადიანურ მოსახლეობაზეც.

ქართულმა ფეოდალურმა სახელმწიფომ, როგორც აღვნიშნეთ, თავის სამსახურში ჩააყენა ქვემო ქართლში მოსახლე თურქმანული ტომები. ასეთ ვითარებაში არ შეიძლება ძველი სახე შეენარჩუნებინა ამ ტომების მწარმოებელი საზოგადოების ვალდებულებებს — შრომით ბეგარას სახელმწიფოსა თუ ფეოდალის მიმართ. რამდენიმე სახისა იყო რენტა, რომლის როგორც მოცულობა, ისე რაოდენობა განიცდიდა ცვლილებებს. მარქსი ფეოდალურ საზოგადოებაში გამოყოფს რენტის სამ სახეს⁸, შრომითი, პროდუქტადი (ნატურით) და თულადი რენტა. „წარმოების წინაკაპიტალისტური წესების დროს მემამულისაგან გლეხის ეკონომიური დამოკიდებულების თავდაპირველ ფორმას წარმოადგენს შრომამიგებითი რენტა, ე. ი. საბატონო ბეგარა, შემდეგ რენტა პროდუქტებით ანუ ნატურალური რენტა და ბოლოს ფულადი რენტა“⁹. დროთა განმავლობაში რენტის ეს ფორმები იზრდებოდა და მძიმე ტვირთად აწევებოდა მშრომელ მოსახლეობას. ნატურალური (პროდუქტადი) რენტა არის მოსავლის ნაწილი, გადახდილი მშრომელის მიერ ფეოდალის სასარგებლოდ საბატონო გამოსაღების დასაფარავად. ეს არის საბატონო დამოკიდებულების ერთ-ერთი ძირითადი სახე გვიანფეოდალურ ხანაში.

ლენინის აზრით, გლეხთა ექსპლოატაციის ყველაზე მარტივი და უხეში ფორმა იყო შრომითი რენტა, როცა გლეხი თავის ინვენტარით მემამულის მიწას ამუშავებს¹⁰: რენტის ეს ფორმა გულისხმობდა იმას, რომ ქვეყნად გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა, უშუალო მწარმოებლის მიერ მიწის ფლობა, მიწაზე მისი მიმავრება, მემამულეზე გლეხის პირადი დამოკიდებულება და ტექნიკის დაბალი, რუტინული ხასიათი¹¹. ლენინის ეს დებულება

⁷ სცსსა, ფ. 229, დან. 36, საბ. 202; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

⁸ კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1959, გვ. 411.

⁹ ვ. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 13, გვ. 393.

¹⁰ ვ. ლ ე ნ ი ნ ი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, გვ. 207.

¹¹ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. იქვე, გვ. 207—209.

ვრცელდება ელ ხალხზეც, რომელიც მიმაგრებული იყო მიწაზე და სახელმწიფოს სრულ საკუთრებას წარმოადგენდა. აქ არ შეეცხებოდა გლეხთა კატეგორიებსა და მათი მიწაზე დამოკიდებულების ხასიათს, იგი მომავალი კვლევის საგანია.

მსგავსად საქართველოს სხვა რაიონებისა, აღნიშნულ პერიოდში „პროდუქტებით ვალდებულება წარმოადგენდა ფეოდალური რენტის ძირითად, გაბატონებულ ფორმას“¹².

ფულადი რენტა „გარდაქმნილი ფორმაა პროდუქტებით მოცემული ფორმისა“ (მარქსი). ეს სასაქონლო ფეოდალური მეურნეობის განვითარებაა მოცემულ საზოგადოებაში¹³. ფულადი გადასახადის არსებობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, თითქოს საქმე გვქონდეს განვითარებულ კაპიტალიზმთან, მაგრამ იგი ძირითადი ნიშანთვისებაა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა ფეოდალურ საზოგადოებაში. ელ მოსახლეობაში ფულადი გადასახადის არსებობაც ამაზე მიგვანიშნებს.

სახელმწიფო და საბატონო გადასახადთა შორის სხვაობა აზერბაიჯანსა და სომხეთში არ შეიმჩნეოდა. იქ რაიონების გადასახადები სახელმწიფოს მიმართაც და ფეოდალის სასარგებლოდაც განურჩეველი იყო. ამდენად, გადასახადთა ჯგუფებად დაყოფა, როგორც ეს შესაძლებელი იყო საქართველოში, იქ არ ხერხდება. რაიონები გადასახადს იხდიდნენ მიწისმფლობელის სასარგებლოდ, განურჩევლად იმისა, მიწისმფლობელი სახელმწიფო იყო თუ კერძო ფეოდალი. ყოველივე ეს ადათობრივ წესს ემყარებოდა. არც გადასახადის სიდიდე და რაოდენობა იცვლებოდა იმით რაიონი მას ფეოდალის თუ სახელმწიფოს მდივნის სასარგებლოდ იხდიდა¹⁴. აქაც, ქვემო ქართლში, მეფის ოჯახის წევრებისათვის ბოძებული ელი ფეოდალს უხდიდა ისეთივე გადასახადებს, რაც სახელმწიფოსათვის მანამდე ჰქონდა გადაწყვეტილი. ბატონიშვილისა თუ დედოფლის მფლობელობაში მყოფი ელის გადასახადები ძირითადად მათსავე სასარგებლოდ მიდიოდა. ამდენად, მეფის სახასოვან ფეოდალის ხელში გადასვლას ფაქტიურად შეღავათი არ მოჰქონდა მომთაბარეთათვის. ელის პრივილეგირებული ზედაფენის სასარგებლოდ გამოღებული მშრომელთა გადასახადების შესახებ კი ასეთი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. სახელმწიფოს სასარგებლოდ განკუთვნილი გადასახადები ძირითადად მოწესრიგებული იყო და მას გამოკვლეული სახე ჰქონდა, ხოლო ელის ზედაფენისათვის განკუთვნილი ვალდებულებები და გადასახადები არ იყო ერთიანი კანონით განსაზღვრული. პრივილეგირებულნი მშრომელებს იმსახურებდნენ და გადასახადებს ადებდნენ თავიანთი შეხედულებისა და საჭიროების მიხედვით.

სეფიანთა დინასტიის განმტკიცების შემდეგ ირანის აღრინდელ გადასახადებში ცვლილებების შესახებ ისტორიული საბუთები ხელშესახებს არაფერს იძლევა. XVII—XIX სს. სომხეთსა და აზერბაიჯანში გადასახადების რაოდენობა, ი. პეტრუშევსკის მიხედვით, იყო 35¹⁵. აქედან გადასახადთა ტერმი-

¹² ო. ს. ს. ე. ი. ა. ფეოდალური ხანის დასავლეთი საქართველოს ისტორიიდან, 1958, გვ. 128.

¹³ კ. მ. ა. რ. ს. ი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 418.

¹⁴ ი. პ. ე. რ. უ. ე. ვ. ს. კ. ი. Очерки..., გვ. 263.

¹⁵ ი. კ. ვ. ე. გვ. 264—265.

ნების ნაწილი განმარტებული და დადგენილი აქვს ვ. მინორსკის¹⁶. ქვემო ქართლში ელების სახელმწიფო გადასახადების სახელები და შინაარსი ემთხვევა ამ ქვეყნებში არსებულ გადასახადთა ტერმინების ნაწილს.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ელის გადასახადები და ვალდებულებები უფრო მეტად აზერბაიჯანულს უნდა ემსგავსებოდეს¹⁷. საარქივო მასალებისა და ნარატიული წყაროების მიხედვით ხერხდება ქვემო ქართლის მაჰმადიანური მოსახლეობის შემდგომი სახის სახელმწიფო გადასახადების დადგენა: სახელმწიფო, სამოხელეო, ფეოდალის, პრივილეგირებულთათვის განკუთვნილი გადასახადები. სახელმწიფო და ქართველი ფეოდალის სასარგებლოდ განკუთვნილი ანუ საბატონო გადასახადები ძირითადად ერთი და იგივე იყო. სამოხელეო გადასახადებს განსაზღვრავდა სახელმწიფო, ხოლო ფეოდალის გადასახადები იგივე იყო, რაც საბატონო, რადგან ფეოდალისათვის ბოძებული ელი მისთვის განკუთვნილ გადასახადებს ფეოდალს აძლევდა.

ელის სახელმწიფო გადასახადები შემდეგი იყო: სურსათი, მახტა, მალი, ღალა, ეთაზი, საფეშქაშო, ასამწერლო, სანავროზო, ბელბაში, ფაგაბაში. თუთუნჯაკი, ოღუნახჩა, აღამათი, საყორულო, ჯერგა (ნადირობა), ქოდავი, ჩობანბეგი, ნახირისთავი, ქეჩაბაში, ტუთხუ და ა. შ. გარდა ამისა, გვხვდება ამ გადასახადთა ზოგიერთი ტერმინის სინონიმური გამოთქმები: საბალახე, თათრის საბალახე, თათრის პირისთავი, ელის პირისთავი, უშრი, ბაჰრა, ღალა, საადგილმამულო გადასახადების შემცველი სხვა ტერმინები და ა. შ. პრივილეგირებულთა სასარგებლოდ გადასახადებისა და ვალდებულებების ზუსტად ჩამოთვლა არ ხერხდება, რადგან იგი დაკანონებული არ იყო და დამოკიდებული იყო გადასახადის ამლების ნება-სურვილზე. ეს გადასახადები დაკავშირებული იყო მეურნეობაზე, წლის მოსავალზე, მესაქონლეობაზე, ხელოსნობაზე და ა. შ. პრივილეგირებულნი გადასახადს იღებდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე, თავიანთ ოჯახში ღვინისა თუ ჭირის შემთხვევაში, სტუმრიანობის გამო, სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებისას; იმსახურებდნენ ოჯახში, მინდორში, საქონელში, მშენებლობისა თუ სხვა სამეურნეო ნაგებობის მოწყობისას და ა. შ. ერთი სიტყვით, პრივილეგირებულნი განურჩევლად დროისა და ვითარებისა, გადასახადს იღებდნენ ყველაფერზე. ეს გადასახადებიც, ძირითადად აღმოსავლური ტერმინებით იყო სახელდებული.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო გადასახადებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამხედრო საქმისათვის განკუთვნილ გადასახადს; მას ეწოდებოდა სურსათი, რომელიც XIX ს. დამდეგამდე ძირითადად ნატურით იკრიბებოდა.

გადასახადი სურსათი დამახასიათებელია ფეოდალური აღმოსავლეთისათვის. ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნეებში, არაბთა სახელმწიფოში არსებობდა კანონი, რომლის მიხედვით დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა ვალდებული იყო არაბთა ლაშქარი მოემარაგებინა სურსათ-სანოვავითა და ფურაჟით¹⁸. მომდევნო საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს

¹⁶ V. Minorsky. A soyrghal of Qasim Aq-Qoynly, სპარსული ტექსტი, გვ. 945—951; ინგლისური ტექსტი, გვ. 955; ი. პეტრუშევიჩი. დასახ. ნაშრ., გვ. 264.

¹⁷ ვ. გაბაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 312—313.

¹⁸ ე. სიხარულიძე. აბასელთა სახალიფოს სოციალ-ეკონომიური ვითარება VIII—IX ს-ში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 105.

ვალდებულება საერთო სახელმწიფო გადასახადად იქცა როგორც დამპყრობელი, ისე დაპყრობილი ქვეყნების რაიონებისათვის. ომის დროს ოსმალეთში რაია ვალდებული იყო. არმია მოემარაგებინა სურსათითა და ალაფით. ამ ვალდებულებას აქაც სურსათი (sürsat) ეწოდებოდა¹⁹. მწარმოებელ საზოგადოებას ევალებოდა სურსათში გამოეღო ხორბალი, ქერი, ფქვილი, შეშა, ცოცხალი საქონელი — ცხვარი და ა. შ.²⁰ ფადიშაჰის მიერ მტრის ტერიტორიაზე ციხის გარემოცვის შემთხვევაში, გლეხი თავის საქონლითა და ტრანსპორტით ამარაგებდა ლაშქარს ადგილზე²¹. სურსათის ნაირსახეობა იყო ზაჰირე (zahire). ეს გადასახადი დაკისრებული ჰქონდათ სასაზღვრო სოფლების მცხოვრებლებს საზღვრისპირა მეციხოვნე ჯარისა და ციხის მცველების პროდუქტით უზრუნველსაყოფად²². გადასახადი სურსათი იყო ავარაზის²³ ერთ-ერთი სახე, რომელიც გავრცელებული იყო ოსმალეთში ფეოდალურ ხანაში²⁴.

გადასახადი სურსათი გვხვდება ირანშიც. იგი გაწერილი იყო მოსახლეობაზე ლაშქრის სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად. იქ ამ გადასახადში გაერთიანებული იყო თითქმის ყველა სახის პროდუქტი. 1602 წ. ისფაჰანში ჩასულ ოზბეგ უფლისწულს შაჰ-აბას პირველმა დაუნიშნა ფულთან ერთად ნუხლი (სურსათ-სანოვაგე) და სავერი, რომელშიც შედიოდა როგორც საქონელი, ისე მარცვლეული და პროდუქტები²⁵.

ეს გადასახადი გვხვდება ამიერკავკასიის ქვეყნებშიც. ივ. პეტრუშევსკი მრავალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ადგენს, რომ XVII—XVIII საუკუნეებში სომხეთსა და აზერბაიჯანში გლეხთა გადასახადებს შორის იყო ნახსენები სურსათიც. მამასადამე, ამ ქვეყნებში ეს გადასახადი შედარებით აღრეა გაჩენილი. ავტორი სურსათს ორნაირ მნიშვნელობას ანიჭებს: პირველი გლეხები გადაიხდიდნენ სურსათ-სანოვაგესა და საკვებს არა მარტო იმ სამხედრო ნაწილებისათვის, რომელიც გადამხდელი მოსახლეობის ტერიტორიაზე იდგა. არამედ მთელი არმიისათვისაც; ხოლო მეორე — სურსათის აკრეფა გამიზნული იყო სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად²⁶.

¹⁹ Kocı Bey Risalesi İstanbul, 1939, გვ. 47; გ. ფ. თ. უ. რ. ი. ძ. გადასახადები და სავადასახადო სისტემა ოსმალეთში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 257.

²⁰ Н. Тверитинова. Второй трактат Кочибей. Ученые записки ин-та Востоковедения, VI, 1953, М.—Л., стр. 244.

²¹ ი. ქ. ვ. ე.

²² Barkan. Avariz, Islam ansiklopedisi, cilt, II, cüz, II, 1949, İstanbul, გვ. 396, 398; ნ. შენგელია. გადასახადები და სავადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 2, გვ. 149.

²³ ავარიზი ადამ-წესებსა და ტრადიციებზე დამყარებული საგანგებო გადასახადების კატეგორიაა. ამ სისტემაში შედიოდა ყველა ის გადასახადი და ვალდებულება, რომელიც არ იყო გათვალისწინებული შარიათით, მაგრამ იკრებებოდა ჩვეულებების მიხედვით ამა თუ იმ კონკრეტულ საჭიროებისა და ღონისძიებისათვის, განსაკუთრებით სამხედრო ლაშქრობებისათვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ.; გვ. 147.

²⁴ M. Belin. Türkiye iktisadi tarihi hakkında tetkikler. Türkçeye çeviren M. Ziya, 1931, İstanbul, გვ. 169.

²⁵ თარიხი. კ. კ. უ. ც. ი. ა. სეფიანთა ირანის ქალაქები, გვ. 94.

²⁶ ივ. პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

ამგვარად, სამხრეთის მომიჯნავე ქვეყნებსა და ამიერკავკასიის სახანოებში სურსათი ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი იყო. იგი ყველგან ჯარის შესანახად იყო განკუთვნილი; ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც.

ვ. გაბაშვილი XVIII ს. საქართველოში სურსათს მიიჩნევს „ულუფას“ სინონიმად. ულუფა თათართა ბატონობის დროს სამოხელეო გამოსაღები იყო. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ულუფა (სათათროს დაურთველად) XVI—XVIII სს. საქართველოში ადგილობრივ გადასახადად იქცა და ქართულ სამეფო და ფეოდალურ გადასახადთა რიგში მოექცა²⁷. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ გადასახადი სურსათი ჩვენში შემოიტანეს ყიზილბაშებმა²⁸ საქართველოში თავიანთი ჯარების გამოსაკვებად. როგორც ლიტერატურაშია დამოწმებული, XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში სურსათის სწონიმი გახდა „პროვიანტი“. აღნიშნულ გადასახადს ეს სახელწოდება შეერქვა რუსული ტერმინის გავლენით, რაც ჩვენში რუსეთის ჯარის ნაწილების ჩამოსვლას მოჰყვა²⁹.

ამდენად, ქართულ საბუთებში ეს გადასახადი ჯერ ულუფის, შემდეგ კი — სურსათის სახელით გვხვდება, ხოლო XVIII ს. II ნახევრიდან კი მას „სალეკოს“, „სარუსოს“ და პროვიანტსაც უწოდებენ. სარუსო და სალეკო, რა თქმა უნდა, შეერქმეოდა იმის მიხედვით, თუ რომელი ჯარის გამოსაკვებად იყო იგი დანიშნული. „დასტურლამალში“ სურსათი დასახელებულია მხოლოდ იქ, სადაც მოხელეთა სარგოზეა ლაპარაკი, „ელის დებულებაში“ კი იგი ხასსენები არსად არის. „დასტურლამალში“ ჩანს, ულუფა იკირიბებოდა როგორც ფულით³⁰, ისე ნატურითაც³¹, მაგრამ მას ყოველთვის გადასახადის მნიშვნელობა არა აქვს: ზოგიერთ შემთხვევაში მსახურებისათვის განკუთვნილ დღიურ სარგოზეა ლაპარაკი და სოციალური მნიშვნელობით არ იხმარება³².

როგორც აღვნიშნეთ, გადასახადი სურსათი საქართველოში შემოდის XVIII ს. 30—40-იან წლების მიჯნაზე, როცა „ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო“³³. 1740 წ. მომხდარი ფაქტების შესახებ საუბრისას იესე ბარათაშვილი გვამცნობს, რომ „შანშეზე ჯარი იყო, სურსათი ითხოვეს“³⁴ (იგიულისხმებიან ყიზილბაშები). 1741—1742 წწ. ნადირ-შაჰმა ილაშქრა დაღესტანში. ჯარისათვის სურსათ-სანოვავის შეგროვება ქართველებს უბრძანა. მან „შეამჭირგნა ლიკნი ძლიერთა ბრძოლითა და ეგრეთვე ქართველნი სურსათისა (ხაზგასმა ჩვენია. — გ. ბ.) ითხოვნითა“³⁵. ყიზილბაშთა ბატონობის დროს საქართველოს მოსახლეობას

²⁷ ვ. გაბაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 265.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი. XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, გვ. 200.

²⁹ პროვიანტი — სურსათი, სალაშქრო საგზალი, პურის სამზადისი მხედრებისათვის (ნ. ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1973, გვ. 329).

³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 517.

³¹ იქვე. გვ. 529.

³² იქვე. გვ. 689, 703, 704, 706, 707, 718 და ა. შ.

³³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 199.

³⁴ იესე ბარათაშვილის ცხოვრება — ანდერძი, თბ., 1950, გვ. 5.

³⁵ პაპუნა ორბელიანი. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1910,

ევალებოდა სპარსელთა ჯარისათვის სურსათი ეძლია, თუ კი ის ჩვენს ქვე-
ყანაში ან მის ახლოს იმყოფებოდა³⁶.

მანამდე გადასახადი სურსათი იმ სახელწოდებით ქართულ დოკუმენტებ-
ში დამოწმებული არსად არის. ყიზილბაშთა ბატონობის გადაგდების შემდეგ
ეს გადასახადი აღარ ამოკვეთილა და მას ქართული ლაშქრის სურსათ-სანოვა-
გითა და საკვებით მომარაგების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი დაუკა-
ვებია. მორიგე ლაშქრის შემოღების შემდეგ ეს გადასახადი აღმოსავლეთ სა-
ქართველოში (გარდა შამშადილისა და შამქორისა) ამოიკვეთა, ათი წლის შემ-
დეგ იგი კვლავ შეეწერა ქართველ მშრომელებს რუსთა ჯარის გამოსაკვე-
ზად³⁷. მომდევნო წლებში მორიგე ლაშქრის მოშლის გამო გადასახადი სურ-
სათი კვლავ განაგრძობს არსებობას.

როგორც ვთქვით, საქართველოში ამ გადასახადის ძირითადი მნიშვნე-
ლობა იყო ჯარის მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და საკვებით. მაგრამ ზო-
გიერთ შემთხვევაში ქართველი მშრომელები მას ფულითაც იხდიდნენ, ანდა
მის სანაცვლოდ შრომით ბეგარას ასრულებდნენ. მაგ.: 1742 წ. პაპუას ფული
უნდა გამოეღო სურსათის გადასახადში, ხოლო მის მეზობელს, ურმის გამო-
ყვანის ნაცვლად ფული გადაუხდია³⁸. ჩვენში იგი სხვა სახელმწიფო ხარჯების
დასაფარავად წინასწარ გამიზნულად არ იკრიბებოდა, მაგრამ ყოფილა ხოლ-
მე შემთხვევებიც, როცა შეგროვილი სურსათი ლაშქრის მომსახურების გარ-
და სხვა დანაშნულებისათვისაც გამოუყენებიათ (ამის თაობაზე ლიტერატურ-
რაში არაფერია ნათქვამი). მაგ.: შამშადილში შეკრებილი სურსათის ნაწილი
შემდეგნაირად დაიხარჯა: „მოხლეებს მისცემიათ ხარვალი ცხრამეტი,... ბა-
ტონის შვილის გამოვლაზედ დაიხარჯა ხარვალი ათი...“³⁹ ან კიდევ „მოხე-
ლეს აუღია ფქვილი და ქერი ხარვალი ი“⁴⁰ და ა. შ., ე. ი. სურსათის ნაწილი ამ
შემთხვევაში არასამხედრო მიზნისათვის დახარჯულა.

ელ მოსახლეობაში სურსათი დამკვიდრებული გადასახადია. ერთ-ერთი
საბუთის მიხედვით⁴¹, შამშადილში სახანოს გაუქმების შემდეგ „პირველად
შესწერდა სურსათი ხარვალი სამასი. მას უკან ალი სულთანმა შეაწერა ხარ-
ვალი ას ოცდა თუთხმეტი. იქნა ამ ორის კალმის ჯამი ოთხას ოცდა თუთხმე-
ტი“⁴². ე. ი. გადასახადი შამშადილში აიკრიფა 435 ხარვალის ოდენობით. მე-
ორე საბუთის მიხედვით, რომელიც 1782 წ. 27 თებერვლითაა დათარიღე-
ბული, იმავე შამშადილში ორას ორმოცდა ათი ხარვალი შეუგროვებიათ⁴³. ამ

³⁶ ნ. ბერძენიშვილი XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს
და კავკასიის ისტორ., 1944, გვ. 200; ლ. გვახარია სახელმწიფო ბეგარა გადასახადები აღ-
მოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1960, გვ. 24.

³⁷ გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლე-
ხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 132—136.

³⁸ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I, ნ. ბერძენიშვილის რედ.,
1940, საბუთი № 1805, გვ. 3—4.

³⁹ სცხსა, ფ. 1448, საბუთი № 5277.

⁴⁰ იქვე. საბ. № 1632.

⁴¹ იქვე. საბ. 5277. ამ საბუთს თარიღი არა აქვს. იგი XVIII ს. შუა ხანებისაა.

⁴² იქვე.

⁴³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 3, საბუთი № 56.

შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია შეკრებილი, ვიდრე ადრე. მაშასადამე ქვეყნის ვითარების მიხედვით იცვლებოდა შესაკრები სურსათის ოდენობაც. ეს საბუთები აბათილებს ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოთქმულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს ელი სურსათს იხდიდა თეთრით⁴⁴. დამოწმებულ საბუთებში კი ნათქვამია, რომ შამშადილში შეგროვდა ერთ შემთხვევაში 435, ხოლო მეორე შემთხვევაში 250 ხარვალი. ხარვალი კი წონის საზომი ერთეული იყო და არა ფულისა.

XVIII ს. საბუთი გვამცნობს, რომ ყაზახში შეუგროვებიათ ჯერ ექვსასი ხარვალი სურსათი, ხოლო შემდეგ — ასი ხარვალი, სულ წლის განმავლობაში — 700 ხარვალი⁴⁵. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გარკვევაც, თუ სურსათს რა ვადით კრებდნენ. საბუთების⁴⁶ მიხედვით გადასახადი სურსათი იკრიბებოდა იმ ვარაუდით, რომ მორიგე ლაშქარს ოთხ თვეს მაინც ჰყოფნოდა. გამოსარკვევია, თუ წლის განმავლობაში რამდენჯერ და რა რაოდენობით ხდებოდა ამ გადასახადის შეგროვება. სამწუხაროდ, ამ საკითხზე პასუხის ზუსტად გაცემა არ ხერხდება, ამის შესაძლებლობას წყაროები არ იძლევა. ზემოთ მოტანილ საბუთების მიხედვით ის კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ როგორც შამშადილში, ისე ყაზახში სურსათი ერთი წლის განმავლობაში ორჯერ აუკრეფიათ. შესაძლებელია, წლის განმავლობაში იგი მეტჯერ, ან ნაკლებადაც აკრეფილიყო. რადგან სურსათი ლაშქრისათვის განკუთვნილი გადასახადი იყო, სავარაუდოა, საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით ლაშქრის შეგროვების გამო სურსათიც შეეკრიბათ იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას საჭიროება მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ წელს სურსათის გაწერა ელ ხალხში რამდენჯერმე ხდებოდა.

იმის კითხვა, რას იხდიდა ელი გადასახად სურსათში? საბუთების უმრავლესობა პურის გადასახადზე მიგვანიშნებს, მაგრამ ისიც დგინდება, რომ სურსათში პურის გარდა სხვა პროდუქტებიც შედიოდა. 1790 წ. 3. IX. მეფე ერეკლე მიშკარბაშ იოსებს ავალებდა, რომ ერევანში ჯარით წასულიყო და იქაურებს მიხმარებოდა ბრძოლაში. მეფე აუწყებდა მას: „წინ წამსვლელი კაცისათვის თათრებში სურსათი მითხოვნია, რომ ხუთი-ექვსი დღის პურს მისცემენ. სახსნილოსაც⁴⁶ მისცემენ. მიმიწერია, რომ უნდა მისცენ⁴⁷. ე. ი. აქ პურის გარდა ლაპარაკია სახსნილოზეც⁴⁸. ან კიდევ, XVIII ს. II ნახევრის საბუთი სურსათის სხვა პროდუქტებზეც მიგვანიშნებს.

⁴⁴ ლ. გვახარია. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁴⁵ სცსა, ფ. 1448, საბ. 1633. ეს საბუთიც უთარილა და განეკუთვნება XVIII ს. II ნახევარს.

⁴⁶ იქვე საბ. 7152, 7153, 7154, 7155, 7156, 7157, 7158 და ა. შ.

⁴⁷ სახსნილო: (ხორცეული, ყველი და ა. შ.) ქეგლ.

⁴⁸ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საბ. 75, გვ. 56—57.

ტომთა დასახელება	ძროხა	ცხვარი	ერბო	ყველი ⁴⁹
ყაზახი ⁵⁰	—	—	—	—
ბორჩაღუ	19	24	50	60
დემურჩიჰასანღუ	—	49	15	140
ბაიდარმა და ქურთმა	12	7	15	16
ნაჯბადინმა	1	3	4	8
ქოლაგირმა	1	4	3	10
გულთ ფამ	—	3	4	8
მუხლუს ოღლიმ	3	8	8	16
სარვანი	3	9	8	16
ეშიკაღასბაში თამაზის ელებმა	4	15	15	30
დავით სარდლის ყულარმა	3	8	13	26
მელიქანთ ელებმა	4	8	11	22
ფარხალომ	2	6	8	16
ჰალვარმა	—	3	4	8
ჩალაბლიმ	—	3	5	10

მამასაღამე, მოტანილი საბუთის (1778 წ.) მიხედვით⁵¹, გადასახადი სურსათი შეიცავს მრავალფეროვან პროდუქტს. ამ დროისათვის ხალხი ჯარისათვის იხდიდა როგორც (ოცხალ საქონელს (ძროხა, ცხვარი), ისე მესაქონლეობის პროდუქტებსაც (ერბო, ყველი).

გარდა ამისა, სურსათში შედიოდა საკვები საქონლისათვისაც. 1791 წ. 11 იანვარს ალექსანდრე ბატონიშვილი უბრძანებდა ყორღანაშვილს ჯარით ელხალში დამდგარიყო. ჯარის საკვებით მომარაგების შესახებ კი მიუთითებდა: „სურსათი აწერიათ ყველგან და მაგათაც აწერიათ, საკლავი კი ჩვენგან მიეცემათ, თაიიანთ სურსათში ჟანგარიშიბთ: რაც მანდ საკლავი ეწეროს ის კი აქ უნდა მოგვიოიფეს და აქედამ მივცივით... ექვსი ცხენი ჰყავსთ და ცხენზედ ერთი ლიტრა ქერი მიაცემინეთ დღეში და როგორც რიგია, თქვენც კარგად იცით და ისე გაუძენით ჯარს...“⁵² აქ პურისა და საკლავის გარდა ცხენების საკვებზეცაა ლაპარაკი. ეს საკვები ქერია. ელებს ევალებოდათ ცხენზე დღის განმავლობაში ეძლიათ ერთი ლიტრა ქერი. გარდა ქერისა ელი იხდიდა თივასა და ბზესაც: „ყაზახში შეიძლება პროვიანტი სამი ათას ოცდა ათი ხარვარი, და ბზე...“⁵³ ან კიდევ: „ფამბაკსა და ბორჩაღოში შეიძლება პროვიანტი ათას სამას თოთხმეტი ხარვარი თივა და ბზე...“⁵⁴ და ა. შ. მამასაღამე, ლაშქრისათვის საკვებთან ერთად ელებში აგროვებდნენ როგორც ქერს, ისე თივასა და ბზესაც.

⁴⁹ ერბო და ყველი მოცემულია ლიტრობით.

⁵⁰ ყაზახზე აწერილი გადასახადის რაოდენობა საბუთში არ იკითხება.

⁵¹ სცსსა, ფ. 1448, საბ. 1641.

⁵² საქართველოს სიძველენი, ტ. III, საბ. 235, გვ. 222.

⁵³ სცსსა, ფ. 1449, საბ. 2275.

⁵⁴ ი ქ ვ ე.

ამგვარად, გადასახადი სურსათი აერთიანებდა ყველანაირ პროდუქტს, როგორც ლაშქრისათვის, ისე ლაშქარში მყოფი საქონლისათვისაც. წლის განმავლობაში სურსათის საერთო რაოდენობა სტაბილური არ იყო, იგი იცვლებოდა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ელი ხალხისათვის საქართველოს სხვა დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად, სურსათი იყო სამხედრო-ეკონომიკური ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

მორიგე ლაშქრის განჩინების მიხედვით სურსათი ამოიკვეთა მორიგე ლაშქრის შემოღების დღიდან. ძველში ნათქვამია, რომ სურსათი „მორიგეობის ლაშქრობაში თვითონ მოიხმარონ. ღმრთით ჩვენ ამისი (სურსათის. — გ. ბ.) მთხოვნელი აღარა ვართ. და ჩვენს სახასოს (სახასოში ელიც შედიოდა. — გ. ბ.) ყმას კოდის პურსა და კულუხს გარდა ჯარისათვის სურსათს რომ ვსთხოვდით, იმ სურსათს აღარ გამოვართმევთ“⁵⁵. მაგრამ ჩვენ მიერ აღრე დამოწმებული საბუთები აბათილებენ კანონის ამ მუხლს. 70-იანი წლების შუა ხანებში ამ გადასახადს საბუთებში აღარ ვხვდებით (გარდა შამშადილისა), ხოლო 70-იანი წლების ბოლოს ელებს მაინც ახდევინებდნენ სურსათის გადასახადს. ამის დამამტკიცებლად საბუთების კიდევ დამოწმება ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან უკვე მოტანილი ციტატები მორიგე ლაშქრის განჩინების შემდგომ პერიოდსაც ეკუთვნის⁵⁶.

საინტერესოა ის ფაქტიც, თუ როგორ იყო გაწერილი სურსათი მოსახლეობაზე. კოვალენსკის წერილის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში სურსათი „კოლმობრივად იკრიბებოდა, ორი კოდი პური და ერთი კოდი ქერა კომლზე“⁵⁷. ამასავე აღნიშნავს განსვენებული მკვლევარი ლ. გვახარიაც⁵⁸. ზემოთ დამოწმებული ციტატების მიხედვით კი ჩანს, რომ სურსათი არა მარტო კომლებზე, არამედ თაბუნებზეც იყო გაწერილი.

სურსათის რაოდენობის განმსაზღვრელად ძირითადად ხარველი გვხვდება. 1787 წ. საბუთში ხარველის ნაცვლად საპალნეა ნახსენები: „ორმოცდა ათი საპალნე, რომელსაც თათრებს შამშადილიდან პური მოეტანოს, იმათგან გაურიგე და მიეც“⁵⁹.

სურსათის შეკრება და განაწილება ლაშქარზე სახელმწიფო საქმე იყო. ეს მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა მეფის მოხელე მილახვარს, რომელსაც შეეძლო აეკრიფა ეს გადასახადი და ჯარისათვის თვითონვე გაენაწილებინა. საკლავის ლაშქარზე განაწილებას კი მეფე მოხელეს აღარ ანდობდა: „რაც მანდ საკლავი ეწეროს, ის კი აქ უნდა მოგვივიდეს და აქედან მივცემთ“⁶⁰. — უბრძანებდა ბატონიშვილი მილახვარს. მსგავსი საბუთი სხვაც გვხვდება, მაგრამ დასკვნა ერთია: საკლავის განაწილებას მეფის ოჯახის წევრები მოხელეებს არიდებდნენ და ამ საქმეს საკუთარ თავზე იღებდნენ.

⁵⁵ მორიგე ლაშქრის განჩინება, მუხ. 2, ქართული სამართლის ძეგლები, წ. 2, ი. დოლიძის რედაქციით.

⁵⁶ ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ მორიგე ჯარის შემოღების შემდეგ შამშადილის მხარეში კვლავ იკრიბებოდა სურსათი. ამ მოსაზრებას ეყრდნობა გ. აკოფაშვილიც (მას. საქ. ეკ. ისტ.-დან, III, გვ. 56—57; ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს გლეხობის ისტ.-დან, გვ. 133).

⁵⁷ ლ. გვახარია. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁵⁸ აქტები, ტ. 2, გვ. 7, 1802 წ. 13 IX.

⁵⁹ საქართველოს სიძველენი, საბ. 26, გვ. 25—26.

⁶⁰ იქვე. საბ. 255, გვ. 229.

ელეზში სურსათის გადახდა ყველას ევალებოდა, მაგრამ იყო ხოლმე შემთხვევები, როცა მეფე თაბუნებს ან პიროვნებებს, რომლებიც გათარხნებული არ იყვნენ, შეღავათს აძლევდა. XVIII ს. მრავალი საბუთი ამაზე მეტყველებს⁶¹.

ელეზზე გაწერილ სურსათს სახელმწიფო შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საკვლევ ობიექტში შეკრებილი ეს გადასახადი მნიშვნელოვანწილად ჭარბობდა ქვეყნის დანარჩენ რაიონებში შეკრებილ ამავე გადასახადებს. თუ თვალს გავადევნებთ ქართლ-კახეთის სამეფოში აკრეფილ სურსათის სტატისტიკას, აშკარად დავინახავთ იმ დიდ პროცენტულ უპირატესობას. რაც ელეზში აკრეფილ სურსათზე მოდიოდა. მასასადამე, სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავ ჯარს ულუფიდან ხ უ ზ ლ ს უ გ ზ ა ვ ნ ი დ ნ ე ნ ⁶². მრავალ სხვა ქართულ დოკუმენტში⁶³, როცა ქართველი მეფენი ლაშქრის შეკრებას ბრძანებდნენ, იმასაც აღნიშნავდნენ, თუ მოლაშქრეს რამდენი დღის ნუზლი უნდა წამოეღო. ასევე ხდებოდა ბეგარაზე გაყვანის დროსაც. მასასადამე, ნუზლი სურსათის შემცველი ტერმინი იყო და საგზლის მნიშვნელობა ჰქონდა, ამდენად იგი აქ გადასახადად არ ჩაითვლება. აომოსავლეთის ქვეყნებში კი ნუზლს გადასახადის მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ოსმალთა იმპერიაში დაპყრობილ ქვეყნებზეც იყო გაწერილი და გარკვეული შემთხვევებისა და კონკრეტული საჭიროებისათვის იყო დაწესებული⁶⁴.

ქვემო ქართლის მაჰმადიანურ მოსახლეობაში ვხვდებით სახელმწიფო გადასახად მ ა ხ ტ ა ს. საქართველოს ისტორიაში ამ გადასახადის შესახებ აღნიშნულია, რომ „XVIII ს. II ნახევარში თბილისსა და გორში, ხოლო XVIII ს. ბოლოს ქართლ-კახეთის სხვა ქალაქებშიც შემოღებულ იქნა ახალი სახელმწიფო გამოსაღები, რომელსაც მახტა ეწოდებოდა: მახტა იყო ამა თუ იმ ქალაქზე, წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით, გაწერილი ფულადი გადასახადი (მაგალითად, თბილისს ყოველწლიურად 400 თუმანი უნოა გადაეხადა). მახტას არ იხდიდნენ თბილისში საეკლესიო და კერძო მეზატონეთა ყმები“⁶⁵.

ნაშრომში „თბილისის ისტორია“ შ. მესხია აღნიშნავს, რომ „გაოსახადი მახტა „თბილისში XVIII ს. II ნახევარში ერეკლე მეორეს მიერ იქნა დაწესებული“⁶⁶. საქართველოს სხვა დანარჩენ მოსახლეობაში ამ გადასახადის გაწერის შესახებ საქართველოსა და თბილისის ისტორიაში აოარაუერია ნათქვამი. ასევე აქვს იგი განმარტებული გ. გოზალიშვილსაც: „მახტი XVIII ს-ში თეიმურაზისა და ერეკლეს დროს უნდა იყოს შემოღებული“⁶⁷. ივ. სურგუ-

⁶¹ სცსსა, ფ. 1448, საბ. 1632 და სხვ.

⁶² ვ. გ ა ბ ა უ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 266.

⁶³ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, 2, საბ. 109, 144, 147; წ. III, საბ. 225 და ა. შ.

⁶⁴ ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 149.

⁶⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ შ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ე და ს ზ. საქართველოს ისტორია, წ. 1, გვ. 369—370.

⁶⁶ თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 249.

⁶⁷ გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. გლეხთა მდგომარეობის ისტორიის მასალებიდან XIX ს. I მეოთხედში, საქართველოს არქივი, წ. II, 1927, გვ. 8.

ლაძე ამ გადასახადის გაწერის თარიღად უფრო წინა XVI—XVIII სს. ვარაუდობს⁶⁸. რის საფუძველზე მიიჩნევს ავტორი აღნიშნულ სამ საუკუნეს მახტის წარმოშობის თარიღად, ამის განმარტებას იგი აღარ იძლევა.

მახტის გადასახადი ელემში უფრო ადრე გვხვდება, ვიდრე იგი ქალაქის მოსახლეობაში შემოუღლიათ⁶⁹. ეს გადასახადი დამოწმებულია „ელის დებულებაში“; თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ცალკეული დებულებები უფრო ადრე შედგა, ვიდრე მათ თავს მოუყრიდნენ „დასტურლამალში“, მაშინ მახტის დაწესების თარიღიც წინ გადაიწევეს, ე. ი. XVII ს. ბოლოს ელებს ეს გადასახადი უკვე ჰქონიათ შეწერილი. შესაძლებელია მახტა უფრო ადრეც იყო დანერგილი ელ ხალხში, მაგრამ სხვა ისტორიული საბუთები და ნარატიული წყაროები არ გვაძლევენ საშუალებას უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მახტის გაწერის პირველი თარიღი. აქვე ყურად მისაღებია ის გარემოებაც, რომ ტერმინი მახტა არაბული წარმოშობისაა⁷⁰ და მისი ფესვები ადრეულ საუკუნეებში იღებს სათავეს.

ისტორიულ საბუთებში გადასახადი მახტა სხვადასხვა ტერმინით არის დამოწმებული — ზოგან მახტაა ნახსენები, ზოგან მახტა, გვხვდება აგრეთვე ეთნიკური ტერმინით — „თათრის მახტა“, ე. ი. ის მახტა, რომელიც ელებზე იყო გაწერილი⁷¹, და ა. შ. მაგრამ სახელთა ასეთი სხვაობა არცვლის მის მნიშვნელობას. მახტას ბევრი ისტორიკოსი და მკვლევარი განმარტავს⁷². დ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ მახტა არც «*УНЕЖНЫЙ ОБРОК С ДЫМА*, ნახე პახტა“, ხოლო პახტა კი — „მახტი, წლის გამოსაღები ერთის თემისა გარდაკვეითთ. Годовой оброк с какой либо провинции»⁷³. მახტის ასეთივე განმარტებას იძლევა ნ. ჩუბინაშვილიც ხელნაწერ ლექსიკონში⁷⁴. დამოწმებული ლექსიკონების ავტორებს გაიგივებული აქვთ მახტი და პახტა. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ მახტა განმარტებული არ არის, იქ მხოლოდ პახტის მნიშვნელობაა ახსნილი. ჩვენი ვარაუდით, აქ განმარტებული პახტი არ უკავშირდება მახტას. ამას შენიშნავს ი. სურგულაძეც. სულხანის პახტას ასე განმარტავს: „პახტი — ერთს წელიწადს რაც მოსავალი გამოვა სრულ ერთობით“⁷⁵. მაშასადამე, პახტი მოსავლის სახელი ყოფილა და მას საირთო არა აქვს გადასახადთან. ი. სურგულაძე დ. ჩუბინაშვილის გავლენით საბასეულ განმარტებას თავის ახსნას უფარდებს და სიტყვა „მოსავალს“ გამოსაღებად მიიჩნევს⁷⁶. ამ თაობაზე არც ერთი ლექსიკონის დამოწმება არ შეიძლება. მაშასადამე, პახტი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გადასახადს არ ნიშ-

⁶⁸ ი. სურგულაძე. სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 ს. დასაწყისში, ეკონომიკის ინსტ. შრომები, ტ. V, 1952, გვ. 371.

⁶⁹ ლ. გვახარია. დასახ. ნაშრ., გვ. 30—31.

⁷⁰ „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის გამოც., იხ. ლექსიკონი.

⁷¹ მასალები საქ. ეკ. ისტორ., 3, ნ. ბერძენიშვილის რედ., საბ. 347, გვ. 553.

⁷² მ. ბროსე. Introduction..., გვ. 172; პ. იოსელიანი. Города, существовавшие и существовавшие в Грузии, г. Тбилиси, 1850, გვ. 83; დ. ფურცელაძე. Газ. «Кавказ», 1864, № 86; ი. პახტაძის წერილი. СМЭБКЗК, I, III, 6 და ა. შ.

⁷³ დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი.

⁷⁴ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S. № 3709.

⁷⁵ ს. ს. ორბელიანი. სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის გამოცემა, გვ. 368.

⁷⁶ ი. სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 567.

ნავს, ხოლო დ. და ნ. ჩუბინაშვილების მიხედვით დასახელებული ტერმინები ერთი და იმავე მნიშვნელობისაა. იმის გამო, რომ მეტწილ ისტორიულ საბუთებსა და ძეგლებში ამ გადასახადის აღმნიშვნელად მახტაა გამოყენებული, ამიტომ ჩვენც მახტას ვუწოდებთ.

ი. სურგულაძე ვრცლად მსჯელობს მახტის შესახებ. მახტა ელებისათვის განკუთვნილი გადასახადი იყო. საქართველოში საბატონო და საეკლესიო გლეხებზე იგი შეწერილი არ ყოფილა.

წერილობითი წყაროების მიხედვით ელებში ეს გადასახადი შემდეგნაირად წარმოგვიდგება. „დასტურლამალში“ დასახელებულია ის თაბუნები, რომლებიც მახტას იხდიდნენ: ინდოს ლანჩბარი, იოლჩიშვილების თაბუნი, დაბნეული ელი, მოლა ხანვერდისა და ჰაჯი სულუს თაბუნები⁷⁷. სხვა ისტორიული საბუთებით დგინდება, რომ გადასახადი მახტა შეწერილი ჰქონდათ აგრეთვე ქაფანაქჩის თაბუნს⁷⁸, ქოლაგარის⁷⁹, ყაზახის⁸⁰, უზუნარისა და დისიყის ტომებს⁸¹. მას იხდიდნენ ფამბაკელებიც⁸², შამშადილოებიც⁸³ და ა. შ. ერთი სიტყვით, მახტას იხდიდა ის, ვინც მიწათმოქმედებას მისდევდა. მას იხდიდნენ აგრეთვე ხელოსნებიც.

„დასტურლამალში“ ამ ტომების დაუსახელებლობა იმით უნდა აიხსნას, რომ ძეგლის შედგენისას აღნიშნული ტომები არ იყვნენ ქართლის მეფის სახასიონი. ხოლო შემდეგ, XVIII ს. II ნახევარში ისინი მეფის უშუალო მფლობელობაში გადავიდნენ. დამოწმებული საბუთებიც XVIII ს. II ნახევარს ეკუთვნის, ამდენად, მეფე ერეკლეს დროს მახტის გამოძღვები ელების რაოდენობა გაიზარდა და მეფის ხაზინაში ამ გადასახადმაც იმატა. მახტას ყველა თაბუნი არ იხდიდა, რადგანაც ისინი მეურნეობის ისეთ დარგებს მისდევდნენ, რომელიც მახტით არ იბეგრებოდა.

მახტის გადამხდელ თაბუნებში იყვნენ გათარხნებულნიც, რომლებიც გადასახადს არ იხდიდნენ. ვინმე ალა ფითოევი საქართველოს საერთო საკრებულოს მოახსენებდა, რომ მეფე გიორგის დროს იგი განთავისუფლებული იყო მახტის გადასახადისაგან. მის სათხოვარში ვკითხულობთ: „მეზობელნი ჩემნი... აძლევდნენ მახტას, არც მე ვისურვე, რომ ვჰყოფილიყავ თარხანი“⁸⁴. ე. ი. იგი მეფესაგან იყო გათარხნებული.

მახტას იხდიდნენ როგორც ფულით, ისე ნატურითაც. „ელის დებულე-ბიდან“ ჩანს, რომ ზემოთ დასახელებულ მეტწილ თაბუნებში მახტა კომლზე გაწერილი იყო სხვადასხვა ოდენობით: ზოგიერთ თაბუნში კომლი სამ აბაზს იხდიდა, სხვანაირ კი ხუთ აბაზს. მაგალითად, ინდოს ლანჩბარზე⁸⁵, დაბნეულ ელზე, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ოთარ მდივნის, მეითრის,

⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 567, 578.

⁷⁸ სცსსა, ფ. 1450, საბუთი 75.

⁷⁹ მასალები საქ. ეკ. ისტ-თვის, 3, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საბუთი № 272, გვ. 389.

⁸⁰ იქვე. საბ. № 199, გვ. 297.

⁸¹ იქვე. საბ. № 272, გვ. 389.

⁸² იქვე. გვ. 103.

⁸³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H—d, საბ. № 5125.

⁸⁴ სცსსა, ფ. 1, საქმე 183, გვ. 2.

⁸⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 567.

ბეჟან შანშიაშვილის, მდივანბეგის, ისას, მუსტოფის ნაყმევის შიხიასა და ასლანას ფარემის თაბუნები⁸⁶, შეწერილი იყო კომლზე ხუთი აბაზი, ხოლო იოლჩიშვილების თაბუნზე — სამი აბაზი⁸⁷. ზოგიერთ შემთხვევაში მახტა ელის მოსახლეობის თაბუნებზე იყო გაწერილი. ეს ჩანს ისტორიული საბუთებიდან და „ელის დებულებიდანაც“. მაგ., ქაფანაქჩის თაბუნზე გადასახადი მახტა გაწერილი იყო ასი თუმნის ოდენობით, ხოლო მისი განაწილება კომლზე ზღებოდა⁸⁸. გარდა ამისა, ზემოთ მოტანილი ალა ფითოევის სათხოვარიც მახტის თაბუნზე გაწერის შესახებ მიგვანიშნებს.

თაბუნის წევრთაგან რომელიმე პირის გადასახადისაგან გათარხნების შემთხვევაში თაბუნზე შეწერილი მახტის რაოდენობა არ იცვლებოდა, რადგან მახტისაგან განთავისუფლებული პიროვნებისათვის გადასახადი გადახაწილდებოდა თაბუნის დანარჩენ წევრებზე და გადამხდელი მოსახლეობის კომლზე გაწერილი თანხაც გაიზრდებოდა.

ამდენად, გადასახადი მახტა მეფის მთავრობის მიერ ნაწილდებოდა როგორც კომლებზე, ისე თაბუნებზე. იქ, სადაც მახტა თაბუნზე იყო გაწერილი, კომლის გადასახადის რაოდენობა სტაბილური არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან მოსახლეობის გამრავლების ან შემცირების მიხედვით მახტის გადასახადიც შესაბამისად შემცირდებოდა ან გაიზრდებოდა; ასევე, მთავრობის მიერ კომლზე სხვადასხვა ოდენობით (სამი აბაზი, ხუთი აბაზი) გაწერა დამოკიდებული იყო თაბუნთა ქონებრივ მდგომარეობაზე და, რა თქმა უნდა, შეიძლებულ თაბუნებში კომლზე მეტი იქნებოდა გაწერილი გადასახადი, ხოლო ღარიბზე — ნაკლები.

მახტის ნატურით გადახდის დროს მშრომელი ვალდებული იყო გადასახადი გაესტუმრებინა იმ პროდუქტით, რომლის წარმოებასაც იგი მისდევდა; მაგ.: მოლა ხანვერდისა და ჰაჯი სულუს თაბუნების ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო და ამიტომაც მახტას ისინი ნალ-ლურსმნით იხდიდნენ. მოლა ხანვერდის თაბუნი იხდიდა 166 ნალ-ლურსმანს (ალბათ, საჭედს), ჰაჯი სულუს თაბუნი — 334 საჭედ ნალ-ლურსმანს. თუ თვალს გავადევნებთ კომლზე შეწერილი გადასახადის რაოდენობას, მისი განსაზღვრა ადვილად შეიძლება. მოლა ხანვერდის თაბუნში 12 კომლი ირიცხებოდა, შეწირული ჰქონდა 166 ნალ-ლურსმანი⁸⁹, ე. ი. თითოეული კომლი იხდიდა თითქმის 14 ნალ-ლურსმანს. დაახლოებით ამდენივეს იხდიდა ჰაჯი სულუს თაბუნის კომლიც.

„ელის დებულებაში“ ჩამოთვლილია ის ლანჩბარები, რომლებიც აქუშა-გებდნენ ბატონის რუს გასწვრივ მდებარე მამულებს და იქ ბრინჯის მოსავალი მოჰყავდათ. მათი ვალდებულების შესახებ დასახელებულ ძეგლში ნათქვამია.

⁸⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 578.

⁸⁷ იქვე. გვ. 567.

⁸⁸ სცსსა, ფ. 1450, საბ. 75.

⁸⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 571.

რომ „ლაქი მახტა ლიტრა არის ტ“⁹⁰. მამასადამე, მეფის რუებზე მოიჯარადრე ლანჩბარები იხდიდნენ 300 ლიტრა ლაქს. დასადგენია სიტყვა „ლ ა ქ ი ს“ მნიშვნელობა.

როგორც ს. ს. ორბელიანის სიტყვის კონა, ისე სხვა ლექსიკონები ამ სიტყვას ზუმბურის ანუ ლუქის გაგებით განმარტავენ, ზოგიერთი მას სახთლის მნიშვნელობასაც ანიჭებს. ლაქი რომ სახთლის მნიშვნელობით იყოს ნახმარი, მაშინ 300 კგ სახთლის გადამხდელ მეურნეს თაფლის გადასახადი გაცილებით მეტი ექნებოდა, ვიდრე სახთლისა. მაგრამ თაფლის გადასახადზე და საერთოდ მეფუტკრეობაზე ძეგლში არაფერია ნათქვამი, ამიტომაც ასეთი განმარტება ლაქისა არ მიესადაგება „დასტურლამალიდან“ მოტანილი ტექსტისათვის. იქ, სიტყვა „ლაქის“ წინაც და მის შემდეგაც ბრინჯის მოსავლიდან ბატონის სარგოს შესახებაა ლაპარაკი. მამასადამე, ლაქს ამ შემთხვევაში არც ლუქის ანუ ზუმბურის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. აზერბაიჯანულ ლექსიკონში ვიპოვეთ მინსგავსიბული სიტყვა „ლოქუ“, რომლისაგანაც ელის დებულებაში ნახსენები ლაქი უნდა იყოს წარმომდგარი. „ლოქუ“-მ შეიძლება ქართული ენის გავლენით ცვლილება განიცადა ან ძეგლის დამწერმა არასწორად „ლაქი“ დაწერა. ლოქუ თაიის მნიშვნელობით უახლოვდება იმ ტექსტს, სადაც ლაქია ჩაწერილი, რომლის მნიშვნელობა ბრინჯოს ნაწარმზე მიგვანიშნებს. ამდენად „ლაქი“, რომელიც „ელის დებულებაში“ აზერბაიჯანული დიალექტის დამახინჯებულ ან სახეშეცვლილ სიტყვას წარმოადგენს, ბრინჯის სახეობა, ან ჯორო ზუსტად, ბრინჯის ნაწარმი, დანაყილი ბრინჯია, რომელსაც თაბუნები მახტის გადასახადში იხდიდნენ 300 ლიტრის ოდენობით. ადვილი შესაძლებელია, ეს ბრინჯი ის ნაწარმი ყოფილიყო, რომელსაც „დასტურლამალი“ მომდევნო გვერდზე ვხვდებით: „ჩალთუქი ერთი თალარი რომ დანაყონ“⁹¹. მამასადამე, ლანჩბარი ნატურით იხდიდა გადასახადს, იგი მთლიანად თაბუნზე იყო გაწერილი.

მამასადამე. გადასახადი მახტა მოსახლეობას შეეწერებოდა ხოლმე როგორც თაბუნებზე, ისე კომლებზედაც ნატურითაც და ფულითაც. ვხვდებთ ისეთი შემთხვევებიც, როცა სხვა გადასახადი მახტის გადასახადის ანგარიშში გადახდებოდათ ხოლმე ელის მოსახლეობას. ეს მაშინ, როცა მოსახლეობას მხოლოდ მახტის გადასახადი ეთხოვებოდა, რადგან მახტა ზოგჯერ სხვა გადასახადს გამოთიშავდა, მაგრამ აუცილებლობიდან გამომდინარე, სხვა გადასახადიც უნდა გაეღო. 1802 წ. 10 თიბათვეს დედოფალი დარეჯანი სწერდა ქაფანაჯის ალი ალას, რომ „მახტას გარდა სხვა არაფერი გეთხოვებათ რა..., თქვენ მახტა გაძევსთ წელიწადში ასი თუმანი..., რამდენსაც ხანს თქვენ ტალავერში იდგებით, ამ ალავის ქირა წელიწადში ოცდა ორი თუმანი და რვა მინალთუნი თქვენის მახტიდან უნდა აძლიოთ მილახვარს იოსებს და ამის იქით რაც ტალავრის ღალა იქნება, ჟამზედ ყოველთვის ჩვენ დავაწერინებთ და სამარ-

⁹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 568.

⁹¹ იქვე გვ. 569.

თლიანად ჩემის შვილის მირიანისათვის ავაღებინებთ...“⁹² ამდენად, ალავის ქირა დამატებით კი არ უნდა გადაიხადონ ქაფანაქჩელებმა, არამედ იგი ჩავთვლებათ მახტის გადასახადში. ეს იმით არის იმავე საბუთში ახსნილი, რომ დასახელებულ თაბუხს მახტის გარდა სხვა გადასახადი არ ეთხოვებოდა, ე. ი. მახტა სხვა სახელმწიფო გადასახადებს გამორიცხავდა.

აქ დამოწმებული საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მახტას წლის განმავლობაში სამჯერ იხდიდნენ: „რაც კახეთში მყოფთ ქაფანაქჩელი რავეიანთი რასათი მახტა შეხვდებათ, ის იმათ უნდა გამოიღონ და რასათი თქვენ უნდა გამოიღოთ წელიწადში სამ დაფათ...“⁹³ მახტის ამ წესით გამოღება გვაგონებს მესაქონლეობაზე გაწერილ გადასახად ქოდავს, რომელიც აგრეთვე წლის განმავლობაში სამჯერ იკრიბებოდა: საზაფხულო საძოვარზე წასვლამდე, იქ და უკან დაბრუნებისას. მახტასაც სამჯერ იმითომ კრეფდნენ, რომ ამ გადასახადს იღებდნენ ნახევრად მომთაბარეებისაგან მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით. „ელის დებულებიდან“ და ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ მახტას იხდიდნენ ლანჩბარები, ე. ი. მიწათმოქმედები, ხელოსნები (ნაღბანდები და სხვ.). არ შეგვხვედრია საბუთი პირუტყვზე ან საძოვარზე გაწერილი მახტის შესახებ. ამდენად, მახტას იხდიდნენ მიწათმოქმედნი ან ხელოსანი ელები.

მახტა ძირითადად იყო სახელმწიფო გადასახადი. მას მეფის ხელისუფლება სამეფო კარისა და სხვადასხვა სახელმწიფო ხარჯის დასაფარავად იყენებდა. 1793 წ. ბატონიშვილ გიორგის შეუღდენია ფამბაკის მახტისა და მისი ხარჯის ნუსხა: „სამოცდღაორთუმანნახევარი ბატონს მირთმეგია

ოცი თუმანი ასლანას მისცემია

თორმეტი თუმანი ქალბალიბეგს მისცემია

ასი თუმანი მირზა აფრასიობს მისცემია

ოცდა ათი თუმანი კიდევ დაიხარჯა ფარჩისა“⁹⁴ და ა. შ.

მახტიდან შემოსავალი დანიშნული ჰქონდა დედოფალს. მარიამ დედოფლის შემოსავლის შესახებ ვკითხულობთ: „უზუნარისა და დისიყის მახტიდან ოცდოთხი თუმანი; ქოლაგირის შემოსავალი თავისი გარეშოთი — ორმოცდა თერთმეტი თუმანი და შვიდი მინალთუნი“...⁹⁵ საყურადღებოა ისიც, რომ მახტიდან სარგებელი ჰქონდა ეკლესიასაც: „მეფის გიორგისაგან ნათლისმცემლის წმინდის მონასტერს ჰქონდა ოქმით განწესებული ყაზახის მახტიდან ოცდახუთი თუმანი თეთრი, შვიდი ხალვარი პური; ამავე ყაზახის მახტიდან ეძლეოდა როგორც უცხადებსთ ოქმი...“⁹⁶

მახტას კრებდნენ სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც სამსახურისათვის ეძლეოდათ ნაწილი მათ მიერ შეგროვილი გადასახადიდან. ამ საქმეში ელი ხალხის პრივილეგირებული ზედაფენის ზოგიერთი წარმომადგენელიც იყო დასაქმებული. XIX ს. დასაწყისში მეფის რუსეთის ხელისუფლებისაგან ჯილდოს მიღების აუცილებლობას ყაზახის ვეჭილის შთამომავალი იმით ასაბუ-

⁹² საქართველოს სიძველენი, წ. III, საბ. 301, გვ. 288—289.

⁹³ იქვე.

⁹⁴ მასალები საქ. ეკ. ისტ., წ. 3, გვ. 103.

⁹⁵ იქვე, საბ. 272, გვ. 389.

⁹⁶ საქართველოს სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოც., საბ. 517, გვ. 1095—1097.

თებდა, რომ მისი წინაპარი ყაზახში აგროვებდა გადასახად მახტას და გამო ქართველ მეფეთაგან მას შემოსავალი ჰქონდა დანიშნული⁹⁷. მაშასადამე, გადასახადი მახტა მეფის ხელისუფლების მიერ გამოყენებული იყო სამეფო კარის, დედოფლის, სახელმწიფო მოხელეთა და სხვა მოთხოვნილების დასაფარად. ამ სახსრებიდან ეკლესიაც ლებულობდა გარკვეულ წილს.

მახტა მარტო სახელმწიფო გადასახადი არ იყო. იგი ბოძებული ჰქონდათ ცალკეულ ფეოდალებსაც, „დასტურლამალის“ მიხედვით, დედოფლის ელებში გაწერილი იყო „მახტა — კომლზე შაური თოთხმეტი“⁹⁸. მაშასადამე, აქ თითოეულ კომლზე გაწერილი ეს გადასახადი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე სახასო ელებში. „დასტურლამალში“ დედოფლის მიერ მახტის აკრეფის დებულების შეტანა ნიშნავს ამ გადასახადის დედოფლისათვის დაკანონებას.

ფეოდალისათვის მახტის მიცემის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის 1803 წლის საბუთი. ლორის კაპიტან-ისპრავნიკი გიორგი ციციანოვს ავალებს, მამასის (?) მცხოვრებლებში შეკრებილი მახტა თხუთმეტი თუმანი გადაეცა სახელმწიფოსათვის. ქართველი თავადი უარს აცხადებდა ამ თანხის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ დედოფლისაგან მას პირის სანახავად სიგელით ჰქონდა ნაბოძები, ამიტომაც ამ გადასახადს თვითონ იღებდა. დოკუმენტში ნათქვამია: „ჩემთვის გებძანათ, რომ შარშანდელი ახლოს მახტა მე უნდა მამცეო, ამ მიზეზით არ მოვართვით, რომ მე მაქვს ნაბოძები ღრამოტით; ესე სადედოფლო არ არის, პირის სანახავია, თავისის წლის ფასია. საქართველოში ასრეა განწესება — ვისაც უნდა მისცემს, ნება აქვს... ქართლში ბევრს აქვს დედოფლისაგან მიცემული, ამიტომ რომ ნება ჰქონდათ მამულის გაცემისა...“⁹⁹ აშკარაა მახტა გაცემული ყოფილა ცალკეულ ფეოდალებზე.

დავასკვნით, რომ მახტა იყო ძირითადად სახელმწიფო გადასახადი, მაგრამ მას ვხვდებით დედოფლისა და ცალკეული ფეოდალების სარგებლობაშიც. ბატონიშვილების მამულში ამ გადასახადს არ ვხვდებით. ფეოდალის შემოსავალში მისი არსებობა იმით აიხსნება, რომ იგი ბოძებულია მეფის ან დედოფლის მიერ.

ჩვენო ქართლის ელებში მახტა გაწერილი იყო როგორც კომლებზე, ისე თაბუნებზეც. მახტით დაბეგრულ თაბუნებში ამ გადასახადის გადახდა ვეალებოდა ყველას თარხანთა გამოკლებით. თაბუნებში რომელიმე კომლისათვის სითარხნის მიცემა არ ნიშნავდა თაბუნზე გაწერილი მახტის საერთო რაოდენობის შემცირებას. გათარხნებული პირის ნაცვლად მის წილ გადასახადს თაბუნის სხვა წევრები გადაიხდიდნენ. ეს გადასახადი გადამხდელის მეურნეობის სახეობაზე იყო დამოკიდებული: ლანჩბარი მას ფულით იხდიდა, მიწათმფლობელი და ხელოსანი — ნატურით. ისინი გადასახადს გადაიხდიდნენ იმ პროდუქტით, რასაც აწარმოებდნენ. ფულით გადამხდელი მოსახლეობა მას თანხის სხვადასხვა ოდენობით იხდიდა. ეს ცვლილება დამოკიდებული იყო მწარმოებელი მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ზოგ შემთხვევაში მახტა სხვა გადასახადს გამოთიშავდა და თაბუნი მის გარდა სხვა გადა-

⁹⁷ სცსსა, ფ. 2, საქმე 2718, გვ. 57.

⁹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 717.

⁹⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-d ფონდი, საბუთი 5125.

სახადით აღარ იბეგრებოდა. თუ ელი სხვა მამულით ისარგებლებდა, მაშინ ალაგის ქირას მახტის გადასახადიდან გაისტუმრებდა. ლალა მახტაში არ შედიოდა. მახტის შემოსავალს სახელმწიფოსათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გადასახადიდან სარგებელი ჰქონდათ დანიშნული დედოფალსა და სახელმწიფო მოხელეებს.

ქვემო ქართლის მაჰმადიანურ მოსახლეობაში ცალკეულ შემთხვევაში ვხვდებით სულადობრივ გადასახადსაც, რომელსაც მალი ეწოდება. გვიანდელი ფეოდალური ხანაში მალი გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. ირანში სულადობრივ გადასახადს სარახე (سرخه) ეწოდებოდა. ჯიზიასაგან განსხვავებით იგი გაწერილი იყო მუსულმან რაიათებზე. ამ გადასახადის სინონიმები იყო ბაშმალი (باشمال) და სარშომარა (سرخمار) ¹⁰⁰. ოსმალეთში კი არამუსულმანებზე სულადობრივ გადასახადს ჯიზია და ხარაჯა ეწოდებოდა ¹⁰¹. სულადობრივი გადასახადი გვხვდება აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ერთ-ერთი მათგანი სერანეს სახელითაა ცნობილი, ხოლო მეორეს — ჯიზია ეწოდებოდა ¹⁰². ეს იყო იქ არამუსულმანებზე დაწესებული სულადობრივი გადასახადი.

მალი გავრცელებული იყო ფეოდალურ საქართველოშიც. ეს გადასახადი ჩვენში უცხო დამპყრობლებმა შემოიღეს, ამიტომაც მას სათათრო მალსაც უწოდებდნენ. საქართველოში მას პირველად ვხვდებით XIII ს. ჯერ ბეგარის, შემდეგ გადასახადის სახით ¹⁰³. მოძალადეთაგან თავის დაღწევის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა იგი ერთხანს ამოკვეთეს კიდეც, მაგრამ შემდეგ კვლავ იქნა აღდგენილი და ქართულ გადასახადად იქცა. XVI ს. მალი საკომლო, ხოლო XVII—XVIII სს. იგი სულადობრივი გადასახადია და ყველა სრულწლოვან მამაკაცს, სანამ დაბერდებოდა და „რისამე მოგება“ შეეძლო, მალი უნდა ეხადა ¹⁰⁴. „ერთი კაცი რომ დაბერებულ იყოს და მისი შვილები მალს იღებდნენ, იმ ბერ კაცს დავთარში ნუ ჩააგდებენ და ნულარც მალსა სთხოვენ“ ¹⁰⁵, — ნათქვამი იყო ბატონიშვილ ვახტანგის ბრძანებაში.

მალი ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ¹⁰⁶, მაგრამ არც ერთი მკვლევარი არ აღნიშნავს იმას, რომ იგი შეწერილი ჰქონდათ ელებსაც. არც ელის დებულებაშია მის შესახებ რაიმე ნათქვამი ¹⁰⁷. შესაძლებელია, ცალკეულ ფეოდალთა მფლობელობაში მყოფი ელი დაბეგრილიყო მალის გადასახადით, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნებოდა აკრეფილი. ამის თაობაზე ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა ჯერჯერობით ერთადერთი საბუთი,

¹⁰⁰ ლ. შენგელია. ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, 1973, გვ. 37.

¹⁰¹ გ. ფუთურძე. დასახ. ნაშრ., გვ. 256.

¹⁰² ი. პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 283.

¹⁰³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, 3, 1941, ვ. 56; ვ. გაბაშვილი, სათათრო გამოსაღები..., მიმოხილველი, 3, 1953, გვ. 165.

¹⁰⁴ ი. სურგულაძე. სახელმწიფო გადასახადები.... გვ. 354; ვ. გაბაშვილი ქართული ფეოდალური..., გვ. 253.

¹⁰⁵ ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამოც., II, გვ. 310.

¹⁰⁶ ი. სურგულაძე. სახელმწიფო გადასახადები...; ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური...; ლ. გვახარია. სახელმწიფო გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX ს. I ნახევარში და. ა. შ.

¹⁰⁷ საქართველოს სიძველენი, წ. III, გვ. 405.

სადაც ნათქვამია, რომ 1703 წელს ერეკლე პირველმა შიომ თუმანიშვილს ცოლშვილს სარჩოდ უბოძა „ყარსოსობა, ადემურჩასლი აჯი ყარა ოღლი თავისის თაბუნითა, რუჯითა საჩალთუქითა და ყოვლის მისის გასადევრითა, მისის მალუჯათით საჩვენო გამოსაღები მალი არა ეთხოვებოდეს რა“¹⁰⁸. ე. ი. ადემურჩასლისა და აჯი ყარა ოღლის თაბუნებს ევალებოდათ მალის გამოღება. ამაზე მიგვანიშნებს გამოთქმა „საჩვენო გამოსაღები მალი“, ე. ი. ისინი ვალდებულნი იყვნენ, მეფისთვის მალი ეხადათ, მაგრამ მათ ამ ვალდებულებისაგან მეფე ათავისუფლებდა.

მალის გადასახადი საქართველოში გაწერილი იყო მიწათმოქმედებზე. რადგანაც ელი მოსახლეობაც მიწათმოქმედი იყო, სავარაუდოა მალის გადახდა მათაც ჰქონდათ დაკისრებული. მოტანილი საბუთი ამ აზრის საპირდაპირედ მეტყველებს. იქ ნათქვამია, რომ თუმანიშვილის ოჯახს სარჩოდ ებოძა ყარა-ოღლის თაბუნი „რუჯითა, საჩალთუქითა და ყოვლის მისის გასადევრითა“. ჩალთუქი მაჩვენებელია იმისა, რომ მიწათმოქმედებს მისდევდნენ, ხოლო რუ და მისი გასადევარი — მამულის აღმნიშვნელი იყო.

ელ ხალხში ვხვდებით გადასახადს ფეშქაშისათვის, რომელიც მონღოლთა ბატონობის დროიდან საქართველოში განუხრელად იზრდებოდა¹⁰⁹.

ფეშქაში გავრცელებული გადასახადი იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ირანში მისი გამოღება ევალებოდათ რაიეთებს შაჰის, ოლქების მმართველებისა თუ მსხვილი ფეოდალების სასარგებლოდ¹¹⁰. საქართველოში გვხვდება ამ გადასახადის აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები. თურქული სავერი (იგივე საური) ირანული ფეშქაშის¹¹¹ სინონიმია. სავერი „ნიშნავდა არა საკუთრივ მისართმეველს, არამედ იმ თანხას, რომლის საფუძველზეც მზადდებოდა შაჰისათვის გასაგზავნი ფეშქაში“¹¹². გადასახადი საური გაწერილი იყო ქართლის სამეფოშიც, მაგრამ ელი მოსახლეობა მას არ იხდოდა.

აზერბაიჯანსა და სომხეთში ფეშქაშის რაობის შესახებ განმარტებას იძლევა ივ. პეტრუშევსკი: „ფეშქაში — ფორმალურად — იყო „ნებაყოფლობითი მისართმეველი“, ფაქტიურად გლეხთა სავალდებულო გამოსაღები „საჩუქრის“ სახით ფეოდალების, ჩინოვნიკისა და თვით შაჰისათვის. ამ უთანასწოროდ მისართმევედნენ არა უშუალოდ რაიათები, არამედ ემირები და წარჩინებულნი, რომლებიც წინასწარ შეავროვებენ სახსრებს შაჰისათვის საჩუქრის შესაძენად“¹¹³.

სიტყვა ფეშქაში სპარსული წარმოშობისაა და საჩუქარს, ძღვენს, მისართმეველს აღნიშნავს¹¹⁴. ქართულ სინამდვილეში გვხვდება გლეხის მიერ ძღვე-

¹⁰⁸ საქართველოს სიძველენი, წ. III, გვ. 405.
¹⁰⁹ ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური..., გვ. 231.
¹¹⁰ ქ. კუციანი. დასახ. ნაშრ., გვ. 95.
¹¹¹ ვ. გაბაშვილი. „სათანადო გამოსაღები“ გვიანფეოდალურ საქ-ში, მიმოძიწველი, III, 1955, გვ. 133; მისივე, ქართული ფეოდალ..., გვ. 241.
¹¹² ქ. კუციანი. დასახ. ნაშრ., გვ. 94.
¹¹³ ი. პეტრუშევსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 281.
¹¹⁴ ქეგელ, წ. VII, გვ. 82.

ნის გამოღების ვალდებულება. იგი „ბატონყმურ ურთიერთობაზე დამყარებული საგლეხო ვალდებულება“, რომელიც დაკავშირებული იყო საეკლესიო დღესასწაულებთან¹¹⁵. თავდაპირველად იგი „ბედნიერ“ დღეებში ბატონის მოსაკითხი იყო, რომელიც ოდესღაც მხოლოდ პატივისცემად ითვლებოდა, შემდეგ სავალდებულო ხარკად იქცა¹¹⁶. უცხო დამპყრობათვის განკუთვნილი საფეშქაშო გადასახადი იკრიბებოდა მაშინ, როცა ქვეყანა დამპყრობთა ხელში იყო. უცხოელთა უფლის გადაგდების შემდეგ ეს გადასახადიც ამოიკვეთებოდა.

გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ფეშქაში ირანის ხელმწიფისათვის განკუთვნილ რელიგიურ დღესასწაულებთან ან სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული სახელმწიფო გადასახადი იყო. იგი თავისი შინაარსით მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების გადასახადთა რიგში ღვას. ჩვენში იგი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების მიხედვით ცვლილებას განიცდიდა. ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, რომ „სვიმონ მეფე ამ წესით იქმნოდა: ანუ ძესა ურისასა, ანუ ნასყიდსა და ანუ ოსთასა გაგზავნიდა“ ფეშქაშად სპარსეთში, ე. ი. ქართველები მას ტყვეობაში არ მიჰყავდა. როსტომ მეფის დროიდან კი ქართლ-კახეთში კრებდნენ ტყვე ქალ-ვაჟებს და მათ გზავნიდნენ დამპყრობელთან¹¹⁷. XVIII ს-ში კვლავ თანხით იწყეს შეძენა ტყვე ქალ-ვაჟისა და ამ გზით ფეშქაშის შედგენა.

საქართველოში ფეშქაშის თანხის შეგროვება ყოველწლიურად არ ხდებოდა. ამაზე მიგვანიშნებს ქვემოთ დამოწმებული ციტატი: „როდესაც ბედნიერის ყეენის ფეშქაში ტყვე წავა“¹¹⁸. ეს გადასახადი ყაენის მოთხოვნილების მიხედვით იკრიბებოდა მოსახლეობაში. „დასტურლამალი“ ვხვდებით პარაგრაფს „ყეენის ფეშქაშისათვის“. ამ გადასახადის შეკრება ხდებოდა უშუალოდ ირანის მბრძანებლის მოთხოვნილებების მიხედვით. „დასტურლამალი“ საფეშქაშო გადასახადს აკანონებს, მაგრამ აკრფის ვადებს არ განსაზღვრავს.

გადასახადის ვადების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ისტორიული საბუთები და ნარატიული წყაროები. ალექსანდრე ამილახვარის „გეორგიანულ ისტორიაში“ ნათქვამია: „გადასახადებს სპარსელები ჩვენში კომლზე მარჩილს (ე. ი. 60 კაპიკს) ღებულობდნენ; ამ ფულით შვიდი ვაჟი ან ქალი უნდა იყიდონ და სპარსეთის შაჰს გაუგზავნონ შვიდ წელიწადში ერთხელ“¹¹⁹. ეს ცნობა დასახელებული საუკუნის შუა წლებს ეხება. ხოლო იმავე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1708 წლის, ერთ-ერთ საბუთში კი ვკითხულობთ, რომ საური სამ წელიწადში ერთხელ შესწერდებოდა ქვეყანას, რადგან იგი ფეშქაშის შესაძენად გროვდებოდა. საფეშქაშო გადასახადიც, რომელსაც ელები იხდიდნენ, საურის შეგროვების დროს მოხდებოდა. მაშასადამე, საფეშქაშო გადასახადიც სამ წელიწადში ერთხელ იქნებოდა დაკანონებული.

¹¹⁵ გ. აკოფაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 141.

¹¹⁶ დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1955, გვ. 221.

¹¹⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 425.

¹¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 573.

¹¹⁹ ალექსანდრე ამილახვარი. გეორგიანული ისტორია, ურნალი „მნათობი“, 1939, № 8, გვ. 127; ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 245.

მოტანილი ცნობის მიხედვით იმასაც ვიგებთ, რომ ეს ვადა სტაბილური არ იყო. ხდებოდა ხოლმე ისიც, რომ შაპი „აპატიებდა“ ქართლის სამეფოს ფეშქაშის გადახდას. ასეთ შემთხვევაში მისი შეგროვებაც ქვეყანაში გადაივადებდა გარკვეულ დრომდე¹²⁰. ელვებში საფეშქაშო გადასახადის შეგროვებაც მაშინ მოხდებოდა, როცა ქართლის სამეფოს მისი გადახდა შეეწერებოდა. მოტანილ ცნობებზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ XVIII ს. დასაწყისში საქართველოში და მასთან ერთად ელვებშიც საფეშქაშო გადასახადის შეგროვება დაკანონებული იყო სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო იმავე საუკუნის შუა წლებში კი გადასახადის აკრეფის შუალედი გაზრდილია შვიდ წლამდე.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საფეშქაშო გადასახადს, როგორც სავალდებულო ხარკს ფეოდალურ ხანაში ქართლის სამეფო ყოველთვის არ იხდიდა. ეს დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე. მტრის მომძლავრების პერიოდში ქვეყანას იგი შეეწერებოდა, ხოლო დამპყრობთა უღლის გადავდების შემდეგ კი გადასახადიც ამოიკვეთებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ფეშქაში მაინც განაგრძობდა არსებობას, მაგრამ მას სავალდებულო ხასიათი, ისეთი როგორც სპარსელობის ან ოსმალობის დროს ჰქონდა, აღარ აქვს. მისი მნიშვნელობა უკვე შეცვლილია. ასეთი სახის ფეშქაშს ქვეყნის მესვეურნი უგზავნიდნენ მეზობელი სახელმწიფოების მეთაურებს პატივისცემისა და მოკითხვის ნიშნად. ამ ტერმინს იყენებდნენ აგრეთვე ქვეყნის შიგნით სოციალურ ფენათა ან თანასწორობათვის გასაგზავნი ნობათის აღსანიშნავად.

„დასტურლამალში“ საფეშქაშო ხარჯის შესახებ ოთხ ადგილასაა ლაპარაკი. იგი შეწერილი ჰქონდათ ქალაქის, გორის, სომხეთისა და ელის მოსახლეობას, ე. ი. ქართლის სამეფოში ყველას არ ევალებოდა მისი გადახდა.

როგორც დავინახეთ, ელის დებულების მიხედვით ფეშქაშისათვის თანხის გამოღება მომთაბარეებსაც ევალებოდათ. „როდესაც ბედნიერის ყუენის ფეშქაში ტყვე წავა, მაშინ ასი თუმანი ელმა ბატონს ფეშქაშის გასაგზავნად უნდა მიაბრთვან“¹²⁰. მამასადამე, საფეშქაშო გადასახადს ელი ფულით იხდიდა, თანხის რაოდენობაც განსაზღვრული იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც დასახელებული გადასახადი თანაბრად იქნებოდა განაწილებული კომლებზე და ამიტომაც თითოეულ პიროვნებას სხვადასხვა დროს განსხვავებული რაოდენობით მოუწევდა ამ გადასახადის დაფარვა. ეს სხვაობა გამოწვეული იქნებოდა იმიტაც, რომ მოსახლეობის გადაადგილება, რაც ხშირად ხდებოდა იმ პერიოდში, ან გამრავლება მეკომურთა შემცირებას ან გაზრდას გამოიწვევდა, რაც თავის მხრივ იმოქმედებდა კომლზე გაწერილი თანხის გადაღებასა ან შემცირებაზე.

მოცემულ მასალასა და ლიტერატურაზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მბრძანებლებისათვის ძღვენის შეგროვება და მისი ხარჯების დასაფარავად გადასახადის გაწერა სამი სახით ხდებოდა: 1) ფეშქაში — მოსახლეობაში საჩუქრის შეგროვება (არა ყოველთვის), 2) საური — თანხის შეგროვება ნივთებისა და ტყვე ქალ-ვაჟის შესაძენად და 3) საფეშქაშო გადასახადი — ფეშქაშის და-

¹²⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 573.

ნიშნულების ადგილზე მისატანი ხარჯების დასაფარავად. საფეშქაშო გადასახადი ელემბის ვალდებულება იყო. მისი რაოდენობა მერყეობდა ას და ორას თუმანს შორის, ზოგჯერ მეტი ან ნაკლებიც მოდიოდა ხოლმე.

ელის სახელმწიფო ვალდებულებათა შორის ვხვდებით გადასახად ოდუნახჩას. დასტურლამალის ხელნაწერებში ეს გადასახადი ერთნაირი ტერმინით არაა წარმოდგენილი. ზოგან იგი იხსენიება როგორც „ოდუნაღჩა“, ზოგიერთში როგორც „ოდუნ ხარჯი“ ან „ოდუნ აღჩა“, ანდა „მოდინაღჩისათვის“ და ა. შ.¹²¹ გადასახადის შინაარსი, რა თქმა უნდა, ამით არ იცვლება. თურქულ და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ენათა ლექსიკონებში ასეთ კომპოზიციას არ ვხვდებით. მაგრამ ის გარემოება, რომ „დასტურლამალის“ ზოგიერთ ხელნაწერში „ოდუნახჩა“ უფრო სიტყვით არის წარმოდგენილი, უდავო მაჩვენებელია იმისა, რომ ამ გადასახადის სახელწოდება ორი თურქული სიტყვისაგან იყო წარმომდგარი. ეს სიტყვებია odun (ოდუნ) და akça (აქჩა)¹²². odun ნიშნავს შემას, ხოლო akça — ფულს ან ხურდა ფულს. ამ სიტყვათა კომპოზიციაც, რადგან მისი განკერძოებული განმარტება არ არსებობს, უნდა ნიშნავდეს შემის გადასახადს.

ოდუნახჩას განმარტებას იძლევა პ. უმიკაშვილიც: „ოდუნაღჩა — თათრ. ოდუნ — შემა, ახჩა — ფული“. შემდეგ განაგრძობს: „ოთუნახჩა — საბალახო ფული“. ოთუნახჩას საერთო არა აქვს ოდუნახჩასთან. ეს ორი სხვადასხვა სახელწოდებაა და ერთმანეთში გაიგივება არ შეიძლება. „ოთ“ თურქულად ბალახს ნიშნავს და ოთუნ კი ქართულ ნათესაობით ბრუნვას — „ბალახის“ შეესატყვისება. ამდენად, ოთუნახჩა ოდუნახჩა არ არის.

შემის მოზიდვის ვალდებულებას საქართველოშიც ვხვდებით. იგი აქ საბატონო გადასახადიცაა და სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებაც. არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში მოინალიების ვალდებულებათა შორის შემის მოზიდვისაც ასახელებს. მოინალიები „ვალდებული არიან ზამთრისათვის ბატონს შემა მოუშნადონ და არასოდეს ცეცხლი არ გააქრონ სასახლეში“¹²³. გ. აკოფაშვილი შემის მოზიდვის ვალდებულებას აღმოსავლეთ საქართველოში რუსთა ჯარის სურსათ-სანოვაგითა და პროვიანტით მომარაგების საკითხთან დაკავშირებით ახსენებს: „ერთდროული შემასა, ბზესა და სურსათის გადაზიდვის საშუალებებზე“¹²⁴ იყო შეწერილი. ყველაფერ ამას ერთად „ხარჯი“ ეწოდებოდა და ამისგან თავისუფალი არავინ იყო“¹²⁵.

1796 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „... ოქმი გვებოძა, რომელიც სამი აზრი გებრძანებინათ, — მოახსენებს მელიქ დარჩია მეფე ერეკლეს — ერთი რუსების ჩამოსატანი ურმების გარიგება, მეორე შემის გარიგება და მესამე პროვიანტის გარიგება... სამოცდა-ათის ურემის შემის გარიგების ბრძანება იყო..., ზოგი მოსულა და ზოგიც მოდის...“¹²⁶ ამ შემთხვევაშიც

¹²¹ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 282—283.

¹²² Турецко-русский словарь, М., 1945.

¹²³ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 28; დ. გვრიტიშვილი ი. ნარკვევები..., გვ. 93.

¹²⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 9456.

¹²⁵ გ. აკოფაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 135.

¹²⁶ საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 344 გვ. 332.

რუსის ჯარისათვის შეშის მოზიდვის ვალდებულებებთან გვაქვს საქმე. ამგვარად, ქართულ სინამდვილეში გვხვდება შეშის მოზიდვის სავალდებულო ბეგარა: დასავლეთ საქართველოში ეს ბეგარა საბატონოა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში იგი სამხედრო ვალდებულებათა რიგშიც დგას.

როგორც „რასტურლამალიდან“ ჩანს, ეს გადასახადი ელ მოსახლეობაში შეწერილი ჰქონდათ მიწათმოქმედებს და ნახევრად მომთაბარეებს. მისი გამოღება ევალეობდათ ინდოს ლანჩბარს, იოლჩიშვილების თაბუნს და დაბნეულ ელს¹²⁷. ელის დებულებაში ყურადღება გასამახვილებია იმ ფაქტზე, რომ ოდუნანჩას იხდის მხოლოდ დავთარში მოხვედრილი „გამომღები გლეხი“¹²⁸. მაშასადამე, გლეხი ვალდებულია იხადოს ოდუნანჩა. „გლეხი“ კი, მიწათმოქმედის აღმნიშვნელი ტერმინია რასტურლამალში. ადვილი შესაძლებელია, რომ მკვლევარს დაეზადოს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რადგანაც ძეგლის მიხედვით სხვა გადასახადებთან ერთად მომთაბარე დაბნეული ელიც იხდიდა ოდუნანჩას (ელის დებულება მომთაბარეს ელს უწოდებს, ხოლო მიწათმოქმედს „გლეხს“). ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ელი მომთაბარეა, როგორ და იხდის ოდუნანჩას, რომელიც გაწერილი იყო მხოლოდ გლეხებზე? საქმე იმაშია, რომ დაბნეული ელი არა მარტო მომთაბარეა, არამედ მიწათმოქმედიცაა, ე. ი. ნახევრად მომთაბარეა. მაშასადამე, ოდუნანჩა მას შეწერილი აქვს, როგორც მიწის მეურნეობასთან დაკავშირებულ ელემენტს, მიწათმოქმედს. სხვა ელები ამ გადასახადს არ იხდიან. აქედან დასკვნა: ოდუნანჩა მოზინადრე მიწათმოქმედებზე იყო შეწერილი, ხოლო მომთაბარენი მას არ იხდიდნენ¹²⁹.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შეშის მოზიდვისაგან „თავისუფალი არავინ იყო“, ელ მოსახლეობაში ვხვდებით ისეთ გლეხებს, რომლებიც თავისუფალი იყვნენ ოდუნანჩის გადასახადისაგან. ინდოს ლანჩბარი ვალდებული იყო ეს გადასახადი ეხადა მეფისათვის. მაგრამ ელის დებულებით ვგებულობთ, რომ აღნიშნული ლანჩბარი ამ გადასახადისაგან განთავისუფლდა, რადგან მახტას. ქოდაეს, სანავროზოსა და სამასპინძლოს იხდიდა¹³⁰. მსგავს ბულობთ. რომ აღნიშნული ლანჩბარი ამ გადასახადისაგან განთავისუფლდა, ბული ოდუნანჩის გადასახადისაგან¹³¹. ინდოს ლანჩბარის ოდუნანჩისაგან განთავისუფლება სოციალურ მიზეზებში უნდა ვეძიოთ.

განსხვავებით შეშის მოზიდვის ვალდებულებებისაგან, რომელიც საქართველოში შრომით ბეგარას წარმოადგენდა, ოდუნანჩა ელ მოსახლეობაში ფულადი გადასახადი იყო, ამას თვით სახელწოდებაც გვეუბნება. იგი კომლზე შეწერილი იყო თითო აბაზის ოდენობით¹³². საყურადღებოა ისიც, რომ ელი ნატურით არ იხდიდა მას. გლეხი, რომელიც გამომღებად დავთარში ჩავარდებოდა, ვალდებული იყო გადაეხადა ეს გადასახადი. გადასახადის ეს რაოდენობა დარღვეულია დედოფლის ელებში. იქ კომლი იხდიდა ოდუნანჩას ორ შაურს¹³³. რით იყო გამოწვეული ეს რაოდენობრივი განსხვავება, რასტურ-

127 ქართ. სამართ. ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 567.

128 ქართული სამართ. ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., წ. II, გვ. 295.

129 ქართული სამართ. ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 578.

130 ქართული სამართ. ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., გვ. 567.

131 ი ქ ვ ე. გვ. 578.

132 ი ქ ვ ე. გვ. 573.

133 ი ქ ვ ე. გვ. 717.

ლამალში ახსნილი არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოღუნაღჩა იყო სახელმწიფო გადასახადი და დედოფლის ელის კაცი ამ გადასახადს იხდიდა სახელმწიფოსათვის. გამოდის, რომ მეფის სახასო ელის კაცი ორ შაურს იხდიდა სახელმწიფოსათვის, ხოლო ორ შაურს კი — მეფისათვის, როგორც ფეოდალისათვის. დედოფლის ელის კაცი კი ფეოდალის გადასახადისაგან თავისუფალი იყო. ამდენად აქ გადასახადი შემცირებული იყო და მისი რაოდენობა ორ შაურს არ აღემატებოდა. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ კერძო მფლობელობაში მყოფი ელებიც, რომლებიც მიწათმოქმედებით იყვნენ დასაქმებულნი, ასევე იხდიდნენ ამ გადასახადს, მაგრამ ისტ. საბუთები მათ შესახებ სდუმს.

„დასტურლამალის“ მიხედვით ამ ტერმინით ქართულ მოსახლეობაზე გადასახადი გაწერილი არ იყო; მაგრამ მაჰმადიანი მეფეების დროს შედგენილი საბუთები სხვა გადასახადთა შორის ასახელებენ ოღუნაღჩასაც¹³⁴. იგი აქ მხოლოდ დასახელებულია და მისი მნიშვნელობის დადგენა არ ხერხდება. შესაძლებელია მაჰმადიანი მეფეები შემოსის გადასახადს უწოდებდნენ ამ ტერმინით.

ოღუნაღჩა სახელმწიფო გადასახადია. ამ გადასახადიდან შემოსავალი აქვთ დანიშნული სამეფო კარის მოხელეებს. სახლთუხუცესს ერგებოდა „ოღუნაღჩის თერთმეტის თავის ნახევარი“¹³⁵. აქედან შემოსავალი ჰქონდათ აგრეთვე მდივნებსაც, რომლის რაოდენობა სახლთუხუცესის შემოსავლის თანაფარდი იყო¹³⁶.

ამ ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული გადასახადების ნაწილი. გარდა ამისა, იყო კიდევ სხვა გადასახადებიც, რომლის შესახებაც შემდგომში გვექნება საუბარი.

ГИВИ БЕРДЗЕНИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ГОСУДАРСТВЕННЫЕ НАЛОГИ ЭЛИ В XVII — XVIII вв.

Резюме

Одной из форм отношений Грузинского царства с магометанским населением Квемо Картли была установление новых государственных и организация сбора ранее существовавших налогов и повинностей. Это и многие другие факторы управления служили политическим, экономическим и социальным источниками зависимости эли от грузинской короны. Налоги постепенно росли как количественно, так и по объему мер. Несмотря на грузинское влияние, сущность социально-экономической структуры эли оставалась восточной.

Эли делились на социальные слои. Привилегированные и тарханы были освобождены от выполнения некоторых государственных обязан-

¹³⁴ სცსსა, ფ. 1448, საბ. № 546.

¹³⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ი სურგულაძის გამოც., გვ. 645.

¹³⁶ ი ქ ვ ე გვ. 573.

ностей. Вся тяжесть налогов ложилась на плечи той части производителей, которая не была освобождена царем от повинностей. Трудовой народ платил налоги царю, государству и местным привилегированным, а также чиновникам и помещикам. Государственные и помещичьи налоги были в основном одинаковые. Помещичьи были те же самые, что и царские (сабатано), так как, эли, подаренные царем феодалу, платили ему те же налоги, что и раньше царю, а чиновничьи — были определены государством.

Магометанское население платило налоги за скот, за пастбища, за ремесленные изделия и т. д. как деньгами, так и натурой. Оно выполняло также трудовую повинность. Эли платили следующие государственные налоги: Сурсати, Махта, Гала, Сапешкашо, Одунагча, Кьдави, Чобанбеги, Нахиристави, Кечабаши, Тутху и т. д. Встречаются также синонимы их терминов: Сабалахе, Татрис Сабалахе, Татрис Пиристави, Гала, Ушри, Багра и т. п. Перечислить все подати и повинности в пользу привилегированных слоев эли не удастся, так как они не были узаконены и зависели от воли сборщиков налогов. Эти налоги взимались со всех отраслей хозяйства: во время религиозных праздников, разных событий в семье, при приеме гостей, при выполнении государственных обязанностей и т. д. Они принуждали налогоплательщиков обслуживать семью, ухаживать за скотом, работать в поле, на строительстве разных хозяйственных помещений и т. п. Одним словом, привилегированные независимо от времени и обстоятельств, брали оброк с каждого и на все. Эти повинности в основном обозначены восточной терминологией.

Среди государственных обязанностей значительное место занимал налог на военные цели, так называемое Сурсати. Он был распространен как в странах Ближнего Востока, так и в Грузии. В нашей стране он появился в конце 30-х и начале 40-х годов XVIII в. Этим объясняется тот факт, что Сурсати не был внесен в «Дастурламали». Мы ведем о нем суждение на основании архивных материалов.

Эли платили Сурсати в разных размерах. Об этом свидетельствует множество документов. По целому ряду документов видно, что Сурсати платили из того расчета, чтобы хватило бы отряду в течение четырех месяцев. Иногда взимали Сурсати по мере необходимости. Поэтому, этот налог в некоторых случаях собирали несколько раз в году.

Сурсати платили зерном, пшеницей, ячменем, скотом (коровами, овцами), топленным маслом, сыром, сеном, саломой и т. д. Одним словом, эти налоги охватили все виды продуктов и фураж.

В населении эли распределяли Сурсати как по дымам, так и по племенам (табунам). Его распределение было организовано государством, распределение убоины был уделом царской семьи, а остальной провизии — уделом царских чиновников.

Сурсати, собранные среди эли, играли важную роль в военно-экономической жизни государства.

Среди налогов, взимаемых с магометанского населения Квемо-Картли встречаем Махта. Она по положению эли встречается с XVII в. под названием то Махта, то Пахта, то Пахти. Ее платили земледельцы и скотоводы. Махта взималась подымно и по «табунами». Подымно она взималась разной суммой, за некоторыми «табунами» была записана в размере, установленном царем. Этот налог эли выплачивал как деньгами, так и натурой. Его собирали три раза в год. Царское правительство использовало его для покрытия государственных расходов, а также на расходы членов царской семьи.

Махтой пользовалась и церковь. Ее собирали и отдельные грузинские феодалы в своих элах. Ее платили все налогоплательщики, ланчбари — деньгами, земледельцы и ремесленники — натурой.

По положению эли выделение денежной суммы Сапешкашо возлагалось на них. Это было налогом для покрытия расходов на отправления Пешкеша шаху. Сапешкашо эли платил деньгами в сумме 100 туманов.

Налог Одунахча встречается в исторических документах под разными терминами: Одунахча, Одун Харджи, Для Одунахчи и т. д. Под каким именем не был представлен этот налог, его содержание оставалось неизменным; означает налог за дрова. Каждый дым должен был его платить по «абази», а эли, принадлежащие царице, платили по две «шаури»; его платил земледелец-крестьянин, а скотоводы — эли не платили.

В труде представлена часть налогов, связанная в основном с земледелием. Кроме этого были также и другие налоги, о которых речь будет идти в других статьях.

Л. И. ПАНЦХАВА, Я. А. КИКВИДЗЕ, Г. Б. АВАЛИШВИЛИ

О НЕКОТОРЫХ ЭЛЕМЕНТАХ КОЛХИДО-КОБАНСКОЙ БРОНЗЫ В ИСКУССТВЕ СКИФСКОГО «ЗВЕРИНОГО СТИЛЯ» (I—VII)

Вопрос о взаимоотношениях искусства скифского звериного стиля и искусства кавказского, в частности, колхидо-кобанского, до сих пор не был предметом специального изучения. Несмотря на это, вокруг него был высказан ряд интересных соображений, которые сводились к двум противоположным мнениям: то, что скифский звериный стиль происходит от кавказского, в частности, колхидо-кобанского искусства (Ф. Ганчар, Ш. Амиранашвили)¹ и, что этот стиль не имеет ничего общего с искусством Южного Кавказа (М. Ростовцев)².

На наш взгляд, скифское искусство звериного стиля своим происхождением не обязано искусству колхидо-кобанской бронзы, но в выработке специфических особенностей искусства скифского звериного стиля участвовали и некоторые элементы искусства колхидо-кобанской культуры.

Прежде всего — это использование близких приемов обобщения форм, т. е. включение многих элементов фигур разных животных в одну пластическую композицию — фигуру, а также особая манера стилизации образа животного. В искусстве скифского звериного стиля оно выражается, главным образом, в дугообразном, кольцеобразном и S-образном свертывании изображения животного. Аналогичные, но более ранние явления наблюдаются и на Кавказе, в частности в Закавказье. Наиболее яркое выражение они получили в искусстве колхидо-кобанской бронзы. S-образные стилистические изображения животных известных на колхидо-кобанских бронзовых топорах из Цхета, Оджола, Кобани, Тли (табл. I); Изображения животных в виде незамкнутого круга — на топорах из Псирица, Эшери, Хеви, Цхинвали, Цоиси, а

¹ Фг. Н а н ц а г. *Kaukasus-Luristan*, ESa, IX, Helsinki, 1934, стр. 291; Ш. А м и р а н а ш в и л и. *История грузинского искусства*. Тб., 1961, гв. 27; შ. ამირანაშვილი. *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბ., 1971, გვ. 39—40.

² M. R o s t o v z e w. *Iranians and Greeks in South Russia*, Oxford, 1922, ss 193—197.

также в большом количестве на бронзовых топорах из Тли (погребения №№ 51, 69, 121, 127, 129, 130, 165) (табл. II, III).

Интересен также и метод передачи некоторых деталей, обнаруженный на изделиях искусства как колхидо-кобанского, так и скифского. Это соединение лап животных одной прямой линией. Изображение двух лап собаки (?), соединенные одной прямой линией, известны на колхидских бронзовых топорах из кладов Цхинвали (таб. IV) и Мехчисхихе, а также из могильника в Палури (Ингургэсс). Соединенные таким методом лапы животных известны на бронзовой бляхе № 2 Кулаковского кургана, датируемого V веком до н. э.³

Кроме графических изображений на бронзовых топорах колхидо-кобанской культуры встречаются и скульптурные изваяния. Скульптурами завершаются обухи топоров⁴. В нескольких случаях это, как бы вросшиеся в обух готовящиеся к прыжку, изображения кошачьего хищника, скорее всего барса (пантера, леопард)? Такие топоры известны из Цагвери, могильника Фаскау, близ с. Галиат, Тли и топор из коллекции Де-бая (таб. V, VI). Все они датируются VIII—VII вв. до н. э.⁵ Эти скульптурные изображения стилистически очень похожи на скульптурные навершия т. н. скифских зеркал, и особенно на навершия ручек изогнутых бронзовых ножей и кинжалов знаменитой тагарской культуры из Минусинской котловины, которую Н. Членова датирует концом VII—V вв. до н. э.⁶ В данном случае мнение о самостоятельном появлении украшения деталей орудий или оружия, представляется маловероятным. Притом, украшаются такие детали, которые никак не связаны с практическим применением.

Интересно, что на раннем этапе (VI в. до н. э.) скифского звериного стиля изображается лев, образ которого затем, т. е. в V в. до н. э., меняется характерным для южно-русских степей хищником-волком⁷. Кроме льва на раннем этапе скифского звериного стиля известно, также изображение другого кошачьего хищника—барса (пантера, леопард). Лев и барс кажутся условными и странными для искусства скифского мира. Но все становится понятным и ясным, если мы обратимся к искусству Древнего Востока и Закавказья. Родиной барса является Африка, Азия и Кавказ, причем на Кавказе бытовали две его разновидности: кавказский и закавказский⁸; но в искусстве Передней Азии

³ М. Артамонов. Сокровища скифских курганов. Л., 1966, рис. 78.

⁴ დ. ქოჩიძე. კოლხური ცულები. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1968, გვ. 76—80.

⁵ ლ. ფანცხავა. კოლხური და ყობანური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი). თბ., 1975, გვ. 185.

⁶ Н. Членова. Происхождение и ранняя история племен тагарской культуры. М., 1967, გვ. 13, ტაბ. III—24—26, IV—11, XXVIII—13.

⁷ В. Ильинская. Некоторые мотивы раннескифского звериного стиля. СА, I, 1965, стр. 87.

⁸ БСЭ, 24, 1953, стр. 583—584.

изображение барса (пантера, леопард) очень редко (если не принимать во внимание известный Саккызский клад, обнаруженный в Курдистане, близ Зивие)⁹, приоритет здесь отдан льву. Можно предположить, что в искусстве скифского звериного стиля изображение кошачьего хищника-барса заимствовано с Кавказа и Завкавказья¹⁰. Интересна и сама идея изображения кошачьего хищника. Как правило, этим мотивом украшается боевое оружие (топоры, кинжалы). Этим ярко выражается назначение данного мотива. Кошачий хищник, в данном случае барс, придает оружию резкость, силу, непоколебимость. Как видно, оружие не просто полагалось украшать какими-нибудь фигурами животных, а каждый вид его требовал более или менее определенного животного. Определенный вид оружия связывается с определенным зооморфным изображением.

Кроме барса, в скифском зверином стиле подлинной популярностью пользовался олень, один из наиболее любимых образов животного в колхидо-кобанском искусстве. Как отмечают некоторые исследователи, здесь прослеживается определенная связь. Самые ранние изображения оленей с элементами скифской стилизации (рубеж VII—VI вв. до н. э.) связаны с Северным Кавказом и в них видна немалая близость к массовым ранне-кобанским скульптурным и гравированным изображениям оленей¹¹. Интересно, что и М. Артамонов скульптурное изображение оленя на бронзовом навершии посоха из станицы Махошевской связывает со скульптурными бронзовыми изображениями кобанской культуры Кавказа¹². Аналогичное навершие со скульптурным изображением оленя известно и из сел. Волковицы, датированное V—IV вв. до н. э.¹³ Примечательно, что пишет И. Анфимов о зверином стиле у меотов; кроме пантеры-барса характерные для скифского звериного стиля изображения оленя, горного козла в Прикубанье появляются, пожалуй, раньше, чем в Приднепровье и эти виды животных являются широко распространенными в фауне Северо-Западного Кавказа¹⁴.

В последнее время о взаимоотношениях Кавказского, в частности кобанского искусства (правда в очень осторожной форме) с искусством скифского звериного стиля в разных частях скифского мира, высказались некоторые ученые. Например, как думает К. Смирнов, в

⁹ R. Girshman. *Perse*. Paris, 1964, tab. 147.

¹⁰ Г. Авалишвили, Я. Киквидзе. О некоторых связях скифского и колхидо-кобанского искусства. Тезисы. У Крупновские чтения. Махачкала, 1975.

¹¹ В. Виноградов. Центральный и северо-восточный Кавказ в скифское время. Грозный, 1972, стр. 170.

¹² Там же...; М. Артамонов. Происхождение скифского искусства. СА, 4, 1968, стр. 32.

¹³ Там же.

¹⁴ И. Анфимов. К вопросу о зверином стиле у меотов. Тезисы III Всесоюзной конференции по вопросам скифо-сарматской археологии, М., 1972, стр. 15.

зверином стиле Поволжской группы есть мотивы и особенности трактовки, связанные с Северным Кавказом¹⁵. О влиянии кобанской культуры на раннежелезный век Прикамья указывает А. Смирнов (обнаруженную на Уфинском городище золотую пластинку с изображением лошади, он связывает с кобанским искусством)¹⁶.

В геральдическом изображении двух хищников из Цукур-лимана, М. Артамонов видит влияние кобанских геральдических фигур¹⁷ (таб. VII). Интересно, что изображение хищника на бронзовом навершии из «Старшей могилы», которое раньше трактовалось как заимствованное из искусства Передней Азии техникой исполнения (гравировка) типично для Кавказа, и совсем незнакомо памятникам раннескифского времени¹⁸.

Более далекие связи отмечает Н. Членова; она видит аналогии булавок из Кобани с изображениями трех баранов, с тагарскими шиллями, украшенными баранами и козлами, а также сопоставляет рога в виде спиралей т. н. «минусинского стиля» с изображением рогов колхидо-кобанских баранов¹⁹.

Как известно, та культура Евразии, которая известна под именем скифской, сложилась не ранее конца VII — начала VI в. до н. э. До этого там были распространены формы, имеющие весьма мало общего со скифским искусством²⁰. Большинство исследователей родиной и источником скифской культуры считают Переднюю Азию (горные районы к западу, северо-западу и северо-востоку от Месопотамии) (М. Ростовцев, А. Тальгрэн, К. Хентце, Э. Герцфельд, А. Годар, В. Ильинская, М. Артамонов, И. Членова, Е. Крупнов, А. Шкурко и др.)²¹. Это искусство Хетов, бронзы Луристана и Мазандарана, печати типа Керкук (Митани). Это территория от Кипра, Сирии и Палестины до

¹⁵ К. Смирнов. Савромато-сарматский «звериный» стиль. Тезисы III Всесоюзной конференции по скифо-сарматской археологии, М., 1972, стр. 12.

¹⁶ А. Смирнов. О культурных связях Кавказа с Поволжем, в сб. «Кавказ и Восточная Европа в древности», М., 1973, стр. 132.

¹⁷ М. Артамонов. Указ. работа, стр. 22.

¹⁸ მ. ფირცხალავა. არქეოლოგიის (ძვ. წ. VII—VI სს.) სკვითური კულტურის ძეგლები საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1975, გვ. 128 (სქოლიო).

¹⁹ И. Членова. Указ. работа, стр. 129, таб. 29—IX, 28—20, 21.

²⁰ М. Артамонов. Сокровища скифских курганов. Прага, 1965, стр. 13.

²¹ A. Godard. Les bronzes du Luristan. Paris, 1931; В. Ильинская. Некоторые мотивы раннескифского звериного стиля. СА № 1, 1965, п. 105; М. Артамонов. Происхождение скифского искусства. СА, № 4, 1968, 44; Н. Членова. Происхождение и ранняя история племен тагарской культуры. М., 1937, 121; А. Шкурко. Об изображении свернувшегося хищника в искусстве лесостепной Скифии. СА, № 1, 1969, стр. 39 и др.

Луристана²². Выходит, что формирование искусства скифского звериного стиля должно было произойти после возвращения скифов из Передней Азии в Северное Причерноморье, в степи России и Южной Украины. Обратный путь после известных миграций скифов в Переднюю Азию и Закавказье лежал опять-таки по Закавказью. По-видимому, как раз в это время и должно было произойти включение некоторых элементов колхидо-кобанской бронзы в искусство скифского звериного стиля.

²² Н. Членова. Указ. работа, стр. 121.

6. ჯიჰია

ჩრდილოკავკასიური ტყავის ფეხსაცმელი ეთნოგრაფიის
ბანუოფილების ფონდის მიხედვით
(VIII—XII)

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტყავის ფონდი გამოირჩევა ფეხსაცმლის მდიდარი კოლექციით. არაქართული წარმოშობის ფეხსაცმელი ძირითადად რევოლუციამდელი შენაძენია. ქართული კოლექციებით კი დღესაც მდიდრდება ჩვენი ფონდები.

ჩრდილოკავკასიური ფეხსაცმელი (51 წყვილი) მუზეუმში 1906—1917 წლებშია შემოსული, რომელთა დიდი ნაწილი დაღესტნურია. იგი ორივე სქესის ფეხსაცმელს შეიცავს.

ჩრდილოკავკასიის ეთნიკურად ჰრელ და მრავალენოვან ხალხთა ეგზოტიკური ბუნებითა და თავისებური ზნე-ჩვეულებით ბევრი მეცნიერი, მოგზაური და მწერალი დაინტერესებულა. ურიცხვია სამეცნიერო თუ პოპულარულ-საგაზეთო სტატია, რომელთა საშუალებით ვეცნობით ჩრდილო კავკასიის ხალხთა ყოფის სხვადასხვა მხარეებს — მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის წვრილმანებს. სამწუხაროდ, ფეხსაცმლის ისტორიისათვის ყველას გვერდი აუვლია, თვით ტანსაცმლის მკვლევრებსაც კი. თუმცა ფეხსამოსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტანსაცმლის კომპლექსში.

მუშაობის პროცესში ჩვენთვის ძირითად ამოსავალს წარმოადგენდა ფონდის მასალა — მაქს ტილკეს კოსტუმის ისტორია ფერადი ილუსტრაციებით გერმანულ და ინგლისურ ენებზე¹, მუზეუმში დაცული ფოტო-ალბომები, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ტყავის ფეხსაცმლის კოლექცია, მახაჩყალის მუზეუმის ექსპოზიცია, ფონდები, სხვაეუ ეთნოგრაფიული მასალა და, რა თქმა უნდა, ის ძუნწი ცნობები, რაც მიმოზნეულია სხვადასხვა სახის ლიტერატურაში.

კოსტუმის ისტორია ზოგადად, ამა თუ იმ ეპოქაში ცალკეულ ქვეყნებში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ცნობილია, ცალკეული ელემენტების როლი თავისი დროის ადამიანის გარეგნული სახის ფორმირებაში, რომელიც განსაზღვრავს მის გემოვნებას და იძლევა ხალხის ყოფის, კულტურისა და ზნე-ჩვეულების თვითმყოფ ხასიათს. „სამოსთა ფორმა, მასალა და ფერების შეხამება გვიჩვენებს ერის ეკონომიური და სულიერი განვითარების დონეს“².

¹ Wolfgang Bruhn—Max Tilke, A Pictorial History of costume, New York, 1955; Orientalische kostüme in Schnitt und Farbe non Max Tilke, Berlin, 1923.

² გ. ჩოტაია. წინასიტყვაობა ი. ციციშვილის ნაშრომზე „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“, თბ., 1954, გვ. 63.

ფეხსაცმელი, როგორც ჩაცმა-დახურვის კომპლექსის „შემადგენელი, ადამიანისა და კაცობრიობის ისტორიის წინაშე ტანსაცმლის ტოლფასოვანია.

ფეხსაცმელი ერთგვარი ეტალონია მოდისა და მატერიალური კულტურის იმ დარგს განეკუთვნება, რომელიც ქვეყნის საშინაო-სამეურნეო, ყოფით, სოციალურ, ეთნიკურ, წოდებრივ ვითარებას აქტიურად ეპასუხება. იგი ცვალებადია. მაგალითად, საჭმელი ნაკლებად ემორჩილება მოდას და საუკუნეთა მანძილზე თითქმის უცვლელად გადაეცემა თაობათა მიერ პლეადას, ფეხსაცმელი ზოჯგერ ერთი წლის განმავლობაშიც იცვლის თავის გარეგნულ სახეს. ფეხსაცმლის შეცვლას ტანსაცმლის დაგრძელება-დამოკლება, ცეკვების შესწავლის აუცილებლობა მაღალი წოდების წრეებში, ცენოსნობით გატაცება, სპორტის განვითარება და ბევრი სხვადასხვა ვითარება აპირობებდა. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისი 1800—1815 წლები, იყო ხანა მამაკაცის მეფობისა. მთელი ევროპა წააგავდა სამხედრო ბანაკს. სამხედრო განწყობლება ცხოვრების ყველა მხარეს დაეტყო, შეიცვალა კოსტუმიც. გამარტივდა სამოქალაქო, გართულდა სამხედრო ჩაცმულობა, გაუხეშდა ფეხსაცმელი.

ფეხსაცმელი იყო და რჩება ადამიანის გარეგნული იერის ტონის მიმცემად. XIX საუკუნის შუა წლებში ფრანგი ქალის ფეხსაცმლის ფორმა ისეთი გახდა, რომ ფეხის ტერფი მოკლე გამოჩნდა, მოყვანილობა, სიარული შეიცვალა და ფრანგი ქალი მთლიანობაში წარმოუდგებოდა თავის თანამედროვეთ „ჰაეროვან არსებად“. ფეხსაცმელი ჯერ კიდევ ძველ ბერძნებში, მკაცრ კლასიკურ პერიოდშიც კი, იყო კომწიაობის საგანი³.

ჩრდილო კავკასიის ხალხებმა საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ემპირიული ცოდნით თავისი წვლილი შეიტანეს მატერიალური კულტურის მსოფლიო საგანძურში. მაგრამ ნივთიერი კულტურის თვითმყოფი ელემენტების გვერდით არის საერთო კავკასიური ნიშნები, გამომუშავებული „მოსახლეობის ეთნიკური ნათესაობისა და ხანგრძლივი მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე... კავკასიის ხალხთა კულტურულ მონაპოვართა საზიარო ფონდში“⁴, ჩოხასთან⁵ ერთად, ფეხსაცმლის ზოგიერთი სახესხვაობაა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა მეზობლებთან ურთიერთობის ფენვები ღრმად იჭრება წარსულში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს, ურთიერთკავშირი ამ რაიონის მოსახლეობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ამიერკავკასიის, შუა და მცირე აზიის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (სირია, ფინიკია, ეგვიპტე) I ათასწლეულიდან დაუწყებია⁶. დიდი გავლენა იქონია ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილზე ქართულმა, სომხურმა და ალბანურმა ცივილიზაციებმა,

³ М. Н. Мерцалова. История костюма, М., 1972; Реальный словарь классических древностей по Любкеру, С-П., 1885.

⁴ გ. ჩაჩაშვილი. კავკასიის ხალხთა ეროვნული კოსტუმი, „საბჭოთა ხელოვნება“, 5, 1960, გვ. 62.

⁵ ლ. მოლოდინი, გ. ჩაჩაშვილი. ქართული კოსტუმის კატალოგი, I, ხეცსურული, თბ., 1964, გვ. 9.

⁶ Е. И. Крупинов. О чем говорят памятники материальной культуры чечено-ингушской АССР, Грозный, 1961, стр. 40.

შემდეგ იწყება არაბების შემოსევა და მისი გავლენა იზრდება (VII—VIII სს.). კავკასია XIII საუკუნიდან მონღოლების, ხოლო XVI—XVIII საუკუნეებში თურქეთისა და ირანისათვის საომარ არენას წარმოადგენდა. ამავე ხანაში იზრდება საქართველოს გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კავკასიის რუსეთთან შეერთებამ გააძლიერა რუსული გავლენა. ნ. მარი არაერთგზის აღნიშნავს კავკასიის რუსეთთან ძველი დროიდან მოკიდებულ ურთიერთობაზე. რაც შეეხება თვით ჩრდილო კავკასიას — დაღესტნის, ჩეჩენო-ინგუშეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ყოფასა და ზნე-ჩვეულებებში მკვეთრად გამოსახული საზღვრები არ არსებობდა⁷.

ასეთმა ურთიერთობამ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფეხსაცმელზე იქონია გავლენა. რა თქმა უნდა, ეს გავლენა ცალმხრივი არ ყოფილა. ჩრდილო კავკასიის ხალხები ამყარებდნენ რა კონტაქტს ამა თუ იმ ხალხთან, ამდიდრებდნენ ურთიერთს თავიანთი მიღწევებით და ინარჩუნებდნენ სპეციფიკურ თავისებურებებს.

განსაკუთრებული დარტყმა განიცადა ფეხსაცმლის ადგილობრივმა წარმოებამ რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ეკონომიური დაპყრობის შედეგად, რაც ლენინის სწავლებით გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური ექსპანსია. თანდათან იღვენებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური“ სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეს ეხება იარაღის, სპილენძის, რკინის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ტყავის და სხვ. შინამრეწველურ დამუშავებას. ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს⁸.

ჩრდილოკავკასიური ფეხსაცმლის ტიპი, როგორც ტანსაცმლის სხვა ცალკეული ელემენტი, ჩამოყალიბდა ეკონომიურ-ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის სფეროში. იგი საერთო კავკასიურია ცოტაოდენი ვარიაციებით. ჩვენ მოვახდინეთ ფონდში დაცული ჩრდილოკავკასიურ ფეხსაცმელთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია (ტაბ. VIII—XII), რომელსაც თარგი დავუდეთ საფუძვლად. გამოირჩევა ოთხი ძირითადი ტიპი: ქალამანი — „ჩარიკლარ“ (სურ. 1), უძირო — „მასილერ“ (სურ. 2), ჩექმა — „ჩაკმა“ (სურ. 3), ქოში — „ბაშმაკლარ“ (სურ. 4).


ქალამნის თარგი მეტად მარტივია⁹. გამოიყავით სამი ქვეტიპი: 1. მარტივი, 2. აჭურული წნულით პირშემოვლებული და 3. დახურული. პირველი ორი ქვეტიპი ერთნაჭრიანია, მესამე კი შედგება რამდენიმე ნაჭრისაგან.

⁷ Народы Кавказа, I, М., 1960; История Дагестана, .т I, 1967; Е. И. К р ý п н о в. დასახ. ნაშრ., გ. ჩ ი ტ ა ი ა. დასახ. ნაშრ., Н. М а р р. Избранные работы, т. V, М.—Л., 1935; გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი. ქართული გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისა, მუზეუმის მოამბე, XIX და XXI, თბ., 1957.

⁸ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. III, თბ., 1948, გვ. 703.

⁹ ი. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი. ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973; В. Д а л ь. Талковый словарь живого великорусского языка, т. III, СПб, М., 1907, стр. 847; С. А. И з ю м о в а. К истории кожевенного и сапожного ремесла Новгорода Велико-го, Материалы и исследования по археологии СССР, № 65, т. II, М., 1959.

მეორე ტიპი — „მასილერ“ რბილი ფეხსაცმელია თავისუფალი თარგითადად ჩანს სამი ქვეტიპი: ერთნაჭრიანი, სამნაჭრიანი და მრავალნაჭრიანი. 1. ერთნაჭრიანი თავისთავად ფართოფეხიანი დახურული და პირმოხდილი უნო ჩუსტებია. 2. სამნაჭრიანი ჩუსტების საპირე ორნაწილიანია, ძირი ტერფის მოყვანილობის მთლიანი ტყავის ნაჭერს წარმოადგენს. 3. მრავალნაჭრიანი „მასილერის“ საპირე ერთი ან რამდენიმე ნაჭრისაგან შედგება, ყელი ორნაჭრიანია — მაღალი ან დაბალი. ამ ქვეტიპშია გაერთიანებული თარგის იგივეობის




სურ. 1. ჩარიკლარ-თარგი, № 60—13/55

გამო სხვადასხვა მასალის კომბინირებით დამზადებული რბილი ფეხსაცმელები — ტყავისა და ნაბდის, ტყავისა და ქსოვილგადაკრული ტყავის. ამ ქვეტიპში წარმოდგენილი ფეხსაცმელები გამოირჩევა საპირე-ყელის გაფორმებით — ფერადი ძაფებით ამოქარგული მცენარეული ორნამენტები, დალიახდაგებით გამოყვანილი სწორი და ტეხილი ხაზები, ფერადი ტყავის აპლიკაციით მოსახული, ოქრომკედლით ნაქარგი და სხვ.

მესამე ტიპში გაერთიანებული ჩექმებისა და დახურული ფეხსაცმელების თარგი გაცილებით რთულია. შედგება საპირის, ყელის, საქუსარის, ლანჩის, შიდა და გარე ქუსლისაგან. ყელი განსხვავებული სიმაღლისაა — მაღალი და დაბალი. არის უქუსლო და ქუსლიანი, ჰვინტიანი და ცხვირმრგვალი.

ასევე რთულია მეოთხე ტიპის — ქოშის თარგიც, შედგენილი რამდენიმე ნაწილისაგან: საფერხულის, პირზე შემოყოლებული არშიის, სარჩულის, საქუსლის, ქუსლის, საპირისა და ნალისაგან. აქვე გამოიყოფა: ა) ღრმა, ბ) ამოღებული, გ) ენიანი საფერხულიანი, დ) ჰვინტიანი და ე) ბლაგვცხვირიანი.




სურ. 2. მასილერ-თარგი, № 97—11/8

თითოეული ტიპი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ შინ სახმარსა და გარეთ ჩასაცმელ ფეხსაცმელს შეიცავს: საღმრთაწაულო, მდიდრის, ღარიბის, მონადირის, მწყემსის, ხელოსნის, სამოგზაურო, მეთევზის, სეზონური.


დაღესტნელ მთიელთა ფეხსაცმელი მეტად მრავალფეროვანი იყო. კუმუკებში ყველაზე გავრცელებულ სახეს მამაკაცის რბილლანჩიანი, ყელიანი ფეხსაცმელი წარმოადგენდა. ადგილობრივ მასილერ || მასკის («масилер») უწოდებენ. ქუჩაში გამოსასვლელად მასზე იცვამდნენ დამატებით ფეხსაცმელს ქალუმ || კალუმრუ, რომელსაც აქვს ქართული შესატყვისი — ჩაფულა¹⁰. „მასილერის“ საპირეს „მაჩიი“ («мачий») ეწოდება, ხოლო ყელს — „იშიმ“ («ишим»), იგი ძირითადად შა-

¹⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 156.

ვი ფერისა იყო. სადღესასწაულოდ მაღალი წოდების წარმომადგენლები კი ყვითელ-
სა და წითელი ფერისას ატარებდნენ. იგი იკერებოდა ორი სხვადასხვა ფერის ნაჭ-
რისაგან (წითელი, შავი). სახლში და ლოცვის დროს მხოლოდ „მასილერს“ იტო-
ვებდნენ ფეხზე.



სურ. 3. ჩაქმა-თარგი, № 50—15/15



სურ. 4. ბაშმაკლარ-თარგი, № 1—10/25

მთელს დაღესტანში ფეხსაცმლის მეტად გავრცელებული სახეა ქალამა-
ნი — ჩარიკლარ || ჩარიხი || ჩარხ, რომლის გრძელი თასმა წვივზე ეხვევა.

„ჩარიკლარ“ განსაკუთრებით მოსახერხებელი სახმარია ველზე. შემდეგი სახე ეროვნული ფესვაცმლისა ქოშია „ბაშმაკლარ“ («башмаклар»). განსხვავებით ქალამნისაგან, ქოში მხოლოდ ხელოსნის ხელით უნდა დამზადებულიყო. ყუბაჩები ქოშებს აუცილებლად მზითევში ატანდნენ ქალს.

XIX საუკუნის II ნახევრიდან შექმნილები ატარებდნენ ქუსლიან რუსული ყაიდის ჩექმებს. საუკეთესო მკერავებად ჩამოსული ლაკები ითვლებოდნენ.

ქალის ფესვაცმლად რბილძირიანი „მაჩილერ“ («мачийлер») ითვლებოდა, რომლის ზემოთ ზამთარსა და უამინდობის დროს იცვამდნენ ქოშებს „ბაშმაკლარ“, რომელიც იკერებოდა ისევე, როგორც მამაკაცისა, მხოლოდ გამოსასვლელი მოიქარგებოდა ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით. ქოშები და ჩექმები დაჭედილი იყო ნალით.

ავართა ფესვამოსს წარმოადგენდა მიგვი — „ჩაკამშ“. ზამთარში ატარებდნენ ნაბადის საპირიანებს «კვასულ ხიტალ» («квасул хытал»), ზაფხულში რბილლანჩიან ფესვაცმელს ხმარობდნენ ქალამანს — „ჩარიკი“ («чарык»).

ლეზგებში ყველაზე გავრცელებული სახეა ბანდულები — „შალამარ“ («шаламар»), რომელსაც თითქმის მთელი წლის განმავლობაში ხმარობენ. ზამთარში სითბოსათვის თივას ჩაუფენდნენ.

ლეკებში ქალიცა და მამაკაციც უმეტესად ჭვინტიან ფესვაცმელს ატარებდნენ, ტაბასარანები — ქალამნებს („ჩარიკი“). დაღესტნურს ჰგავს აგულეების, რუტულეების, ცახურების, დარგოედებისა და მთიულ ებრაელთა ტყავის ფესვამოსი.

ჩრდილო კავკასიის ცენტრალური და დასავლეთ რაიონების მკვიდრთა ფესვამოსიც საინტერესო და მრავალგვარია. ყაბარდოელები, ჩეჩნები და ადიღები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი როგორც ენობრივი, ისევე წარმოშობისა და კულტურის ძირითადი ელემენტებით.

მდიდართა ფესვამოსია რბილძირიანი „ვაკე“ («вакье»), რომელიც საპირე მოქარგულობით გამოირჩეოდა, ფერად წითელი. ასეთი ტიპი ნაკლებ გამოსადეგი იყო ფეხით მოსიარულეთათვის, რაც იშვიათობას წარმოადგენდა ცხენს შეჩვეულ განებვირებულთა ცხოვრებაში. ღარიბთა ფეხს უხეში ტყავის სქელლანჩიანი ფესვაცმელი ფარავდა, ან ქალამანი შინდამუშავებული ტყავისაგან. ქალის ფესვაცმელი მამაკაცის ფესვაცმლის მსგავსი იყო, გამოსასვლელი წითელი ფერის.

ადიღე იმოსებოდა წულეებით, მოგვითა და ბანდულებით; აბაზინების ფესვამოსი ჩერქეზულის იდენტურია.

ყარაჩაელების ყოველდღიური ჩასაცმელი იყო ბანდულები „ჩაბირ“ («чабыр»), გამოსასვლელი და სადღესასწაულო — წულეები „ჩარიკ“ («чарык»). ფესვამოსი ოსთა, ყაბარდოელთა, ყარაჩაელთა მსგავსია — ბანდული „ჩაბირლა“ («чабырла»), წულეები.

ოსები უპირატესობას წულებს ანიჭებდნენ, ხშირად ხმარობდნენ კაკასიურ ან რუსულ მოგვებს.

ინგუშებისა და ჩეჩნების ფეხსაცმელია წულა, რბილი კავკასიური შოგვი, ჩაფლა, ნოღელებსაც საერთო კავკასიურია¹¹.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩრდილო კავკასიურთან ტყავისა თუ ნაქსოვ ფეხსაცმელთა მრავალი ტოპოლოგიური ერთგვაროვნობა მოიძებნება, რაც სამეცნიერო ლიტერატურითაც დასტურდება¹². ჩრდილო კავკასიის ყველა ეროვნების წარმომადგენელი საზეიმო და სიმდიდრის აღმნიშვნელ ფერად წითელსა და ყვითელს მიიჩნევდა.

კარგად ჩანს ამ ფერთა პრიორიტეტი ქართულ ფრესკულ მხატვრობასა და ხალხურ პოეზიაში.

„მასპინძელ კარგად მასპინძლობს გულითა მხიარულითა, ქოში წითელი გაცვითა სუფრაზე სიარულითა“¹³.

ბიზანტიის იმპერატორისათვისაც „შესამოსლის აუცილებელ ნაწილს სპარსელებისაგან გადაღებული წითელი მოგვები შეადგენდა. წითელი წაღების ჩაცმა ბიზანტიაში ტახტზე ასვლას უდრიდა და იმპერატორთა რეგალიად იმპერიის დაცემამდე დარჩა“¹⁴. რომში თუ კონსულები თეთრი ფერის ფეხსაცმელს იცვამდნენ, სენატორები მხოლოდ წითლით იმოსებოდნენ¹⁵. რუსეთის დიდებულთა საყვარელ და რჩეულ ფერსაც წითელი წარმოადგენდა¹⁶.

ზემით განხილული ჩრდილოკავკასიური ფეხსამოსის შედარება მუზეუმის ტყავის ფონდის ამიერკავკასიურ კოლექციასთან გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თამამად ვალიართ წულა-მოგვის საერთო კავკასიური ტიპის არსებობა და ნაქსოვთასმიანი ქალამნების გავრცელება მთელს დაღესტანში. იგი, როგორც ცნობილია, არ იკრება, იღუნება ტყავის მთლიანი ნაჭერი და იღებს სასურველ ფორმას, წინასწარ დახვრეტილ ნაპირებში გაეყრება თასმა. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ქალამნის დამზადებას „ამოსხმა“ ეწოდება.

საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში დასტურდება სხვადასხვა ფორმის ქალამანი, მათ შორის „ლეკური“¹⁷, რომლის ანალოგიურია სომხური ქა-

¹¹ История Дагестана, т. II, М., 1968; М. З. Аз а м а т о в а. Одежда, культура и быт колхозного крестьянства Адыгейской Автономной области, М.—Л., 1964; С. М. Г а д ж и е в а. Кумыки, М., 1961; Народы Кавказа, I, М., 1960; С. А. Т о к а р е в. Этнография народа СССР, М., 1958.

¹² გ. ჩ ი ტ ა ი ა. ეთნოგრაფიული პარალელები, I, ქართული ჰეტიკანი ფეხსაცმელი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე ტ. I, № 4, თბ., 1940; ი. ნ ა ნ თ ბ ა შ ვ ი ლ ი. ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველში, თბ., 1973; ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი. ნაქსოვი ფეხსაცმელი, კრ., თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967; ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974.

¹³ ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურეთი, თბ., 1931.

¹⁴ ნ. ჩო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ქართული კოსტუმი (VI—XIVსს.), თბ., 1964, გვ. 142.

¹⁵ И. С. В а х р о с. Наименование обуви в русском языке, Хельсинк, 1959.

¹⁶ В. Л. П р о х о р о в. Материалы по истории русских одежд и обстановки жизни народной, т. I, 1883; А. В. А р ц и х о в с к и й. Одежда, История культуры древней Руси, М.—Л., 1948.

¹⁷ ი. ნ ა ნ თ ბ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 117; მ ი ს ი ვ ე, ტყავის დამუშავებისა და გამოყენების ხალხური წესები სამეგრელოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXVIII, თბ., 1969, გვ. 275.

ლამანიც¹⁸. ქალამნებსა და ბანდულებს — ჩარის//ჩარხ, გარდა ყოველდღიური დანიშნულებისა და მისი პრაქტიკულობისა სავსე სამუშაოების შესრულების დროს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მონადირის, მწყემსის, მეთევზისა და მეომრის ჩაცმულობაში. „ბანდულით შემოსილი ფეხი ციკაბო კლდეებზე და ბალახოვან ფერდობებზე არ სცურავს... მონადირეს ნადირის დევნის დროს ხვდება ქარაფიანი კლდეები, თოვლით ამოვსებული ხევები, შვეულად დაქანებული ბალახოვანი ფერდობები, გადასახტომი ნაპრალები და საერთოდ კლდეები და ღრეში უვალი ადგილები“¹⁹.

ხევისურული ქალამანი — „ჯღანი“, რომელსაც სალაშქროდ წასასვლელად იმარაგებდნენ საფეხნოში თავშეყრილნი, საიმედო და მოსახერხებელ ფეხსაცმლად ითვლებოდა. იგი კალაპოტი (თარგით) ხარის ტყავისაგანაა გამოჭრილი, ხოლო ძირი თასმითაა მოწნული, ამგვარ მოწვნას ხევისურები „ბანდვას“ უწოდებენ. ჯღანს ძირში ბალახი უფენია ნოტიოსაგან ფეხის დასაცავად. გვერდები შვეულადაა ჩაჭრილი. ასეთი ჭრილის ჯღანს ხევისურები ლეკურად ჩაჭრილს ეძახიან, რაც იმას მოწმობს, რომ ჯღანის ეს ტიპი ხევისურებს მეზობლებისაგან უნდა ჰქონდეთ ნასესხები²⁰. ლეკურად ქალამანში ჩასადენ სპეციალურ ბალახს „ღულუ“ ეწოდება. ჩრდილოკავკასიური მეთევზის ფეხსაცმელი — ჩარისი დიდი ზომის ქალამანს წარმოადგენდა (ინვ. № 27—54, მაჩაჩაოსის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), რომელსაც ხმარობდნენ მხოლოდ ზღვისპირის მცხოვრებნი. მწყემსის „ჩარისი“ ერთი მთლიანი ტყავისაა, წინ და უკან ნაკერით და შიგ ჩაფენილი ბალახით. ასეთი სახის ქალამანი უფრო მიჯად ავარებისთვის ყოფილა დამახასიათებელი, როგორც მესაქონლე ხალხისათვის. აუტრულ ჩარისებს შალის თასმებით უფრო მეტად ლეზგები და თაბასარანელები ხმარობდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა შორ გზაზე სამუშაოდ უწევდათ წასვლა.

ფეხსაცმლის ცალკეულ ელემენტებს ღრმა წარსულისაგან მივყავართ. მაგალითად, ქუსლი, დამახასიათებელი კავკასიური ფეხსაცმლის რამდენიმე სახისათვის. ძველი ჩანს და, როგორც ლიტერატურიდან ირკვევა, რუსეთსა და დასავლეთში აღმოსავლეთიდან შესულა უკვე პირველ საუკუნეში²¹. ფეხსაცმლის თავისებური ნაწილია „ჭვინტი“. იგი ახასიათებს ჩრდილოკავკასიურ მოგესა და ქომებს. მთხრობელთა გადმოცემით მოკაუჭებული ჭვინტი ქალის ფეხსაცმელს ახლავს, ხოლო წვეტიანი — მამაკაცისას. ჭვინტიანი ფეხსაცმლით იმოსებოდნენ მაღალი წოდების მამაკაცები, ქალები და ხელოსნები. ასევე იყო აღმოსავლეთ საქართველოში — ეს ტიპი XIX საუკუნის მანძილზე მაღალი წოდების მამაკაცის, მოქალაქისა და ხელოსნის ჩაცმულობის თითქმის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა და XX საუკუნის 20-იან წლებამდე ის იშვიათად კიდევ იხმარებოდა²².

¹⁸ ი. ნ ა ნ ბ ა შ ვ ი ლ ი. ტყავის დამუშავების ხალხური..., გვ. 117.

¹⁹ ალ. რობაქიძე. რაჭაში მივლინების ანგარიში, ენიმკის მოამბე, XI, თბ., 1941, გვ. 4.

²⁰ ი. ნ ა ნ ბ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 112.

²¹ И. С. В а р х о в. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

²² გ. ჩ ი ტ ა ი ა. ეთნოგრაფიული პარალელები, I, ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი, სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 4, თბ., 1940, გვ. 309.

აკად. გ. ჩიტაიას სპეციალურ ნაშრომში დახასიათებულია ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმლის პარალელები: „დაღესტნის ის ეთნიკური არე, სადაც ამგვარი ფეხსაცმლის ხმარებაა დადასტურებული და რომლის სამოსასლო ტერიტორია ზაქათალიდან ყუბაჩამდე აღწევს. ამ ტერიტორიის გარკვეულ ეთნიკურ არეში დამოწმებული დედაკაცისა და, აგრეთვე, მამაკაცის მიერ ხმარებული ჭვინტიანი ფეხსაცმლის დასამზადებელ მასალად ქსოვილი და ტყავია გამოყენებული“. ნაშრომში აღნიშნულია, აგრეთვე, ჭვინტიანი ფეხსაცმლის რიტუალური დანიშნულება სააქაო და საიქიო ცხოვრებაში, საქორწილო ცერემონიაში²³. სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ ფეხსაცმლის ამგვარი დანიშნულება კარგადაა ცნობილი. კერძოდ, საქართველოში ქალამნები რიტუალური დანიშნულებით რკინისაც არსებობდა და მას ეკლესიებს სწირავდნენ²⁴. ინგუშებში დადასტურებულია ფეხსაცმლით მარჩიელობა თიბვის დღესასწაულზე, რომელშიც გარდა „ხუცისა“ მონაწილეობას იღებდა ექვსი გათხოვილი და სამი გაუთხოვარი ქალი. ისინი ფეხსაცმლის შემწეობით არკვევდნენ ხალხისათვის მოსალოდნელ ბედნიერებასა და უბედურებას (Долгач). ხუცებისა და თუშებ-ხეთებისაგან მომდინარე ძეგლებში როგორც ღვთაების (თუშები), ასევე მითოლოგიურ არსებათა და მეომართა ბარელიეფებზე²⁵, ჭვინტიანი ფეხსაცმელი მრავლადაა წარმოდგენილი.

სამხედრო საქმის საჭიროება ხშირად განსაზღვრავდა ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას. ეს ეხება ნაწილობრივ ტყავის ხელოსნობასაც²⁶. ჩრდილო კავკასიაში ამ მხრივ შეუდარებელი ხელოსნები იყვნენ ლეკები, ხასავ-იურთელი ყუმუხები და ყაბარდოელები. ჩაჩნები და ოსები ამათ ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ინგუშებზე წინ იდგნენ²⁷.

კახეთში ადგილობრივი ოსტატები კარგ მკერავებად იყვნენ მიჩნეულნი, მაგრამ საყოველთაო ქება და მოწონება უფრო დაღესტნიდან და არზრუმიდან მოტანილ ფეხსაცმელს ჰქონდა მოპოვებული²⁸.

მთხრობელთა²⁹ გადმოცემით, ყველაზე კარგი ხელოსნები მთელს დაღესტანში შოგვრელი ლაკები იყვნენ. შთამომავლობით ფეხსაცმლის მკერავები, თაობიდან თაობას გადასცემდნენ თავიანთ ხელობას და დღესაც მახაჩყალის ფეხსაცმლის სახელოსნოებში თითქმის მხოლოდ სოფ. შოგვრადან ჩამოსული ლაკები მუშაობენ. ანდაზაც კი არსებობს — ბიჭი შოგვრაში ჩაქუჩით იბადებაო. შოგვრელები სიამაყით იგონებენ, რომ მათი წინაპრები შეგიძრად არ ყოფილან არასოდეს, ისინი პირდაპირ ხელოსნებად მუშაობდნენ. გადმოცემით, თეთრგვარდიელთა დიდი რაზმი გარშემორტყმია სოფელ შოგვრას და ამოწყვეტით ემუქრებოდა მათ წითელარმიელთა შეფარებისა-

²³ გ. ჩ ი ტ ა ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 310—II.

²⁴ გ. ნ ი ო რ ა ძ ე. საკულტო დანიშნულების რკინის ფეხსაცმელი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI—B, თბ., 1950, გვ. 275.

²⁵ გ. ჩ ი ტ ა ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 312.

²⁶ Античная цивилизация, М., 1973, стр. 180.

²⁷ ვ. ი თ თ ი შ ვ ი ლ ი. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969, გვ. 57.

²⁸ ლ. ბ ო ჭ ო რ ი ვ ი ლ ი. კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 209.

²⁹ მახაჩყალაში ათღლიანი მივლინების დროს მქონდა შესაძლებლობა აღნიშნული საკითხი შემესწავლა ფეხსაცმლის ხელოსნებისა და მუზეუმის მეთვალყურეების დახმარებით.

თვის. სოფელში მყოფი ყოფილი თეთრგვარდიელი, ოფიცრის ფორმით წარუდგა თეთრგვარდიელთა მეთაურს და თხოვნით მიმართა დილამდე დაეცადათ. მთელი ღამე არ შეწყვეტილა ჩაქუჩის კაკუნი. დილისათვის მთელი რაზმი ერთ ღამეში დამზადებული ფეხსაცმლებით შემოსეს, გაოცებული და კმაყოფილი თეთრგვარდიელები სასწრაფოდ გაერიდნენ ხელოსანთა სოფელს.

ამრიგად, ჩრდილოკავკასიური ფეხსაცმლის ტიპი ჩამოყალიბდა მრავალსაუკუნოვან ისტორიულ-ეკონომიურ პროცესში, განსაკუთრებულ გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოში, ახლო მეზობლებსა და სხვა ხალხებთან სავაჭრო-მეგობრულ და საომარ ურთიერთობაში. საერთო მსგავსი ნიშნები აისახა არქეოლოგიურ მასალაში, კედლის მხატვრობასა და საფლავის ქვებზე, ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, XIX საუკუნის ფოტო-მასალაზე, მახაჩყალის, მოსკოვისა და თბილისის მუზეუმების ტყავის ფონდების ფეხსამოსის კოლექციებში³⁰.

Н. П. ДЖИКНЯ

СЕВЕРОКАВКАЗСКАЯ КОЖАНАЯ ОБУВЬ ПО ФОНДУ ЭТНОГРАФИЧЕСКОГО ОТДЕЛА

Резюме

Кожаный фонд Гос. Музея Грузии отличается богатой коллекцией обуви. Обувь негрusinского происхождения поступила в Музей, в основном, в дореволюционный период, грузинская коллекция же пополняется и по сей день.

Как известно, обувь занимает в истории человечества такое же место, как и одежда. Она является своеобразным эталоном моды и относится к той части материальной культуры, которая активно отражает хозяйственные, бытовые, социальные и этнические взаимоотношения в стране.

Основой нашей работы являлись: фондовый материал, история костюма М. Тилке с цветными иллюстрациями на немецком и английском языках, музейные фото-альбомы, коллекция кожаной обуви Мос-

³⁰ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. ივრის ფშაგებთან, ენიშკის მოამბე, XI, 1941; Н. Ч у б н и а ш в и л и. Хандиси, Тб., 1972; С. А. Т о к а р е в. Этнография СССР, М., 1958; Е. И. К р у п н о в. Древняя история и культура Кабарды, М., 1957; გ. ჩ ი ტ ა ი ა. დასახ. ნაშრ.; გ. ჩ ა ხ ა შ ვ ი ლ ი. ქართული გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX ს., მუზეუმის მოამბე, XIX - A და XXI - B, თბ., 1957; Г. А. К о ш е л е н к о, Культура Парфии, М., 1966; С. А. И з ю м о в а. К истории кожевенного и сапожного ремесла Новгорода Великого, М., 1959; Историко-этнографический атлас, Русские, М., 1967; Альбом Эрмакова, Эстонская народная одежда XIX и начало XX в., Талин, 1960; M a x T i l k e. დასახ. ნაშრ.; M a x T i l k e, Studien zu der Entwicklungsgeschichte des Orientalischen Kostüms, Berlin, 1923; Albanien, Bauten, Trachten und geräte Nordalbanians von Franz Baron Nopca, Berlin und Leipzig, 1925.

ковского Исторического музея, экспозиция Махачкалинского Музея, полевой этнографический материал и те скудные сведения, которые разбросаны кое-где в литературе.

Эмпирические знания, накопленные на протяжении веков народами Северного Кавказа, внесли посильный вклад в сокровищницу материальной культуры мира. Однако, наряду с самобытными элементами культуры, имеются и общекавказские признаки, выработанные на основе этнического родства населения и длительных, тесных культурно-исторических связей. В общий фонд культурных ценностей кавказских народов, вместе с чохой, входят и некоторые типы обуви.

По этнографическим данным, лучшими ремесленниками во всем Дагестане считались лаки, из сел. Шовкры, потомственные сапожники, которые из поколения в поколение передавали свое мастерство; и сегодня в обувных мастерских г. Махачкалы работают только жители сел. Шовкры.

Северокавказский тип обуви был выработан в течение многовекового историко-экономического процесса, в особой географическо-климатической среде, в результате торговых, дружественных и др. контактов с соседними и другими народами, что способствовало появлению многих дальних и близких параллелей.

თ. ჭუთელია

თბილისის ზარაფხანა XVII—XVIII სს.
(ვერცხლის ფული)
(XIII—XIV)

XVI—XVII საუკუნეებში თბილისი კვლავ რჩებოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრად. იმდროინდელი ირანელი, თურქი და ევროპელი ისტორიკოსები თუ მოგზაურები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თბილისი ხალხმრავალი ქალაქი იყო გაცხოველებული ვაჭრობით¹. მიუხედავად იმისა, რომ 1556 წლიდან მოყოლებული 1748 წლამდე თბილისის ციხეში უმეტესად ყიზილბაშური, ხან თურქული გარნიზონი იდგა და ქართლის მეფეების (ლუარსაბ I, სიმონ I, გიორგი X, ლუარსაბ II, თეიმურაზ I) თავგანწირული ბრძოლა უცხოელთა გარნიზონის გასადევნად მარცხით დამთავრდა, ქალაქში აქტიური ცხოვრება არ ჩამკვდარა. გადაურჩა თბილისი შაჰ-აბას I გამანადგურებელ შემოსევებსაც. მთელი XVII საუკუნის განმავლობაში რჩებოდა იგი მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრად და ერთადერთი საქართველოს ქალაქებიდან ინარჩუნებდა „მკიდრო კავშირს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრებთან“². თბილისის გაცხოველებული საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთი უტყუარი საბუთია აქ ზარაფხანის არსებობა და მისი ინტენსიური მოქმედება XVII—XVIII საუკუნეებში.

ირანში სეფიანთა დინასტიის ბატონობის პერიოდში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ფულის რაობაზე არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრება. ერთის ავტორია ე. პახომოვი, მეორისა — დ. კაპანაძე. ე. პახომოვს მიაჩნდა, რომ ეს ფული წმინდა სპარსულია, ისეთივე როგორც ისფაჰანსა ან თავრიზში მოჭრილი, ხოლო თბილისის ზარაფხანას იგი უწოდებს «персидский тифлисский монетный двор» და, ამრიგად, არ ასხვავებს თავრიზის, ისფაჰანის, ერევნის და სხვა ზარაფხანებისაგან³. ამის საწინააღმდეგოდ დ. კაპანაძეს მიაჩნდა, რომ ეს ქართული ფულია, მოჭრილი ირანული ნიმუშების მიხედვით⁴.

¹ ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, თსუ შრომები, № 99, თბილისი, 1962 (წყაროების მითითება იხ. იქვე).

² ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 257.

³ Е. А. П а х о м о в. Монеты Грузии, Тбилиси, 1970, გვ. 217.

⁴ ი ქ ვ ე. დ. კაპანაძის კომენტარი, გვ. 337: «Грузинские монеты того времени правильнее было бы называть «битыми по иранским образцам».

როგორც ცნობილია, სამონეტო ემისიას გააჩნია ორი უმთავრესი მხარე — იურიდიული და ეკონომიური. იურიდიული თვალსაზრისით თბილისში XVII ს-ში და XVIII ს-ის დასაწყისში მოჭრილი ფული, რასაკვირველია, ირანულია. ასე მიაჩნდათ თანამედროვეებსაც. მაგალითად, სომეხ ვაჭარს ზაქარია აკულისელს 1651 წელს თურქეთში, სტამბოლში, ნავაჭრი ფული ჩაუბარებია თბილისის ზარაფხანისათვის, რათა იგი გადაეჭვდათ სპარსულ ფულად, და მერე ამ ფულით დაბრუნებულა მშობლიურ აკულისში, რადგანაც, მისი სიტყვით, ირანში მხოლოდ სპარსული ფული გადიოდა⁵.

სეფიანი შაჰები სიქის (და ხუთბის) უფლებას მიიჩნევდნენ თავისი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს რეგალიად და სხვისი სახელით მონეტის მოჭრა იმ ტერიტორიაზე, სადაც მათ ასე თუ ისე ხელი მიუწვდებოდათ, ნიშნავდა ირანისათვის ომის გამოცხადებას⁶. ცხადია, ქართლის მეფეები, რომლებიც XVII ს. ირანის შაჰების ვასალებად ითვლებოდნენ, სხვა, არაირანული, ფულის მოჭრას ვერ გაბედავდნენ. ყურმოკრული ცნობა, თითქოს ქართლის მეფემ ვახტანგ V შაჰნავაზმა გაბედა საკუთარი მონეტის მოჭრა, გამხდარა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შაჰ-სულეიმანი ჯარით დაიძრა ქართლისაკენ ურჩი ვასალის დასასჯელად. შაჰნავაზი იძულებული გახდა თავის გასამართლებლად გამგზავრებულიყო შაჰის კარზე (გზაზე იგი გარდაცვლილა კიდეც). ერეკლე პირველს შაჰნავაზის აღნიშნული აქტი (საკუთარი ფულის მოჭრა) სრულიად სამართლიანად მიაჩნდა იმავე რიგის მოვლენად, როგორც შაჰნავაზისავე მიერ თურქეთთან ანტიირანული მიმოწერის გაბმა⁷.

XVII ს. და XVIII ს. პირველ ოცწლეულში თბილისში მოჭრილი თარიღ-შერჩენილი მონეტების შედარება საკუთრივ ირანის ქალაქებში მოჭრილ თანადროულ მონეტებთან გვიჩვენებს, რომ სამონეტო ზედწერილის და, საერთოდ, მონეტის ყოველგვარი ცვლილება, რაც ხდებოდა ირანში, დაუყოვნებლივ, იმავე წელს აისახებოდა ხოლმე თბილისის ზარაფხანის პროდუქციაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ შაჰის დივანის სათანადო უწყება ქართლში სისტემატურად აგზავნიდა ახალი ზედწერილის ტექსტს, რომლის მიხედვითაც თბილისში ჭრიდნენ ახალ სიქას⁸.

ამრიგად, იურიდიული თვალსაზრისით, თბილისში მოჭრილი ფული ირანულ ფულად უნდა იქნეს აღიარებული. მით უმეტეს, რომ თბილისის მონეტების რემედიაშიც პრინციპში შეესატყვისებოდა ირანულ სტანდარტს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ირანის შაჰები კმაყოფილდებოდნენ ქართლის მეფეების მიერ მორჩილების გამოხატვის ამ ფორმით — სპარსული მონეტის მოჭრით, ხოლო თბილისის ზარაფხანაში მონეტის მოჭრის, მისი რაოდენობისა და ლითონის ხარისხის კონტროლის საქმეში სრულებით არ ერეოდნენ. ყველაფერა ეს შედიოდა ქართლის მეფის იურისდიქციაში. ქართლის მეფის ხაზინაში შედიოდა ზარაფხანის ექსპლოატაციით მიღებული შემოსავალიც.

⁵ Дневник Захария Акулисского, Ереван, 1939, გვ. 30.

⁶ R. St. P. o o I. Catalogue of Coins of the Shahs of Persia in the British Museum, London, 1887, გვ. XX.

⁷ Переписка грузинских царей с российскими государями, СПб., 1861, გვ. 88.

⁸ შეად : Е. А. Пахомов Монетные клады Азербайджана и других республик и краев Закавказья, VII, Баку, 1957, გვ. 17.

ისქანდერ მუნშის ცნობით, ქართლის მეფეებმა ჯერ კიდევ შაჰ თაჰმასპ I დროს „დაამშვენეს ფული შაჰის სახელით“⁹.

სეფიანი შაჰის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის ყველაზე ადრეული მონეტა, დაცული დრეზდენის მუზეუმში, მოჭრილია ჰიჯ. 1013 წ. (1604/5 წ.) შაჰ აბას I სახელით¹⁰. ისმება კითხვა: ვის შეეძლო მოეჭრა ეს მონეტა? თბილისის ციხეში ამ დროს ოსმალური გარნიზონი იდგა. სწორედ ჰიჯ. 1013 წ. (1604-5 წ.) ქართლის მეფე გიორგი X „იმ მიზეზით, რომ ვაი თუ თბილისსა და ახალციხეში მდგარმა ოსმალებმა შეაწუხონ ჩემი ქვეყანა“, ერევნიდან ქართლში დაბრუნების ნებართვა მიიღო შაჰ აბას I-საგან¹¹. ცხადია, რომ ოსმალური გარნიზონი ჰიჯ. 1013 წ. (1604-5 წ.) არავითარ შემთხვევაში არ მოჭრიდა ფულს იმ სახელმწიფოს სიუხერნის სახელით, რომელსაც ოსმალები ებრძოდა (ირან-ოსმალების მორიგი ომი დაიწყო 1603 წელს და დამთავრდა 1612 წელს სტამბოლის ზავით)¹². თბილისში ამ დროს ირანის ხელისუფლებაც არ ჩანს: შაჰ აბასმა თბილისიდან ოსმალები მხოლოდ ჰიჯ. 1015 წ. (1606-7 წ.) განდევნა და თბილისის ციხეში ყიზილბაშები ჩააყენა¹³.

ერთადერთი რჩება ქართლის მეფე გიორგი X, რომელმაც, როგორც ჩანს, ისარგებლა შაჰ აბას I შეტევით ოსმალების წინააღმდეგ და თბილისი ფაქტიურად დაიმორჩილა. არც ის არის გამორიცხული, რომ გიორგი X თბილისს ადრევეც ფლობდა, თუმცა ციხეში თურქული გარნიზონი იოგა¹⁴. 1606 წლის შემდეგაც მსგავსი ვითარება ჩანს: თბილისის ციხეში ყიზილბაშური გარნიზონი იდგა, მაგრამ ქალაქი ქართლის მეფეებს — ჯერ გიორგი X, შემოიკა ლუარსაბ II ემორჩილებოდა¹⁵. გიორგი X ფორმალურად აღიარებდა ირანისადმი ვასალურ დამოკიდებულებას და სწორედ, ამ დამოკიდებულების გამოხატვის იურიდიული აქტი უნდა ყოფილიყო თბილისის ზარაფხანაში ჰიჯ. 1013 წ. (1604-5 წ.) ირანული მონეტის მოჭრა.

⁹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოცემა ა. ფუჟერის მიერ, თბ., 1969, გვ. 14.

¹⁰ Е. А. Пахомов. Монеты Грузии, Тб., 1970, გვ. 217.

¹¹ ისქანდერ მუნში, გვ. 44.

¹² И. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Стоева, Л. М. Беленицкий. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Ленинград, 1958, გვ. 274.

¹³ ისქანდერ მუნში, გვ. 69.

¹⁴ ვახუშტის ცნობით, გიორგი X თბილისში ეკურთხა მეფედ 1600 წ. (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 419). ამ ცნობის საფუძველზე დ. გვრიტიშვილს მოიჩნდა, რომ 1583 წ. სომხ I მიერ თბილისის ციხის აღების შემდეგ თბილისი ციხიდან ქართველებს ეპყრა 1600 წლამდე მაინც (იხ. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 144). ზემოთ მოტანილი ფაქტების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც თბილისის ციხეში მტრის გარნიზონი იდგა, ქალაქი კი ქართლის მეფეს ეპყრა. ასევე შეიძლება ყოფილიყო 1600 წელსაც, გიორგი X კურთხევის დროს.

¹⁵ შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. დასახ. ნაშ., გვ. 145.

შაჰ აბას I სახელით თბილისში მოჭრილი მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა უთარიღოა. ერთადერთი ჩვენს ხელთ არსებული თარიღიანი ცალი მოჭრილია ჰიჯ. 1032 წ. (1622-23 წ.)¹⁶ და თითქმის ექვს გარეშე შაჰ აბასის მიერ ქართლის მმართველად დანიშნულ და თბილისში ყიზილბაშთა ჯარის თანხლებით შემოსულ გამაჰმადიანებულ სიმონ ხანთან (1619—1631 წწ.) უნდა იყოს დაკავშირებული. ეს თარიღიანი მონეტა სტილისტურად მკვეთრად განსხვავდება შაჰ აბას I სახელით თბილისში მოჭრილი ყველა სხვა მონეტისაგან (იხ. ტაბ. XIII,2): იგი უფრო თხელია, მისი ზედწერილები უფრო სრული და გარკვეულია. ამასთან თარიღიანი მონეტა ყველა დანარჩენ მონეტაზე უფრო მსუბუქია: მისი წონა 7,53 გრამია, მაშინ, როცა შაჰ აბას I სახელით მოჭრილი დანარჩენი თბილისური აბაზიანების საშუალო წონა 7,67 გ შეადგენს.

თარიღშეუზრჩენელი მონეტების ზედწერილები უხეში და ულახათოა, რითაც ისინა თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ირანის ქალაქებში შაჰ აბას I დროს მოჭრილ მონეტებისაგან. ვფიქრობთ, რომ ეს ორი გარემოება — მათი შედარებით მაღალი წონა და სტილისტური სხვაობა ირანის ზარაფხანების თანადროული პროდუქციისაგან — ამ მონეტების დაახლოებითი დათარიღების საშუალებას იძლევა. ჰიჯ. 1026 წ-დან (1617 წ.) ირანში აბაზის დაკლებული წონით მოჭრა დაიწყო: თუ ადრე აბაზის ფაქტიური საშუალო წონა 7,62 გრამს შეადგენდა, 1617 წლის შემდეგ იგი 7,50 გრამი გახდა მაშინ, როცა აბაზის სტანდარტი (7,8 გ) არ შეცვლილა¹⁷. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ თარიღშეუზრჩენელი მონეტები თბილისში იჭრებოდა 1617 წლამდე.

1969 წელს ზაგემის ნაქალაქარზე აღმოჩენილი განძი¹⁸ საშუალებას იძლევა კიდევ უფრო დავაზუსტოთ ამ მონეტების თარიღი. ამ განძის შემადგენლობაში შედის თბილისის ზარაფხანაში შაჰ აბას I სახელით მოჭრილი ორი მონეტა¹⁹. განძის ყველაზე გვიანდელი მონეტები მოჭრილია ჰიჯ. 1024 წ. ანუ 1615 წ. ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია ჰიჯ. 1011 წ. ანუ 1602-3 წ. (სულ განძში 189 მონეტაა). მაშასადამე, თბილისური აბაზებიც „შეიძლება ჩაეთვალოს მოჭრილად ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში — 1603—1615 წწ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ამ მონეტებს ურიდნენ ქართლის მეფეები: გიორგი X და ლუარსაბ II (1606—1615 წწ.)²⁰. თბილისის ზა-

¹⁶ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების ქართული ძირითადი ფონდი (შემდგომი: ქ. ძ.), იხვ. № 4853; იხ. E. A. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 217.

¹⁷ А. Раджабли. Из истории монетного дела в Сефевидском государстве, Материалы по истории Азербайджана, т. IV, Баку, 1961, გვ. 55.

¹⁸ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდი (შემდგომი გ. ფ.), №№ 13361—13556.

¹⁹ გ. ფ., 13361, 13362.

²⁰ შაჰ აბას I სახელით თბილისში მოჭრილი მონეტების შესახებ მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს რ. ქებულაძეს. იგი წერს: „ჩვენი აზრით, შაჰ აბას I სახელით აღბეჭდილი თბილისური აბაზიანები მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც მტრის შემოსევებამდე უნდა იყოს გამოშვებული. ქვეყნის მიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გარდა ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ შაჰ აბას I გარდაცვალებიდან (1628 წ.) 1643 წლამდე თბილისის პროდუქცია სულ არ ჩანს“ (იხ. რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 108). როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრება რ. ქებულაძეს გამოთქმული აქვს ფაქტიური მასალის გაუთვალისწინებლად. იგი არ იცნობს თბილისის ზარაფხანაში 1622/23 წ. (ჰიჯ. 1032 წ.) მოჭრილ ზემოთ ნახსენებ მონეტას და არც სეფი I სახელით თბილისში 1632 და 1641—42 წლებში (ჰიჯ. 1041 და 1051 წწ.) მოჭრილ მონეტებს, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

რაფხანა მონეტას უშვებდა, უპირველეს ყოვლისა, თბილისელი ვაჭრებისათვის. ეკონომიურად ამ მონეტით დაინტერესებული იყო თბილისი და ქართლი. სწორედ, თბილისელი ვაჭრებისა და ქართლის სამეფოს ეკონომიური მოთხოვნილებით იყო გამოწვეული თბილისის ზარაფხანის არსებობა, თორემ ყიზილბაშური გარნიზონი საქართველოს სხვა პუნქტებშიც იდგა: მაგალითად, დმანისისა და ლორეში, მაგრამ იქ ფული არ მოჭრილა.

თბილისის ზარაფხანის მფლობელი XVII საუკუნეში მხოლოდ ქართლის მეფე ჩანს. ქართლში როსტომის (1632—1658 წწ.) გამეფების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში 1641 წლიდან მაინც, თბილისის ზარაფხანა უკვე რეგულარულად ჭრის ფულს და ზარაფხანის პატრონი ყოველთვის ქართლის მეფეა. საკუთრივ ირანის ქალაქების ზარაფხანები „თაზქირათ ალ-მულუქის“ მიხედვით ექვემდებარებოდა ირანის სახელმწიფო დივანის სპეციალური უწყების მოხელეებს — მუაირებს²¹, თბილისის ზარაფხანა კი როსტომის დროიდანვე — მხოლოდ ქართლის მეფის სახელმწიფო აპარატს. ზაქარია აკულისელის ცნობით, 1651 წელს „თბილისის ზარაფხანა იყო როსტომ ხანის ხელში, ზარაფად კი ხოჯა ბეიბუთი“²². XVII საუკუნის შუა ხანების ცნობილი ფრანგი მოგზაური ტავერნიე აღნიშნავს, რომ „ტფილისის მეფე ფულსა ჭრის სპარსეთის ხელმწიფის სახელით ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ვერცხლის ფულეებისაგან... ეს ფულები ევროპიდან მოაქვთ სომხებს და სამაგიეროდ აქედან გააქვთ სხვადასხვა სავაჭროები“²³.

თბილისის ზარაფხანის შემოსავალი, ცხადია, შევიდოდა არა ირანის სახელმწიფო ბიუჯეტში, არამედ ქართლის მეფის სალაროში, მით უმეტეს, რომ ქართლიდან შემოსული გადასახადი, სახანოებისაგან განსხვავებით, საერთოდ არც იყო შეტანილი ირანის სახელმწიფო ბიუჯეტში²⁴. ვახტანგ VI დროს შედგენილ საკანონმდებლო კრებულშიც „დასტურლამალში“ ყველაფერი ასევე აისახა.

„დასტურლამალი“ შეიცავს სპეციალურ მუხლს (კარი 19, მუხლი 69, ზარაფხანის რიგი), სადაც დაწვრილებით არის განსაზღვრული თბილისის ზარაფხანის ყველა მოხელის უფლება-მოვალეობანი და ზარაფხანის შემოსავლის განაწილების წესი²⁵. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. გაბაშვილი,

²¹ Rabinovich B. Coins, Medals, and Seals of the Shahs of Iran. 1500—1941, Hertford, 1945. გვ. 1.

²² ე. ბახომოვის წიგნის «Монеты Грузии» კომენტარებში დ. კაპანაძე (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 335) წერს, თითქოს თბილისის ზარაფხანა, ზაქარია აკულისელის ცნობით, როსტომმა ხოჯა ბეიბუთას მისცა იჯარით. სინამდვილეში კი ამ ცნობაში ხოჯა ბეიბუთი ნახსენებია როგორც ზარაფი და არა როგორც მოიჯარადრე, იხ. Дневник Захария Акулинеского, გვ. 39. საინტერესოა, რომ ერევნის ზარაფხანას, იმავე ზაქარიას ცნობით, იჯარით იღებენ უშუალოდ შაჰისაგან 1658 წელს ზაქარიას ძმა შმაგონი, ხოლო 1667 წელს ვინმე ალა ველი, რომელიც მხოლოდ 6 თვეს მართავდა ზარაფხანას, შემდეგ კი ზარაფხანა ერევნის ხანს გადაეცა. იხ. იქვე, გვ. 63.

²³ ტავერნიეს მოგზაურობიდან, თარგმანი ალ. ჭყონიასი, „მოამბე“, № VI, 1898, გვ. 3.

²⁴ ვ. გაბაშვილი. სპარსული დასტურლამალი, თსუ შრომები, XXXV, თბილისი, 1949, გვ. 218.

²⁵ ქართული სამართლის ძეგლები, 1. ხელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და სძიებულები დაურთო ი. სურგულაძემ, თბილისი, 1970, გვ. 533—535.

სახლთუხუცესისა და მდივნების მონაწილეობა ზარაფხანის შემოსავალში ამ დაწესებულების ქართლის მეფეზე დამოკიდებულებას უნდა მოწმობდეს²⁶. ამასთან „დასტურლამალში“ სრულიად გარკვეულია ირანის შაჰისათვის მისარ. თმევი „ფეშქაშის“ რაობა და ქართლის კარზე ირანის შაჰის წარმომადგენლების უფლებები, სათანადო მუხლებში კი ზარაფხანა საერთოდ არ ფიგურირებს²⁷. თბილისის ზარაფხანა რომ ქართლის მეფეს ეკუთვნოდა, ამას მოწმობს ზარაფხანის ადგილმდებარეობაც: ზარაფხანა ციხეში კი არ მდებარეობდა, სადაც ყიზილბაშური გარნიზონი და მთლიანად სპარსული მოსახლეობა იყო, არამედ ქალაქში, სიონსა და მეიდანს შორის, ე. ი. ტერიტორიაზე, რომელსაც ქართლის მეფე უწევდა კონტროლს²⁸.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა ემსახურებოდა ქართლის ქალაქების ვაჭრების ინტერესებს და აკმაყოფილებდა ქართლის ბაზარს, რაზეც მიუთითებს XVII ს. მეორე ნახევრისა და XVIII ს. პირველი მეოთხედის საქართველოში აღმოჩენილი მონეტათა განძები, რომელთა შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თბილისში მოჭრილ ფულს. თბილისში მოჭრილი ფული გადიოდა საქართველოს და ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთაც: ცნობილია თბილისური მონეტები, რომელთაც ოსტ-ინდოეთის დანიური კომპანიის კონტრამარკა აზის²⁹.

ზარაფხანის ექსპლოატაციით ქართლის მეფის ხაზინაში საკმაოდ დიდი თანხა უნდა შესულიყო. „დასტურლამალის“ მიხედვით ირკვევა, რომ ზარაფხანაში გამოდნობილ ყოველ 2 000 მისხალზე ვახტანგ VI დროს საბატონო გადასახადი იყო 5 მინალთუნი (უფრო აღრე კი 6 მინალთუნი ყოფილა), რაც შეადგენს თანხის 2%. (ერთი მისხლიდან 2,5 შაური იჭრებოდა და 2 000 მისხალი შეადგენდა 5 000 შაურს ე. ი. 250 მინალთუნს)³⁰. დაახლოებით მაინც რომ წარმოვიდგინოთ ზარაფხანის შემოსავლის ოდენობა, უნდა გავიხსენოთ, რომ ზარაფხანის იჯარა ირანში შეადგენდა 700-დან 1500 თუმანს წლიურად³¹. აშკარაა, რომ მთელი შემოსავალი საიჯარო თანხაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. 700-1500 თუმანი კი საკმაოდ დიდი თანხა იყო XVII საუკუნეში.

²⁶ ვ. გაბაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 218.

²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 222, 545, 699.

²⁸ მ. ბერძენიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 33, 34, 74; უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ციხის ყიზილბაშური გარნიზონის უფლებები სულაც არ იყო განუსაზღვრელი და ქალაქზე არსებითად არც კი ვრცელდებოდა. იხ. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975, გვ. 331, 322. შაჰნავაზის დროს შაჰ სულეიმანს ერთხელ უცდია თბილისის კარების მცველად ყიზილბაშები დაეყენებინა, მაგრამ ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 454; დ. გვრიტიშვილი. შ. მეხსია, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 155).

²⁹ ჰიჯ. 1092 წ. (1681/82 წ.) თბილისში მოჭრილი აბაზიანი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში. იხ. R a b i n o d i B o r g o m a l e. Album of Coins. Medals. Seals, of the Shahs of Iran, Oxford, 1955, ტაბ. 8, № 211; მეორე ასეთივე მონეტა დაცულია ვრმიტაქში, ყოფილი აზიის მუზეუმის კოლექციაში. Ch. F r a e h n. Recensio Numozum Muhammedanozum, Petropoli, 1826, გვ. 468, № 39.

³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 535.

³¹ R a b i n o. Coins, გვ. 2; Дневник Захария Акулисского, გვ. 101.

ზემოთ აღნიშნული არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ ვახტანგ VI „დასტურლამალის“ იმ მუხლის შედგენისას, რომელიც ზარაფხანას შეეხება, სარგებლობდა სათანადო სპარსული გარიგების წიგნით: — „დასტურლამალის“ „ზარაფხანის რიგის“ მთელი ტერმინოლოგია ირანულია და თბილისის ზარაფხანაც საკუთრივ ირანის ქალაქების ზარაფხანების სრული ანალოგი იყო³².

ეს გარემოება ირანის საქართველოზე ყოვლისმომცველი გავლენის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოხატულება იყო. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „საკმარისია დასტურლამალისავე ერთი თავი, რომელსაც სათაურად აქვს „ზარაფხანის რიგისათვის“, გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, რამდენად ძლიერი, წამლეკავი ყოფილა სპარსეთის გავლენა ზარაფხანაში. მაგრამ სპარსეთის ძლიერი, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლები, გავლენა ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დაწესებულებებსაც ემჩნევა. მაგრამ ეს, როგორც ცნობილია, როსტომ მეფის ხანის ნაშთია“³³.

თბილისის ზარაფხანა განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა XVIII საუკუნის დასაწყისში, რაც ისტორიულადაც სრულიად გამართლებულია. ვახტანგ VI ჯანიშინობისა და მეფობის ხანა ქართლის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გააქტევიების პერიოდია. ამავე დროს სეფიანთა ირანი ღრმა კრიზისის განიცდის და ქართლის მმართველები (ვახტანგი, სიმონი, ბაქარა) პირველად ბედავენ, მართალია ჯერ მხოლოდ სპილენძის მოხეტაზე, ქართული ზედწერილის მოთავსებას. 1720-იან წლებში ავღანელებმა დაიპყრეს ირანი, ქართლი კი ოსმალებმა დაიკავეს 1723 წელს. სეფიანთა შაჰის აბას II-ს სახელით უკანასკნელი მონეტა თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა 3იჯ. 1148 წ. (1735-36 წ.), როდესაც ქართლში ისევ ირანის ბატონობა დამყარდა.

XVII—XVII სს. თბილისის ზარაფხანაში ვერცხლის ფული იჭრება ირანული სისტემით, რომლის ძირითადი ერთეული იყო შაჰ აბას I დროს შემოღებული ნომინალი — აბაზი. შაჰ აბას I დროს დადგენილი აბაზის ნომინალური

წონა (სტანდარტი) შეადგენდა $1 \frac{2}{3}$ მისხალს ანუ 7,78 გ³⁴. აბაზის ეს თეორიული წონა არ შეცვლილა 3იჯ. 1129 წლამდე (1717 წ.), როდესაც შაჰ ჰუსეინ I ბრძანებით აბაზის წონა 5,40 გ. ანუ $1 \frac{1}{6}$ მისხალი გახდა³⁵. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების წონაც მისდევს ამ ცვლილებებს.

³² ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. სპარსული დასტურლამალი, გვ. 213. ვერ დავთანხმებით ვ. გაბაშვილის მოსაზრებას, თითქოს სპარსული წყაროების მიხედვით შაჰ ჰუსეინის ზეობის პირველ წლებში თბილისის ზარაფხანა სპარსული დაწესებულება იყო, ხოლო ვახტანგ VI დროს ეს ვითარება შეიცვალა. როგორც დავინახეთ, თბილისის ზარაფხანა თავიდანვე ქართლის მეფის განკარგულებაში იყო, ხოლო ვახტანგ VI დროს მხოლოდ ისახა არსებული ვითარება კანონმდებლობაში.

³³ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 45.

³⁴ R. Pool დასახ. ნაშრ., XXI; Rabino. Coins, გვ. 33; E. A. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 216; A. Раджагли. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

³⁵ Rabino. Coins, გვ. 42.

თბილისის ზარაფხანაში აბაზის გარდა იჭრებოდა მისი ნაწილებიც: მუჰრები და ანუ 1/2 აბაზი, რომლის თეორიული წონა უნდა ყოფილიყო თავდაპირველად 3,89 გ. შემდეგ კი 2,70 გ და 2,32 გ, შაური ანუ აბაზის 1/4 (თეორიული წონა 1,94 გ და 1,36 გ) და ბისთი, რომელიც შეადგენდა შაურის 2/5 და რომლის თავდაპირველი თეორიული წონა უდრიდა 0,78 გ (აბაზის წონის დაკლების შემდეგ თბილისში მოჭრილი ბისთი ცნობილი არ არის).

1658 წლიდან 1717 წლამდე თბილისის ზარაფხანაში იჭრება აბაზზე მსხვილი ნომინალიც, ხუთშაურიანი მონეტა, ე. წ. „ფანჯშაპი“. „ფანჯშაპის“ ნომინალური წონა, რაბინოს მიხედვით, იყო 9,33 გ, ანუ 2 მისხალი³⁶. უფრო მსხვილი ნომინალები (ორნახევარაბაზიანი, ხუთაბაზიანი და სხვა), რომლებიც დროდადრო იჭრებოდა ირანში, თბილისის ზარაფხანის პროდუქციაში ჯერ-ჯერობით არა ჩანს³⁷. მონეტების ფაქტიური წონა, როგორც წესი, ნომინალურ წონაზე ნაკლები იყო ყველგან და ამ მხრივ თბილისის ზარაფხანაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. XVII ს. დასაწყისში თბილისური მონეტა უფრო მაღალი წონისაა კია, ვიდრე საკუთრივ ირანში მოჭრილი მონეტები: ჰუსეინ I 1717 წლის რეფორმის შემდეგდროინდელი აბაზის საშუალო წონა — 5,29 გ (ნაანგარიშეგია 69 ერთეულის მიხედვით)³⁸, მამინ, როცა თბილისური მონეტების საშუალო წონა (106 ერთეულის მიხედვით ნაანგარიშევი) შეადგენს 5,33 გრამს.

ირანის სეფიანი შაპის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ჩვენთვის ცნობილი პირველი ვერცხლის მონეტა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დათარიღებულია პიჯ. 1013 წ. (1604-5 წ.). ე. პახომოვის ცნობით, იგი თავდაპირველად უფრო მაღალი წონისა იყო, ვიდრე თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები, მაგრამ მოგვიანებით მისი წონა შემცირდა და იგი უფრო მსხვილი გახდა. აბაზის სახელით მოჭრილი მონეტები ამ მონეტის შესახებ ჩვენ არ გავაჩნია³⁹.

გიორგი X და ლუარსაბ II ქართლში მეფობის პერიოდში 1604—1614 წწ. მოჭრილად მიგვაჩნია შაპ აბაზის სახელით აღნიშნული ვერცხლის მონეტების ჯგუფი, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ჩვენს ხელთაა სულ 19 ცალი, აქედან 16 ცალი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში⁴⁰, ხოლო 3 ცალი ერმიტაჟში. ცხრაშაპივე მონეტა აბაზიანია და ერთი ტიპისაა, თუმცა სხვადასხვა სიქითაა მოჭრილი, ზედწერილ-

³⁶ Rabino. Coins. გვ. 36.

³⁷ თბილისის ზარაფხანის პროდუქციის შესწავლისას ჩვენს მიერ ვათვალისწინებულა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმის და ერმიტაჟის ფონდები. აგრეთვე სხვადასხვა ავტორთა (ე. პახომოვი, მარკოვი, რ. პული, რაბინო, ჯემალ თარაბი თაბათაბაი) მიერ გამოქვეყნებული მასალა. დასაძინა, რომ ვერ მოხერხდა სახელმწიფო მუზეუმის (მოსკოვი) სათანადო საფონდო მასალების ვათვალისწინება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ვსარგებლობთ შემთხვევით, გვინდა მაღლობით მოვიხსენიოთ ერმიტაჟის ნუმისმატიკის განყოფილების აღმოსავლური მონეტების ფონდის მცველი მ. სევეროვა და აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების გამგე ა. რაჯაბლი, რომელთაც დიდი დახმარება გავცივიეს სათანადო ფონდებზე მუშაობისას.

³⁸ Rabino. Coins. გვ. 43.

³⁹ E. A. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 217.

⁴⁰ გ. ფ. საინე. №№ 3587, 3591, 3600, 13361, 13362; ქ. ძ. №№ 2419—2424, 4838—4842; ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმისმატიკის განყოფილების ძირითადი ფონდის (შემდეგში ძ. ფ.) საინვენტარო №№ 3474—33476.

ბი უხეშია და არცერთ ცალზე არ არის სრული. თარიღი არცერთს შერჩენილი არა აქვს.

ვიძლევი ერთ-ერთი მონეტის აღწერილობას:

1. ქ. დ. 4841 აბაზი (ტაბ. XIII,1). წონა — 7,59 გ, დიამეტრი 23—24 მმ. შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა.

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي اله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი

[بند] شاه و [لا] يت عباس [ب] تفضيليس

სიწმინდის ხელმწიფის⁴¹ მონა აბასი. იქედა თბილისს.

ერმიტაჟის ცალები გამოქვეყნებულია⁴².

ცხრამეტი მონეტიდან მაქსიმალური წონა — 7,96 გ, მინიმალური — 7,55 გ, საშუალო წონა — 7,66 გ. მონეტების წონა საკმაოდ ახლოა ირანულ სტანდარტთან, რომელიც უდრის 7,78 გ⁴³. ირანული მონეტების წონითი მერყეობაც ამ პერიოდში დაახლოებით ასეთივეა: მათი საშუალო წონა ნაანგარიშევი 18 ცალის მიხედვით, შეადგენს 7,64 გ⁴⁴.

შაჰ აბას I საქართველოში ლაშქრობების შემდეგ თბილისში 1622-23 წწ. არის მოჭრილა ერთადერთი ცნობილი თარიღიანი აბაზი ე. პახომოვის კოლექციიდან, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ქ. დ. 4853, ტაბ. XIII,2). სტილისტურად ეს მონეტა განსხვავდება ზემოთ აღწერილი მონეტისაგან. ზედწერილი ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილ მონეტაზე, ოღონდ უფრო სრულია და ლაზათიანი. გარდა ამისა, შუბლზე სიტყვა على ქვეშ მოჭრის თარიღია მოთავსებული ჰიჯ. 1032 წ. (1622-23), გაირჩევა წრიული წარწერის კვალი შიიტური იმამების სახელებით

على موسى [محمد جعفر محمد على حسين حين على محمد حسن على]

ალი, მუსა, მუჰამედი, ჯაფარ, მუჰამედი, ალი, ჰუსეინ, ჰასან, ალი, მუჰამედი, ჰასან, ალი.

ზურგზე ისეთივე ზედწერილია, როგორც ზემოთ აღწერილ მონეტაზე. მონეტა გამოქვეყნებულია⁴⁵.

საყურადღებოა, რომ შაჰ აბას I სახელით თბილისში მოჭრილი მხოლოდ აბაზიანებია ცნობილი. ირანის ქალაქებში აბას I დროს სხვა ნომინალებიც იჭრებოდა⁴⁶.

⁴¹ იგულისხმება შიიტების სათაყვანებელი იმამი ალი. ვლ. ფ. უ. თ. რ. ი. დ. ე. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, თბ., 1961, გვ. 44, 47.

⁴² А. К. Марков. Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа, СПб., 1896, гв. 713, № 85—87.

⁴³ Rabino Coins, გვ. 34.

⁴⁴ А. Раджаблн. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

⁴⁵ Е. А. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 217.

⁴⁶ Rabino. Coins, გვ. 34.

როსტომის გამეფების (1632—1658 წწ.) შემდეგ მოხდა ქართლის პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, ქვეყანა ეკონომიურად მოღონიერდა. რაც ზარაფხანის მუშაობასაც დაეტყო: ამიერიდან თბილისის ზარაფხანაში რეგულარულად იჭრება არა მარტო აბაზიანები, არამედ მუჰამადი და შაურებიც, ხოლო 1641 წლიდან მოკიდებული თითქმის ყოველი წლით დათარიღებული მონეტებია ცნობილი.

როსტომის მეფობა მოდის ირანის ორი შაჰის, სეფი (1629—1642 წწ.) და აბას II (1642—1667 წწ.) ზეობაზე.

სეფი I სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სულ 9 მონეტაა ჩვენს ხელთ: 5 აბაზიანი⁴⁷, ერთი მუჰამადი⁴⁸ და სამი შაური⁴⁹. თარიღი სრულად იკითხება მხოლოდ ორ მონეტაზე: ბირკიანის განძის აბაზიანზე (გ. ფ. 11948) — ჰიჯ. 1051 წ. (1641-42) და ერთ უპასპორტო შაურთანზე (ქ. დ. 5077) — ჰიჯ. 1052 წ. (1642 წ.); ერთ-ერთ აბაზიანზე (გ. ფ. 11945) შერჩენილია თარიღის მხოლოდ ერთი ციფრი — 4. რადგანაც სეფი I ზეობა ჰიჯრით თარიღდება 1038—1052 წწ., ზემოთ აღნიშნული მონეტის თარიღი შეიძლება იყოს ჰიჯ. 1040—1049 წლები. ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის 1630 წლიდან 1640 წლამდე. ე. პახომოვს გამოქვეყნებული აქვს ზუბოვის კოლექციის მუჰამადი, რომელზეც იკითხება თარიღი ჰიჯ. 1040 წ. (1630-31 წ.) ან ჰიჯ. 1045 წ. (1635-36 წ.)⁵⁰. თბილისის ზარაფხანაში სეფი I სახელით მოჭრილი კიდევ ერთი აბაზიანი გამოქვეყნებულია ირანის მუსლიმანი შაჰების მონეტების კატალოგში⁵¹ აბაზიანი მოჭრილია ჰიჯ. 1041 წ. (1632-33 წ.).

უნდა ვიფიქროთ, რომ სეფი I სახელით თბილისში მოჭრილი ყველა მონეტა როსტომის მეფობის წლებზე მოდის, ე. ი. ყველა ისინი მოჭრილი უნდა იყოს 1632 წ. შემდეგ.

სეფი I სახელით თბილისში მოჭრილი აბაზიანის მაქსიმალური წონაა 7,74 გ, მინიმალური — 7,51 გ, საშუალო — 7,60 გ⁵². ყველა ეს მონაცემი საკმაოდ ახლოა საკუთრივ ირანის ქალაქებში მოჭრილი მონეტების სათანადო მონაცემებთან (მაქს. წონა — 7,78 გ, მინიმ. — 7,42 გ, საშ. — 7,63 გ)⁵³. მუჰამადის წონაა 3,68 გ, შაურებისა კი 1,86 გ და 1,76 გ, რაც აგრეთვე ახლოა ირანში მოჭრილი მონეტების საშუალო წონასთან (შესაბამისად 3,71 გ და 1,76 გ)⁵⁴.

ვიძლევიტ სეფი I სახელით თბილისში მოჭრილი ერთ-ერთი მონეტის აღწერილობას.

⁴⁷ ქ. დ. 33545, გ. ფ. 11945, 11946, 11948; ქ. დ. 2436.

⁴⁸ გ. ფ. 11949.

⁴⁹ გ. ფ. 11951; ქ. დ. 4854, 5077.

⁵⁰ E. A. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 218.

⁵¹ , ۱۳۵۰ , ۲ حمال تراپی طباطبائی سکه های شاهان اسلا می ایران ۱۸۷.

⁵² საშუალო წონა ვიანგარიშით მხოლოდ 4 ცალით, მხედველობაში არ ვიღებთ ერმიტაჟის კოლექციის ცალს, რომლის წონაც ძალიან მცირეა და გამოაკლისს უნდა წარმოადგენდეს (წონა=6,92 გ, ინვ. № 33545).

⁵³ ნანგარიშგეია 96 ცალის მიხედვით. R a b i n o. დასახ. ნაშრ., გვ. 35.

⁵⁴ R a b i n o. იქვე.

3. გ. ფ. 11948 აბაზი (ტაბ. XIII), წონა — 7,65 გ, დიამეტრი — 21 მმ.
შუბლი: ხაზოვან რკალში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედ-
წერილი, შიიტური ფორმულა:

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي الله

ზურგი: ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: هاست [از] جان [امام] شاه
۱۰۵۱ ضرب تفلیس (და გულთ) შაჰის⁵⁵ მონა სეფი. იჭედა თბი-
ლისს 1051 (1641-42 წ.).

აბას II (ჰიჯ. 1052—1077 წწ. = 1642—1666 წწ.) დროს ირანის ზარაფხანებ-
ში აბაზისა, მუჰამადისა, შაურისა და ბისტის გარდა ხუთშაურიანების მოჭრა
დაიწყო⁵⁶ (ჰიჯ. 1064—65 წწ. მოიჭრა დიდი ნომინალები — ხუთაბაზიანები და
ათშაურიანები⁵⁷). ზაქარია აკულისელს თავის დღიურში უწერია, თითქოს
ეს ღონისძიება აბას II ჩაეტარებინოს 1662 წელს⁵⁸, მაგრამ ფაქტიურად ხუთ-
შაურიანებში ირანში ჩნდება უფრო ადრეც, 1642 წლიდანვე⁵⁹.

თბილისის ზარაფხანაშიც, როსტომის მეფობის დასასრულამდე (1658 წ.)
აბას II სახელით იჭრებოდა ხუთშაურიანები, აბაზი, მუჰამადი და შაური.
ვახტანგ V (1658—1676 წწ.) გამეფების შემდეგ კი შაჰ აბას II ზეობის დასას-
რულამდე, ე. ი. 1658—1666 წწ. (ჰიჯ. 1069—1076 წწ.). თბილისის ზარაფხანის
პროდუქცია ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად, მხოლოდ ხუთშა-
ურიანებითაა წარმოდგენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენამდე მოღწეული
მასალა მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს ფაქტიურ ვითარებას და 1658—1666
წლებში თბილისის ზარაფხანა, მართლაც, არ უშვებდა სხვა ნომინალებს. ამ გა-
რემოების დამაქმყოფილებელი ახსნა ჯერჯერობით ძნელია.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ერმიტაჟსა და აზერბაიჯანის ის-
ტორიულ მუზეუმში დაცულია თბილისში შაჰ აბას II სახელით მოჭრილი სულ
24 აბაზიანი⁶⁰, 3 ცალი მუჰამადი⁶¹ და 4 შაური⁶². ჰიჯ. 1060 წელს (1650 წ.)
მოჭრა იყო ერთადერთი ხუთშაურიანი (წონით 9,10 გ) ინახება სახელმწიფო
ერმიტაჟში, აზიის მუზეუმის ფონდში⁶³. ოქსფორდში, აშმოლენ მუზეუმში
დაცული ჰიჯ. 1067 წ. (1656-57 წ.) მოჭრილი ერთი თბილისური აბაზი,
წონით 7,34 გ. გამოცემული აქვს რაბინოს⁶⁴.

⁵⁵ ვლ. ფუთურძე. დასახ. ნაშრ., გვ. 44, 47.

⁵⁶ А. Раджабли. დასახ. ნაშრ., გვ. 62.

⁵⁷ R a b i n o. Coins, გვ. 36.

⁵⁸ Дневник Захария Акулиского, 53; Раджабли. დასახ. ნაშრ., გვ. 62.

⁵⁹ R a b i n o. Coins, გვ. 36.

⁶⁰ გ. ფ. 11947, 11960, 11961, 11962; ქ. დ. 2429, 4855, 4856, 4858, 4859, 4861, 4862,
4890, 5064; ძ. ფ. 33544. 33550; აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის (შემდეგში ა. მ.) საინ-
ვენტ. №№ 29269, 29271—29273, 29276—29281.

⁶¹ გ. ფ. 11950; ქ. დ. 4857. იხ. აგრეთვე: Ch. F r a e h n. Recensio Numorum Muhammeda-
norum, Petropoli, 1826, გვ. 463, № 12.

⁶² ქ. დ. 4860, 5063, 5082, 5085.

⁶³ Ch. F r a e h n. Recensio, Numorum, Muhammedanorum, Petropoli, 1826, გვ. 464,
№ 19.

⁶⁴ R a b i n o. Album. ტაბ. VII, № 190.

როსტომის მეფობაში აბას II სახელით მოჭრილ მონეტებზე წარმოდგენილია შემდეგი თარიღები: ჰიჯ. 1052 წ. (1642-3 წ.), 1055 წ. (1645-6 წ.), 1056 წ. (1646-47 წ.), 1057 წ. (1647 წ.), 1059 წ., (1649 წ.), 1060 წ., (1650 წ.), 1061 წ. (1650-51 წ.), 1062 წ. (1651-2 წ.), 1063 წ. (1652-3 წ.), 1064 წ. (1653-4 წ.), 1065 წ. (1654-5 წ.), 1066 წ. (1655-6 წ.) და 1067 წ. (1656-7).

26 ცალის მიხედვით ნანაგარიშევი თბილისური აბაზის საშუალო წონა შეადგენს 7,30 გ (მაქს. — 7,62 გ, მინიმ. — 7,03 გ,) მუჰამადისა — 3,65 გ (მაქს. — 3,77 გ, მინიმ. — 3,49 გ, სულ 3 ცალი), შაურისა — 1,76 გ (მაქს. — 1,84 გ, მინიმ. — 1,71 გ, სულ 4 ცალი). აბაზის საშუალო წონა ცოტათი ნაკლებია ირანის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტების საშუალო წონაზე, რომელიც რაბინომ 36 ცალის მიხედვით დაიანგარიშა: 7, 53 გ (მაქს. — 7,65 გ, მინიმ. — 7,27 გ), მუჰამადის წონა აღემატება რაბინოს მიერ მოცემულ საშუალო წონას (3,46 გ, მაქს. — 3,72, მინიმ. — 3,24), ხოლო თბილისური შაურის წონა ისეთივეა, როგორც ირანის ქალაქებში მოჭრილი შაურებისა⁶⁵.

როგორც აღვნიშნეთ, ჰიჯ. — 1069—1076 წწ. (1658—1666 წწ.) თბილისის ზარაფხანაში მხოლოდ ხუთშაურიანები იჭრებოდა. ამჟამად ჩვენს ხელთაა თბილისში აბას II სახელით მოჭრილი სულ 17 ხუთშაურიანი⁶⁶. გარდა ამისა, ორი თბილისური ხუთშაურიანი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში⁶⁷ და ერთიც ჰაგაში⁶⁸. 17 ხუთშაურიანით ნანაგარიშევი საშუალო წონა შეადგენს 8,97 გ (მაქს. — 9,17 გ, მინიმ. — 8,09 გ)⁶⁹. ეს წონები საკმაოდ ახლოა ირანის ზარაფხანებში შაჰ აბას II დროს მოჭრილ ხუთშაურიანების წონასთან (მაქს. — წონა 9,19 გ, საშ. წონა — 8,89 გ, ნანაგარიშევია 15 ცალის მიხედვით)⁷⁰.

აბას II სახელით თბილისში მოჭრილი მონეტები ტექნიკური თვალსაზრისითაც არ ჩამოუვარდება ირანის ზარაფხანებში მოჭრილ მონეტებს. ამ მონეტებზე პირველად ჩნდება გალექსილი ზედწერილი, რომელიც იხმარება ტრადიციული ზედწერილის პარალელურად.

ვიძლევიტ ძირითადი ტიპების აღწერილობას:

4. ქ. დ. 4861, აბაზი (ტაბ. XIII), წონა — 723 გ, დიამეტრი 22—23 მმ.

შუბლი: წერტილოვან და ხაზოვან რკალში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, შიიტური ფორმულა.

ზურგი: ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (ორტაეპიანი ლექსი ოთხ სტრიქონად, მოჭრის ადგილი და თარიღი):

⁶⁵ Rabino. Coins, გვ. 36.

⁶⁶ ქ. დ. 2425, 2428, 4863—4870, ა. მ. 33451, 33458, 33465, 33466, 25363, აზის მუზეუმის ზემოთ მითითებული მონეტა და დ. ფ. 34722, რომელიც გამოქვეყნებულია: გვ. 714, № 111.

⁶⁷ R. Pool. დასახ. ნაშრ., გვ. 28, № 45, 46.

⁶⁸ Rabino. Album, ტაბ. VII, № 189.

⁶⁹ საშუალო წონის გამოანგარიშებისას არ ჩაგვივლია საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული ორი ხუთშაურიანი (ქ. დ. 2428, 4869), რომელთაც ყუნუები აქვთ მირჩილული და ამიტომ მათი წონა დიდა (9,63 გ და 9,50).

⁷⁰ Rabino. Coins. გვ. 36.

მსოფლიოში საჰებერან-ლი⁷¹ სიქა

ღვთის შეწევნით დაჰკრა აბას მეორემ **بلیتی سکه صاحبقرانی**
رد از توفیق حق عباس ثانی
იქედა თბილისს 1066 (1655/56)⁷².

ضرب نفیس ۱۰۶۶

5. ქ. ძ. 4864, ფანჯშაპი (ტაბ. XIII), წონა — 8,90 გ, დიამეტრი — 28—29 მმ.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი შიიტური ფორმულა, წრიულა წარწერა 12 იმამის დასახელებით.

ზურგი: იგივე ლექსი, როგორ ზემოთ და სპარსული წარწერა:

იქედა თბილისს 1071 (1665-6 წ.).

ضرب تفلیس ۱۰۷۱

ასეთივე ზედწერილი გვხვდება მუჰამადისა და შაურებზეც.

6. ქ. ძ. 5063, შაური (ტაბ. XIII) წონა — 1,84 გ, დიამეტრი — 16 მმ.

შუბლი: არაბული ზედწერილი, შიიტური ფორმულა.

ზურგი: ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი

بندشاه وکاتب عباس ضرب نفیس ۱۰۶۳

სიწმინდის ხელწიფის მონა აბასი. იქედა თბილისს 1063 (1652-53 წ.).

ანალოგიური ლეგენდა წერია ბირკიანის განძის ოთხ აბაზიანზეც (11947, 11960, 11961, 11962), მოჭრის თარიღია ჰიჯ. 1052 წ. ანუ 1642-3 წ.), რომელთაგან გ. ფ. № 11960 და 11962 სტილისტური თვალსაზრისით განცალკევებით დგანან აბას II სახელით მოჭრილი ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილი მოხეტისაგან.

ჰიჯ. 1077 წლის 3 რაბი II (2 ოქტომბერი 1667 წ.) ტახტზე ავიდა აბას II ვაჟი სეფი II, მაგრამ მან სეფი II სახელით იმეფა მხოლოდ ორ წელიწადს: ჰიჯ. 1097 წ. 19 შავალს (1669 წ. 20 მარტი) იგი ხელახლა ავიდა ტახტზე, ამჯერად უკვე სულეიმან I სახელით.

სეფი II სახელით ჰიჯრის 1078 წელს (1667-68 წ.) მოჭრილი სულ 2 ცალი თბილისური მონეტაა ჩვენთვის ცნობილი: ერთი მათგანი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (წონა 7,30 გ)⁷³, მეორე კი ირანში (წონა 7,25 გ)⁷⁴. ამ უკანასკნელი მონეტის ზურგზე მოთავსებულია გალეჰსოლო ზიდწერილი⁷⁵, რომელსაც გამომცემელი ჰემალ თარაბი თაბათაბაი ასე კითხულობს:

მსოფლიოში აბას მეორის შემდეგ

სეფიმ დაჰკრა საჰებერანული სიქა

იქედა თბილისს 1078 (1667-68).

بلیتی بعد شه عباس ثانی

صفی زد سکه صاحبقرانی

ضرب تفلیس ۱۰۷۸

⁷¹ საჰებერანი ნიშნავს ვარსკვლავთა ბედნიერი განლაგების უფალს. М. А. Добрынин. Стихотворные легенды на монетах Сефевидов, Эпиграфика Востока, VIII, 1953, 69.

⁷² М. А. Добрынин. იქვე: R. Pool, დასახ. ნაშრ., გვ. 26; Rabino, Coins, გვ. 36. Е. А. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 218.

⁷³ იხ. Rabino. Album, ტაბულა 7, № 197.

⁷⁴ جمال ترانی طباطبائی, سکه های شاهان. 192.

⁷⁵ შეიქცა: Rabino. Coins, გვ. 37.

სულეიმან I (ჰიჯ. 1079—1105=1669—1694 წწ.) სახელით მოჭრილი თბილისის მონეტები დიდი რაოდენობითაა ცნობილი (მარტო ნორიოს განძის სულეიმან I სახელით მოჭრილი 492 მონეტიდან 222 მონეტაზე თბილისის ზარაფხანაა აღნიშნული)⁷⁶. იჭრებოდა აბაზი, მუჰამადი და შაური. სულეიმან I ზეობის დროს მკვეთრად იჩინა თავი აბაზის წონის დაცვამ, რაც თბილისის ზარაფხანის პროდუქციასაც დაეტყო. თბილისური აბაზის საშუალო წონა 7,01 გრამამდე დავიდა (ნაანგარიშეგია 106 ცალის მიხედვით), მუჰამადისა — 3,31 გრამამდე (ნაანგარიშეგია 101 ცალის მიხედვით), ხოლო შაურისა — 1,64 გრამამდე (ნაანგარიშეგია 43 ცალის მიხედვით). ძალიან დიდია წონითი მერყეობა ნომინალის შიგნითაც. აბაზის მაქსიმალური წონა თუ 7,95 გ უდრის, რაც აბაზის სტანდარტზეც კი მაღალია (ამ დროის აბაზის სტანდარტი რაბინოს მიხედვით შეადგენს 7,39 გ), ყველაზე მსუბუქი აბაზიანი — 5,24 გ იწონის და ეს მონეტა გამოჩაყლის არ არის. ანალოგიური მდგომარეობაა მუჰამადისა (მაქს. — 4,20 გ, მინიმ. — 2,07 გ) და შაურის (მაქს. — 1,96 გ, მინიმ. — 1,07 გ) შემთხვევაშიც.

მონეტის წონის დაქვეითება და მერყეობა იმ დაძაბული ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ანარეკლია, რაც დაუდგა საქართველოს XVII ს. ბოლო მეოთხედში გიორგი XI (1677—1688 წწ.) და ერეკლე I (1688—1703 წწ.) ქართლში მეფობის დროს⁷⁷. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრად ირანის თანადროული პროდუქციაც ბევრით უკეთესი არ არის თბილისურ მონეტაზე. რაბინოს მიხედვით, სულეიმან I დროინდელი აბაზის საშუალო წონაა 7,29 გ (მაქს. — 7,45 გ, მინიმ. — 7,13 გ; ნაანგარიშეგია 21 ცალის მიხედვით), მუჰამადისა — 3,45 გ (მაქს. — 3,7 გ, მინიმ. — 3,15 გ, 14 ცალის მიხედვით) და შაურისა — 1,77 გ (მაქს. — 1,88 გ, მინიმ. — 1,76 გ, 6 ცალის მიხედვით)⁷⁸.

სულეიმან I სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების გარეგნული სახეც ჭრელია. გვხვდება ცალკეული ცალები, რომლებზეც ზედწერილი სრულია, სამონეტო არე შემკულია ყვავილოვანი ორნამენტით, მაგრამ უმრავლესობა დაუდევრადაა მოჭრილი, სამონეტო რგოლი სიქაზე უფრო მცირე ზომისაა და ამიტომ ზედწერილი მხოლოდ ნაწილობრივია მოხვედრილი, ზოგა მონეტის ნაპირები დახეთქილია. მიუხედავად ამ სიჭრელისა, ყველა თბილისურ მონეტას ერთი იერი აქვს (ზედწერილის ხელი, სამონეტო მინდვრის შემკულობის ხასიათი) და თვალსაჩინოდ განსხვავდება ირანის ზარაფხანების თანადროული პროდუქციისაგან. ასეთი სხვაობა არ აღინიშნება არც ერთი სხვა სეფიანი შაჰის დროს (გარდა შაჰ აბას I-ისა, როდესაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თბილისური მონეტები ასევე განცალკევებულ ჯგუფს ქმნიან).

⁷⁶ ჩვენს ხელთაა სულ 271 მონეტა: გ. ფ. 2266—2356, 2374—2404, 2406—2417, 2419—2479, 13080, 13088, 13089, 13097, 13099, 13141—13160; ქ. ძ. 1141—1145, 2430—2433, 2435, 2445, 4871—4889, 4891—5076, 5087; ძ. ფ. 33602—33606, 33607 გამოქვეყნებულია იხ. A. M a p K O B. დსახ. ნაშრ., გვ. 714 № 129, გვ. 716, № 165, აზის მუზეუმში, პლანშეტი № 108; გარდა ამისა, გამოქვეყნებულია ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი მონეტა, იხ. Rabino, Album № 211, და ერთიც ირან ს კოლექციიდან. ۱۳۵۰, ۲, اسكه های صاهن اسلامی ایران, ۱۸۴.

⁷⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 350.

⁷⁸ R a b i n o. Coins, გვ. 39.

სულეიმან I სახელით თბილისში მოჭრილი მონეტების ზურგზე ორი სხვადასხვა ლეგენდაა წარმოდგენილი: ერთი ფართოდ გავრცელებულია ჯერ კიდევ აბას I დროიდან, მეორე კი შედარებით იშვიათია და ორტაეპიან ლექსს შეიცავს, რომელიც პირველად ჩვენს მიერ იქნა სრულად წაკითხული. აღვწერთ ან ორ სხვადასხვა ზედწერილიან მონეტას.

7. ქ. დ. 4889, აბაზი (ტაბ. XIII), წონა — 7,33 გ, დიამეტრი — 21-22 მმ.

შუბლი: ხაზოვან რკალში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა, გარშემო წრიული წარწერა იმამების სახელებით.

ზურგი: ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი:

بادشاھ ولايت سليمان ضرب تھليلس ۱۰۹۲

სიწმინდის ხელმწიფის მონა სულეიმანი. იჭედა თბილისს 1092 (1681 წ.).

8. გ. ფ. 2350, აბაზი (ტაბ. XIII, XIV), წონა — 7,12 გ, დიამეტრი — 22-23 მმ.

შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა (ზედწერილი ნაკლულია).

ზურგი: ხუთ სტრიქონად განლაგებულია სპარსული ზედწერილი — ორტაეპიან ლექსი და მოჭრის ადგილი

სახელმწიფო სიქა დაჰკრა

დროის მეღუფე სამყაროს სულეიმანმა
იჭედა თბილისს⁷⁹.

سکه زد صاحبقران

[ولا] يت [ز] مان سليمان [جهان]
ضرب تھليلس [يس]

XVIII ს დასაწყისში შაჰ სულთან ჰუსეინ I დროს (ჰიჯ. 1105—1135 წწ. = 1694—1722 წწ.) სეფიანთა სახელმწიფო მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ცენტრალური ხელისუფლების ყველა ცდა, ესხნა ქვეყანა კრიზისისაგან, მარცხით დამთავრდა. ირანი ანარქიამ მოიცვა⁸⁰. ქართლის მმართველები ეცადნენ ესარგებლათ ირანის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით და ქართლის სამეფოსათვის დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, მაგრამ გახიანი VI (1703—14, 1716—1724 წწ.) იმედებს განხორციელება არ ეწერა. 1723 წელს თბილისი ოსმალებმა დაიკავეს, ვახტანგი კი 1724 წელს იძულებული შეიქნა დიდი ამაღის თანხლებით რუსეთში გადასახლებულიყო⁸¹.

ჰუსეინ I სამონეტო პოლიტიკაც მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიური კრიზისიდან გამოსაყვანად. ჰუსეინ I მთელი მეფობის განმავლობაში შეინიშნება თანდათანობითი და შეუჩერებელი კლება მონეტის წონისა, რასაც ზოგჯერ თან სდევდა სამონეტო სინჯის გაუარესებაც.

⁷⁹ ზედწერილის აღდგენა მოხერხდა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული მონეტის საშუალებით. იხ. Т. С. Кутелия. Клад монет XVII века из Нории, Сборник, посвященный памяти Д. Г. Капанадзе, Тбилиси, 1976, გვ. 155.

⁸⁰ И. В. Пигулевская и др. დასახ. ნაშრ., გვ. 306, 310.

⁸¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 398 და შემდეგ.

ჰიჯ. 1123 წლიდან მრგვალი მონეტების ნაცვლად დაიწყო წაგრძელებული, ოთხკუთხა ან ოვალური მონეტების გამოშვება, რაც მონეტის წონის დაქვეითების შესანიშნავად იყო გათვალისწინებული, მაგრამ უკვე ჰიჯ. 1129 წ. (1717 წ.) ირანის მთავრობა იძულებული გახდა მოეხდინა აბაზის დევალაცია, აბაზის წონად დაწესდა 7 დანგი ე. ი. $1 \frac{1}{6}$ მისხალი (5,45 გ). სათანადოდ შემცირდა მუჰამადისა და შაჰრის წონაც. ამ რეფორმისთან ერთად შეწყდა ოთხკუთხა მონეტების გამოშვებაც. ჰიჯ. 1133 წელს (1721 წ.) აბაზის წონა კიდევ უფრო შეამცირეს, მოაკლეს ერთი დანგი (აბაზის წონა დაწესდა 1 მისხალი), რომელიც სახელმწიფო გადასახადს, ვეჯიბს დაემატა⁸².

თბილისის ზარაფხანაც ისევე, როგორც ადრე, ზუსტად ასახავდა ყველა ცვლილებას ირანის სამონეტო საქმეში. ჰიჯ. 1106—1122 წწ. (1696—1711 წწ.) თბილისის ზარაფხანაში იჭრება: ფანჯშაჰი, აბაზი, მუჰამადი და შაჰური. ფანჯშაჰის საშუალო წონაა 9,18 გ (ნანგარიშეგია 13 ცალის მიხედვით⁸³, მაქს. — 9,22 გ, მინიმ. — 8,17 გ). ეს საკმაოდ ახლოა სტანდარტთან, რაც რაზინოს მიხედვით უნდა შეადგენდეს 9,24 გრამს⁸⁴. აბაზის საშუალო წონა, ნანგარიშეგია 86 ცალის მიხედვით⁸⁵, შეადგენს 7,25 გ (მაქს. წონა — 7,44 გ, მინიმ. — 6,77). ეს მონაცემები ძალიან ახლოა ირანის ზარაფხანების თანადროული პროდუქციის წონასთან (საშუალო წონა — 7,29 გ, ნანგარიშეგია 57 ცალის მიხედვით; სტანდარტი შეადგენდა 7,39 გ)⁸⁶. მუჰამადის საშუალო წონა (4 ცალი) შეადგენს 3,62 გ, მაქს. — 84, მინიმ. — 3,61 გ (ირანში საშუალო წონა 3,65 გ, მაქს. — 3,75 გ მინიმ. — 3,52, სტანდარტი — 3,70)⁸⁷. თბილისური შაჰრის წონა 32 ცალის მიხედვით⁸⁸ უდრის 1,82 გ, მაქს. — 1,89, მინიმ. — 1,36 გ (ირანში საშუალო წონა — 1,82 გ, მაქს. — 1,82 გ, მინიმ. — 1,81 გ, სტანდარტი — 1,85 გ)⁸⁹.

ჰუსეინ I სახელით თბილისში ჰიჯ. 1106—1122 წწ. (1694—1711 წწ.) მოჭრილი მონეტების ზურგზე ერთი ლეგენდა გვხვდება, რომელიც ორტაპეიან ლექსს შეიცავს.

9. ქ. d. 2427 ფანჯშაჰი (ტაბ. XIV), წონა — 9,07 გ, დიამეტრი — 31—32 მმ.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა, წრიული წარწერა იმამების სახელებით.

⁸² R a b i n o. Coins, გვ. 42.

⁸³ ქ. d. 4893, 4894, 2426, 2427, აზის მუზ. ერთი ცალი, ბ. მ. 33469—33475.

⁸⁴ R. P o o l. დასახ. ნაშრ, № 89, გვ. 40.

⁸⁵ ქ. d. 2438, 4897—4899, 4901—4904, 4907, 4911, 4913, 4915, 5086, გამოქვეყნებული, П а х о м о в. გვ. 220; ბ. მ. 26204, 26208, 26232, 26240, 26247, 25419, 25420, 25427, 25440, 25441, 25495—25499, 25515—25523, 25532, 25536, 25537, 25586, 25606—25609, 25638—25646, 25661—25664, 25666, 25667, 25671—25581, 25751—25752, 25695—25697, 33686, 33687, 33690, 33691, 33725, 11236; ძ. ფ. 33713, 33762; მხედველობაში არ მიგვიღია ქ. d. 4906, რომელსაც ძლიერ დაქვეითებული წონა აქვს 5,77 გ.

⁸⁶ R a b i n o. Coins, 43.

⁸⁷ ქ. d. 4895, 4896, 4905, 4910, 4912; ა. მ. 25406, 25442, 25443, 25500, 25647, 25648, 25665, 25668, 25669, 25684, 25685; ძ. ფ. 33761. იხ. А. М а р к о в. გვ. 716, № 176.

⁸⁸ R a b i n o. Coins, გვ. 43.

⁸⁹ ქ. d. 2434, 2435, 4892 (იხ. Е. А. П а х о м о в. გვ. 221, ტაბ. XXV, № 116, 4900, 4908, 4914).

ზურგი: რვა სტრიქონად განლაგებული სპარსული ზედწერილი — ორტა-ეპიანი ლექსი და მოჭრის ადგილი⁹⁰.

کشت صاحب سکه از توفیق رب المشر قین در جهان کب امیر الومنین سلطان حسین
ضرب تفلیس ۱۱۰۷

აღმოსავლეთის ხელმწიფის შეწყვეით გახდა მფლობელი სიქისა მსოფლიოში მართლმორწმუნეთა ემირის მცველი (ძალლი) სულთან ჰუსეინი. იჭედა თბილისს 1107 (1695-96)⁹¹.

10. ქ. ძ. 2438 აბაზი (ტაბ. XIV). წონა — 7,38 გ, დიამეტრი — 23—24 მმ⁹². ისეთივე როგორც № 9, ოღონდ ზურგზე მოთავსებული ლექსის მეორე სტრიქონში სიტყვა (მსოფლიოში) გამოტოვებულია და ჩამატებულია სიტყვა (სასახლეში) ისე, რომ სტრიქონი ითარგმნება შემდეგნაირად:

მართლმორწმუნეთა ემირის სასახლის მცველი (ძალლი) სულთან ჰუსეინი.

ჰიჯ. 1122 წლიდან 1129 წლამდე თბილისშიც ოთხკუთხა მონეტები იჭრებოდა თბილ-სური ოთხკუთხა აბაზიანი საერთოდ არ არის ცნობილი. გვაქვს მხოლოდ ოანჯშაპი, მუჰამადი და შაჟრი.

ღანჯშაპის წონა წინა წლების ღანჯშაპისთან შედარებით თვალსაჩინოდ დაკლებულია 0.6 გრამით. მისი საშუალო წონა, 35 ცალით ნაანგარიშევი, შეადგენს 8.59 გ (მაქს. — 8,68 გ, მინიმ. — 8,06 გ)⁹³. დაკლებულია მუჰამადის წონაც. 12 ოთხკუთხა მუჰამადის საშუალო წონა შეადგენს 3,45 გ (მაქს. — 3,73 გ, მინიმ. — 3.20 გ)⁹⁴, 18 შაჟრიანის საშუალო წონა 1,67 გ (მაქს. — 1,73, მინიმ. — 3.20 გ)⁹⁵.

ა-სანიშნაია, რომ ჩვენს ხელთ არის ჰიჯ. 1123 და 1124 წელს (1711-12 წ.) თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სამი ცალი მრგვალი სრულწონიანი აბაზი⁹⁶, ერთის წონაა — 7,35 გ, მეორისა — 7,39 გ, მესამესი — 7,30 გ, მათი მოჭრა ამ დროს გაუგებარია.

ჰიჯ. 1122—1129 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ოთხკუთხა მონეტები გარეგნული იერით, ისევე როგორც ირანში, გამოირჩევიან მანამდე მოჭრილი მონეტებისაგან. სამონეტო არეზე სიმეტრიულად განლაგებულია ყვავილოვანი ორნამენტი, წარწერა ლამაზია და დახვეწილი, სამონეტო ზედწერილი ყველა ამ მონეტაზე ერთია. ვიძლევი ამ მონეტების აღწერილობას.

⁹⁰ R a b i n o. Coins, გვ. 43.

⁹¹ P. P o o l. დასახ. ნაშრ., გვ. 40, № 89; R a b i n o. Coins, გვ. 40.

⁹² F. A. П а х о м о в. დასახ. ნაშრ., გვ. 222; М. Д о б р ы н и н. გვ. 70—71.

⁹³ ქ. ძ. 1147, 2441, 2439, 2444, 2448, 2449, 4916, 4917, 4919, 4920, 4924, 4927, 4928, 4929; ბ. მ. 26278—26280, 26284—26286, 26307, 29298, 29300, 33689, 33700, 33715, 33716, 33717, 6013, აზიის მუზეუმის 5 ცალი.

⁹⁴ ქ. ძ. 2442, 2443, 2447, 4918, 4921, 4922, 4925; ქ. ფ. 33766, 34732, 33767; ბ. ფ. 26287—26290.

⁹⁵ ქ. ძ. 1148, 1149, 2440, 2446, 2504, 4923, 4946, 4930; ბ. მ. 26251, 26291, 26292; ქ. ფ. 33771, 33766, 34732, 33771. გამოქვეყნებულია. იხ. А К М а р к о в. № 207, 223, 216.

⁹⁶ ქ. ძ. 4915; ბ. მ. 26250, 26260.

11. ქ. ძ. 2444, ფანჯშაპი (ტაბ. XIV), წონა — 8,60 გ, დიამეტრი — 18—25 მმ.

შუბლი: ხაზოვან რკალში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა, გარშემო იმამების სახელები დაუყვება.

ზურგი: მონეტის ცენტრში ოთხკუთხა ჩარჩოში ორ სტრიქონად წერია ზარაფხანის სახელი და თარიღი:

١١٢٨ تڤليس

თბილისი — 1128 (1715-6 წ.)

ჩარჩოს ირგვლივ განლაგებულია სპარსული ზედწერილი, რომელიც მოთავსებულია ხაზოვან ჩარჩოში **بند شاه ولايت حسيي ضرب** სიწმიანის ხელმწიფის მონაჰსენი. იჭედა.

ხაზოვან რკალს გარეთ წრიული წარწერაა:

سلطان بن السلطان و خا قان خلد الله ملة

სულთანი ძე სულთნისა, ხაკანი ძე ხაკანისა, უკვდავჰყოს ალლაჰმა სამეფო მისი.

12. ქ. ძ. 1149 შაპი (ტაბ. XIV), წონა — 1,68 გ, დიამეტრი — 16/19 მმ. ეს მონეტა მრგვალია.

ჩუბლი: წერტილოვან რკალში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი⁹⁷ — შიიტური ფორმულა.

ზურგი: ოვალურ ბუდეში ზარაფხანის სახელი და თარიღი

١١٢٩ تڤليس თბილისი 1129 (=1716-7 წ.).

ბუდის გარშემო სპარსული ზედწერილი, ისეთივე, როგორც ზემოთ აღწერილ მონეტაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიჯ. 1129 წ. (1717 წ.) ირანში მოხდა აბაზის დევაღვაცია და შეწყდა ოთხკუთხა მონეტების გამოშვება. თბილისის ზარაფხანამ ახალი ტიპის მონეტების გამოშვება მხოლოდ ჰიჯ. 1130 (1717-18) წლიდან დაიწყო⁹⁸. ჰიჯ. 1135 წ. ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობამ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი 106 აბაზის წონაზე დაკვირვებამ გეჩვენა⁹⁹, რომ ირანში განხორციელებული აბაზის მეორე დევაღვაცია, რომელიც 1721 წელს ანუ ჰიჯ. 1133 წელს მოახდინეს, თბილისში ვერ მოესწრო.

⁹⁷ R a b i n o. Coins, გვ. 40.

⁹⁸ E. A. П а х о м о в. დასახ. ნაშრ., გვ. 222.

⁹⁹ ქ. ძ. 1146, 1149—1152, 1153, 1160—1164, 2465—2478, 4937—4936, 4941—4951, 4953, 4954, 4954, 4969, 4971—4974, 5022—5024, 5084; გ. ფ. 10217, 11796; ბ. მ. 23355—26361, 26375—26377, 26387, 26391—26393, 25751—25752, 33257—33261, 33263—33271. 33273, 33298—33300, 33310, 33311—33316, 24784—24788, 6095, 4317; ძ. ფ. 33781—33784, 33788, 33790, 33791, 33793, 33774 (№ 238), 33775 (239), 33778 (241), 33779 (272), 33787 (273), 93786 (287), 33787 (288), 33789 (300) ერმიტაჟის ზემოთ ჩამოთვლილი ცალები, რომელთაც მწერილი აქვთ ფრჩხილებში სამნიშნა ნომერი. ამ ნომრებით გამოცემულა აქვს მარკოვს, იხ. A. M а р к о в. გვ. 711—720.

ამ აბაზების საშუალო წონა — 5,33 გ, მაქს. — 5,69 გ, მინიმ. — 4,22 გ, ირანში შესაბამისად (ნაანგარიშევი 69 ერთეულით) იყო 5,29 გ, 5,51 გ და 4,89 გ, მაშინ როდესაც სტანდარტი შეადგენდა 5,44 გ¹⁰⁰. 32 თბილისური მუჰამადის საშუალო წონა — 2,64 გ, მაქს. — 2,73 გ, მინიმ. — 2,30 გ¹⁰¹, (ირანში შესაბამისად — 2,63; 2,66; 2,59; სტანდარტი იყო — 2,72 გ¹⁰²); 19 თბილისური შაჰის საშუალო წონა 1,31 გ, მაქს. — 1,39 გ, მინიმ. — 1,10 გ¹⁰³. (ირანში საშუალო წონა — 1,31 გ, მაქს. — 1,33 გ, მინიმ. — 1,30 გ, სტანდარტი — 1,36 გ)¹⁰⁴. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არის თბილისის ჰიჯ. 1130 წ. მოჭრილი მცირეწონიანი მონეტა — ბისთი (ქ. დ. 2469), რომლის წონაა 0,41 გ¹⁰⁵ (ტაბ. XIV, 15). ირანის ზარაფხანებში ჰიჯ. 1129—35 წლებში მოჭრილი ბისთი ცნობილი არ არის. ჰიჯ. 1129—35 წწ. თბილისში ისევე, როგორც ირანის ზარაფხანებში, მოჭრილი მონეტები მოხდენილია და ლამაზი, სამონეტო მინდორი შემკულია ვარდულებით, ზედწერილი თბილისში ჰიჯ. 1129—1135 წწ. მოჭრილ ყველა მონეტაზე ერთია, ამდროინდელი თბილისური მონეტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზედწერილს შემოვლებული ჩარჩოს მიხედვით. ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა აბაზიანებზე, რადგან სამონეტო რგოლის სიდიდის გამო მათზე სიქა სრულად არის წარმოდგენილი. ვიძლევიტ ორი მონეტის აღწერილობას:

13. ქ. დ. № 4932 აბაზი (ტაბ. XIV), წონა — 4,55 გ, დიამეტრი — 25 მმ.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა. ზედწერილი მოთავსებულია წრიულ ჩარჩოში, რომელიც შედგება ორმაგ ხაზოვან რკალს შორის მოთავსებული წერტილებისაგან.

ზურგი: ასეთივე ჩარჩოში ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი:

۱۱۳. شاه ولایت حسین ضرب تفلیس

სიწმინდის ხელმწიფის მონა ჰუსეინი. იჭედა თბილისს 1130 (1717-18 წ).

14. ქ. დ. 1162 აბაზი (ტაბ. XIV), წონა — 5,38 გ, დიამეტრი — 25 მმ.

შუბლი: ხაზოვან რკალში მოთავსებული ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა. რკალის გარეთ შემოუყვება 12 იმამის სახელი.

ზურგი: ისეთივე ზედწერილით, როგორც № 13-ზე, ოღონდ თარიღი განსხვავებულია 1134 (1721-22), მოთავსებულია ხაზოვან რკალში, რკალს გარეთ მოქნილი S-ისებრი ორნამენტია.

1723 წ. ოსმალების მიერ თბილისის აღებით ბოლო მოეღო საქართველოში სეფიანთა ირანის ბატონობას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1736 წ. ნადირ შაჰმა განდევნა ოსმალები, თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე

¹⁰⁰ R a b i n o. Coins, გვ. 43.

¹⁰¹ ქ. დ. 2476, 4937, 4938, 4940, 4941, 4947—4952, 4960, 4972, 4973; დ. ფ. 33733, 33776 (Марков. № 240), 33777; ბ. მ. 26326—26330, 26362—26365, 26378, 26394, 26398—26400.

¹⁰² R a b i n o. Coins, გვ. 40.

¹⁰³ ქ. დ. 1160, 2468, 2477, 4953, 4954, 4974, 5084; ბ. მ. 26331, 26382, 26366, 26367, 26395, 26401—26403, 25748, 33489, 33490, 33491; E. A. П а х о м о в. გვ. 224.

¹⁰⁴ R a b i n o Coins, გვ. 40.

¹⁰⁵ დ. კ ა ზ ა ნ ა ძ ე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 142, ტაბ. XIV, № 178.

უკანასკნელად აღიბეჭდა სეფიანი შაჰის აბას III სახელი. ჩვენს ხელთაა აბას III სახელით მოჭრილი სულ ოთხი მონეტა¹⁰⁸; სამი აბაზი და ერთი შაური. აბაზის წონებია: 5,36 გ, 5,38 გ, 5,22 გ, შაურის წონაა — 1,08 გ.

ზედწერილი როგორც აბაზზე, ისევე შაურზე ერთია. რადგან აბაზზე იგი უფრო სრულადაა წარმოდგენილი, აღვწერთ აბას III სახელით თბილისში მოჭრილ ერთ აბაზიანს.

15. ქ. ძ. 5022, აბაზი (ტაბ. XIV), წონა— 5,36 გ, დიამეტრი — 24 მმ.

შებლი: წერტილოვან რკალში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — შიიტური ფორმულა.

ზურგი: ხაზოვან წერტილოვან რკალში შვიდსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (ორტაეპიანი ლექსი, მოჭრის ადგილი და თარიღი).

سَلْمَةُ بَرَزَرِ دَرِ الْهَيْئَةِ [درجہ] ن ظَلَّ حَقَّ عَبَّاسِ ثَانِي صَاحِبِ قِرَانِ ضَرْبِ تَفْلِيَسِ ۱۱۴۸

მსოფლიოში ოქროზე სიქა ალაჰის შეწევნით დაარტყა ღმერთის ჩრდილმა აბას მესამემ მეორე საჰბეყერანმა¹⁰⁹. იჭედა თბილისს 1148 (1735-6).

Т. С. КУТЕЛИЯ

ТБИЛИССКИЙ МОНЕТНЫЙ ДВОР В XVII—XVIII ВВ.

Резюме

(Серебряный чекан)

В статье рассмотрены серебряные монеты, чеканенные на тбилисском монетном дворе с 1604 г. по 1723 г. По свидетельствам письменных источников тбилисский монетный двор находился в распоряжении картлийских царей, однако в течение всего этого периода серебряные монеты здесь чеканились исключительно от имени сефевидских шахов Ирана-Аббаса I, Сефи I, Аббаса II, Сефи II (Сулеймана I), Хусейна I и, наконец, Аббаса III (в 1735/36 гг.). В этом выражалась вассальная зависимость Картлийского царства от Сефевидов.

В статье впервые собран и изучен весь наличный материал — монеты тбилисского чекана XVII—XVIII вв., хранящиеся в фондах Государственного Музея Грузии, Музея Истории Азербайджана, ГИМ, Государственного Эрмитажа и других музеев; учтены также и опубликованные ранее материалы (Х. М. Френ, Р. С. Пуль, А. К. Марков, Е. А. Пахомов, Т. Н. Ломоури, Д. Г. Капанадзе, Х. Л. Рабино, А. М. Раджабли и др.). Описаны все основные типы монет, прочитаны легенды, рассчитаны средние веса всех номиналов, выпускавшихся в Тбилиси (аббаси, панджшахи, мухаммади, шахи, бисти) по

¹⁰⁸ ქ. ძ. 2481, 5022, 5023, 5024.

¹⁰⁹ Е. А. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 230.

отдельным хронологическим группам и их весовые данные сравнены с данными собственно иранских монет.

Установлено, что тбилисские серебряные монеты этого времени по своему внешнему виду и метрологическим данным были почти тождественны современной им продукции монетных дворов городов Ирана. Все изменения легенды и веса монеты, происходящие в Иране, немедленно, обычно в том же году отражались на монете тбилисского чекана.

Интенсивность работы тбилисского монетного двора была довольно велика. Она особенно возрастает после сороковых годов XVII века, достигая своего максимума в последней четверти XVII в. — первой четверти XVIII в. Можно утверждать, что начиная со второй половины XVII в. и до конца рассматриваемого периода продукция тбилисского монетного двора практически полностью удовлетворяла потребность рынка Восточной Грузии в серебряной монете, играя при этом, значительную роль и в монетном обращении всего Закавказья.

ლ. მძვინვარაძე

თბილისის ხელოვნება რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან
1900-იან წლებში

მარქსისტული იდეების გავრცელება საქართველოში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. იგი უკავშირდება კაპიტალისტური ურთიერთობების გაღრმავებას და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას საქართველოში. ამ დროს მუშათა კლასმა გარკვეული სახე მიიღო და დაიწყო აშკარა ბრძოლა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირველი დიდი გაფიცვა მოხდა 1886 წ. თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, რომელმაც დასაბამი მისცა თბილისის სხვა საწარმოთა მუშების რევოლუციურ გამოსვლებს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მუშათა მოძრაობამ შემდგომი განვითარება ჰპოვა. ამ დროიდან სულ უფრო მეტად აღინიშნება რუსეთის მუშათა მოძრაობის გავლენა. აშკარა ხდება ცარიზმის მიერ დაჩაგრული რუსი და ნაციონალური განაპირა რაიონების მუშათა პროლეტარული სოლიდარობა და მეგობრობა¹.

გ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა პირველ სტიქიურ გამოსვლებს. იგი შენიშნავდა, რომ „სტიქიური ელემენტი“ წარმოადგენს, არსებითად, შეგნებულობის ჩანასახ ფორმას².

მუშათა გაფიცებმა თანდათან მთელი რუსეთი მოიცვა. ძლიერდებოდა ექსპლოატაცია, ფართოვდებოდა მასიური გამოსვლების ქსელი. საგონებელში ჩავარდნილი მეფის ხელისუფლება მოტყუების პოლიტიკას დაადგა. 1886 წ. 3 ივნისს და 1887 წ. 2 ივნისს გამოიცა ე. წ. „საფაბრიკო კანონი“. 3 ივნისის კანონი ითვალისწინებდა კაპიტალისტის მიერ მუშის დაჭირავეების ვადებსა და ფორმებს, ხელფასის გაცემისა და ჯარიმების აღების წესს, ხოლო 2 ივნისის კანონი სამუშაო დროს 11¹/₂ საათამდე კვეცავდა და ყოველ კვირა და უქმე ღღეს დასვენებას სავალდებულოდ აცხადებდა როგორც მესარეწეებისათვის, ისე მოშებისათვის. საფაბრიკო კანონი არ გავრცელდა წვრილ საწარმოებზე, მათთვის სპეციალური დებულება შეიმუშავა სენატმა 1893 წ. სენატი აგრეთვე კვეცავდა სამუშაო საათებს და აწესებდა დასვენებას კვირასა და უქმე დღეებში წვრილ ხელოსნურ საწარმოებში³.

¹ 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, კრებული, თბ., 1955, გვ. 3.

² გ. ი. ლენინი ა. თხზ., ტ. 5, გამოც. IV, გვ. 467.

³ ეს დადგენილება არ ვრცელდებოდა პურის ღუქნებზე (გამომცხვარი პურით მოვაჭრეებზე, საკონდიტროებზე, საპარიკმახეროებზე, აფთიაქებზე, ხორცის დახლის ღუქნებზე, ბიბლიოთეკებსა და სამიკიტნოებზე, კლუბებთან არსებულ ბუფეტებზე).

აღნიშნული კანონები და დებულებები პერიფერიებში შედარებით გვიან გატარდა.

მრეწველი კაპიტალისტები ათასნაირი ხრიკებით ცდილობდნენ გვერდი აეველოთ ახალი კანონებისათვის და კიდევ უფრო ამწვავებდნენ მუშათა ექსპლოატაციას. „ახალი კანონი“ — წერდა ვ. ი. ლენინი საფაბრიკო კანონმდებლობის შემოღებასთან დაკავშირებით, — დარჩება ფარატინა ქალაქად, დარჩება ერთ-ერთ იმ მოკაზმულ და ცრუ აბრად, რომლითაც ჩვენი მთავრობა ცდილობს შეალამაზოს პოლიციური თვითნებობის, მუშათა უფლებებისა და ჩაგვრის მთლად დამპალი შენობა“⁴.

საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობა საქართველოში 1902 წლიდან დაწესდა, მაგრამ მას არ დაუქვემდებარდა ამქრებში გაერთიანებული სახელოსნოები და არც ამქარგარეშე შედარებით წვრილი საწარმოები. ამ შემთხვევაში მეთვალყურის როლი ეკისრებოდა თბილისის სახელოსნო სამმართველოს და ქალაქის პოლიციას.

XIX ს-ის ბოლოს რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გაძლიერებამ და ექსპლოატაციის გაღრმავებამ, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებამ თავისი დალი დაასვა საქართველოს მწარმოებელ კლასს და ამდენად ნიადაგი შეუშადა ახალი რევოლუციური, სოციალურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას როგორც მუშათა, ასევე ექსპლოატირებულ ხელოსანთა, წვრილ მწარმოებელთა და წვრილ ვაჭართა ფენებში. ამ პერიოდში ინტენსიური ხასიათი მიიღო მუშათა პროლეტარიატის პროცესმა, ხოლო შინამრეწველები და ხელოსნები, აგრეთვე წვრილი გლეხობა ძლიერი კონკურენციის შედეგად იძულებულია ქარხნებსა და ფაბრიკებს შეაფარონ თავი და გაიზიარონ მუშა-პროლეტარიატის ბედი ან საკუთარ უბადრუკ სახელოსნოებში მიძიმე შრომით ირჩინონ თავი⁵. ამ მოვლენების გვერდით აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება — ხელოსნობის ისეთი დარგები, რომელნიც ნაკლებად ან სულ არ განიცდიან მსხვილი საწარმოების კონკურენციას, რადგან ამ დროს ჯერ არ არის ამ დარგში საფაბრიკო-საქარხნო წარმოება დანერგილი, თვით მსხვილდებიან და ექსპლოატატორ-მრეწველებად იქცევიან. ასეთი იყო ავურის წარმოება, კარეტის დამამზადებელი სახელოსნოები, სხვადასხვა სამკერვალოები, სადურგლო, მექანიკური-საზეინკლო სახელოსნოები და სხვა. კონკურენციასთან ბრძოლის გამოხატულება იყო 80-იანი წლებიდან საქართველოში ამხანაგობების დაარსება, რაც რევოლუციონერ-ხალხოსანთა გავლენით უნდა აიხსნას. შედარებით წვრილი სახელოსნოები ერთიანდებიან ამხანაგობებში⁶, მაგრამ მბრძოლის ეს გზა არ გამოდგა სწორი.

წვრილი ვაჭარ-ხელოსნების უკმაყოფილებას აძლიერებდა მთავრობის ის ღონისძიებები, რომლებიც კიდევ უფრო ამწვავებდნენ მათ ეკონომიურ სიდუხჭირეს და ლახავდნენ ნაციონალურ ღირსებებსაც.

⁴ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გამოც. IV, გვ. 354.

⁵ იქვე, გვ. 72

⁶ ქარხნის ხელოსანთა ამხანაგობა — „შრომა“, ქართველ მკერავ ქალთა ამხანაგობა, მეტურეთა ამხანაგობა ქუთაისში და სხვა.

დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხელოსან მეპატრონეთა შორის შთავრობის კანონმა კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა-ხელოსნობის შეწყვეტის შესახებ⁷, სინამდვილეში არც ერთი მათგანი ამ კანონს არ ემორჩილებოდა.

სახელმწიფო ხაზინისა და ქალაქის შემოსავლის გადიდების მიზნით შემოწმებულ იქნა ვაჭართა და ხელოსანთა დუქნების საქონელბრუნვა, ხოლო სახლის მეპატრონეებს საკომლო გადასახადი დაუწესეს⁸. შემოწმების შედეგად გაიკვია, რომ ბევრი მათგანი არ იხდიდა გადასახადს დადგენილი წესის მიხედვით, რისთვისაც ისინი დააჯარიმეს 50-დან 500 მანეთამდე. ამის შესახებ გაზ. „ივერია“ წერდა: „რასაკვირველია ესეც დიდად დაემჩნევათ მოვაჭრეებსა, მათ საქონელზედ ფასის მომატებაც უძნელდებათ, რადგან მუშტარი ცოტაა და ამ გარემოებათა გამო ბევრი მათგანი სარგებლობის მაგიერ ზარალობს კიდევ. ბევრმა მოვაჭრემ ალაგა დუქანი და სხვა საქმეს დაადგა და როგორცა ჩანს კიდევ ბევრი დაჰხურავს თავის დუქანს“⁹.

ღარიბ ხელოსნებს ავიწროებდა აგრეთვე სახელოსნო გამგეობა ქრთამებითა და გამოძალვით. იგი ცდილობდა გამდიდრებას, ძალაუფლებას ბოროტად იყენებდა და უკანონო დადგენილებებს სცემდა. თვითნებურად აწესებდა ბეგარა-გადასახადებს, მოხელეთა დახმარებით უკანონოდ ხურავდა სახელოსნოებს და სხვა.

1898 წ. აპრილში ამქართა 29 დეპუტატმა საჩივარი შეიტანა თბილისის გუბერნატორთან ხელოსანთა საერთო კრების მიერ უკანონო დადგენილების მიღების გამო „საზოგადო ბეგარებისა და ხარჯების შესახებ“. განცხადებაში აღნიშნული იყო: „ჩვენი სახელოსნო გამგეობის წესდებით, ერთგვარ გადასახადს იხდიან შეძლებულნი და შეუძლებელნი, ნაცვლად იმისა, რომ გადასახადი განაწილებულ იქნეს შემოსავლისდაკვალად; მაგალითად, ხელოსანი, რომელსაც დღეში აქვს 15 მანეთის შემოსავალი, იხდის იდენსავე, რამდენსაც ის ხელოსანი, რომელსაც თვეში არ ეღირსება 15 მან. შემოსავალი. ან კიდევ არიან ისეთი ქარგლები, რომლებიც თვეში იღებენ არანაკლებ 30 მანეთისა და არიან ისეთებიც, რომლებიც თვეში ძლივს 6 ან 8 მანეთს იშოვიან; მიუხედავად ამისა, პირველნი და მეორენი ერთგვარ გადასახადს იხდიან. ყოველივეს ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ არც ერთმა ხარკის გადახდელმა არ იცის სად მიდის მისგან მიღებული ფული და ან რა საქმეს ხმარდება“¹⁰.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ხელოსნური წარმოების კრიზისმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ წვრილ წარმოებაში დასაქმებულ დაქირავებულ ხელოსანთა მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. სამუშაო ხანგრძლივობა 14—15 საათს და მეტხანს გრძელდებოდა, ხოლო 1893 წლის კანონით განსაზღვრული სამუშაო დრო მხოლოდ ქალაქებში დარჩა. არც ერთი სახელოსნო-საწარმო არ მუშაობდა დადგენილი საათების მიხედვით, კვირა და უქმე დღე არ არსებობდა მათთვის. განსაკუთრებით მძიმე იყო მუშაობის პირობები ბნელ, ნესტიან და ჭუჭყიან სახელოსნოებში. ხელოსანთა წრეებში სრული განუკითხაობა სუფევდა, რაზეც მიუთითებს მეპატრონეთა ამქრის მოხსენებითი ბარათი: „საერთო

⁷ საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 530; გაზ. «Новое обозрение», 1890, № 2401.

⁸ გაზ. „ივერია“, 1888 წ., № 136.

⁹ იქვე.

¹⁰ „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 507; «Новое обозрение», 1890, № 2401.

სახელოსნო გამგეობისათვის საკმაოდ ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში თითქმის ყველა ამქრის ქარგალი ხელოსნები თხოვნით მიმართავენ როგორც თავის, ასევე საერთო ამქართა მმართველობას, რათა გარკვევით აუხსნან მათზე დაკისრებული ვალდებულებანი და სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობა¹¹. ამქრებმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერც ერთ ინსტანციაში ვერ მიიღეს.

80-იანი წლებიდან ხელოსანთა საზოგადოებაში გახშირდა ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უკმაყოფილება. პირველ ხანებში ისინი მიმართავდნენ მთავრობას საპროტესტო განცხადებებით, საჩივრებით, ცდილობდნენ გაეძვირებინათ როგორც ნაწარმი, ისე ხელობა. მაგალითად, გაძვირდა ღურგლის ხელობის ფასი მანეთიდან მანეთნახევრამდე, კალატოზისა და მღებრის ორ მანეთამდე, უბრალო მუშის შაურიდან სამ აბაზამდე ავიდა¹². მაგრამ ხსნა არსად ჩანდა. ამას ზედ დაერთო 90-იანი წლების მოუსაველიანობა და შიმშილი.

ამრიგად, 900-იანი წლებისათვის საქართველოში ხელოსანთა საზოგადოების ყველა ფენაში იზრდებოდა უკმაყოფილება. საერთო რევოლუციური სიტუაციის პირობებში რუსეთის ხელისუფლება შეეცადა ყოველი ღონე ეხმარა ჩამოეშორებინა პროლეტარიატისათვის მწარმოებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ამიტომ შეიმუშავა ღონისძიება ხელოსნური და კუსტარული მრეწველობის განვითარებისა და გაფართოებისათვის. მთავრობის მიზანი იყო მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი დაექსაქსა წვრილ საწარმოებში და „ეხსნა“ იგი პაუპერიზაციისაგან.

ამ მიზნით დაარსდა სრულიად რუსეთის კუსტარული კომიტეტი და მასზე დაქვემდებარებული კავკასიის კუსტარული კომიტეტი. კუსტარული კომიტეტის მუშაობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან მას სათანადო სახსრები არ გააჩნდა მასზე დაკისრებული მისიის შესასრულებლად. თითქმის ყველა წამოწყება ცდის ხასიათს ატარებდა და მისი დანერგვა და პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა, რაც რუსეთის იმპერიის უკიდურესი ეკონომიური ჩამორჩენილობით იყო განპირობებული.

1898 წ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი დებულება, რომელიც ქალაქის წოდებათა გამსხვილებას გულისხმობდა. მეშინათა, ხელოსანთა და ვაჭართა წოდებები მთავრობამ ერთი გამგეობის მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცია და დაუქვემდებარა ქალაქის საბჭოს და მის გამგეობას. ხელოსნებს ნებადართული ჰქონდათ ამქრებად დაყოფილიყვნენ. სახელოსნო სამმართველოც ძალაში რჩებოდა, მაგრამ მის მოქმედებას სასტიკად ზღუდავდა ქალაქის გამგეობა, რომლის მოვალეობას შეადგენდა პირველ რიგში პოლიციური მეთვალყურეობა ხელოსან ამქრებზე და შემდეგ სახელოსნო მრეწველობის განვითარებისათვის ზრუნვა¹³.

ამრიგაო, მეფის ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ქალაქის დაქსაქსულ საზოგადოებრივ ფენებზე პოლიციური რეჟიმის გასაგრძელებლად. იმავე წილს პოლიციებისტერის განკარგულებით თბილისში სასტიკად აიკრძა-

¹¹ საქ. ოსსა, ფ. 17, საქმე 4871, გვ. 8.

¹² „ივერია“, 1888 წ., № 187.

¹³ საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 719, გვ. 14; გაზ. „ივერია“, 1898 წ. № 132.

ლა ალექსანდრეს ბაღში უმუშევართა და საერთოდ მუშა ხალხის თავყრილობები. ამ ბრძანებას აღმოფთვებით გამოეხმაურა გაზ. „ცნობის ფურცელი“: „მაგრამ განა ამ ბაღში თავს იყრიან მარტო სამუშაოს მძებნელი მსახურნი? აქ თქვენ შეხვდებით საზოგადოდ მუშაობისაგან თავისუფალ პირთ, რომელთაც არა აქვთ ფიჯაკებიანებთან თანაბარი უფლება ბაღით სარგებლობისა. ალექსანდრეს ბაღი სულაც არ წარმოადგენს რაღაც ბირჟას, მსახურთა დასაქირავებლად, და თუ იქ მათ ჰქირაობენ, სწორედ ისე, როგორც ერენის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტზე და სხვა“¹⁴.

პოლიციის აღნიშნული ბრძანება შედეგი იყო იმ მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის ბოლო წლებში. ალექსანდრეს ბაღი ერთ-ერთი ადგილი იყო, სადაც რევოლუციურად განწყობილი მასები იკრიბებოდნენ და მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს ანვითარებდნენ. ამავე მიზნით აეკრძალა ხელოსანთა ამქარს 90-იანი წლებიდან განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ზურნა-დუღუქებით, ამქართა დროშებითა და ნიშნებით ქუჩებში გამოსვლა და საერთოდ ყოველგვარი თავყრილობები და შეკრებები¹⁵.

ხელოსნებსა და წვრილ მწარმოებელ ფენებს შორის სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელების შესანელებლად მთავრობის ინიციატივით რუსეთში მოეწყო საარტელო მოძრაობა, რომელსაც გაზეთმა „ისკრამ“ „საარტელო ციებ-ცხელება“ უწოდა. „საარტელო ციებ-ცხელება“ მთელ რუსეთს მოედო, ამ ანკეს ქართველი ხელოსნებიც წამოეგნენ. მაგრამ სოციალ-დემოკრატების აქტიური აგიტაციის შედეგად აღნიშნულ მოძრაობას შედეგი არ მოჰყოლია.

გაზეთმა „ისკრამ“ სპეციალური წერილით 1901 წელს ამხილა თვითმპყრობელობის დამქაშების ზუბატოვისა და მისი მიმდევრების გამცემლური პოლიტიკა, მათ მიერ შემოთავაზებული „საარტელო კომპანიის“ ნამდვილი არსი. წერილის ავტორი აღნიშნავდა: «Стараясь отвлечь рабочий класс от социализма, царское правительство, в страхе за свое благополучие, по рецепту «нового времени» лицемерно проявляет «отеческую» заботливость о рабочих. Таково объяснение той поддержки, какую встречают со стороны властей артели»¹⁶. აღნიშნული სტატია წვრილ მწარმოებლებს უსახავდა თავის დახსნის სწორ გზას: «Ремесленность неспособная выдержать конкуренцию крупного капитала, ищет спасения в единении мелких предпринимателей на артельном начале; но не в таком единении могут найти себе выход русские рабочие. Лишь соединившись для свержения самодержавия, они получают необходимые условия социалистического идеала...»¹⁷

ზუბალოვის პოლიტიკას ერთადერთი მიზანი გააჩნდა — მუშათა მოძრაობის ლეგალიზაცია და მშვიდობიანი გზით წარმართვა და ამასთანავე მკაცრი პოლიციური მეთვალყურეობისა და ჯამუშური მფარველობის განხორციელება მათზე¹⁸.

¹⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 523.

¹⁵ საქ. ცსსა, ფ. 199.

¹⁶ გაზ. «Искра», 1901 წ., № 14.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

900-იანი წლებიდან თვითმპყრობელობის ყოველგვარი ცდა — შეენელებინა აღმავალი რევოლუციური განწყობილება მუშათა მასებში — უშედეგოდ დამთავრდა. პროლეტარიატის ბრძოლას თვითმპყრობელობისა და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. იმპერიის ეკონომიურად გადატაკებულმა, პოლიტიკურად უუფლებო მრავალნაციონალურმა მშრომელმა მოსახლეობამ ერთსულოვნად და ენერგიულად აიძალა ხმა ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. მათ შორის აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს წვრილი მწარმოებლებიც: ხელოსნები, ქარგლები და შეგირდები.

თბილისის სახელოსნოებში ვრცელდება აკრძალული ლიტერატურა. ბევრი მათგანი ერთიანდება სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ ჩამოყალიბებულ წრეებში. ისინი ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან ერთად მონაწილეობენ გაფიცვებსა და საპირველმაისო დემონსტრაციებში.

ხელოსანთა და წვრილმწარმოებელთა რევოლუციაში მონაწილეობის შესახებ მსჯელობის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ამ ფენის ორმაგი ბუნება¹⁹. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ხელოსანთა საზოგადოების მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია შეიმჩნევა, ოსტატი, ქარგალი და შეგირდი უმეტეს შემთხვევაში ფაქტიურად ხელოსანი მეპატრონის დაქირავებულ მუშებად იქცევიან. წინააღმდეგობის უკიდურესად გამწვავებას ხელს უშლიდა ფსიქოლოგიური ბარიერი — ეს დაქირავებული ოსტატი, ქარგალი და შეგირდი ჯერ კიდევ პოტენციალურ მესაკუთრედ რჩებოდა.

ხელოსანთა ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში მეფის ხელისუფლებასაც, როდესაც იგი რევოლუციურად განწყობილი პროლეტარიატისაგან მათ ჩამოშორებას ცდილობდა.

ითვალისწინება რა ამ გარემოებას, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია განსაკუთრებული ღონისძიებებით ცდილობდა აემაღლებინა ხელოსანთა თვითშეგნება და მიეცა მათთვის საშუალება სინამდვილის სწორად აღქმისა. ამისათვის იგზავნებოდნენ აგიტატორები ხელოსანთა წრეებში, ვრცელდებოდა სპეციალური პროკლამაციები ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ფ. მახარაძის, ი. სტალინის და სხვა მარქსისტი რევოლუციონერების სტატიებმა, რომლებიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა. სტატიები იწერებოდა მდაბიო ხალხისათვის გასაგები ენით. იგი უმარტავდა მასებს კერძო საკუთრების არსს და მოუწოდებდა აქტიური ბრძოლისაკენ.

ი. სტალინის სტატიაში „კერძო საკუთრება და მისი ნაყოფი“ აღნიშნული იყო: „...საკვირველია, რომ ბევრი მოტრფიალე ჰყავს კერძო საკუთრებას და რიბთა შორისაც, ეს გარემოება უნდა მივაწეროთ შეუგნებლობას. ღარიბს მაგ. გლეხს, წვრილ მოქალაქეს და სხვა..., კერძო საკუთრება სახელითა აქვს მხოლოდ. რა უნდა ვთქვათ იმ კერძო საკუთრებაზე, რომლის პატრონიც დამშუულ-ჩამოფლეთილია?! რა თილისმითა და ჯადოთი მოხიბლა მათმა კერძო საკუთრებამ ეს მშვიერ-ლატაკნი?!

¹⁹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გამოც. IV, გვ. 283.

ტყუილია იმედი, რომ წვრილი მესაკუთრე გამდიდრდეს. ეს ათასში ერთ-
ჯერ თუ მოხდება. ვისაც აქვს ემატებოდესო, ეს კანონია ეხლანდელი ეკონომი-
ური ცხოვრებისა. ცილობა და ქიშპი მდიდარ კაპიტალისტებსაც კი აკოტრებს,
უფრო და უფრო მდიდრდებიან ძლიერ მდიდარნი.

მეტყვიან წვრილ კერძო-მესაკუთრეთა რიცხვი არ კლებულობს, მატუ-
ლობსო, უბედურებაც ის არის, რომ ლატაკთა რიცხვი მატულობს.

დღევანდელ დაუწყობელ ცხოვრებაში ადამიანის ბედი და უბედობა უბრა-
ლო, მექანიკურ ცვალებადობაზეა დამოკიდებული. თუ ვინმემ მოიგონა ახალი,
შეიტანა თავის ფაბრიკაში, მუშები აღარ დასჭირდა და გამოყარა²⁰.

900-იანი წლების რევოლუციური გამოსვლების დაგვირგვინება იყო 1901
წლის 22 აპრილის დემონსტრაცია თბილისში. ამით კავკასიაში იწყებოდა გაშ-
ლილი, ღია რევოლუციური მოძრაობა. გაზ. „ისკრა“ შენიშნავდა: უკვე 3—4
წელიწადია, თბილისის მუშათა შეგნებული ნაწილი შემჭიდროვდა ერთი საერ-
თო მუშური დროშის ქვეშ, გაბატონებული კლასების წინააღმდეგ საბრძოლ-
ველად, თანამედროვე სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ. 22 აპრილს თბი-
ლისის მშრომელებმა დემონსტრაციით აღნიშნეს პირველი მაისის დღესასწა-
ული, უნდა შევნიშნოთ — წერდა „ისკრა“, რომ დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო
გაცხოველებული, ენერგიული სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა კარ-
გად ორგანიზებულ მუშათა წრეებში, მუშათა საკითხებზე საუბრები და დიდი
რაოდენობით ბროშურების გავრცელება სომეხ, რუს და ქართველ მუშებში,
რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა პარტიის ზრდისა და განვითარ-
ების საქმეში²¹. 1901 წლის 22 აპრილის საპირველმაისო დემონსტრაცია გას-
ცეს. მთავრობამ ჯარი ჩააყენა რკინიგზის და ქალაქის წვრილი სახელოსნოების
წინ, რაც მეტყველებს თბილისის ხელოსანთა აქტიურ როლზე ამ დემონსტრა-
ციის მოწადადებამი.

თბილისში დაიწყო მასიური დაპატიმრებანი, მაგრამ მთავრობის ამ ღონის-
ძიებამ რევოლუციური ტალღა ვერ შეასუსტა. ამიერიდან მუშათა მოძრაობა
ვითარდება მთელი სიღრმე-სიგანით²². ფაბრიკების, ქარხნების, ტიპოგრაფიე-
ბის, ცოტად თუ ბევრად მსხვილი სახელოსნოების მუშა-ხელოსნები, ბევრი
წვრილი საწარმო ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის გავლენის
ქვეშ მოექცა, ხოლო ხალხი და განსაკუთრებით ინტელიგენცია ხალხით
დაეწაფა კომიტეტის მიერ გამოცემულ არალეგალურ ლიტერატურას²³. თვით
ჟანდარმერიის აგენტურის ცნობით 1901 წლისათვის სოციალ-დემოკრატიული
წრეები თბილისში ფართო საავიტაციო მუშაობას ეწევიან. აღსანიშნავია ის
ფაქტი. რომ სოციალ-დემოკრატები ოფიციალურად ნებადართულ საჯარო
ლექციებსაც კი იყენებდნენ ქალაქის მოსახლეობის ფართო მასების საპროტეს-
ტო გამოსვლების მოსამზადებლად²⁴.

ნაძალადევაში 1901 წლის 2 ნოემბერს, კვირას შედგა არალეგალური ცენ-
ტრალური კომიტეტის მეორე სხდომა, სადაც ერთ-ერთი აქტიური საკითხი იყო

²⁰ გაზ. „ახალი დროება“, 1906, № 8.

²¹ გაზ. „ისკრა“, 1902, № 19.

²² 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, კრებული.

²³ «Очерки коммунистических организаций Закавказья», 1867 г.

²⁴ მლისფა, ფ. 8, ოპ. 5, ედ-ჰრ 10.

ინტელიგენტი პროფესიონალი რევოლუციონერების ადგილობრივი კადრების მომზადება. ასეთი წრეები ჩამოყალიბებული იყო რეალურ სასწავლებელში, ერთ-ერთ გიმნაზიაში და აგრეთვე თბილისის სახელოსნო სკოლაში²⁵.

სოციალ-დემოკრატიული იდეები საკმაოდ სწრაფად ვრცელდებოდა წვრილმწარმოებელთა შორის. ერთი საარქივო საბუთის ცნობით, 1901 წლის მარტისათვის თბილისში არსებობდა სახარაზო სახელოსნო, რომელსაც ერქვა „დემოკრატიული სახელოსნო“. იქვე იყო საჩაიე აბრით — „მუშათა კლასი“²⁶.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერების აქტიური მოღვაწეობის შედეგად, საზოგადოების ეს რთული უბანი რევოლუციური პროლეტარიატის მოკავშირედ გვევლინება რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და, განსაკუთრებით, აღმავლობის წლებში.

ხელოსანთა რევოლუციური ბრძოლის ამსახველი სურათები შემოგვინახა იმდროინდელმა პროგრესულმა პერიოდულმა ლიტერატურამ და არქივებში დაცულმა ოფიციალურმა დოკუმენტურმა მასალებმა.

1901 წლის 2 დეკემბერს პუშკინის ბაღში ჩატარდა თბილისის საკონდიტროების ქარაოთა კრება, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ე. წ. „საკონდიტროების კავშირში“. კრების მიზანი იყო კვირა-უქმე დღეებში მუშაობის აღკვეთა. მთავრობამ გადაწყვიტა მუშების დასასჯელად ნაცადი ხერხი ეხმარა — გაფიცული ქარაღლები დაეთხოვა და მათ ნაცვლად კიევიდან მოეწვია რუსი და პოლონელი ჭილოსნები²⁷. მსხვილ თაბრიკა-ქარხნებში არაკვალიფიციური გაფიცული მუშების დათხოვნა და მათ ნაცვლად ახლის მიღება, იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო უმუშევართა მოზღვაების გამო, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, იქ სადაც მწარმოებელი მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტი იყო, აღნიშნული მეთოდი ყოველად გაუმართლებელი გამოდგა.

ამრიგად, ხელოსნურ საწარმოებში მომუშავეთა მდგომარეობა თითქოს შედარებით უკეთესი იყო. მთავრობას მათი დასჯის მეთოდების შემუშავება ზოგჯერ უცნელდებოდა, თუმცა საპრობოლის კარი მათთვისაც ყოველთვის ღია იყო.

1901 წლის 9 ივნისს გაიფიცნენ გაუფის საზენკლო სახელოსნოს შვიგირდები, რომელნიც მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და სამუშაო დროის შემცირებას²⁸.

1901 წლის 28 ივლისს ჟანდარმერიამ გაჩხრიკა ნ. ციბაძის სადგურგლო სახელოსნო, სადაც აღმოაჩინა არალეგარული რევოლუციური ლიტერატურა²⁹.

მუშათა რევოლუციურ გამოსვლებში განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდნენ თბილისის ტიპოგრაფიის მოშიბი და ასოთამწყობები, რაც ამ დარგის ხელოსნების განსაკუთრებით მძიმე სამუშაო პირობებით აიხსნება.

²⁵ მლსფა, ფ. 8, ოპ. 5, ედ-xp 10.

²⁶ საქ. სახ. ცსსა, ფ. 17, აღ. საქმე 4523.

²⁷ იმელის საქ. ფილიალი, ფ. 31, საქმე 22.

²⁸ ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, მნიშვნელოვან მოვლენათა მ. ტიანე (1883—1921 წწ.), თბ., 1974.

²⁹ ი ქ ვ ე.

1902 წელს საპირველმაისო დემონსტრაციების თავიდან აცილების მიზნით ეანდარმერამ წინასწარ დაიწყო მასიური დაპატიმრება. პროლეტარიატი რევოლუციური ბრძოლის შემდგომი გაძლიერებით უპასუხებდა. ეკონომიური გაფიცვებიდან იგი პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე გადადიოდა³⁰. გაისმოდა ლოზუნგები: „პოლიტიკური თავისუფლება“, „8 საათიანი სამუშაო დღე“ და „1 მაისი“. გამოსვლებს ორგანიზებულობა ემატებოდა.

1902 წლის 23 თებერვალს თბილისის ქუჩებში დიდი დემონსტრაცია მოეწყო, რომელშიც 6000 კაცი მონაწილეობდა; მათ შორის იყვნენ წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და პროგრესულად განწყობილი ინტელიგენცია. ამ დემონსტრაციის აღსანიშნავად გამოშვებულ სპეციალურ პროკლამაციაში რსდმპ თბილისის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავდა ქალაქის მოსახლეობის არაპროლეტარული ფენების რევოლუციურ გააქტიურებას. ლენინი დიდად აფასებდა ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში, ამიტომ ეს პროკლამაცია გაზეთმა „ისკრამაც“ გადაბეჭდა 1903 წელს და გაავრცელა მთელი რუსეთის მასშტაბით³¹.

1902 წლის 7 სექტემბერს თბილისში გაიფიცნენ სამკერვალოების მუშეები, რომელნიც მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და სამუშაო დროის შემცირებას. გაფიცვამ სამ კვირას გასტანა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა³².

გაფიცვებისა და დემონსტრაციების ფართოდ გაშლასთან დაკავშირებით კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილმა 1902 წლის 18 იანვარს გამოსცა დადგენილება, რომლის მე-15 მუხლი სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვას ეხებოდა. დადგენილებით პოლიციას უფლება ჰქონდა დაეპატიმრებინა ის პირები, რომელნიც პოლიციის ნებართვის გარეშე შეიკრიბებოდნენ. ამ დადგენილების საფუძველზე გახშირდა დაპატიმრებები. 1903 წელს დაპატიმრებულთა შორის მრავლად იყვნენ ხელოსნები, ნოქრები, მზარეულები და შინამოსამსახურეები. მაგალითად, 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვის დროს თბილისში 11 ივლისს დააპატიმრეს 18 მეპურე, 3 ყასაბი³³. 14 ივლისს დააპატიმრებული 59 კაციდან 31 ხელოსანი იყო: დურგალი, მხატვარი, ქვის მთლელი, მეწაღე, ზეინკალი, წყლის მიღების შემკეთებელი (водопроводчик), მეღუმელე, მებუხრე, ასოთამწყობი და სხვ. 1903 წლის 18 ივლისს კი 13 დაპატიმრებულ ხელოსანთა შორის იყვნენ მღებავები და თერძები³⁴.

1903 წელს 19—20 მაისს თბილისში გაიფიცნენ სუმბათოვის ტყავის სახელოსნოს მუშეები³⁵, ხოლო 20 მაისს — თბილისის ქართველ თავადაზნაურთა ქარვასლის ტერზახაროვის სახარაზოს მეჩქმეები. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. გაფიცვა ქარგლების და შეგირდების გამარჯვებით დამთავრდა³⁶.

³⁰ 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, კრებული (ნ. ი. სტურუას სტატია).

³¹ გაზ. „ისკრა“, 1903, № 37.

³² „ისკრა“, № 32, 1903, 15/1; მნიშვნელოვან მოვლენათა მატრიცა, გვ. 79.

³³ საქ. ცსსა, ფონდი 17, აღ. 1, საქმე 4862.

³⁴ იქვე.

³⁵ მნიშვნელოვან მოვლენათა მატრიცა (1883—1921 წწ.), გვ. 88.

³⁶ იქვე. გვ. 88.

იმავე წლის 30 ივნისს თბილისში გაიფიცნენ ქვის მთლელები, დურგლები და მშენებელი მუშები. აქაც გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა³⁷. 11 და 19 ივლისს გაიფიცნენ მეპურეები და მექისეები³⁸.

1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამოვიდა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია — „მშრომელო ხალხო, აღსდევ, შემოკრბი!“, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი გაფიცვის ორგანიზებულად და მასიურად ჩატარებას.

კრებულში «Архив истории труда в России»-ში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვის დროს ქ. თბილისში მონაწილეობა მიუღია 15000 კაცს³⁹.

1903 წლის ივლისის ბოლოსათვის იმდენად ფართო ხასიათი მიიღო ხელოსანთა შორის მღელვარებამ, რომ სახელოსნო სამმართველოს უფროსი ფარსეგოვი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა თბილისის გუბერნატორისათვის, რათა პოლიციის მკაცრი კონტროლი დაეწესებინა ქალაქის ხელოსან მეპატრონეებზე, და შფოთის აცილების მიზნით აეძულებინა ისინი მკაცრად დაეცვათ 1893 წლის კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო საათების რეგლამენტაცია⁴⁰.

თბილისის მე-8 და მე-9 უბნების პრისტავების ცნობით, 1903 წლის 15 ივლისს მრავლად იყვნენ ბუნტის მოთავე ხელოსნები. მაგ., ხელობით ზეინკალი 20 წლის ვინმე სერგო შახვერდოვი და მეპურეები 38 წლის პავლე კაპანაძე, 22 წლის რაყდენ მასიურაძე, 18 წლის გალაქტიონ ლებანიძე და 42 წლის სიკო ოშიაძე დადიოდნენ ქუჩებში, სახელოსნოდან სახელოსნოში და ხელოსნებს მოუწოდებდნენ შეეწყვიტათ კვირა-უქმე დღეებში მუშაობა. ხოლო გიორგი მიქაძე თერძებს შორის ეწეოდა აგიტაციას და აქეზებდა მათ შფოთის და გაფიცვების მოსაწყობად⁴¹.

მოცემული საბუთი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ გაფიცვაში ხელოსანთა ფართო წრეები მონაწილეობდნენ და, რომ მონაწილეთა შორის არიან უკვე გამოცდილი, ხანდახმული ხელოსნებიც, რომელნიც პირადი მაგალითით აღაგზნებდნენ თანამოსაქმეებს რევოლუციური სულისკვეთებით.

ხელოსანთა რევოლუციური ალტკინება იმდენად შორს წავიდა, რომ ისინი იფიცებოდნენ ამქრებით. იყო შემთხვევები, როდესაც თვით ამქრის მამასახლისები გამოდიოდნენ წამქეზებლებისა და ხელმძღვანელების როლში. ხელოსანთა სამმართველოს უფროსის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილი არიან მთავრობისათვის არაკეთილსაიმედო მამასახლისები, რომელთაც უარი განაცხადეს თავისი ამქრის წევრების დაბეზღებაზე; ხუროების ამქრის მამასახლისი გიგო როსტომოვი, ქვის მთლელთა ამქრის მამასახლისი მელიქ ოგანეზოვი, მეღუმეღეთა — ვლადისლავ რეპეცკი, მეპურეთა — გიორგი სხირტლაძე, ქალის ტანსაცმლის მკერავთა — ლევან ალიმბაროვი, ზეინკალ-მექანიკოსთა ამ-

³⁷ შიონელიძე ვ. მოვლენათა მატრიცე (1883—1921 წწ.), გვ. 90.

³⁸ იქვე გვ. 91.

³⁹ Архив истории труда в России, кн. V, 1922, стр. 27.

⁴⁰ საქ. ცსსა, ფ. 17, საქ. 4871.

⁴¹ საქ. ცსსა, ფ. 17, საქ. 4862.

ქრის მამასახლი ფრიდრიხ როლოვი, აქვე არიან ხუროების ამქრის მამასახლისის ამხანაგი შაქრო გოგილოვი, ხურო ეგორ დავრიშოვი და მიხეილ სარქისოვი⁴².

რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ხელოსანთა სამმართველოს დაეკისრა ძირითადი ფუნქციის განსაკუთრებული სიფხიზლით შესრულება — მკაცრი ზედამხედველობა ხელოსნებზე; ამავე დროს აქტიური დახმარება უნდა გაეწია პოლიციისათვის არასაიმედო პირთა გამოვლინებაში. ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალებით კარგად ჩანს, რომ ამ მოვალეობას სახელოსნო სამმართველო პირნათლად ასრულებდა⁴³.

1903 წლის ივლისის მეთუნეთა ამქარი გაიფიცა და ამქრის მამასახლისს მოთხოვა გაეზარდა ფასები ნაწარმზე — ათას ცალ კრამიტზე ხუთი მანეთით. ხოლო თითო ცალ ჭურჭელზე 5 კაპიკით, წინააღმდეგ შემთხვევაში მამასახლისს გუკასოვს დაემუქრნენ დარბევით.

ასეთი და მსგავსი გამოსვლები 1903 წელს მრავლად არის აღნიშნული სარქივო საბუთებში. ამ პერიოდში ხელოსანთა მოთხოვნები თანდათანობით გარკვეულ და ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობდა და სრულიად ან ნაწილობრივ მაინც აღწევდა მიზანს. მოთხოვნები ძირითადად ეხებოდა — სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, კვირა-უქმე დღეებში დასვენებას, სამუშაო საათების შემცირებას, ნაჭრობით მუშაობის მოსპობას და თვიური ხელფასის დაწესებას, ნაწარმზე ფასების მომატებას; შეგირდების ვადების მკაცრად დაცვას, შეგირდებთან წესიერ მოპყრობას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას⁴⁴. იფიცებოდნენ თითქმის ყველა ხელობის ხელოსნები გაერთიანებული ამქრებში და ამქრებგარეშე, შედარებით წვრილი და მსხვილი სახელოსნოები. რევოლუციური იდეების გავრცელება აგიტაციის ყველა საშუალებით ხდებოდა, — წრეების, პროკლამაციების, ჟურნალ-გაზეთების, აკრძალული მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის გავრცელებით. მაგალითად, 1905 წ. გაზ. „მოგზაური“ ბეჭდავს წერილს, რომელიც მიმართული იყო წვრილი ხელოსანი მეპატრონეების თვითშეგნების ასამალღებლად: „დიდი ხანი აო არის მას აქეთ, რაც ამათ თავისი სახელოსნოები ჰქონდათ, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ ისინი იძულებული გახადა საკუთარი სახელოსნოები დაეკეტათ. იმის მაგივრად, რომ შეგნებულ ამხანაგებთან ერთად შეუდგნენ თავიანთი პირობების გაუმჯობესებას, ესენი მათ გაუბრბიან და ფიქრობენ, რომ გამდიდრდებიან და საკუთარ სახელოსნოებს დააარსებენ“⁴⁵.

კიდევ უფრო გაიზარდა და ფართო ხასიათი მიიღო რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში 1904 წელს. ამ წელს პირველი მაისი საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში აღინიშნა დემონსტრაციებით, თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული თავისუფლების ლოზუნგებით. საქართველო და ამიერკავკასია რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მოწინავე ადგილს იჭერდა⁴⁶.

⁴² საქ. ცსსა, ფ. 17, საქ. 4862, გვ. 28—29.

⁴³ იქვე.

⁴⁴ საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 4862, 4871 და სხვ.; ფ. 199, საქ. 84; ს. იტრიევი. საქ. მკერავი მუშების რევოლუციური წარსულიდან, თბ., 1954.

⁴⁵ გაზ. „მოგზაური“, 1905, № 20.

⁴⁶ აბ. კიკვიძე. საქართველოს ისტორია XIX—XX სს. II ნახ., თბ., 1955.

რევოლუციური აღმავლობის პერიოდში თანდათან იზრდება ხელოსანთა სოციალური და რევოლუციური თვითშეგნება. ხელოსანთა საზოგადოება საბოლოოდ გაითიშა ორ — ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასეზად. ექსპლოატირებულთა — დაქირავებული ოსტატების, ქარგლების და შევირდების უმეტესი ნაწილი გაყვა მეზობლი პროლეტარიატის გზას, ხოლო მეორენი წვრილი ხელოსან-მეპატრონეები თანდათან ჩამოშორდნენ რევოლუციას და მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად „მშვიდობიანი“ ცხოვრების გზა ირჩიეს; ეს ე. წ. მეპატრონეები, მოტყუებულნი ლიბერალური ბურჟუაზიული პარტიების მიერ, კარგა ხანს იკვებებოდნენ მთავრობის გამოცემული დათმობებითა და დაპირებებით.

ვ. ი. ლენინი 1907 წ. რსდმპ V ყრილობის რეზოლუციების პროექტებში წვრილი ბურჟუაზიის შესახებ შენიშნავდა; „ქალაქისა და სოფლის დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი ჯერ კიდევ მიჰყვება ამ პარტიებს (გულისხმობს ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიულ პარტიებს — ლ. ე.) მხოლოდ ტრადიციების ძალით და იმიტომ, რომ ამ პარტიების იდეალი არ სცილდება ისეთი მოწესრიგებული ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებს, რომელიც პროლეტარიატის თავდასხმებისაგან დაცულია მონარქიით, პოლიციით, ორპალატიანი სისტემით, მუდმივი ჯარით და სხვა“⁴⁷.

რეზოლუციებში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ სოციალ-დემოკრატია დაუნდობლად უნდა ებრძოდოს ბურჟუაზიული პარტიების ჰეგემონიას დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიაზე, რომ „დაუმთავრებელი, ბოლომდე მიუყვანელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს პროლეტარიატს სჭირდება გაცილებით მეტად მოამარაგოს თავისი ძალები არაპროლეტარულ კლასობრივ, ე. ი. სოციალურ, არამედ საერთო დემოკრატიულ, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ამოცანებს“⁴⁸.

Л. ЭДЗГВЕРАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ РЕВОЛЮЦИОННОГО ДВИЖЕНИЯ ТБИЛИССКИХ РЕМЕСЛЕННИКОВ В 1900-ЫХ ГОДАХ

Резюме

Обострение экономического кризиса и соответственная эксплуатация трудящихся к концу XIX в. в России подготовила почву для широкого распространения новых революционных социал-демократических идей среди рабочих, а также мелкобуржуазных слоев городов и деревень. В Грузии интенсивный характер принимает процесс становления пролетариата. Обострение конкуренции толкает мелких производителей ремесленников и крестьян на работу на фабриках и заводах и тем самым они разделяют судьбу рабочих-пролетариев. Ос-

⁴⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, რევოლუციების პროექტები რსდმპ V ყრილობისათვის, 1907 წ. 15/II—18/II, გვ. 153.

⁴⁸ იქვე, გვ. 405.

тавшися в своих примитивных мастерских вынуждены были тяжелым трудом находить скудные средства существования.

В статье дана картина тяжелого экономического положения тбилисских ремесленников, рассмотрены условия их жизни и труда, а также формы эксплуатации, вынуждавшие мелкобуржуазные слои города идти в ногу с тбилисскими рабочими в их активной борьбе за завоевание экономических и политических прав.

Царское правительство старалось ослабить революционную ситуацию как репрессиями, так и «мирным» путем, который выражался в издании так называемого фабричного законодательства, основании кустарного комитета, в развертывании т. н. артельного движения и т. д.

Не имея под собой реальную экономическую и социальную основу, указанные мероприятия с самого начала были обречены на провал.

В Тбилиси происходили качественные изменения в сознании ремесленников. Среди них распространяется марксистская литература, многие ремесленники объединялись в социал-демократические кружки.

С самого начала революционных выступлений, а особенно с 900-х годов мелкобуржуазные слои г. Тбилиси в том числе как отдельные ремесленники, так и целые ремесленные цеха (амкари) во главе с цеховым управлением (мамасахлиси и т. д.) стали принимать активное участие в революционном движении.

ლ. ძვარინანი

საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება 1850—1875 წწ.

XIX ს. 50—60-იანი წლები ქართველი ხალხის ისტორიაში აღინიშნა მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ძვრებით. ამ დროის საქართველოს მწარმოებელი კლასის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. ბუნებრივია, დღის წესრიგში იდგა ოფლის მეურნეობის გაუმჯობესება-აღორძინებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა XIX ს. 50-იან წლებში „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ დაარსება, რომლის ინიციატორად გვევლინება კავკასიის იმდროინდელი მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი.

მ. ვორონცოვი მოქნილი პოლიტიკოსი იყო. „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ შექმნაზე მისი ზრუნვაც სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი იყო. ვორონცოვმა 1845 წ. კავკასიაში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ყურადღება მიაქცია საქართველოს მოშლილ და გაჩანაგებულ სოფლის მეურნეობას, რომლისთვისაც უცხო და ძნელად ხელმისაწვდომი იყო ამ დროის ევროპისა და რუსეთის განვითარებული გუბერნიების სოფლის მეურნეობაში დამკვიდრებული სიახლენი.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ ადგილობრივ სოფლის მეურნეობას განეცადა ევროპის გავლენა, მაგრამ ბევრი სიძნელე (ფეოდალური კარჩაკეტილობა, სამიმოსვლო გზების მოუწყობლობა და სხვა) ხელს უშლიდა მხარეში დანერგილიყო არა თუ გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არამედ თუნდაც ის, რაც დიდი ხნით ათვისებული იყო რუსეთის შიდა გუბერნიებში. გაზეთი „Кавказ“ წერდა: „თავად ვორონცოვის ჩამოსვლამდე ამიერკავკასიაში, აქ არ იყო არც ერთი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღი. არც ერთი სრულყოფილი მანქანა, არც ერთი ოდნავ რიგიანი მანქანა“¹.

მ. ვორონცოვმა გადაწყვიტა გაეტარებინა გარკვეული ღონისძიებანი: შექმნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, გაეხსნა სპეციალური სკოლა, რომლის მიზანი იქნებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ევროპული მიღწევების გავრცელება-დანერგვა, მსხვილი მეურნეობის შექმნისათვის დახმარების გაწევა და სხვა.

¹ Устав Кавказ. общ. сель. хоз., 1850 г.

XIX ს. 50-იან წლებში სოფლის მეურნეობის ბევრმა დარგმა იწყო გახვი-თარება; ზოგიერთმა კი თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია. მხარეში გაჩნ-და ბევრი კერძომფლობელი, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს სოფლის მეურნეო-ბის ამა თუ იმ დარგს. მეურნეობათა ევროპულ ყაიდაზე მოწყობისათვის მათ უსათუოდ ესაჭიროებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მოწინავე სამეურნეო მიღწევების გაცნობა, მხარდაჭერა და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვორონცოვის თაოსნობით შეიქმნა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“. მან შეიმუშავა და 1850 წ. 27 თებერვალს დამტკიცა საზოგადოების წესდება², რომელიც ითვალისწინებდა:

1. მხარეში არსებული პურეულის, აგრეთვე მინდვრისა და ბაღის მცენარე-ების დამუშავებასა და გაუმჯობესებას, ასევე სასარგებლო ჯიშების გაშენებას.

2. მებალეობის, მებოსტნეობის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტ-კრეობის სრულყოფას.

3. გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღების შემოღებას.

4. სხვადასხვა ჯიშის შინაური პირუტყვის მოშენებასა და გაუმჯობესე-ბას.

5. მეცხოველეობის ჯიშების გამოყვანას, მანუფაქტურული წარმოების სა-შუალებებისა და ხერხების გაუმჯობესებას.

6. სოფლის მეურნეობის ამიერკავკასიის უმეტეს ნაწილში სარწყავი სის-ტემის, როგორც აღორძინების აუცილებელი პირობის გაუმჯობესებასა და გა-ერთიანებას.

7. საზოგადოების გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგების, აგრეთვე საზღვარგარეთის აღმოჩენებისა და გაუმჯობესებათა შესახებ მასალების გავრ-ცელება იმ მხარეებში, რომლებიც ჩართული იქნენ კავკასიის მეურნეობაში.

8. ადგილობრივ მცხოვრებთაგან კარგ მეურნეთა და ხელოსანთა გამო-ზრდისათვის საშუალებათა გამონახვა.

9. წახალისება სოფლის მეურნეობისა, ხელოსნობის იმ დარგებისა, რომ-ლებიც ამუშავებენ პირველად ნაწარმს კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეებ-ში; ასევე ყოველმხრივი ხელშეწყობა რუსეთის შიდა გუბერნიებში და საზღვარ-გარეთ ამ ნაწარმის გასაღებისათვის.

10. კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ნაწარმთა გათვა-ლისწინებული გამოფენის ორგანიზაცია და მათზე მეთვალყურეობა; ამ ნა-წარმთა დაწვრილებითი აღწერა.

11. სასოფლო მწარმოებელთა და მეფაბრიკეთა შორის შუამავლობა ად-გილობრივი ნაწარმის გასაღებისა და წარმოების გაძლიერებისათვის.

12. დამხარისხებლების გამოწერა იმ ნაწარმის დახარისხებისა და გასაღე-ბისათვის, რომელსაც მოიხმარენ ადგილობრივი მეფაბრიკეები: თამბაქო, მარე-ნი, აბრეშუმი, მატყლი და სხვ.³

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მუშაობა დაიწყო 1850 წ. 29 მარტს⁴, მოწვეულნი იყვნენ საპატიო სტუმრები, ადგილობრივი მიწათ-მფლობელები, თანამდებობის პირნი და სხვა მოქალაქენი. საზოგადოების პირ-

² «Кавказ», 1849, № 3, стр. 2.

³ Устав Кавказск. обществ. сельского хозяйства 1850 г. 271.

⁴ «Кавказ», 1850, № 30, стр. 118.

ველ სხდომაზე, სახელმწიფო მრჩეველმა ს. საფონოვმა წაიკითხა საზოგადოების წესდების პირველი ნაწილი; შემდეგ მეფისნაცვალმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა და აღნიშნა, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოყვარულთა მსგავს გაერთიანებებს: „25 წლის წინათ ოდესაში დაარსებულმა სამხრეთ რუსეთის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ, რომელსაც ბევრად უფრო ნაკლები ხელსაყრელი პირობები გააჩნდა, ვიდრე კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას, ძლიერ კეთილყოფელი გავლენა იქონია სოფლის მრეწველობაზე ნოვოროსიისკის მხარეში და მოიპოვა პატივისცემა ყველა მსგავსი საზოგადოებისა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც“⁵.

ვორონცოვმა, დაახასიათა რა სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დადებითი გავლენა ადგილობრივ სოფლის მეურნეობაზე, გამოთქვა იმედი, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებიც გამხნეველნი ზემოთ დასახელებული მიღწევებით, ერთსულოვნად იშრომებენ სოფლის მეურნეობის წინსვლა-აღორძინებისათვის საჭირო და სასარგებლო მასალების გასაავრცელებლად კავკასიისა და ამიერკავკასიის ვრცელ მხარეში⁶.

სამოქალაქო სამმართველოს უფროსმა, თავადმა ვ. ბებუთოვმა, ახალდაარსებული საზოგადოების ყველა წევრის სახელით, ვორონცოვს საზოგადოების პრეზიდენტობა შესთავაზა. ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ვ. ბებუთოვი, მდივნად ი. ზოლოტარიოვი (ჯარის მრჩეველი), მის თანაშემწედ გ. ტოკარევი (ტიტულიანი, მრჩეველი), ხაზინადრად კ. ბელიაევი (კარის მრჩეველი), პრეზიდენტის წინადადებით საზოგადოების წევრებად აირჩიეს: გ. შჩერბინინი, დ. უიჯიანი და ი. ვიტე⁷.

ამგვარად ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება; რუსეთში ამ ღრვისათვის 17 ასეთი საზოგადოება არსებობდა⁸.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოება წარმოიქმნა არა ადგილობრივ მიწისმფლობელთა ნებაყოფლობითი, შეგნებული შეთახმებების შედეგად, როგორც ჩვეულებრივ იქმნებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებში და შემდგომ უფრო გვიან — კავკასიაშიც, არამედ ადმინისტრაციული მოსაზრებების შედეგად, როგორც მთავრობის ღონისძიება, სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების სწრაფად განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების განვლილი 25 წლის მუშაობა შეიძლება დაიყოს სამ დამახასიათებელ პერიოდად: პირველი პერიოდი საზოგადოების დაარსებიდან 1855 წ-მდე; მეორე პერიოდი — 1856—1862 წწ., მესამე პერიოდი — 1867—1875 წწ.⁹

საზოგადოების საქმიანობაში აღნიშნული პერიოდული ცვლილებანი გამოძახილი იყო იმ ადმინისტრაციული ცვლილებებისა, რასაც კავკასიაში ჰქონდა

⁵ «Кавказ», 1850, № 30, стр. 119.

⁶ Там же.

⁷ Там же, стр. 120.

⁸ Там же.

⁹ Там же, стр. 11.

ადგილი და რაც, რა თქმა უნდა, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან ერთად, გავლენას ახდენდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

საზოგადოების საქმიანობა პირველ პერიოდში შეზღუდული იყო მრავალი ხელშემშლელი ფაქტორით: მატერიალური სახსრების სიმცირე, სპეციალისტთა ნაკლებობა, გამოუცდელი და სხვ. მეორე პერიოდიდან საზოგადოების მნიშვნელობა იზრდება. ადგილობრივ მიწათმფლობელთა უმრავლესობას საშუალება ეძლევა თავის მამულში მშვიდობიანი საქმიანობისა. ადრე იმმა ჩამოაცილა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიწამფლობელთა საუკეთესო წარმომადგენლები, რომელნიც მატერიალურ უზრუნველყოფასა და სახელს სამხედრო სამსახურში პოულობდნენ. როგორც კი დასრულდა ომი, მიწათმფლობელთა უმრავლესობა დაუბრუნდა თავის ადგილ-მამულს, დაიწყო ზრუნვა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. მესამე პერიოდი დაემთხვა სინამდვილის ღრმა სოციალურ გარდაქმნებს, რაც, რა თქმა უნდა, აისახა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუშაობაშიც. საგლეხო რეფორმამ და მისმა შედეგებმა აიძულა ადგილობრივი მიწათმფლობელნი ეზრუნათ რაციონალური მეურნეობის მოწყობაზე.

პირველ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ დაწყებითი პერიოდი, როდესაც წამოიჭრა მრავალი საკითხი მხარეში სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების გაუმჯობესების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი საბოლოოდ გადაწყდა და შესრულდა იმავე პერიოდში, უმრავლესობა კი დარჩა გადაუწყვეტელი ან ნაწილობრივ შესრულებული, რაც შემდგომი პერიოდის მოღვაწეთა საზრუნავს წარმოადგენდა. ასევე საზოგადოების საქმიანობაში შეინიშნებოდა არათანამიმდევრობა და უსისტემობა, ეს ბუნებრივად იყო, რადგანაც ამ პერიოდში ნაკლებად იყო ცნობილი ქვეყნის სოციალურ-საზოგადოებრივი ეკონომიკური განვითარების სურათი, არ იყო თუნდაც მიხსლოებითი სტატისტიკური ცნობები ქვეყნის საწარმოო ძალებზე, საზოგადოებას არ ჰყავდა სპეციალური განათლების მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტები.

პირველი ღონისძიება, რომელიც საზოგადოებამ გაატარა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, იყო მხარის ადგილობრივ ნაწარმთა გამოფენის მოწყობა თბილისში, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი საწარმოო ძალებისა და საშუალებების გამოვლინებას.

1850 წ. საზოგადოების ინიციატივით თბილისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო და მანუფაქტურული გამოფენა. სპეციალურად დანიშნული კომისია უფლებამოსილი იყო გაეცა პრემიები მოსახლეობის წასახალისებლად. პრემირებული ექსპონატებიდან კომისიას უნდა შეერჩია საუკეთესო მასალა სრულიად რუსეთის გამოფენებზე გასაგზავნად.

სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენები გაიხსენა 1850 წ. პეტერბურგში და 1852 წ. მოსკოვში. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სპეციალურმა კომისიამ ორივე გამოფენაზე გაგზავნა საგანგებოდ შერჩეული ექსპონატები, სადაც ქართულმა ნიმუშებმა რუსი ფაბრიკანტების სერიოზული ყურადღება მიიქცია. რუსი მეფაბრიკეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ამიერკავკასიის აბრეშუმის პარკით. მოსკოვის სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოებასთან არსებული მეაბრეშუმე-

ობის კომიტეტის რეკომენდაციით ამიერკავკასიაში ჩამოვიდა ვაჭარი შაბუნინი, რათა ნუხსასა და შემახაში შეეძინა აბრეშუმის პარკი¹⁰. აგრეთვე მოსკოვის გეფაბრიკებისაგან მოვიდა მოთხოვნა 4000 ფუთი ბამბის შესყიდვაზე, რომელიც კილოგრამი ღირდა 4 მანეთი (ნავსადგურში მიტანილ)¹¹. მოითხოვეს აგრეთვე 200 ფუთი საფლორო (ალისარჩული) — (ფუთი 20 მანეთად)¹², რომელიც მანამდე მოჰყავდათ ადგილობრივი საჭიროებისათვის.

მხარეში მეზღვრობისა და მეზოსტნეობის გაუმჯობესების მიზნით ყირიმისგან გამოიწერეს ხეხილის ნამყენები და ვაზის ლერწი, რომლებიც უფასოდ დაურიგეს ადგილობრივ მეურნეებს: გამოიწერეს აგრეთვე საბაღე ბოსტნეულის საუკეთესო ხარისხის თესლი. მემინდვრობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოება უფასოდ ურიგებდა მეურნეობას სიმინდს, ბრინჯს, ხორბლისა და სხვა თესლეულებს¹³. მათვე ეხმარება სარეველა ბალახის მოსპობაში, აწყობს გლეხების შეჯიბრს და მათ შორის უკეთესებს აჯილდოებს. ქართული გუთხის კონსტრუქციის გაუმჯობესებისათვის აწესებს წამახალისებელ პრემიას. იწერს გაუმჯობესებულ ევროპულ მანქანა-იარაღებს, აწყობს მეზოსტნეობის მიღწევათა გამოცენებს, სადაც ექსპონენტებს უნიშნავს საკმაოდ მოზრდილ თანხას პრემიების სახით და სხვა.

ქვეყნის ფეოდალური კარჩაკეტილობის გამო ადგილობრივ მეურნეობას არ აანტიკრესებდა სამრეწველო კულტურების გაშენება; არსებულის გასაღება ხდებოდა მხოლოდ მხარის ფარგლებში. ერთადერთი დარგი სოფლის მეურნეობისა, რომელიც საფაბრიკო დანიშნულებას ემსახურებოდა, იყო მეთამბაქეობა, რომლის მოყვანა-დამუშავების კერას თავისი ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით შავი და კასპიის ზღვების სანაპიროები წარმოადგენდა. მაგრამ მეურნეებს უჭირდათ კარგი თესლის შოვნა, ნიადაგის შესაფერი დამუშავება, მცენარეების მოვლა, სათანადო გაშრობა და შეფუთვა, ეს კი ხდებოდა მიზნეი დაბალი ხარისხის თამბაქოს მიღებისა (მაგალითად, სამეგრელოში მაშინ თოთი თამბაქო იყიდებოდა ორ მანეთად)¹⁴. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს ყურადღება მიაქცია და მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით იწერდა და მსურველს უფასოდ ურიგებდა თამბაქოს კარგი ხარისხის თესლს.

დაარსების პირველსავე წელს საზოგადოებამ ჰამბურგიდან მოიწვია მეთამბაქოების ცნობილი სპეციალისტი, მოავლინა სხვადასხვა უბნებზე, რათა მას მეურნეობისათვის ესწავლებინა თამბაქოს მოვლისა და მისი ფურცლის დახარისხების ხერხები. თამბაქოს ადგილობრივ მრეწველთა წახალისების მიზნით, როგორც ამიერკავკასიაში, ისე შიდა რუსეთში თამბაქოს მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად საზოგადოებამ აღიჭრა შუამდგომლობა მეფისნაცვალთან, რათა ქუთაისის მახლობლად, დაბა ზონში დაწესებულიყო თამბაქოთი ვაჭრობა ყოველი წლის 25 ოქტომბერს¹⁵.

¹⁰ «Кавказ», 1851 г., № 33, стр. 158.

¹¹ Там же, № 34, стр. 36.

¹² Там же.

¹³ Там же, 1850, № 40, стр. 159.

¹⁴ Там же, 1851, № 64, стр. 254.

¹⁵ Там же.

მხარეში ბამბის, უმთავრესად გრძელბოჭკოიანი ჯიშის გავრცელებისა და გაშენებისათვის საზოგადოება იძენდა თესლს — ეგვიპტეში, ამერიკაში, სიცილიაში, ხოლო ნიუ-იორკიდან გამოწერილ იქნა ბამბის საწმენდი მანქანა. გარდა ამისა, დაწესდა პრემია 100 მანეთის რაოდენობით¹⁶ მათთვის, ვინც წარმოადგენდა თესლისაგან ბამბის გასაწმენდ, ამერიკულთან შედარებით გამარტივებულ მანქანას, იქნებოდა მატერიალურად ხელმისაწვდომი და შეეძლო განედევნა მანამდე ხმარებაში მქონე სრულიად მოუხერხებელი მანქანა „ჩიგრი-ხი“¹⁷.

საზოგადოება ასევე ზრუნავდა ენდროს გავრცელება-გაშენებაზე. მეურნეობებს და მოსახლეობას უფასოდ ურიგებდა მის თესლს. 1850 წლამდე ენდროს აშენებდნენ მხოლოდ დერბენტის, ბაქოს და ნაწილობრივ ლენქორანის მაზრებში. საზოგადოების დახმარებით ენდროს გაშენებამ მიიპყრო თბილისის გუბერნიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და ჩრდილო კავკასიის მეურნეთა ყურადღება; შედგენილ იქნა ნახაზები, აგრეთვე აღწერილობანი წისკვილებისა, რომლებსაც ხმარობდნენ ენდროს ფესვების დასაფქვავად; ჰოლანდიასა და საფრანგეთში დაიგზავნა ნახაზები და აღწერილობანი. საზოგადოების თაოსნობით სხვადასხვა სამეურნეო უბნებზე შეკრებილ იქნა ცნობები საფლორის (ალისარჩულის), ზაფრანის, ინდიგოს გაშენებაზე, შესაწამლი საღებავების მოპოვებაზე (არარატის ჭიანჭერი) და სხვა, რომელთა ნიმუშები გაიგზავნა პეტერბურგსა და მოსკოვში, რათა იქაურ სპეციალისტებს შეესწავლათ და გამოეთქვათ აზრი მათ შესახებ¹⁸.

მხარეში საფაბრიკო მცენარეების გავრცელების მიზნით, საზოგადოებამ, პრეზიდენტის განკარგულებით, მოიწვია სპეციალისტი, რათა ადგილობრივ მეურნეთათვის მიეცა მითითება ხაოიანი გირჩების გაშენება-მოვლის თაობაზე¹⁹. ყურადღება მიექცა აგრეთვე ველური სამრეწველო მცენარეების გაშენებას, როგორცაა სპარსული გვირილა, სათრიმლავი ერხენები (ძირები), პარკოსანი მცენარეები, რომელთა ფურცლები დალესტანში ჩაის მაგივრად იხმარებოდა²⁰. სახელმწიფო ქონების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის თაოსნობით, ჩატარდა ცდები ბრაზილიური ზეთოვანი მცენარის გაშენებისათვის, რომელსაც მიწის თხილი ეწოდება. გარდა ამისა, საზოგადოებამ გამოიწერა ზეთის ხილის ხეები²¹.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივი მეცხოველეობის განვითარებას. მან მოიწვია მატყლის დამხარისხებელი და ცხვრის ფარის კლასიფიკატორი, რომელთაც ევალებოდათ პრაქტიკულად გაეცნოთ ადგილობრივი მეცხვარეობისათვის ფარების სწორი კლასიფიკაციისა და მატყლის დახარისხების ხერხები. მათვე დაევალა ცნობების შეგროვება მხარეში მეცხვარეობის მდგომარეობის შესახებ. საზოგადო-

¹⁶ Обзор действий наместника Закавказского Х. И. Коладева, 1851 г.

¹⁷ Там же.

¹⁸ «Кавказ», 1851 г., № 14, 23, 74.

¹⁹ Кол о д е в а, Обзор действий наместника Кавказ, 1854, стр. 41.

²⁰ «Кавказ», 1851 г., № 5.

²¹ Кол о д е в а, Обзор действий наместника Кавказ, 1851, стр. 41.

ებამ შეიმუშავა აგრეთვე ადგილობრივი მატყლის შეფუთვისა და მისი ოდესაში გასაყიდად გაგზავნის საუკეთესო ხერხები.

თბილისის და ქუთაისის გუბერნიების ზოგიერთი მიწათმფლობელის თხოვნით, სპარსეთიდან გამოწერილი იქნა მურგუზისა და მარაბის ჯიშის თხა, რომელიც გამოირჩეოდა აბრეშუმისებრი მატყლითა და თივთიკის სინაზით.

საზოგადოება ამ პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა მეაბრეშუმეობას. ამიერკავკასიის აბრეშუმი ამოსახვევად უხეში იყო, რის გამოც ძნელად საღებოდა შიდა რუსეთში. რათა ადგილობრივი მეაბრეშუმეები აბრეშუმის ამოხვევის ევროპული წესით დაეინტერესებინა, საზოგადოება უფასოდ არიგებდა საუკეთესო აბრეშუმის თესლს, გაუმჯობესებული სისტემის ძაფსახვევ დაზგებს, აძლევდა მეაბრეშუმეებს ფულად პრემიებს და ხელს უწყობდა აბრეშუმის რუსეთის გუბერნიებში გასაღებას. საზოგადოება იწვევდა ყველა მწარმოებელს, ვინც სწორად აწარმოებდა აბრეშუმის ამოხვევას, თხოვდა მათ გაეგზავნათ საზოგადოების საბჭოში ამოხვეული აბრეშუმი სანიმუშოდ — 5 ვირვანქიდან 1 ფუთამდე. სათანადო შეფასების შემდეგ (მოსკოვში არსებულ ფასებთან შედარებით) საზოგადოება ამოხვეულ აბრეშუმს იძენდა ადგილობრივი ამომხვეველებისაგან და მოსკოვში გზავნიდა გასაყიდად, რითაც უმსუბუქებდა წვრილ მწარმოებლებს საქონლის გასაღების სიძნელეს²².

პირველ პერიოდში საზოგადოებამ შეძლო დაეჩქარებინა ურთიერთობა რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებულ მსგავს დაწესებულებებთან და ავტორიტეტიც მოეპოვებინა. მაგალითად, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა ქალაქისა და სოფლის მეურნეობის შესახებ მუხლებს გადასინჯვისას (კანონთა კრებული, ტ. XII), სხვათა შორის, მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აზრიც მეაბრეშუმეობის საკითხებზე.

პირველი პერიოდის დასასრულს საზოგადოების მუშაობას მხარში ამოუდგა სოფლის მეურნეობის დარგში უმაღლესი განათლების მქონე რამდენიმე პიროვნება. ერთ-ერთმა მათგანმა დააარსა საზოგადოების პერიოდული ორგანო „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერები“.

საზოგადოების დამაარსებელი მ. ვორონცოვი შერყეული ჯანმრთელობის გამო თხოულობს პრეზიდენტობიდან განთავისუფლებას. ზოლოტაროვი საზოგადოების მდივნის თანამდებობიდან (მხარიდან წასვლის გამო) განთავისუფლდება. თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ვ. ბებუთოვმა, მდივნის მოვალეობას შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ი. ვიტეს.

საზოგადოების მოღვაწეობის ეს პერიოდი დამთავრდა წარჩინებით. მისი წევრების შრომა სათანადოდ დაფასდა, ისინი დაჯილდოვდნენ უმაღლესი ჯილდოებით. სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა აცნობა მხარის მაშინდელ მმართველს ვ. ბებუთოვს, რომ მისი მოხსენების თანახმად ხელმწიფე-იმპერატორმა 1855 წლის 14 მარტის ბრძანებით მადლობა გამოუცხადა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, და აღნიშნა; „მათი შრომა და გულმოდგინება არ დარჩება მისი უდიდებულესობის ყურადღების გარეშე. იგი მუდამ შეეცდება ხელი შეუწყოს საზოგადოების სასარგებლო საქმიანობას“²³.

²² «Кавказ», 1851, № 23.

²³ «Кавказ», 1855, стр. 100.

საზოგადოების მუშაობის პირველ პერიოდში მოწყობილმა გამოფენებმა და ადმინისტრაციული წესით შეგროვებულმა სამეურნეო-სტატისტიკურმა ცნობებმა შესაძლებლობა მისცა საზოგადოებას, თუმცა ზერელედ, მაგრამ მაინც გასცნობოდა მხარის მეურნეობას და მის საწარმოო ძალებს, დაენახა, თუ რაოდენ ფართო და მრავალფეროვანია იგი, რომ მხარის კლიმატური პირობების სხვადასხვაობის გამო რა ფორმები გააჩნია მეურნეობის წყობას კავკასიაში, რომ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა უმეტესად დაფუძნებულია მარტოვ საწყისებზე.

საზოგადოება თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდის დასაწყისშივე მიხვდა, რომ მისი შეხედულებები მეურნეობის და მისი გაუმჯობესების ხერხების შესახებ მცდარი იყო; რომ სასოფლო-სამეურნეო მცენარეების თესლის უხვად დარიგება მოსახლეობაში, გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღების გამოწერა და სხვა ამგვარი ღონისძიებები ვერ აღწევდნენ მიზანს, რადგან ძნელი იყო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა დაერწმუნებინათ მოძველებული სამეურნეო საწარმოო საშუალებების უვარგისობაში.

გაითვალისწინა რა ყოველივე, საზოგადოებამ გადაწყვიტა თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში შეეცვალა მუშაობის ხერხები და მეთოდები. ეს ნათლად არის გამოთქმული საზოგადოების მდივნის გ. ნენინგერის 1856 წლის ანგარიშში: „კავკასიის მხარე თავისი სხვადასხვაგვარი ჰავით, მცენარეულობის მრავალფეროვნებით, წიაღისეული სიმდიდრით, მისი სხვადასხვა ყაიდის მოსახლეობით მეტისმეტად ვრცელი არეა და ამიტომ არც თუ ისე ადვილად ასათვისებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ძალებისათვის. გვსურს რა სწრაფად მივდიოთ ყველაფერს, გვერდს ვუვლით მთავარს²⁴. და ამიტომ ვერაფერს ვაღწევთ. აქამდე საზოგადოება, ასე ვთქვათ მოქმედობდა ბრმად, პასუხობდა უმთავრესად უცებ წამოჭრილ კითხვებს, უჭირდა თავისი საქმიანობის მთლიანობაში მიყვანა. საჭიროა შევთანხმდეთ და ნათლად გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ შეერთებული ძალებით, უნდა გავერკვეთ ჩვენი მოქმედების გეგმაში, მაგრამ არც ეს არის საკმარისი. ხელფეხშეკრულნი ვიქნებით მანამდე, სანამ ზუსტად არ გვეცოდინება გლახთა საყოფაცხოვრებო პირობები და მხარეთა სხვადასხვა ადგილების სამეურნეო მდგომარეობა, სანამ ხელთ არ გვექნება ჩვენი მეურნეობის ზუსტი სტატისტიკა. მხოლოდ ამ პირობებში გვექნება შესაძლებლობა, გაბედულად ვიმოქმედოთ მიღებული გეგმით“²⁵.

უახლოეს დროში მხარის სამეურნეო პირობების გაცნობისა და საზოგადოების მოქმედების მიმართულების შეცვლის აუცილებლობა კიდევ უფრო ნათლად არის გადმოცემული საბჭოს წევრის დ. ი. ყიფიანის სტატიის, რომელიც წაიკითხა საზოგადოების წლიურ კრებაზე 1857 წელს:

„ერთადერთი საყვედური, რომელიც შეიძლება გამოვთქვა საკუთარი თავის მიმართ, რომ ჩვენ ცოტა დავარღვიეთ თანამიმდევრობა. მაგრამ აქვე გვსურს ვიმართლოთ თავი: ეს გამოწვეული იყო უდიდესი სურვილით, დაგვემკვიდრებინა კავკასიის სამეურნეო წარმოებაში ის გაუმჯობესებანი, რომლებიც ათვისებულნი აქვთ რაციონალურ მეურნეობებს დასავლეთში. ვითვალისწინებდით

²⁴ «Записки» КОСХ, 1856 г., стр. XXII.

²⁵ Там же.

რა ჩვენი ნიადაგის მწარმოებლობას, გვსურდა გადმოგველო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული გაუმჯობესებული წესებით მიწის დამუშავების საუკეთესო და ძვირფასი შედეგები. ჩვენ ვიწვრდით თესლებს და მცენარეებს, სამიწათმოქმედო იარაღებსა და მანქანებს, ვწვრდით და გამოვცემდით სახელმძღვანელო მითითებებს მათი გამოყენებისათვის, ვაწვდიდით ყველაფერს ამას აქაურ მეურნეებს იმ ხელგამლილობით, გულუხვობით და გულთბილობით, რომელიც შეიფერებოდა ჩვენს მგზნებარე სურვილს სწრაფად მიგვეღწია წარმატებისათვის...

ჩვენმა მიწამ მიიღო ყირიმის, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის, ამერიკის და ჩინეთის სოფლის მეურნეობის ნიმუშები, მაგრამ ყველამ როდი გაიხარა ჩვენს მიწაზე...

თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ევროპულ საზოგადოებებში სოფლის მეურნეობის ყოველი სიახლისა და სრულყოფის მიღება და ათვისება, როგორც ადვილად ხდება, ყოველივე დაბრკოლებისა და სიძნელის გარეშე, რასაც აქ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით და იმათი შეცვლა არ იყო ადვილი იმიტომ, რომ ჩვენ ტრადიციები, ძველი კულტურა გვქონდა.

მაგრამ იქ სიახლენი სწრაფად ინერგება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, იქ აზრთა და გამოცდილებათა უთიერთგაცვლა ხდება ისეთი სისწრაფით, რომელიც ჩვენთვის ჯერ უცნობია.

აქ ძალიან ცოტაა, ანდა უფრო სწორად სრულებით არ არის ის პირობები, რომლებშიც ვითარდება მეურნეობა²⁶.

დასასრულს დ. ყიფიანმა შემოიტანა წინადადება, რომ:

1) საზოგადოების მომავალი საქმიანობა დაწყებულ იქნეს ადგილობრივი მეურნეობის დეტალური შესწავლით.

2) პროგრამისა და მეთოდების შემუშავებისათვის, აგრეთვე, საზოგადოების მიერ მოპოვებული ცნობების სისტემაში მოყვანისათვის საზოგადოების საბჭოსთან ჩამოყალიბდეს სპეციალისტთა განსაკუთრებული კომიტეტი.

3) ამავე დროს არ შეწყდეს მეურნეობის უმთავრეს დარგებში შესაძლებელ გაუმჯობესებათა შეტანა იმავე წესით, როგორც ეს კეთდებოდა პირველ პერიოდში²⁷.

დ. ყიფიანის შეხედულება საზოგადოების საბჭოს წევრების უმრავლესობის აზრს ემთხვეოდა. საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ: სტატისტიკური ცნობების შეკრება ადმინისტრაციული წესით, რასაც ადგილი ჰქონდა პირველ პერიოდში, არაპრაქტიკული და უსაფუძვლოა. ამიტომ ნიშნავს თავისი წრიდან საგანგებო სტატისტიკურ კომიტეტს²⁸. ამავე დროს საზოგადოებამ 1857 წელს მოაწყო მხარის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ნაწარმთა გამოფენა; დაადგინა აგრეთვე წამახალისებელი მედლის პროექტი²⁹, როგორც გამოფენის ღირსეული ექსპონატებისათვის, ასევე ბეჯითი შრომისათვის სოფლის მეურნეობის დარგში. ეს პროექტი მოიწონა და დაამტკიცა მეფისნაც-

²⁶ «Записки» общества, 1857 г.

²⁷ Там же, кн. I, отд. II, Д. Кипиани. О путях достижения цели общества.

²⁸ Там же, 1858 г., отд. I, стр. 21.

²⁹ Там же.

ვალმა ბარიატინსკიმ. მისივე წინადადებით საზოგადოების წევრებისაგან შედგენილმა განსაკუთრებულმა კომიტეტმა გადასინჯა ზემოხსენებული წესდება და 1860 წელს ხელმეორედ დაამტკიცა იგი³⁰.

საზოგადოება პირველ პერიოდში ყოველწლიურად ფინანსდებოდა 3000 მახ., მეორე პერიოდში კი მას დაენიშნა 6000 მან., აგრეთვე მიეცა უფლება უფასოდ³¹ გადაეგზავნა ფოსტით კორესპოდენციები და ამანათები წონით 1 ფუთი.

ბარიატინსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, პირადად ადევნებდა თვალყურს კავკასიაში სახელმწიფო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების წარმატებებს, იძლეოდა განკარგულებას, რათა საზოგადოებას მოეწყო მხარის ნაწარმთა ყოველწლიური გამოფენა. ამის საფუძველზე გადაწყდა ადგილობრივ ნაწარმთა მუდმივი გამოფენის მოწყობა, რის შესახებაც საზოგადოების მდივანი ბ. ნენინგერი წერდა: „გამოფენა ხალხში აღძრავს შეჯიბრების სურვილს და იძლევა ქვეყნის ბუნებრივი და სამრეწველო სიმდიდრის ნათელ სურათს, ამიტომ გამოფენის პერიოდულად მოწყობა არ არის საკმარისი და აუცილებელია მუდმივი გამოფენა, რომელსაც ყოველ სამ წელიწადში ექნება ერთი გენერალური გამოფენა საკუთრივ ნედლი ნაწარმისათვის“³². ამავე დროს საზოგადოებამ დაადგინა გამოფენისათვის საჭირო შენობის პროექტი. ჩანაფიქრი მუდმივი გამოფენის შესახებ ვერ განხორციელდა.

1861 წელს საზოგადოებამ წამოაყენა საკითხი საცდელი ფერმის დაარსების შესახებ³³, მეორე პერიოდის დასაწყისში განაგრძობდა მცენარეთა თესლის დარიგებას. საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება ბოსტნეულის თესლზე, ამ საქმიანობის ხელმძღვანელობა დაევალა მებოსტნე დეიჩმანს³⁴.

საზოგადოებამ გააგრძელა ზრუნვა მხარეში გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღების შემოტანის შესახებ. შეიძინეს: გუთნები, სალექი მანქანები, ცხენის ფოცხები, ღვინის გადმოსასხმელი ტუმბოები და სხვა³⁵, რომლებიც გამოსაცდელად მიეცათ მიწათმოქმედებებს. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა გ. ორბელიანმა საზოგადოების წევრთა ყურადღება მიამჩნია იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი სამიწათმოქმედო იარაღები, განსაკუთრებით ქართული გუთანის, მოუხერხებელი იყო და მუშა საქონლისათვის მომქანცველი. ამიტომ საზოგადოებამ დააყენა საკითხი გამოცხადებულიყო კონკურსი ადგილობრივი სამიწათმოქმედო იარაღების და საკუთრივ ქართული გუთანის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ეს ღონისძიება განუხორციელებელი დარჩა.

ამ პერიოდში საზოგადოებამ თავისი წევრების გ. აბიხის და ა. მორიცის ხელმძღვანელობით აწარმოებდა პარაფინის ღირსების შესწავლას სხვა საწვავ მასალებთან შედარებით. საბჭოს წევრმა ივანიცკიმ საზოგადოებაში შემოიტანა წინადადება თბილისში ქიმიური ლაბორატორიის დაარსების შესახებ, მხარეში არსებული სამთო ნაწილის სამმართველოს, თბილისის ობსერვატორიის, სოფ-

³⁰ Записки общества, 1857 г., отд. I, стр. 62.

³¹ Там же, 1858 г., отд. I, стр. 10.

³² Там же, стр. 62.

³³ Там же, 1861, отд. I, стр. 28—32.

³⁴ Там же, 1860 г., отд. I, стр. 33—57.

³⁵ Там же, 1861, отд. I, стр. 33—37.

ლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოსა და საზოგადოების თანამონაწილეობით³⁶.

საზოგადოებამ 1858 და 1862 წწ. მონაწილეობა მიიღო ტურინსა და ლონდონში გამართულ მებაბრეშუმეობის მსოფლიო გამოფენებში.

პერიოდის დასასრულს საზოგადოების წინაშე დღის წესრიგში დადგა ცხოველთა და მცენარეთა აკლიმატიზაციის განყოფილების გახსნა რუსეთში. ამ საკითხმა თავიდანვე სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა შესაბამის ინსტანციებში, მაგრამ დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მფარველობისა და საზოგადოების რამდენიმე წევრის წყალობით შემდგომ პერიოდში მან ფართო გასაქანი მიიღო.

XIX ს. 60-იანი წლების ბურჟუაზიულმა რეფორმებმა საწყისი დაუდო რუსეთის იმპერიის ხალხების ცხოვრების ახალ ერას, ხელი შეუწყო ადგილობრივ მიწათმფლობელთა სწრაფ დაახლოებას კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან. საზოგადოება ხელმძღვანელობდა რა პირველი ორი პერიოდის განმავლობაში შექმნილი გამოცდილებით მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მდგომარეობის შესახებ, გარკვეული ცოდნით აძლიერებდა თავის პრაქტიკულ საქმიანობას, სათანადო რჩევებითა და მითითებებით იგი ცდილობდა ხელი შეეწყო მიწათმფლობელთა კერძო თაოსნობისათვის, წახალისებინა ისინი და მიეთითებინა იმ ნაკლოვანებებზე, რაც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ.

ბევრი პრაქტიკული საქმე, რომლის განხორციელება საზოგადოებამ სხვადასხვა მიზეზების გამო განვილო პერიოდში ვერ მოახერხა, ახლა უნდა მოგვარებულყო.

1863 წლის დასასრულს საზოგადოებამ ხელშეკრულება დადო ბარონ ა. პ. ნიკოლაის მამულის (თბილისის მაზრა, ლოჭინის მიჯნაზე) მოიჯარადრე, რუსეთის ქვეშევრდომ ფიფვეთან³⁷, რათა მის მამულში მოწყობილიყო სანიმუშო მეურნეობა, სადაც საზოგადოების წევრებს საშუალება ექნებოდა ეწარმოებინათ ცდები სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და პრაქტიკულად შეესწავლათ ადგილობრივ მკვიდრთ და ამიერკავკასიის მხარის სხვა მცხოვრებლებს სოფლის მეურნეობა³⁸.

1868 წელს საზოგადოების მდივანმა საბჭოს წარუდგინა პროექტი სასოფლო-სამეურნეო კომისიონერებისა და სამიწათმოქმედო სკოლის დაარსების შესახებ³⁹, რომელიც მოიწონა საგანგებოდ შედგენილმა კომისიამ, ხოლო შემდეგ მეფისნაცვლის თანხმობით ძალაში შევიდა. 1871 წელს, სკოლის შენობის ასაგებად და მისთვის საჭირო მიწის ფართობის შესაძენად გარკვეული რაოდენობის თანხა იქნა გამოყოფილი, კომისიონერების მოწყობაზე კი მეფისნაცვალმა დროებით უარი თქვა.

1867 წ. საზოგადოებასთან დაარსდა ქიმიური ლაბორატორია⁴⁰. საბოლოოდ გადაწყდა საკითხი საზოგადოებასთან შექმნილიყო ცხოველთა და მცენარე-

³⁶ Записки общества, стр. 15—19.

³⁷ Там же, 1864 г. отд. 5, стр. 5.

³⁸ Там же, стр. 25.

³⁹ Там же, 1870 г., отд. 5, стр. 33.

⁴⁰ Там же, 1865, отд. 5, стр. 20.

თა აკლიმატიზაციის განყოფილება, რომლის თაოსნობით თბილისში მოეწყობა სააკლიმატიზაციო ბაღი. ამ განყოფილების საქმიანობის წრე თანდათან გაფართოვდა და 1869 წელს მის ბაზაზე წარმოიქმნა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულება.

მხარეში არსებული საქონლის ჯიშების დემონსტრირებისა და ადგილობრივი მეცხოველეობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებამ 1869 წელს მოაწყო შინაური პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქტების გამოფენა⁴¹.

საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის სამ საერთაშორისო და ორ მსოფლიო გამოფენაში. ეს კი საწარმო ძალების გამოვლენის საშუალებას იძლეოდა, გაჰყავდა იგი მსოფლიო არენაზე, აფართოებდა თვით საზოგადოების საგარეო კავშირებს და ხელს უწყობდა მისი კოლექციების გაძლიერებას.

1867 წელს საზოგადოებამ ადგილობრივ ნაწარმთა შერჩეული ნიმუშები გაგზავნა პარიზში მსოფლიო გამოფენაზე. საზოგადოების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ა. ივანიცკისა და ზოგიერთი სხვა წევრების დახმარებით შედგენილ იქნა მხარის კულტურული რუქა, რომელსაც იმ დროისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პარიზის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობისათვის საზოგადოების დამხმარე კომიტეტის წევრებს 1867 წელს 22 ნოემბერს იმპერატორის მადლობა გამოეცხადათ⁴².

საზოგადოების პრეზიდენტის მ. ასტაფიევის თაოსნობით 1871 წელს ზამთრის თვეებში საზოგადოებასთან ეწყობა საჯარო კითხვები და საუბრები; მანვე საფუძველი ჩაუყარა მხარის საგუბერნიო და საოლქო ქალაქებში სასოფლო-სამეურნეო წრეების და გამოფენების მოწყობას⁴³.

საზოგადოების ნამდვილი წევრის ბარონ ე. ნიკოლაის შუამდგომლობით კავკასიის მეფისნაცვალმა 1871 წელს საზოგადოებას მისცა სახელმწიფო შენობა, რომელშიც მოეწყო უფასო სამკითხველო და სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი⁴⁴. ამ ღონისძიებამ ბიძგი მისცა საზოგადოების საქმიანობის სრულყოფასა და საერთოდ, მხარეში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წინსვლას.

საზოგადოების საქმიანობაზე საუბრისას არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევეხეთ მის დამოკიდებულებას ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. საზოგადოება სოფლის მეურნეობის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარდა განიხილავდა, აგრეთვე, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს გამოგზავნილ საკითხებს, რომლებსაც წინასწარ იხილავდნენ საზოგადოების საბჭოს წევრები. საზოგადოების შეხედულებებსა და დასკვნებს ამ საკითხებზე განსახილველად მეფისნაცვალს წარუდგენდნენ.

1864 წელს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოსა და მასთან არსებული სამეცნიერო კომიტეტის გაუქმების შემდეგ საზოგადოება კიდევ უფრო დაუახლოვდა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს და გაერთიანდა უმაღლეს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. რასაკვირველია, ამ ფაქტმა

⁴¹ Записки общества, 1870 г., отд. 5, стр. 86.

⁴² Там же, стр. 90.

⁴³ Там же.

⁴⁴ Там же, 1871 г., отд. II, стр. 10.

ერთგვარად გააუმჯობესა თვით საზოგადოების მოღვაწეობის ხასიათი: სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომლის მატერიალური სახსრები ადრე შეზღუდული იყო, გაუფართოვდა ასპარეზი და მიეცა მეტი შესაძლებლობა თავისი მიზნების განსახორციელებლად; ყველა ის პირი, რომელიც ადრე ირიცხებოდა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში, ითვლებოდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ნამდვილ წევრად; მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოების საქმიანობაში, აწვდიდნენ მას შევსებულ ცნობებს, შუამდგომლობდნენ მთავრობასთან დახმარების თაობაზე, რაც საზოგადოებას ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება ყოველთვის იყო კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების, განსაკუთრებით მეფისნაცვლის ხელშეწყობისა და დახმარების ობიექტი. მართალია, საზოგადოებამ ვერ მიაღწია იმ დონემდე, რასაც უმაღლესი წესდება ითვალისწინებდა, მაგრამ მისი წევრების დაუტყობმელმა შრომამ მაინც სასურველი შედეგი გამოიღო და მხარეს გარკვეული სარგებლობა მოუტანა.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ჰქონდა ორი პერიოდული გამოცემა — ჟურნალი „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერები“ («Записки») და „გუთნის დედა“ ორკვირიანი ფურცელი ქართულ ენაზე.

საზოგადოების ჟურნალში («Записки общ. Кавк. сельхоз.»-ში) იბეჭდებოდა სტატიები ქართველ მეურნეთათვის. მისი საშუალებით ადგილობრივ მეურნეობას ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის შიდა გუბერნიების მსგავს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებთან, ეცნობოდნენ მათი მოღვაწეობის პრაქტიკულ-თეორიულ გამოცდილებას. აქვე ქვეყნდებოდა მთავრობის განკარგულებები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის შესახებ, იწერებოდა ადგილობრივი მეურნეობების ნაკლოვანებებზე, მხარის საუკეთესო მეურნეობათა მიღწევებსა და სხვა ისეთ საკითხებზე, რაც დიდად გამოადგებოდა ადგილობრივ მეურნეთა და მრეწველთა საქმიანობას.

ითვალისწინებდა რა ადგილობრივი გლეხობისა და ზოგიერთი მეურნემრეწველის განათლების დონეს, საზოგადოება „გუთნის დედაში“ ბეჭდავდა პოპულარულ წერილებს სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის ტექნოლოგიის, მედიცინის და სხვა დარგების აქტუალურ საკითხებზე.

ასეთი ხასიათის იყო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობა მისი არსებობის პირველი 25 წლის მანძილზე.

Л. Д. КВАРИАНИ

КАВКАЗСКОЕ ОБЩЕСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

1850 — 1875 гг.

Резюме

В 50-х годах XIX в. в жизни грузинского народа произошли важные социально-экономические, политические и культурные сдвиги. В это время большинство трудящихся Грузии было занято сельским хо-

зяйством. Естественно, что стало необходимым проведение мер по возрождению-улучшению сельского хозяйства.

В 50-х годах XIX века на Кавказе было основано «Кавказское общество сельского хозяйства», которое ставило своей целью осуществление указанных мер. В труде освещена двадцатипятилетняя деятельность общества.

Деятельность общества можно разделить на три периода. В первом и во втором периодах, основная деятельность заключалась в устройстве сельскохозяйственной выставки в г. Тбилиси в 1850 г. и в участии Петербургской и Московской промышленных и сельскохозяйственных выставках. Этим общество стремилось привлечь внимание производителей среди кавказского населения к определенным отраслям сельского хозяйства. Мероприятия Кавказского Общества сельского хозяйства были предприняты правительством и служили успешному осуществлению важных задач государственных хозяйств: табаководству, шелководству, садоводству, виноделию (этой целью они безвозмездно раздавали населению высококачественные семена, саженцы, сельскохозяйственные орудия).

Третий период деятельности общества совпадает с буржуазными реформами 60-х годов. Указанные реформы способствовали быстрому сближению местных хозяйственников с Кавказским обществом сельского хозяйства.

Общество руководило накопленным в первом и во втором периодах опытом, расширяло свою практическую деятельность. Соответствующими советами и указаниями оно старалось способствовать развертыванию частной инициативы хозяйственников и указывало на имеющиеся в их практической деятельности недостатки.

Сельскохозяйственное общество имело периодические органы «Записки Кавказского Общества сельского хозяйства», «Пахарь» и двухдневный листок на грузинском языке.

Правда, общество не достигло такого уровня, которое предусматривалось программой, но неукротимость и труд все же принесли желаемые результаты и принесли Кавказскому краю соответствующую пользу.

М. М. МИХАЙЛОВ

СВАДЕБНЫЕ ОБЫЧАИ ИРАГСКИХ ГРЕКОВ

(XIX в. — начало XX в.)

После окончания русско-турецкой войны 1828—1829 гг.¹ и заключения Андрианопольского мира царское правительство, идя навстречу армянам и грекам, проживающим в северо-восточных вилайетах Турции, переселило их в южные районы Закавказья: в Самцхе-Джавахети (Ахалцихский, Боржомский и Цалкинский районы)², в Дманисский, Болнисский, Марнеульский и Тетри-Цкаройский районы, а также на Черноморское побережье Кавказа: Аджарию и Абхазию³. Если раньше основное население Триалети составляли грузины, то теперь здесь стали жить также греки и армяне⁴.

Греки-эллинофоны, вышедшие из Турции, из семи сел Санты сумели сохранить свою культуру и язык. Урумы же Цалкинского района греческим языком не владеют⁵.

Поселенные в Цалка греки в основном являются выходцами из Эрзерума, Карской области, из местности Колози или же, как их называют эллинофоны — «колозы»⁶.

¹ Г. Л. Арш. Этеристское движение в России. М., 1970; Е го же. Тайное общество «Филики Этерия»⁸. М., 1965.

² Ш. Ломсадзе. Самцхе-Джавахети с середины XVIII в. по пятидесятые годы XIX в. Тб., 1975, стр. 337, 342 (на груз. яз.); М. Михайлов. Народные способы добычи и обработки камня в селе Ирага, «Мацне», 1975 г., № 3; Л. Пашаева. Семья и семейный быт цалкинских урумов. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1974.

³ П. Акритас. Греки Кавказа. В кн. Народы Кавказа, т. II, М., 1962.

⁴ П. Гугушвили. Экономическое развитие Грузии и Закавказья в XIX—XX вв., ч. I, Тб., 1960 (на груз. яз.); Т. Чиковани. Цалкинский дом. Тб. (на груз. яз.); С. Каухчишвили. История греческих поселений в Грузии. Труды Кутаисского гос. пед. института им. А. Цулукидзе, т. IV, 1942.

⁵ Т. Н. Чернышева. Новогреческий говор сел Приморского (урзуфа) и Ялты, Первомайского района, в Сталинской области. Киев, стр. 7—8, 41—42.

⁶ Я. Полихрониди. Житель Джиграшени (Ирага), 64 года, записано в 1975; А. Афанастиадис. «История переселения греков» Афины, 1922 (на греч. яз.).

Выходцы из разных сел и районов Турции, по переселении и основании в Грузии в середине прошлого века своих поселений, поселились вместе. Поэтому между ними имеются отличия в быту.

Объектом нашего исследования являются свадебные обряды греков-эллинофонов. Обряд — «это совокупность условных, традиционных действий, лишенных непосредственной практической целесообразности, но служащих символом определенных социальных отношений, формой, их наглядного выражения и закрепления»⁷. В жизни каждого народа складываются традиции и обряды, связанные с историческими условиями его существования. Обряды представляют собой неотъемлемый элемент культуры. Но культура всегда выступает в национальной форме, она приобретает своеобразие, определенное происхождением и особенностями исторического развития того или иного народа, его образом жизни, характером трудовой деятельности, природной средой и т. д.

Изучение обрядов очень важно для исследования процессов интеграции, происходящих между разными народами, так часто именно в традиционных обрядах проявляется традиция народов⁸.

Семейный быт греков сохранил пережитки патриархально-родовых отношений, с ярко выраженной властью отца. Особенно ярко эти пережитки проявляются в свадебных обрядах. Греческая свадьба сохранила много архаических пережитков⁹.

Одни из них, мало изменившись, прошли столетия и продолжали оставаться греческими (круговой) хорон¹⁰, бросание на голову невесты яблока (*μιλοβολτζε*), другие — носили явные следы влияния народов, проживающих в течение многих лет в Малой Азии рядом с греками, и ведущих с последними тесные экономические и политические взаимоотношения.

У греков мы встречаем обычаи и традиции, бытующие у турок, армян, удин, сирийцев. Напр., обряды молчания новобрачной, обряд целования ею руки родных и родственников мужа, обычай¹¹ по которому, когда в комнату входили старшие, невестка обязана была встать и уступить им место, поцеловать им правую руку и выйти. Она могла и оставаться.

В свадебных обычаях греков магия занимала не последнее место: перед входом в дом мужа молодую обсыпали зерном, чтобы она была плодovitой. Вероятно — это пережиток свадебного жертвоприноше-

⁷ Б. С. Э., изд. III, т. 18, стр. 230.

⁸ Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы, стр. 337—338.

⁹ П. Акритас. Свадебные обычаи абхазских греков. «Советская этнография», 1936, № 5; Народы Кавказа, т. II, М., 1962.

¹⁰ Сказитель, грузинский советский дирижер оперы, народный артист СССР, профессор О. Димитриади. 1908 г. рождения в г. Тбилиси. записано в 1972 г. 12 апреля; Г. Ф. Чурсин. Очерки по этнологии Кавказа. Тифлис., 1913.

¹¹ С. А. Токарев. Ранние формы религии и их развитие. М., стр. 20.

ния. С развитием земледелия стало преобладать жертвоприношение хлебом (у русских и сербов¹²). У некоторых закавказских народов, которые занимались как скотоводством, так и земледелием, мы встречаем пережитки, связанные с ними. К этим пережиткам можно отнести обряд, по которому новобрачная должна была наступить на тарелку и разбить ее, также взять на руки мальчика. У ирагинских греков поздняя осень и зима (время затишья в сельскохозяйственных работах) является сезоном свадеб. Греки предпочитали вступать в брак в пределах своего села, но бывали и исключения. Мужчины вступали в брак в возрасте от 16 до 20 лет (редко 25—30 лет), а девушки — с 16 лет¹³.

Непреодолимым препятствием для вступающих в брак было родство обоих полов до шестого колена¹⁴, которое засвидетельствовано в Византии еще в XI—XII вв., а также духовное родство: Кумовство (крестные, отец, мать, брат и сестра) считалось родством «по духу».

Запрещались браки христиан с язычниками, мусульманами и иудеями. Чаще всего, однако, планы вступающих в брак молодых людей разрушались из-за отказа родителей дать на брак свое согласие, ибо практически ни один брак не заключался без определенных, прежде всего материальных расчетов старших представителей обеих сторон вступающих в родство семей. «Именно эти расчеты обусловили широко распространенный еще в Византии обычай обручения малолетних. Свадьбе греков предшествуют обручение (*λόγος*), последнему — помолвка»¹⁵.

Молодой человек, желающий жениться, сообщал об этом через своих сестер или невесты родителям.

Нередко, мать, зная девушку, которую любит ее сын, давала согласие и разрешение на брак, чтобы приобрести помощницу в лице невестки.

В случае согласия родителей жениха на брак, вечером к родителям невесты посылали сватов из двух-трех человек, названных «хора аппасомнистика», которые заключали договор.

Сваты брали с собой в дом невесты круглый хлеб (*μπιτα*) и водку. При благоприятном исходе миссии этот хлеб в доме невесты ломали на части и съедали вместе с родственниками последней, запивая водкой, которой закреплялась помолвка.

Браки зависели от воли родителей жениха и невесты, поэтому сыновья не имели права отвергать выбора родителей¹⁶. Обручение

¹² Н. Сумцов. Хлеб в обрядах и песнях. Харьков, 1885, срт. 135—136.

¹³ Г. Г. Литвин. Как жили византийцы. М., 1974, стр. 122.

¹⁴ Там же, стр. 123.

¹⁵ Д. М. Угринович. Обряды за и против. М., 1975, стр. 128.

¹⁶ П. Акритас. Указ. соч., стр. 89; Сказитель Саввади Козьма, село Ирага. М., записано 27 сентября 1972 г.

(*συναδί*) совершалось по обоюдному согласию сторон, так как оно было связано с определенными расходами и тратой рабочего времени.

Помолвка происходила в доме невесты. На ней присутствовали родственники обеих сторон, а на обручении — также и уважаемые соседи. Сторона мужа (хора аппасамастика) приносила с собой напитки для обручального пира, а хозяева дома заготавливали все остальное. Пиршество продолжалось до утра следующего дня и сопровождалось пением, танцами, шутками. В качестве музыкального инструмента применялись традиционная греческая лира (*λίρα*) по турецки — «кеменджи»¹⁷ трехструнная лира, анигон — разновидность зурны и барабан. Один из старших по возрасту родственников невесты (нифепарман)¹⁸ подходил к жениху и невесте, брал с блюда кольцо, обводил им вокруг головы каждого из обручающихся и надевал на палец невесты.

Гости пили за здоровье и счастье новобрачных. Перед свадьбой стороны обменивались подарками. Сторона жениха дарила невесте ботинки, костюм, шелковое белое венчальное платье. Беднота ограничивалась недорогой помощью. Бедные невесты преподносили женихам на свадьбе рубашку, галстук и носки.

Свадьба (*γάμος*)¹⁹

Все свадебные обряды, в том числе и обряд венчания, были пережитками фонетических действий дородовой и родовой эпох, которые затем на протяжении многих веков постепенно переходили в символы. Греческая свадьба сохранила много интересных с точки зрения этнографии пережитков далекой старины, среди которых попадались и такие, которые мы не встречали в свадебных обрядах других народов Кавказа. Например, воскурение фимиама во время традиционного хорового кругового танца, хоровода, в котором участвовали новобрачные, или омовение и целование новобрачной ног родным и родственником жениха.

Свадьба почти всегда начиналась в субботу и длилась три дня. Увоз невесты в дом жениха совершался торжественно и сопровождался обрядами. После закуски и легкой выпивки все приглашенные под музыку направлялись к шаферу, который, в ожидании гостей, устраивал у себя гуляние тоже с закусками и напитками для приглашенных

¹⁷ Н. Полихрониди. Сказитель 80 лет. житель Джиграшени (Ирага), записано в 1975 г.

¹⁸ А. Афанасиадис. «История Ираги». Афины, 1922 (на греческом языке), стр. 38—39.

¹⁹ Сказители: Е. К. Цандекова. Живет в Тбилиси. записано в 1970 г.; житель Сухуми Зографопуло. Записано 1973 г.; Н. И. Цандекова. Живет в Батуми, записано в 1972 г.

к нему юношей — приятелей жениха. Эта молодежь вместе с шафером, который назывался у грузин «меджваре»²⁰ составляла свиту жениха, а подружки невесты — ее свиту. Шафер — будущий кум жениха (*kýmπαρος*), по обычаю греков, восприемник его первенца, был, по понятию кавказских народов, духовным родней. Жених был одет в черный костюм, а невеста — в преподнесенные ей женихом в день свадьбы через близкую подругу, белое платье и туфли. Этим подругам обязательно дарили деньги (*χρήματα*). Подружки одевали и причесывали невесту, а также пели ей свадебные песни, при этом, угощали всех присутствующих в доме невесты. Каждому давали в бумажных платочках конфеты. В церковь приходил сперва жених, а затем — невеста с подругами, которые несли букеты цветов. После венчания жениха и невесты, последняя целовала руку старикам и близким пожилым. На пороге дома, при входе в комнату, новобрачная наступала на тарелку и разбивала ее. По верованию многих народов, в том числе и греков, разбитая посуда уносила несчастье. В доме на руки новобрачной подавали младенец — мальчика, чтобы она рожала мальчиков. Этот обряд мы встречали у мегрелов, татар и ингушей. Вечером в доме жениха на свадьбе все веселились, пели, играли на музыкальных инструментах. Греческие танцы аоры „*θύμισια*“ были обязательные на свадьбе. Непременный круговой танец состоял из обязательных семи пар, каждый член круга держал в руках между пальцами горящие свечи. Пока свечи горели, жених и невеста, а также все остальные, находящиеся в кругу, не прекращали танца.

Так продолжалось гуляние и в субботу и в воскресенье. На третий день, в понедельник утром, в день «хаши», сторона невесты приглашала к себе сторону жениха. Это приглашение называлось «эфта». У ирагинских греков также, как и у всех кавказских греков, новобрачная не имела права разговаривать в течении от трех до одного года. До установления Советской власти в Грузии срок молчания у греков доходил до пяти и более лет. Этот обычай у греков носил название (*στυμ'όρια*) «молчание»²¹. Такой обычай мы видели у грузин, армян и осетин.

Недавно были ликвидированы последние остатки интересного и в то же время редкого обычая — обряда, сохранившегося вплоть до установления Советской власти в Закавказье среди греков — выходцев

²⁰ Н. М а ч а б е л и. Из истории семейных отношений грузинского народа, кандидатская диссертация. Тб., 1973; В. И т о н и ш в и л и. Семейный быт мохевцев. Тб., 1970 (на груз. яз.); И. Ч к о н и я. Семейный быт и культура е. б. село Акура. Тб., 1964; Д ж а п а р и д з е. Грузинская семейная община, Тб., 1961.

²¹ Н. Г е о р г и а д и с. Сказительница из г. Афин (Греция). Записано в 1975 г. по прибытии ее в Грузию: Свадебные обычаи и обряды, существующие и ныне в Греции, описаны нами. Запись М. А. Михайлова.

из Санты (Турция), а именно, умывание невесткой и целование ног родственников мужа. Сущность этого обряда заключалась в следующем: через день после свадьбы новобрачная в сопровождении золовки или жены деверя обходила дом ближайших родственников мужа, имея при себе полотенце, а до этого она мыла ноги своему свекру и всем старшим в доме мужа. В каждом посещаемом ею доме она мыла ноги мужчинам — родственникам мужа. За это ей давали деньги от 50 копеек до 2 рублей. При этом она целовала им руку. Этот обряд греки называли (*подароплაცია*) — мытье ног. В нем можно усмотреть очистительный смысл. В древней Греции омовение ног было обязательным для жениха и для всех действующих в церемонии лиц, как перед свадьбой, так и перед священной религиозной церемонией.

После установления Советской власти в Грузии были ликвидированы все пережитки родовых, феодальных и капиталистических отношений греков Грузии. В связи с этим резко изменился и их быт. Женщина стала равноправным членом общества и семьи. Поэтому и архаические пережитки в свадебных обрядах исчезли. В связи с постановлением ЦК КП Грузии от 25 ноября 1975 г. «О мерах по усилению борьбы с вредными традициями и обычаями» ведется борьба с устройством больших свадеб и против пьянства.

3. ტარტარაშვილი

პოლკოვნიკ კოცებუს ცნობები საინგილოს შესახებ

პოლკოვნიკი კოცებუ, რუსეთის არმიის ოფიცერი, მე-19 ს. I მეოთხედში, რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად იმყოფებოდა საინგილოში. იგი გულდასმით გასცნობია საინგილოს, მის მომიჯნავე რაიონებს, შეუსწავლია ხალხის ყოფა, ისტორია, წეს-ჩვეულებანი და თავისი შთაბეჭდილებების შესახებ შეუდგენია სათანადო წერილი.

კოცებუს ეს ცნობები მოიცავს საინგილოს გეოგრაფიულ-ეკონომიკურ აღწერილობებს, ამ მხარის მე-19 ს. 20-იანი წლების სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ცნობებს. პოლკოვნიკი გვაწვდის აგრეთვე ცნობებს ამავე საუკუნის საინგილოს სოციალური ურთიერთობის შესახებაც. სწორედ აღნიშნული ცნობების განხილვაა წინამდებარე ნაშრომის მიზანიც.

პოლკოვნიკ კოცებუს ცნობები საინგილოს შესახებ 1826 წელს არის შედგენილი. დაცულია იგი მოსკოვის სამხედრო სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში და ასეთი სათაური აქვს: «Статистические сведения о Чарских владениях, собранные на месте полковником Коцебу в 1826 году».

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მე-19 საუკუნეში რუსი ხელისუფალნი საქართველოს ამ ისტორიულ პროვინციას საინგილოს სახელწოდებით არ იხსენიებდნენ. 1830 წლამდე რუსები ამ მხარეს უწოდებდნენ ჭარის ოლქს, ანდა ჭარის სამფლობელოს. ეს იმიტომ, რომ ჭარის ძლიერ თემს ყავდა დამორჩილებული საინგილოში არსებული ლეკთა დანარჩენი ყველა თემი. იყო შემთხვევები, როცა ჭარის მორჩილებაში იმყოფებოდა ელისუს სასულთანოც. მე-18 საუკუნეში ჭარელები ისე გაძლიერდნენ, რომ მთელი კავკასია შესძრეს: ქართლ-კახეთის სოფლების გარდა ჭარელები ეცემოდნენ და ძარცვავდნენ აზერბაიჯანის სახანოებსაც. იყო შემთხვევები, როცა ჭარელთა თვითნებობის ასალაგმავად ქართლის და კახეთის მეფეებს ირანის შაჰებიც ეხმარებოდნენ ჯარებით. მათ არაერთხელ სასტიკად აუოხრებიათ ჭარელები. მაგრამ მტრის ჯარების წასვლისას ტყიან მთებში ოჯახებიანად შენიშნული ჭარელი ლეკები ისევე უბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებს. ასე გრძელდებოდა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდეგაც: კარგა ხანს ჭარელები ვერ ალაგმეს ვერც მრისხანე გენერლებმა ციციანოვმა და ერმოლოვმა. ბოლოს, 1830 წლის თებერვალში ინგილოების დახმარებით ჭარის სამფლობელოებში რუსთა ძლიერი არმიით გენერალი პასკევიჩი შევიდა, და „ჭარელთა ომების ქრონიკასაც“ წერტილი დაესვა — ჭარის სამფლობელო (საინგილო) თბილისის გუბერნიის ნაწილად გამოცხადდა.

1830 წლის შემდეგ რუსებმა საინგილოს ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი უწოდეს, რომელსაც ელისუს სასულთანოც მიათვალეს. რუსების მიერ შამილის დატყვევების (1859 წ.) შემდეგ ეს მხარე კავკასიის რუსულ ადმინისტრაციულ დაყოფაში ზაქათლის ოლქად იხსენიება. ასე ეწოდებოდა მას 1917 წლის რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ადმინისტრაციულ დაყოფაში საინგილოს ჯერ ზაქათლის მაზრა ეწოდა, ამჟამად კი საინგილოს ტერიტორია აზერბაიჯანის სსრ-ის ფარგლებშია და სამ ადმინისტრაციულ რაიონად (ზაქათლის, ბელაქნის, კახის) არის დაყოფილი.

კოცებუს ცნობების საკმაო ნაწილი საინგილოში არსებულ ე. წ. ლეკთა „თავისუფალი თემების“ სოციალურ აღწერილობას ეთმობა. მართალია კოცებუ ვერ იძლევა ამ „თავისუფალი თემების“ წარმოშობის მეცნიერულ ანალიზს, მაგრამ ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი მაინც ისაა, რომ კოცებუმ, როგორც მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მკვიდრმა, დაინახა ამ „თავისუფალ თემებში“ არსებული სოციალური კლასები და თავისებურად განსაზღვრა მათი ურთიერთდამოკიდებულება. კოცებუს მასალებში მოიპოვება აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ საინგილოში არსებულ ამ თავისუფალ თემებს რა სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი ჰქონდათ.

კოცებუს ცნობებში საინგილოს შესახებ ვხვდებით ზოგიერთ უზუსტობასაც, რის შესახებ გზადაგზა მოგვიწევს საუბარი.

კოცებუს ცნობების მიხედვით, ჭარის სამფლობელოებში მმართველობა სამხედრო საგვარეულო არისტოკრატიულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული: თითოეულ სოფელს მართავდა მამასახლისი, რომელიც ინიშნებოდა ერთი წლით სოფლის მცხოვრებთა ხმების უმრავლესობით. მამასახლისის ხელისუფლება ძალზე შეკვეცილი იყო. მის მოვალეობას შეადგენდა სოფლის მცხოვრებლებს შორის საოჯახო თუ ქონებრივი სადავო საკითხების მოგვარება. რაც შეეხება მკვლევლობის საქმეს, მას განიხილავდა თემის უმაღლესი სასამართლო. ასეთი თემი კი ჭარის სამფლობელოში იყო ხუთი: ყველაზე გავლენიან თემად ითვლებოდა ჭარის თემი, რომელშიც შედიოდა 20 სოფელი 1861 კომლით. ჭარის თემის შემდეგ, თავისი ძლიერებით, მეორე ადგილზე იდგა თალას თემი, რომლის მფლობელობაში შედიოდა 1410 კომლი. მესამე ადგილზე იყო მუხახის თემი 1030 კომლით, მეოთხე ადგილზე — ჩინიხის თემი 890 კომლით. ბელაქნის თემის მფლობელობაში ითვლებოდა 800 კომლი. სულ 1826 წელს ჭარის სამფლობელოში 5991 კომლი იყო¹. აქ არ შედის ელისუს სულთანის ახმედხანის (1805—1830) მფლობელობაში შემავალი 28 სოფელი, რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი.

ზემოხსენებულ 5 თემში — წერს კოცებუ — მამასახლისობა შერჩეული გვარების საპატიო მოვალეობად ითვლებოდა და მემკვიდრეობით გადადიოდა. ასეთი გვარი მთელი ჭარის სამფლობელოში იყო 12.

კოცებუ წერს: ისეთი საქმეები, რომელიც ხუთივე თემის კომპეტენციაში შედიოდა, წყდებოდა ღია ცის ქვეშ შერჩეულ ადგილას. ეს ადგილი იმყოფებოდა სოფელ მუხახის ახლოს და მას აადამი (Aagam) ეწოდებოდა².

¹ Центральный государственный военно-исторический архив в Москве, фонд военного архива, дело 18498, лист 5—5 об — შემდეგში ასე: ЦГВИА, ф. ВУА.

² ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, л. 6.

შემდეგ განაგრძობს კოცებუ: თითოეულ არჩეულ მამასახლისს სოფელი აძლევს 30 ცხენოსან იასაულს, რომლებიც ატარებდნენ მამასახლისის ბრძანებებს. ამ ბრძანებებს ხალხი ასრულებდა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე³. თუ კი მკვლელს მოკლავდა მკვდრის პატრონი, ამ უკანასკნელის გასამართლებას არ ახდენდა თემი⁴. თუ დამნაშავე რამდენიმეჯერ იქნებოდა შენიშნული დანაშაულში, მას აძევებდნენ თემიდან, მის სახლ-კარს გადასწვავდნენ, ადგილ-მამულს გაუჩეხავდნენ⁵.

კოცებუ ეთნოგრაფიულ ცნობებსაც გვაწვდის. იგი დაკვირვებია საინგილოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს და განსხვავებასაც ხედავს მათს ყოფასა და ადათ-წესებში.

კოცებუ ჭარის სამფლობელოების ძირძველ მოსახლეობას ინგილოებს უწოდებს. ესენი შეადგენენ ჭარის სამფლობელოების მოსახლეობის ერთ მესამედს და გასაოცრად შრომისმოყვარენი და კეთილი ხალხი არიანო. ინგილოები — ამბობს კოცებუ — ადგილობრივი მოღების შიშით ჩუმად აღიარებენ თავიანთ მამა-პაპურ სარწმუნოებას — ქრისტიანობას: იგი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული ლეკების მიერ ინგილოების სოფლებში დაყენებული მოღები მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს ინგილოთა მიერ მაჰმადიანური რელიგიის წესჩვეულებების შესრულებას, ინგილოების ნახევარზე მეტი მაინც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს. ინგილოური სოფლების მამასახლისები ჩემთან საუბარში ხშირად სრული გულწრფელობით მარწმუნებდნენ, რომ როგორც კი რუსეთის ჯარები ჩვენს მიწა-წყალზე მუდმივად დამკვიდრდებიან, მაშინვე ყველა ინგილოური სოფელი აშკარად ისევ თავიანთი წინაპრების სარწმუნოებას მიიღებს, მეჩეთებს დაანგრევენ და მათ ნაცვლად ეკლესიებს ააგებენო. ინგილოები ლაპარაკობენ როგორც დედა ენაზე — ქართულად, ასევე თათრულად⁶. კოცებუ წერს, რომ ინგილოები გაურბიან ყოველგვარ ურთიერთობას თათრებთან (მულალებთან) და ლეკებთან. ინგილოები არავითარ შემთხვევაში არ ათხოვებენ ქალებს თათრებსა და ლეკებზე, გინდაც ეს თათარი ან ლეკი იყოს ძალზე მდიდარი⁷.

კოცებუ თავის სტატისტიკურ აღწერილობებში უფრო ფართოდ მსჯელობს საინგილოში ჩამოსახლებული ლეკების შესახებ. ის ჩამოთვლის წახურელების გარდა კიდევ ხუთ დადესტნელთა ტომს და ამბობს: „ამათ ყველას ეწოდება გლუხადარებო“. ისინი ჯერ ჩამოდიოდნენ ჭარის სოფლებში უბრალო მუშებად დღიურ სეზონურ სამუშაოებზე, ისიც ძალზე მძიმე სამუშაოების შესასრულებლად. ეს იმიტომ, ამბობს კოცებუ, რომ მათი მწირი მიწა არ აძლევდა იმდენ სარჩოს, რომ ცოლ-შვილი გამოეკვებათ. შემდეგ თანდათან ამ გლუხადარებს დადესტნელთა სხვა ტომებიც შეუერთდნენ და მათი რაზმებიც იზრდებოდა. ბოლოს (ე. ი. მე-17—18 საუკუნეებში — ვ. ტ.) მათმა რაზმებმა მუშაობის მაგიერ ხელი მიყვეს ჭარის სოფლებში ქურდობას. იტაცებდნენ სოფ-

³ ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, л. 6, об.

⁴ ი ქ ვ ე, პ. 6, об.

⁵ ი ქ ვ ე, პ. 6, об.

⁶ ი ქ ვ ე, პ. 5—5, об.

⁷ ი ქ ვ ე, პ. 5, об.

ლებიდან სურსათ-სანოვაგეს, საქონელს. ბოლოს ისინი (გლუხადარები)⁸ ერთიანდნენ დიდ შეირაღებულ რაზმებად. მათ შეეძლოთ გამოეყვანათ 30 ათასამდე შეირაღებული კაცი. კახეთის მეფეებმაო — წერს კოცებუ — არაერთხელ დაამარცხეს და გადაარეკეს ეს გლუხადარები დაღესტანში, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერს გახდნენ მათთან ბრძოლაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, — განავრძობს კოცებუ, — რომ კახეთის ჯარები ვერ შედიოდნენ გლუხადარების ბუნაგში (დაღესტანში) იქ არსებული გაუვალი ბილიკების გამო. ეს ბილიკები მარტო იმათთვის (გლუხადარებისათვის) იყო ცნობილი⁹. ასე ამნაირად, — წერს კოცებუ, — დაღესტნიდან ჩამოსახლებულმა ხალხმა დაიპყრო აღმოსავლეთ კახეთის სოფლები და შექმნეს აქ ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი თემი¹⁰. რა თქმა უნდა საინგილოში ლეკთა ე. წ. „თავისუფალი“ თემების შექმნას სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებიც ედო საფუძვლად, რის შესახებაც დღეს არსებობს სათანადო საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა¹¹.

კოცებუს გადმოცემულ მასალებში ლაპარაკია ჭარის თემის ლაშქარი რით იყო შეირაღებული. კოცებუ წერს: „ჭარელები შეირაღებულნი იყვნენ თოფებით, ხანჯლებით, ხმლებით და დამბაჩებით. თოფები და ხანჯლები ყველას ჰქონდა, ხოლო ხმალი და დამბაჩა ყველას არა“¹².

კოცებუს მიერ ჩამოთვლილ საინგილოს თემებს შორის, როგორც ზევით ვთქვით, ყველაზე ძლიერი ჭარის თემი ყოფილა. მას შეეძლო ყველაზე მეტი ლაშქრის (10 000) გამოყვანა ბრძოლაში. კოცებუ იმასაც აღნიშნავს, თუ რამ განაპირობა ჭარის თემის ძლიერება და გაბატონება დანარჩენ 4 თემზე: უპირველეს ყოვლისა ჭარი ფლობდა უფრო მეტ საქეშქელო სოფლებს, ე. ი. გადასახადის გადამხდელ სოფლებს, რაც თავისთავად გამდიდრების ერთ-ერთი მყარი პირობა იყო. მეორეც, ჭარი მდებარეობდა გეოგრაფიულად ძალზე მოხერხებულ ადგილზე: ხეობაშია შეჭრილი, ამ ხეობას ორივე მხრიდან გასდევს ქვითკირის კედელი, რომელიც დაფარულია ხშირი ტყეებით და ძნელად სავალი მთებით. ჭარის თემშივე მდებარეობს ზაქათლის ციხე, რომელიც ქვითკირის გაღავნით არის გარშემორტყმული შიგ ჩატანებული სათოფურებით. ჭარი ახლოა დაღესტანთან და მოხერხებულადაც უკავშირდება დაღესტნის გადასასვლელებს, ამიტომაც — წერს კოცებუ, — ჭარელები სასწრაფოდ იწვევენ მოკავშირედ დაღესტნელებს მტერთან ბრძოლაში. „ჭარელებზე — განავრძობს

ქსნის ხეობის მოსახლეობის შრომის ორგანიზაციას ეხება თ. გელაძის სტატია „მემინდვრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები“. ძველად მინდვრის სამუშაოების ციკლის ყოველ ეტაპთან დაკავშირებული იყო შრომის ორგანიზაციის გარკვეული ფორმა, — მეტნაკლებად რთული თავისი ხასიათით. მასზე დიდ გავლენას ახდენდა თვითონ შრომის იარაღი, რომლითაც სრულდებოდა ესა თუ ის სამუშაო. ეს ფორმები დამყარებული იყო, როგორც დახარჯული შრომის აუცილებლად ანაზღაურების პრინციპზე (ნაცვალგარდობა, რიგ-რიგა, „რადგაი“), ისე შრომით დახმარებაზე — გასამრჯელოს გარეშე (მამითადი, დაძახილი, ულაში, დახმარება). განხილულია თითოეული მათგანი.

შინამრეწველობის მეტად საყურადღებო საკითხს ეხება ც. ყარაულაშვილის სტატია „ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში“. საუკუნეების მანძილზე

მრავალი თაობის მიერ შემუშავებული ხალხური ქსოვის ტრადიციული წესები ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უკანასკნელ დრომდე შემოგვინახა. სწინს ხეობაში ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობდა როგორც ცხოველური, ისე მცენარეული წარმოშობის ნედლეულის სიუხვე. მზა პროდუქტია აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას და ამასთან მას სასაქონლო ხასიათიც ჰქონდა. ავტორს უხვად მოაქვს ეთნოგრაფიული მასალა. ამასთან აღნიშნავს ქსნური საფეიქრო დაზვის მსგავსებას როგორც საქართველოს სხვა რეგიონების, ისე მეზობელი ქვეყნების საქსოვ დაზვებთან.

ც. ბეზარაშვილის ნაშრომი „რიტუალური სამოსელი“ ეძღვნება ქალების რიტუალურ ტანსაცმელს და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ წეს-ჩვეულებებს. ცალ-ცალკეა განხილული საქორწინო და სამგლოვიარო სამოსელი, აგრეთვე მიცვალებულის სამოსი — „სუდარა“. ავტორი ახალი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ მოსაზრებას, რომ რიტუალური ტანსაცმელი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება მთელ საქართველოში ძირითადად იდენტურია.

ქსნის ხეობა საკმაოდ მდიდარია ტყეებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ აქაური მოსახლეობა საყურადღებო ემპირიულ ცოდნას ამჟღავნებს დასამუშავებლად ვარგისი ხე-ტყის მიმართ. აქ ადგილობრივ მზადდებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საოჯახო დანიშნულების დგამ-ჭურჭელი, იწვნოდა კალათები, გოდრები, ლასტები და ა. შ.; აკეთებდნენ სატრანსპორტო საზიდ საშუალებებს. ამ საკითხების განხილვაა გ. გასიტაშვილის ნაშრომში „ხის დამუშავების ხალხური წესები და სატრანსპორტო საშუალებები“, ფართო მსჯელობაა გაშლილი ხის დამუშავებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღების შესახებ.

ხის ხუროთა დიფერენცირება ხის დამუშავების მიხედვით ძირითადად ბარის რაიონებში შეიმჩნევა, ხოლო ხეობის ზემო წელში მოხელეების მკვეთრი გამოყოფა არ ჩანს. როგორც ნაშრომის მიხედვით ირკვევა, ქსნის ხეობაში გამოირჩეოდნენ ისეთი მოხელენიც, რომელნიც ხის ოსტატობით ირჩენდნენ თავს, და მათი ძირითადი დასაქმებაც ეს სფერო იყო. მეჭურჭლეებს, ურმისა და ურმის თვლების მკეთებლებს თავიანთი ნაწარმი გასაყიდად ვაჭრობდნენ სოფლისა და ხეობის გარეთაც.

დღევანდელ ვითარებაში ზოგიერთმა სამეურნეო იარაღმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ამასთან დავიწყებამ ეძლევა მისი დამზადების ტრადიციებიც. ამ ფონზე მეტად მნიშვნელოვანია დასახელებული ნაშრომი.

ლ. ბედუკიძის ნაშრომს „ქსნური ხის ავეჯი“ საფუძვლად დაედო როგორც სავსე ეთნოგრაფიული მასალა, ასევე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციები. ავტორმა გამოავლინა ავეჯის დამზადების მდიდარი ტრადიციები, მასთან დაკავშირებული ხალხური გამოცდილებანი და ჩვევები.

მთიელთა საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი იყო მერხი — ერობის სკამი. ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ ერობის სკამის ადგილი ოჯახში, ისევე როგორც საერთოდ ავეჯის განლაგება-გამოყენება, ქსნის ხეობაში ადრევე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს ემყარებოდა. ერობის სკამზე, რომელიც კერის მარჯვენა მხარეზე იდგა, მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ოჯახში უფლება-მოვალეობის სქესის ნიშნით დაყოფის გადმონაშთთან.

მოცემულ წერილში განხილულია ავეჯის კონსტრუქციული თავისებურებანი და დეტალურადაა აღწერილი მისი დამზადების პროცესი, გარკვეული მატერიალური კულტურის ამ ელემენტის მნიშვნელობა ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ქსნის ხეობა ოდითგანვე სახელგანთქმული იყო როგორც კერამიკული წარმოების ერთ-ერთი დიდი უბანი. აქედან ვრცელდებოდა ე. წ. ქსნის კრამიტი, ცხავატური ჭურჭელი. კერამიკული სადღობლები და სხვ. სწორედ ამ საკითხს ეხება მ. ზანდუკელის სტატია „ქსნის ხეობის კერამიკა“. საერთოდ, ქსნის ხეობაში სოფ. ცხავატი გვევლინება როგორც კერამიკული წარმოების ერთადერთი და ამასთან მეტად საინტერესო კერა. ეს საკითხი ავტორს მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი.

დასახლებულ წერილში აღწერილია ცხავატური კერამიკის ფორმები, ჭურჭელი, — გამიზნული წყლისათვის, რძის და რძის პროდუქტებისათვის; ასევე სამზარეულო ჭურჭელი: მოცემულია კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული შრომითი პროცესების აღწერა, გამოკვლეულია მეთუნეთა შრომითი ანაზღაურების საკითხები, ქსნური კერამიკის გავრცელების არეალი, გზები, მეთუნეთა რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები. ამასთან წერილი ილუსტრირებულია ფოტოებით, რაც სრულყოფილ სახეს აძლევს.

ქსნის ხეობაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, მკვედელი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა. ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნ. რეხვიაშვილის ნაშრომი „მკვედლობა ქსნის ხეობაში“. ეს ხეობა ხასიათდება დაწინაურებული რკინის სამეურნეო და სახელოსნო იარაღების წარმოებით, რომელიც ძირითადად ადგილობრივ სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა. ავტორმა განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ქსნური ნამგლის წარმოებას, რომელიც ობიექტური პირობების მიხედვით ჩამოყალიბდა და განვითარდა. აქვე განხილულია ქსნის ხეობისა და სხვა მეზობელი მეტალურგიული ცენტრების ურთიერთკავშირი.

ქსნის ხეობის მოსახლეობის კვების ტრადიციებისადმი მიძღვნილი ნ. ჯიქიას წერილი „ხალხური მენიუ“. ეყრდნობა რა საველე ეთნოგრაფიულ მასალას, ავტორი წარმოგვიდგენს ქსნის ხეობის მოსახლეობის საკვებ რაციონს პურეულისაგან, ხორცეულისაგან, მცენარეული და რძის პროდუქტებისაგან. გამოვლინდა მრავალი ძველი ქართული კერძი, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ქსნის ხეობაშია დამოწმებული. ძველებური ქართული კერძებიდან ზოგიერთმა თავი შემოინახა ქსნის ხეობის კვების დღევანდელ რაციონში, ნაწილი კი მოსახლეობის მეხსიერებასა და გადმოცემებშია დაცული.

მომავალი თაობის აღზრდაში და მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი მიუძღვის ხალხურ საბავშვო გართობა-თამაშებს და სათამაშოებს. ამ საკითხს ეძღვნება ნ. ლოლობერიძის წერილი „ხალხური საბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები ქსნის ხეობაში“.

ქსნის ხეობის ბავშვთა გართობა-თამაშობებში (საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიურად) აისახება ძველი სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, რელიგიური წეს-ჩვეულებების სხვადასხვა მომენტები. ამასთან, ობიექტურად ეს თამაშები ხელს უწყობენ ბავშვში ისეთი თვისებების აღმოცენებასა და განვითარებას, როგორიცაა ძალა, მოხერხება, გამბედაობა, მიხვედრილობა და ა. შ.

ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული ქსნის ხეობისათვის დამახასიათებელი — საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე თამაშები, და ბოლოს აღნიშნული აქვს, რომ უძველეს თამაშებს ემატება ქალაქიდან ამოტანილი სასკოლო თამაშები, რომელნიც ძირითად ადგილს იკავებენ. ეს კი იწვევს ძველის მივიწყებას.

ქსნის ხეობის მოსახლეობის სულიერი სფეროს ერთ-ერთ საკითხს ეძღვნება ა. სოხაძის წერილი „ასკილის მაგიური მნიშვნელობა და მისი სარიტუალო გამოყენება ქსნის ხეობაში“, რომლითაც მთავრდება განსახილველი კრებული.

ასკილს ქსნის ხეობაში მაგიური დანიშნულებით იყენებდნენ, როგორც დიდ ხუთშაბათ ღამეს (რომელსაც აგრეთვე ჭიკოკონობა ღამე ეწოდება), ისე იმ რიტუალში, რომელსაც ამ ხეობაში თავაობა ეწოდება (თავგობანა). ავტორს მოცემული აქვს რა ამ რიტუალთა აღწერილობა, აღნიშნავს, რომ ასკილი საერთოდ მავნე ძალის საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა. ამ გარემოებას ერთი მხრივ აპირობებდა ასკილის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ მისი ეკლიანობა.

ზემოთ აღნიშნული იყო „ქსნის ხეობის“ და საერთოდ ანალოგიური კრებულების დიდი მნიშვნელობის შესახებ. აქედან გამომდინარე მათ პოლიგრაფიული მხარე სათანადო დონეზე უნდა იდგეს. წინამდებარე კრებულში კი რლუსტრაციები მკრთალი და ბუნდოვანია. ამავე დროს, სტატია „საცხოვრებელი ნაგებობანისადმი“ დართული ტაბულები მოთავსებულია სტატიაში „დასახლება და კარ-მიდამო ქსნის ხეობაში“.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულს თუ შეეჯამებთ, დავასკვნით, რომ წარმოდგენილი კრებული არის საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგი; იგი დაწერილია საქმის ცოდნით, ავტორებს მოაქვთ ხშირ შემთხვევაში დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მასალა. მოცემული აქვთ საყურადღებო მოსაზრებები და დასკვნები.

მუზეუმის 1976 წლის ქრონიკა

გამოცემული ნაშრომები

მუზეუმმა 1976 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოსცა:

1. ავტორთა კოლექტივი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XXVII-B, თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 29 თაბ. ტომი მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს. იგი შეიცავს 5 განყოფილებას — სტატიები, ინფორმაციები, პუბლიკაციები, ანგარიშები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, რომლებშიც გამოქვეყნებულია ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

2. გ. ჩხაიძე — ირიგაციის განვითარება საქართველოში (1921—1937 წწ.), თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 18 თაბ.

ნაშრომში განხილულია ირიგაციის მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და ის ღონისძიებები, რომლებიც გაატარეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ირიგაციის აღდგენა-განვითარებისათვის 1921—1937 წწ.

3. მ. გუგუტიშვილი — ახალი ტრადიციები საქართველოში, თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 8 თაბ.

ნაშრომში განხილულია ტრადიციების წარმოშობა-განვითარების სპეციფიკური მხარეები, გადმოცემულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ტრადიციების შესახებ და შესწავლილია ახალი დღესასწაულებისა და რიტუალების დაწერგვის ზოგიერთი მეთოდოლოგიური პრინციპი.

4. მ. იაშვილი — საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (XVII—XIX სს.), თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 5 თაბ.

ნაშრომი დამყარებულია მზითვის წიგნების შესწავლაზე; მზითვის წიგნები შეიცავენ მეტად უხვ და მნიშვნელოვან მასალას როგორც მატერიალური კულტურის, ისე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონის შესახებ. ავტორი განიხილავს მათ სხვადასხვა ასპექტში — როგორც იურიდიულ დოკუმენტს, როგორც მატერიალური კულტურის ისტორიის წყაროს, როგორც საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის ამსახველ მასალას, დაბოლოს — როგორც სოციალური ხასიათის საბუთებს.

5. ი. კიკვიძე — მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 23 თაბ.

დიდძალ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში პირველად არის სრულად შესწავლილი საქართველოს ეკონომიური და

სოციალური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალები უძველეს ნაშ. საკუთრივ საწარმოო ძალებისა და საშუალებების, ასევე იდეოლოგიის სფეროში მათი გამოვლინების ღრმა და ორიგინალური ანალიზის მეშვეობით ნაჩვენებია მათი თავისებურებანი ამა თუ იმ ეპოქაში.

6. თ. კ ი ლ რ ა ძ ე — აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების პერიოდიზაცია, თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 21 თაბ.

ნაშრომში დაწვრილებითაა გამოკვლეული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების ძეგლების გამოვლინებისა და შესწავლის მეთოდოლოგია, ამ ძეგლებზე მოპოვებული მასალები, კულტურა და მისი ლოკალური ვარიანტები, პერიოდიზაციისა და აბსოლუტური დათარიღების საკითხები.

7. ვ. ა ს ა თ ი ა ნ ი — საბჭოთა საქართველოს ისტორიის გამოფენის მეგზური (ქართულ და რუსულ ენებზე), თბილისი, 1976, „მეცნიერება“ — 4 თაბ.

მეგზური განკუთვნილია მუზეუმში არსებული ექსპოზიციის დამთვალიერებლებისათვის.

8. ნ. ჩ ი ხ ლ ა ძ ე — ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბილისი, 1976, „საბჭოთა საქართველო“ — 13 თაბ.

ნაშრომი შეეხება ძირითადად მე-19 (ნაწილობრივ მე-20) საუკუნის ქართველ მოღვაწე ქალებს, რომლებსაც აქამდე ნაკლებად იცნობდა ჩვენი საზოგადოება. მასში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ არის გადმოცემული 16 ქართველი ქალის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები; ნაჩვენებია მათი ღვაწლი ეროვნული კულტურის ამაღლებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

9. გ. კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა — უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბილისი, 1976, „საბჭოთა საქართველო“ — 3 თაბ.

ნაშრომში შეჯამებული და გაანალიზებულია მდიდარი მასალა ქართველი ტომების წვლილზე მელითონეობის განვითარებაში.

10. მ. გ უ გ უ ტ ი შ ვ ი ლ ი — სოციალისტური ყოფის ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, თბილისი, 1976, „ცოდნა“ — 1,5 თაბ.

ნაშრომში განსაზღვრულია ტრადიციების არსი, გაანალიზებულია მათი სპეციფიკური თავისებურებები, შესწავლილია ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ტრადიციების მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში გადასვლისა და ახალი ტრადიციების წარმოქმნა-განვითარების კანონზომიერებანი.

11. გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი — ვარძია (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე), თბილისი, 1976, „ხელოვნება“ — 5 თაბ.

სამეცნიერო სამიზნე

20—21 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს მუზეუმის მორიგი XXIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. სესიაზე მოსმენილ იქნა 8 მოხსენება: ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა საქართველოს მუზეუმში (ნ. ქანთარია); ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი ისტორია (შ. ლომსაძე); ივ. ჯავახიშვილი და ქართული ნუმისმატიკა (თ. აბ-

რამიშვილი); ეთნოგრაფიული მასალები ივ. ჯავახიშვილის შრომებში (გ. ჯალაბაძე); ივ. ჯავახიშვილი ქართული საჭურვლის შესახებ (კ. ჩოლოყაშვილი); მასალები ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ზოგიერთი ბოტანიკური ცნების გაგებისათვის (დ. ოჩიაური); ოქროს სტატუეტი გონიოდან (ვ. ლეჟინაძე); „წამებული“ (ახლადმიკვლეული ქვაბები და მათი კულტურული ღირებულება (გ. გაფრინდაშვილი).

დაიბეჭდა სესიის მუშაობის პროგრამა და მოხსენებათა ანოტაციები.

1 დეკემბერს მოეწყო სამეცნიერო სესია თემაზე მავნე წეს-ჩვეულებებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა და მუზეუმის ამოცანები. წაკითხული იქნა 8 მოხსენება: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის როლი და ამოცანები მავნე წეს-ჩვეულებებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში (ლ. ჭილაშვილი); ტრადიცია და მისი სოციალური ფუნქცია (მ. გუგუტიშვილი); მეცნიერული მსოფლმხედველობა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ (დ. გეგეშიძე); მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები საქართველოში (გ. ჯალაბაძე, მ. ხუციშვილი); ბრძოლა რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში (ი. ჩხარტიშვილი); რელიგიური დღესასწაულები საქართველოს მაჰ-მადიან მოსახლეობაში და მათი რეაქციული როლი (ვ. ტარტარაშვილი); სამიწათმოქმედო ტრადიციები თანამედროვე ხალხურ დღესასწაულებში (ნ. ურუშაძე).

* * *

22—23 დეკემბერს ჩატარდა 1976 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი VIII სამეცნიერო სესია, რომელზედაც წარმოდგენილ იქნა 12 მოხსენება: ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (დ. თუშაბრამიშვილი); ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში (თ. კილურაძე); მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (ო. ჯაფარიძე); არქეოლოგიური გათხრები ზუხურჩაში და ნოსირში (ე. გოგაძე); ფრონის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (ი. ვაგოშიძე); ყვირილის ხეობის არქეოლოგიური დაზვერვები (თ. მეშველიანი, ზ. ქიქოძე); ნოქალაქევის ექსპედიციის შედეგები (პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლეჟინაძე, გ. გვინჩიძე); არახლო-კაზრეთის ექსპედიციის ანგარიში (მ. სინაურიძე); არემის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები (ლ. ჭილაშვილი); თუშეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (რ. დოლაბერიძე), ვანის ქვაბებში 1976 წ. ჩატარებული საველე მუშაობის ანგარიში (გ. გაფრინდაშვილი); ივრისპირის „ქვაბების“ საველე მუშაობის ანგარიში (მ. მჭედლიშვილი).

გამსვლელი სსსიები

6 ივლისს ქ. ახალციხეში, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან, საქ. კვ ახალციხის რაიკომთან და ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმთან ერთად ჩატარდა კონ-

ფერენცია თემაზე — მუზეუმის როლი ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. კონფერენციაზე წაკითხული იქნა 4 მოხსენება.

* * *

22 ოქტომბერს ქ. ახალციხის კულტურის სახლში, საქართველოს კპ ახალციხის რაიკომთან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან და ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმთან ერთად მოეწყო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. სესიამ მოისმინა 8 მოხსენება.

* * *

მუზეუმმა ქ. თბილისის კომპარტიის კალინინის, პირველი მაისის, ასევე საგარეჯოს, მცხეთის, თიანეთის, გორის, ყვარლის რაიკომებთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ჩაატარა თეორიული სემინარები „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიების შესახებ“.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

1976 წ. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მუზეუმის ოთხ თანამშრომელს — ახალი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს შ. ლომსაძეს, ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს გ. ჯალაბაძეს, ნუმისმატიკის განყოფილების ხელმძღვანელს ვ. ლეჟვინაძეს და დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში ა. ჯავახიშვილს — მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 7 თანამშრომელს — ქ. ჯავახიშვილს, ლ. ფანცხავას, ნ. ლოლობერიძეს, მ. მაკალათიას, მ. წოწელიას, თ. კილურაძეს და გ. გერგედავას — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

მუზეუმის მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებები

მუზეუმის მეცნიერული პროპაგანდის განყოფილების ხაზით წაკითხულია შემდეგი მოხსენებები: 1. ისტ. მეცნ. კანდიდატი ბ. შაფაქიძე — სსრკ X ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. 2. ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ჯალაბაძე — ვახტანგ VI და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. 3. ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ჩართოლანი — სევანური სახლი. 4. ნ. ქაჯაია — ზოგიერთი მავნე გადმონათესის შესახებ (დაკრძალვის წესები საქართველოში). 5. ისტ. მეცნ. კანდიდატი ი. გაგოშიძე — ძველი ქართული ოქრომჭედლობა. 6. ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ჩხაიძე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. 7. ისტ. მეცნ. დოქტორი შ. ლომსაძე — ივ. ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. 8. ნ. შოშიტაშვილი — გადმონათესების პრობლემა ეთნოგრაფიაში. 9. ისტ. მეცნ. დოქტორი შ. მეგრელიძე — 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველები. 10. ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. სინაურიძე — არქეოლოგიური აღმოჩენები ბოლნისის რაიონის ახალმშენებლობაზე. 11. ლ. გეგია — ქართული საზომ-საწყაობები სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით. 12. ისტ.

მეცნ. კანდიდატი მ. გუგუტიშვილი — ახალი დღესასწაულები საქართველოში. 13. ისტ. მეცნ. დოქტორი ლ. ჭილაშვილი — ქართული ხალხური კერამიკის განვითარების გზები. 14. ი. ჩხარტიშვილი — ბრძოლა ცრურწმენების და რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ XIX ს. 15. ე. ნადირაძე — აკაკი წერეთელი და საქართველოს ეთნოგრაფია. 16. ისტ. მეცნ. კანდიდატი კ. ჩოლოყაშვილი — საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების საკუთრების ფონდის ისტორია.

სამეცნიერო მასპაიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ექსპედიციები:

1. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი, წევრები: თ. მეშველიანი, ზ. ქიქოძე, ე. ქორიძე) ატარებდა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებს ხაშურის, საჩხერისა და ჭიათურის რ-ნებში. რაჭის ქედზე (ჭიათურის რ-ნის ფარგლებში) მთა „პატარა საწალიკის“ მიდამოებში მან მიაკვლია აშელურ-მუსტიკურ და მეზოლითური ხანის ნამოსახლარ-სახელოსნოებს.

2. ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ე. გოგაძე, წევრები: ლ. ფანცხავა, მ. აბრამიშვილი, მ. დარისპანაშვილი, მ. ქორიძე) გათხრები დაასრულა მუხურჩის სამაროვანზე (ძვ. წ. VIII—VI სს.). დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩაატარა აგრეთვე სოფ. მუხურჩის დასავლეთით მდებარე ნამოსახლარ ბორცვ „კეკელურ ზუგაზე“.

3. ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი თ. კილურაძე, წევრები: ზ. ქიქოძე მ. მენაბდე, გ. ჯავახიშვილი, ე. ქორიძე) დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა სოფ. სიონის ტერიტორიაზე — ადგილ „ფარეხებზე“, სადაც გათხარა გვიანბრინჯაოს ხანის სამი ორმოსამარხი, შეისწავლა, აგრეთვე, ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარი. ხრამის დიდ გორაზე ამავე ექსპედიციამ გაწმინდა ათზე მეტი ნაგებობა, რომელთა შენობებსა და ეზოებში გამოვლინდა 34 კერა. ამ ნაგებობათა ნაწილი ეკუთვნის VI საამშენებლო ჰორიზონტს, ნაწილი კი, VII-ს.

4. ფრონის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე, წევრები: გ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, მ. საგინაშვილი) აგრძელებდა სტაციონალურ გათხრებს წინა წლებში გამოვლენილ საკულტო ნაგებობათა კომპლექსის შესწავლის მიზნით. სპანგარიშო წელს დაზუსტდა ნაგებობათა კონსტრუქციის ზოგიერთი დეტალი. გაითხარა ორი ნაგებობა მთლიანად.

5. ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი, წევრები: თ. მეშველიანი, ქ. დვალი, ე. ქორიძე, მ. კეცხოველი) აგრძელებდა გათხრებს „ბრინჯაოსა“ და „ორმაგ“ ეხებში. მოპოვებული ქვის ინვენტარი და ფაუნისტური მასალა, თარიღდება ადრე და გვიან მუსტიეს ხანით. დაზუსტდა ფენათა თანმიმდევრობა და გავრცობა. მოპოვებულ მასალათაგან საყურადღებოა „ბრინჯაოს მღვიმის“ ქვედა ფენაში გამოვლენილი ტეიაკური იერის ქვის ნაკეთობა.

6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

(ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე, წევრები: ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი და სხვ.) უკვე წლების მანძილზე აწარმოებს გათხრით სამუშაოებს მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე. საანგარიშო წელს გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები ნიალის ველზე.

7. ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პ. ზაქარაია, წევრები: ვ. ლეჭენიაძე, მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე, ლ. ხვედელიძე, გ. გვინჩიძე, ნ. ლომოური) საანგარიშო წელს გათხარა ნაქალაქარის აღმოსავლეთი მონაკვეთი. გამოვლინდა ქალაქის დაცვის სისტემა, ჭიშკარი, II აბანოს დიდი დარბაზი და სხვა ნაგებობანი. სამაროვანზე გაითხარა ელინისტური ხანის ქვევრ-სამარხები და IV—VI სს. გრუნტული სამარხები.

8. არემის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ლ. ჭილაშვილი, წევრები: ვ. ცისკარიშვილი, გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, დ. აბქანდაძე, ნ. აფხაზავა, გ. მჭედლოშვილი, ნ. ქანთარია) საანგარიშო წელს დაიწყო „საყდრის ყურის“ ეკლესიის გაწმენდა. გაითხარა „საყდრის ყურის“ გზაზე მდებარე კერამიკული ქურა და სოფ. მაწიმის სამხრეთით მდებარე გვიანფეოდალური ხანის აბანო.

9. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი მ. სინაურიძე, წევრები: ლ. ხვედელიძე, თ. ბერიძე, მ. ლაბაძე) მუშაობდა კაზრეთში და სამტრედოს ნასახლარზე. კაზრეთში გათხარა შუაფეოდალური ხანის სამარხები და ნასახლარის ნაშთები; სამტრედოს ნასახლარზე — სასახლე; სასახლის გარშემო მდებარე ორგანყოფილებიანი მარანი და სახელოსნო მადნის გამოსადნობი ქურით. ნაგებობათა მთელი კომპლექსი თარიღდება XVII ს. მიწურულით და XVIII ს.

10. მთათუშეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი რ. დოლაბერიძე, წევრები: მ. სინაურიძე, რ. რამიშვილი და მოწვეული პირები) გათხრებს აწარმოებდა სოფ. შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე. მის სამხრეთ დასავლეთ ფერდობზე გამოვლინდა შენობის ჩაქცეული სახურავი და ჩაწოლილი ნაწმირად ქცეული ხის კონსტრუქციების ფენა. აქვე გამოვლენილია ადრეფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმი.

11. ვანის-ქვაბების შემსწავლელი სპელეისტიკური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. გაფრინდაშვილი, წევრები: ს. ბურდილაძე, ზ. ტიტვინიძე, ე. რაზმაძე, ნ. გუგუშიძე, ზ. თვალჭრელიძე) მუშაობას აგრძელებდა კლდეში ნაკეთი უდაბნო-მონასტრის გამოკვლევაზე. აღმოჩენილია ტაძრის კარიბჭისა და სამრეკლოს გათლილი და მოჩუქურთმებული ქვები XIII საუკუნისა და კერამიკული ნაწარმი.

12. გარეჯის უდაბნო-ძეგლების სპელეისტიკური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. გაფრინდაშვილი, წევრები: ზ. თვალჭრელიძე, ზ. ტიტვინიძე, ვ. ვართაგავა) კვლევით მუშაობას აგრძელებდა ძეგლ „საბერებზე“ გამოქვაბულ კომპლექსზე. დამთავრდა ძეგლის არქიტექტურული შესწავლა, გადმოღებულია IX—X სს. კედლის მხატვრობის ფრაგმენტების ნაწილი კონტურში.

13. ივრისპირის ძეგლ „ქვაბების“ არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ბ. მჭედლოშვილი, წევრები: ს. ბურდილაძე, ნ. აფხაზავა) აგრძელებდა ამ ძეგლთან არსებული ტერიტორიის გათხრებს. გამოვლენილია ორი ქურის ნაშ-

თი და რამდენიმე სამარხი; ჩატარდა ანაზომები და ფოტოფიქსაცია. ძეგლთან დადასტურდა რკინის წარმოების ადგილობრივი კერა.

14. სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ჯალაბაძე, წევრები: ლ. მოლოდინი, ც. ბეზარაშვილი, მ. მაკალათია, ნ. ლოლობერიძე, ც. კაკაბაძე, თ. გელაძე, ნ. ჯიქია, ლ. სოსელია) იმუშავა ზუგდიდის, ზობის და წალენჯიხის რაიონებში. შეკრიბა მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული და ნივთიერი მასალები.

15. სვანეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი, წევრები: ლ. ბედუქიძე, აკ. გოგიჩაიშვილი, მ. ბოკუჩავა) იმუშავა მესტიის, აგრეთვე ეცერისა და ფარის სასოფლო საბჭოებში. აღრიცხა ეკლესიებში დაცული მასალები (XI—XIV სს. ჯვარ-ხატები, სარიტუალო ნივთები და სხვ.). მოახდინა მათი ფოტოგადაღება. მოიპოვა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა და შეიძინა მრავალი ფოტოსურათი.

16. პატარა ლიხვის ხეობის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ჯალაბაძე, წევრები: ე. ნადირაძე, მ. მაკალათია, მ. შველიძე, ი. შოშიტაშვილი, გ. ჩიკოიძე) იმუშავა ცხინვალის რ-ნის სოფ. ქსუთიში, ერედვში, თლყანაში, ჯანათში, სარაბულში, კოხათში, ზონკარში, საცხენეთში, ელტურაში, ხაღურიანთ კარში, ფოტნისაში. შეკრიბა საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა და შეიძინა ნივთები მუზეუმის ფონდების გასამდიდრებლად.

17. რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილების ექსპედიცია (ხელმძღვანელი მ. ხუციშვილი, წევრები: მ. გუგუტიშვილი, ი. ჩხარტიშვილი, ზ. შავიანიძე) აგრძელებდა გასულ წლებში დაწყებულ სამუშაოებს — შემორჩენილი ქართული დღეობებისა და საკულტო დანიშნულების ძეგლების კინო-ფოტო ფიქსირებას და აღწერას. წელს ექსპედიცია მუშაობდა თუშეთში და პანკისის ხეობაში (ახმეტის რაიონი).

18. საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილების ექსპედიცია (ხელმძღვანელი ვ. ასათიანი, წევრები: გ. ჩხაიძე, ბ. შაფაქიძე, ო. ჩიქოვანი, რ. ერისთავი, ს. ნუცუბიძე) მუშაობდა სანჩაროსა და მარუხის უღელტეხილებზე, სადაც საბჭოთა ჯარების მიერ მნიშვნელოვანი ოპერაციები იქნა ჩატარებული კავკასიის დაცვის დროს. ექსპედიციამ მოიპოვა პირველხარისხოვანი სამუზეუმო მასალები: საბრძოლო იარაღები და მეომართა აღჭურვილობის ნაშთები.

შემოსული კოლექციები

1976 წელს მუზეუმის ფონდები შეივსო 10 345 ექსპონატით, რესტავირებული და კონსერვირებულია 12 000-ზე მეტი ექსპონატი.

ХРОНИКА МУЗЕЯ ЗА 1976 ГОД

ИЗДАННЫЕ НАУЧНЫЕ ТРУДЫ

В 1976 году музеем по общественным наукам изданы:

1. Авторский коллектив — «Вестник» Государственного Музея Грузии, XXXII-V, Тбилиси, 1976, «Мецниереба», 29 п. л. Том посвящен 100-летию со дня рождения И. А. Джавахишвили, состоит из 5 разделов (информации, публикации, отчеты, критика и библиография), содержащие труды по тем или иным вопросам и памятникам истории, археологии и этнографии.

2. Г. Чхайдзе — Развитие ирригации в Грузии (1921—1937 гг.), Тбилиси, 1976, «Мецниереба», 18 п. л.

В труде рассмотрены состояние ирригации до установления Советской власти в Грузии и мероприятия, проведенные партией и Советским правительством для ее восстановления и развития в 1921—1937 гг.

3. М. Гугутишвили — Новые традиции в Грузии, Тбилиси, 1976, «Мецниереба», 8 п. л.

В труде рассмотрены специфические стороны возникновения и развития традиций, изложено марксистско-ленинское учение о традиции и изучены некоторые методологические принципы внедрения новых празднеств и ритуалов.

4. М. Яшвили — Из истории материальной культуры Грузии (XVII—XIX вв.), Тбилиси, 1976, «Мецниереба», 5 п. л.

Труд основан на изучении «Книг приданного», которые содержат весьма богатый и значительный материал для суждения об уровне материальной культуры и социально-экономическом состоянии общества. Автор рассматривает этот материал в разных аспектах—юридическом, экономическом, культурном и социальном.

5. Я. Киквидзе — Земледение и земледельческий культ в древней Грузии, Тбилиси, 1976, «Мецниереба», 23 п. л.

На основании большого археологического и этнографического материала в труде впервые в полном объеме исследуются основные движущие силы экономического и социального развития общества Грузии древнейшей эпохи. Путем углубленного, оригинального анализа автор показывает особенности развития производительных сил и их про-

явлений в сфере идеологии, начиная с эпохи зарождения производящего хозяйства и до феодализации общества.

6. Т. Кигурадзе — Периодизация раннеземледельческих культур Восточного Закавказья, Тбилиси, 1976, «Мецниереба», 21 п. л.

В труде детально исследованы методика выявления и изучения раннеземледельческих культур Восточного Закавказья, материалы добытые на селищах, культура и ее локальные варианты, периодизация и вопросы абсолютной датировки.

7. В. Асатиани — Путеводитель выставки истории Советской Грузии (на груз. и русск. языках), Тбилиси, 1976, «Мецниереба», 4 п. л.

Путеводитель предназначен для посетителей развернутой в музее экспозиции.

8. Н. Чихладзе — Заслуженные грузинские женщины, Тбилиси, 1976, «Сабчота Сакартвело», 13 п. л.

Книга содержит краткое изложение биографии и деятельности 19 грузинских общественных деятельниц XIX и частично XX века, внесших весомый вклад в развитие национальной культуры и укрепления дружественных связей между народами.

9. Г. Қвирквелия — Иностранные ученые о металлообработке древнейших грузинских племен, Тбилиси, 1976, «Сабчота Сакартвело», 3 п. л.

В книге суммированы и проанализированы данные иностранных ученых о вкладе грузинских племен в развитии металлургии и металлообработки.

10. М. Гугутишвили — Традиции и обычаи Социалистического быта, Тбилиси, 1976, «Цодна», 1,5 п. л.

В брошюре проанализированы специфические особенности традиции, изучены закономерности перехода традиции из одной общественно-экономической формации в другую общественно-экономическую формацию и развития традиции.

11. Г. Гаприндашвили — Вардзия (на грузинском, русском и англ. языках), Тбилиси, 1976, «Хеловнеба», 5 п. л.

НАУЧНЫЕ СЕССИИ

20—21 октября состоялась очередная XXIV научная сессия Музея Грузии, посвященная 100-летию со дня рождения И. А. Джавахишвили. Зачитано 8 докладов: Деятельность И. Джавахишвили в Государственном Музее Грузии (Н. Кантария). И. Джавахишвили и история Грузии (Ш. Ломсадзе). И. Джавахишвили и грузинская нумизматика (Т. Абрамишвили). Этнографические материалы в трудах И. Джавахишвили (Г. Джалабадзе). И. Джавахишвили о грузинском оружии (К. Чолокашвили). К познанию некоторых ботанических понятий в

книгах «Экономическая история Грузии» И. Джавахишвили (Д. Очиаури). Золотая статуэтка из Гонио (В. Леквинадзе). «Цамебули» — новооткрытые пещеры и их культурное значение (Г. Гаприндашвили).
Программы сессии и аннотации докладов напечатаны.

* * *

1 декабря состоялась научная сессия на тему: — Борьба с вредными обычаями и пережитками и задачи Музея. Заслушано 8 докладов: Роль и задачи Государственного Музея Грузии в борьбе с вредными обычаями и пережитками (Л. Чилашвили). Традиция и ее социальная функция (М. Гугутишвили). Научное мировоззрение о вредных традициях и обычаях (Д. Гегешидзе); обычай, связанные с земледелием (Г. Джабаладзе, М. Хуцишвили). Борьба против религиозных обычаев в грузинской периодике II половины XIX века (И. Чхартишвили). Религиозные праздники мусульманского населения Грузии и их реакционная роль (В. Тартарашвили), земледельческие традиции в современных народных праздниках (Н. Урушадзе).

* * *

22—23 декабря состоялась VIII научная сессия, посвященная результатам полевых археологических исследований музея 1976 года. Заслушано 12 докладов: Итоги Цуцхватской археологической экспедиции (Д. Тушабрамишвили). Отчет археологической экспедиции Квемо Картли (Г. Кигурадзе). Отчет работы Месхет-Джавахетской археологической экспедиции (О. Джапаридзе). Археологические раскопки в Мухурча и Носири (Э. Гогодзе). Итоги археологической экспедиции Пронского ущелья (Ю. Гагошидзе). Археологические разведки Квирильского ущелья (Т. Мешвелиани, З. Кикодзе). Итоги Нокалакевской экспедиции (П. Закарая, Н. Ломоури, В. Леквинадзе, Г. Гвинчидзе). Отчет Арахло-Казретской экспедиции (М. Сивауридзе). Археологические раскопки Арешского городища (Л. Чилашвили). Отчет Тушетской археологической экспедиции (Р. Долаберидзе). Отчет полевых работ 1976 г., проведенных в пещерном комплексе Ванис Кვაбеби (Г. Гаприндашвили). Отчет полевых работ пещерного комплекса «Квабеби» Иорского ущелья (Б. Мchedlishvili).

ВЫЕЗДНЫЕ СЕССИИ

6 июля в г. Ахалцихе, совместно с отделом пропаганды и агитации ЦК КП Грузии, Ахалцихским райкомом КП Грузии и Самцхе-Джавахетским музеем им. И. Джавахишвили проведена конференция на тему: «Роль музеев в деле воспитания трудящихся в духе дружбы народов и интернационализма. Было заслушано 4 доклада.

Музей совместно с Калининским, Первомайским райкомом КП Грузии, а также Тианетским, Сагареджойским, Мцхетским, Горийским, Кварельским райкомами, с работниками аппарата ЦК Комсомола Грузии провел теоретические семинары на тему: «О мерах по усилению борьбы с вредными традициями и обычаями».

ПОВЫШЕНИЕ КВАЛИФИКАЦИИ СОТРУДНИКОВ

В 1976 г. Высшая аттестационная комиссия утвердила четырех сотрудников музея в степени доктора исторических наук (Ш. Ломсадзе, Г. Джалабадзе, А. Джавахишвили, В. Левинадзе), 7 сотрудников же — в ученой степени кандидата исторических наук (К. Джавахишвили, Л. Панцхава, Н. Гогоберидзе, М. Макалатиа, М. Цоцелия, Т. Кигурадзе, Г. Гергедава).

НАУЧНАЯ ПРОПАГАНДА

В лектории отдела научной пропаганды музея прочитаны следующие лекции: 1. Канд. ист. наук Б. Шапакидзе — Важнейшие задачи X пятилетки СССР. 2. Докт. ист. наук Г. Джалабадзе — Вахтанг VI и русско-грузинские взаимоотношения. 3. Канд. ист. наук М. Чартолаани — Сванский дом. 4. Н. Каджая — О некоторых вредных пережитках. 5. Канд. ист. наук Ю. Гагошидзе — Древнегрузинское златокузнечество. 6. Канд. ист. наук Г. Чхаидзе — XXV Съезд Коммунистической партии Советского Союза. 7. Доктор ист. наук Ш. Ломсадзе — Жизнь и деятельность И. Джавахишвили. 8. Н. Шошиташвили — Проблема пережитков в этнографии. 9. Доктор ист. наук Ш. Мегрелидзе — Грузины участники Отечественной войны 1812 г. 10. Канд. ист. наук М. Синауридзе — Археологические открытия на новостройках Болнисского района. 11. Л. Гегия — Грузинские меры веса по фондам Государственного Музея Грузии. 12. Канд. ист. наук М. Гугутишвили — Новые праздники в Грузии. 13. Доктор ист. наук Л. Чилашвили — Пути развития грузинской художественной керамики. 14. И. Чхартишвили — Борьба против суеверий и религиозных обычаев в XIX веке. 15. Э. Надирадзе — Акакий Церетели и этнография Грузии. 16. Канд. ист. наук К. Чолокашвили — История фонда оружия этнографического отдела Государственного Музея Грузии.

НАУЧНЫЕ ЭКСПЕДИЦИИ

По общественным наукам музеем были осуществлены следующие экспедиции:

1. Квирильская археологическая экспедиция (руководитель Д. Тушабрамишвили, члены экспедиции: Т. Мешвелиани, Э. Коридзе, З. Кикодзе) проводили разведочные работы в Хашурском, Сачхерском и Чнатурском районах. На Рачинском хребте (в границах Чиатур-

ского района), в окрестностях горы «Патара Сацалики» были обнаружены поселения — мастерские ашельско-мустьерского и мезолитического периода.

2. Носири-Мухурчская археологическая экспедиция (руководитель Э. Гогодзе, члены экспедиции: Л. Панцхава, М. Абрамишвили, М. Дариспанашвили, М. Коридзе). Закончила раскопки на Мухурчском могильнике (VIII—VI вв. до н. э.). Проводились также разведочные работы на жилом холме «Кекелури зуга», расположенном к западу от селения Мухурча.

3. Квемо-Картлийская археологическая экспедиция (руководитель Т. Кигурадзе, члены экспедиции: Э. Кикодзе, М. Менабде, Г. Джавахишвили, Э. Коридзе) проводила разведочные работы на территории сел. Сиони в местечке «Парехеби», где было раскопано три ямных погребения позднебронзового периода, работы проводились также на раннеземледельческом поселении. Экспедиция расчистила более 10 строений поселения Храмис диди гора, где было обнаружено 34 очага. Часть этих поселений относятся к VI строительному горизонту, а часть VII.

4. Археологическая экспедиция ущелья р. Проне (руководитель Ю. Гагошидзе, члены экспедиции: Г. Джавахишвили, Г. Немсадзе, М. Сагинашвили) продолжала стационарные раскопки с целью изучения выявленного в предыдущие годы культового комплекса на территории «Дедоплис Миндори». Были уточнены планировка и конструкция строения храмового комплекса.

5. Цуцхватская археологическая экспедиция (руководитель Д. Тушабрамишвили, члены экспедиции: Т. Мешвелиани, К. Двали, Э. Коридзе, М. Кецохели), продолжала раскопки в «Бронзовой пещере» и «Двойном гроте»; обнаружен каменный инвентарь и фаунистические остатки, относящиеся к среднему палеолиту. В нижних слоях найден целый ряд предметов тейякского облика.

6. Месхет-Джавахетская археологическая экспедиция (руководитель О. Джапаридзе, члены экспедиции: Я. Киквидзе, Г. Авалишвили и др.) уже в течении годов, совместно с кафедрой археологии Тбилисского Государственного университета проводит раскопки на территории Месхет-Джавахети. В отчетном году, в ущелье р. Ниали экспедиция проводила раскопки курганных погребений среднебронзового периода.

7. Нокалакевская археологическая экспедиция (руководитель П. Закарая, члены экспедиции: В. Леквинадзе, М. Яшвили, М. Замтарадзе, Л. Хведелидзе, Г. Гвинчидзе, Н. Ломоури) в отчетном году проводила раскопки в восточной части городища, где были выявлены оборонительные сооружения. На территории могильника были раскопаны кувшинные погребения эллинистического периода и грунтовые погребения IV—VII вв.

8. Арешская археологическая экспедиция (руководитель Л. Чилашвили, члены экспедиции: В. Цискаришвили, Г. Кижнадзе, Т. Кереселидзе, Д. Абжандадзе, Н. Абхазава, Г. Мchedlishvili, Н. Кантария) в отчетном году начала расчистку церкви «Сакдрис Кури». По дороге к «Сакдрис Кури» экспедиция раскопала гончарную печь и баню позднефеодального времени, расположенную к югу от села «Мацими».

9. Казретская археологическая экспедиция (руководитель М. Синауридзе, члены экспедиции: Л. Хведелидзе, Т. Беридзе, М. Лабадзе) вела раскопки в Казрети, а также раскапывала селище «Самтрედო». В Казрети были раскопаны погребения среднефеодального периода и остатки древнего жилья. В селище «Самтрედო» были раскопаны остатки дворца, марани из двух помещений и металлоплавильная мастерская. Комплекс указанных сооружений датируется концом XVII и XVIII вв.

10. Мтатушетская археологическая экспедиция (руководитель Р. Долаберидзе, члены экспедиции: М. Синауридзе, Р. Рамишвили) проводила раскопки в сел. Шенако, на холме «Ништаки». На юго-западном склоне холма были выявлены остатки обвалившейся кровли и слой обугленных остатков деревянных конструкций. Здесь же выявлены остатки керамической продукции раннефеодального времени.

11. Экспедиция по изучению спелеистических памятников (руководитель Г. Гаприндашвили, члены экспедиции: С. Бурдиладзе, З. Титвинидзе) продолжала работу над изучением скального монастыря Ванис Кვაби. Были обнаружены орнаментированные блоки от притвора и колокольни XIII в. и керамические изделия.

12. Спелеистическая экспедиция памятников Гареджис Удабно (руководитель Г. Гаприндашвили, члены экспедиции: З. Твалчрелидзе, З. Титвинидзе, А. Вартагава) продолжала исследование пещерного комплекса памятника «Саберееби». Закончилось архитектурное изучение памятника, скопированы фрагменты стенной росписи IX—X вв.

13. Археологическая экспедиция пещерного комплекса «Квабеби» Иорского ущелья (руководитель Б. Мchedlishvili, члены экспедиции: С. Бурдиладзе, Н. Абхазава) продолжала раскопки этого памятника. Выявлены остатки двух печей и несколько погребений.

14. Этнографическая экспедиция в Самегрело (руководитель Г. Джалабадзе, члены экспедиции: Л. Молодини, Ц. Безарашвили, М. Макалатия, Н. Гогоберидзе, Ц. Какабадзе, Т. Геладзе, Н. Джикия, Л. Соселия) работала в Зугдидском, Хобском, Цаленджихском районах. Экспедиция собрала богатый этнографический материал.

15. Сванетская этнографическая экспедиция (руководитель М. Чртолани, члены экспедиции: Л. Бедукидзе, А. Гогичайшвили, М. Бокучава) работала в Местиа, а также в Эцерской и Парской общинах. Экспедиция описала и сфотографировала церковную утварь (иконы и кресты XI—XIV вв., ритуальные предметы и др.), собрала богатый этнографический материал.

16. Этнографическая экспедиция ущелья р. Патара Лиахви (руководитель Г. Джалабадзе, члены экспедиции: Э. Надирадзе, М. Макалатна, М. Швелидзе, Ю. Шошиташвили, Г. Чикоидзе) работала в селах Цхинвальского района. Экспедиция собрала богатый этнографический материал, а также приобрела экспонаты для пополнения фондов музея.

17. Экспедиция отдела истории религии и научного атеизма (руководитель М. Хуцишвили, члены экспедиции: М. Гугутишвили, И. Чхартишвили, З. Шавианидзе) продолжала начатые в предыдущие годы работы — кинофиксацию, фотофиксацию и описание сохранившихся грузинских праздников и памятников культового назначения. В отчетном году экспедиция работала в Тушети и Панкисском ущельи (Ахметский район).

18. Экспедиция отдела истории Грузии Советского периода (руководитель В. Асатиани, члены экспедиции: Г. Чхаидзе, Б. Шапакидзе, О. Чиковани, Р. Эристави, С. Нуцубидзе) работала на Марухском и Санчаройском перевалах, где Советской Армией во время защиты Кавказа были проведены значительные операции. Экспедиция собрала богатый музейный материал.

ПОСТУПЛЕНИЕ КОЛЛЕКЦИИ

В 1976 году фонды музея пополнились 10 345 экспонатами; реставрировано и консервировано более 12 000 экспонатов.

ტაბულეების აღწერილობა

- I. ბრინჯაოს ცული ოჭოლადან.
 II. ბრინჯაოს ცული თლის სამაროვნიდან.
 III. ბრინჯაოს ცული ფსირცხიდან.
 IV. ბრინჯაოს ცული ცხინვლის საგანძურადან.
 V. 1. ბრინჯაოს ცული თლის სამაროვნიდან; 2. ბრინჯაოს ცული დე-ბაის კოლექციიდან.
 VI, 1. ბრინჯაოს ცული თლის სამაროვნიდან; 2. ბრინჯაოს ცული წაღვერიდან.
 VII. ბრინჯაოს ბალთა ყობანიდან.
 VIII—XII. ჩრდილოკავკასიურ ფეხსაცმელთა ტიპები.

ტაბ. XIII

1. აბას I თბილისი, აბაზი
2. აბას I თბილისი, 1032 წ. აბაზი
3. სეფი I თბილისი, 1051 წ. აბაზი
4. აბას II. 1066 წ. თბილისი, აბაზი
5. აბას II. 1076 წ. თბილისი, ფანჯშაპი
6. აბას II. 1063 წ. თბილისი, შაპი
7. სულეიმან I. 1092 წ. თბილისი, აბაზი
8. სულეიმან I. თბილისი. აბაზი

ტაბ. XIV

9. ჰუსეინ I, თბილისი, 1107 წ. ფანჯშაპი
10. ჰუსეინ I. თბილისი, აბაზი
11. ჰუსეინ I. 1128 წ. თბილისი, აბაზი
12. ჰუსეინ I. 1129 წ. თბილისი, შაპი
13. ჰუსეინ I. 1130 წ. აბაზი
14. ჰუსეინ I. 1134 წ. აბაზი
15. აბას III. 1148 წ. თბილისი, აბაზი


ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ


- I. Бронзовый топор из Оджолы.
 II. Бронзовый топор из тлийского могильника.
 III. Бронзовый топор из Псирцха.
 IV. Бронзовый топор из цхинвальского клада.
 V, 1. Бронзовый топор из тлийского могильника; 2. Бронзовый топор из коллекции Де-бая.
 VI, 1. Бронзовый топор из тлийского могильника; 2. Бронзовый топор из Цагвери.
 VII. Бронзовая блеха из Кобани
 VIII—XII. Северокавказский тип обуви.
 XIII, 1. Аббасы, Аббас I, Тбилиси
 2. Аббасы, Аббас I, Тбилиси, 1032 г.
 3. Аббасы, Сефи I, Тбилиси, 1051 г.
 4. Аббасы, Аббас II, Тбилиси, 1066 г.
 5. Панджшахи, Аббас II, Тбилиси, 1071 г.
 6. Шахи, Аббас II, Тбилиси, 1063 г.


7. Аббаси, Сулеймана I, Тбилиси, 1092 г.
8. Аббаси, Сулеймана I, Тбилиси.
- XIV, 9. Панджшахи, Хусейна I, Тбилиси, 1107 г.
10. Аббаси, Хусейна I, Тбилиси.
11. Аббаси, Хусейна I, Тбилиси, 1129 г.
12. Шахи, Хусейна I, Тбилиси, 1129 г.
13. Аббаси, Хусейна I, Тбилиси, 1130 г.
14. Аббаси, Хусейна I, Тбилиси, 1134 г.
15. Аббаси, Аббаса III, Тбилиси, 1148 г.


ტ ა ბ უ ლ ე ბ ი

Т А Б Л И Ц Ы













v





2




1



1





2




1

VIII





X









9



10



11

12



13



14



15

სარჩევი—ОГЛАВЛЕНИЕ

სტატიები—СТАТЬИ

Г. В. Джалабадзе — Полеводство в Месхет-Джавахеги	5
დ. აბჯანდაძე — დაჩითვის საქმის ისტორიისათვის საქართველოში	27
Д. К. Абжандадзе — История набивного дела в Грузии (Резюме)	42
გ. ბერძენიშვილი — ელის ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადი გვიანფეოდალურ ხანაში	44
Г. Бердзенишвили — Некоторые государственные налоги эли в позднефеодальную эпоху	69
Л. И. Панихава, Я. А. Киквидзе, Г. Б. Авалишвили, — О некоторых элементах Колхидо-Кобанской бронзы в искусстве скифского «звериного стиля»	72
ბ. ჭიქია — ჩრდილოკავკასიური ტყავის ფესვამელი ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდის მიხედვით	77
И. Джикиа — Северокавказская кожанная обувь по фонду этнографического отдела (Резюме)	87
თ. ქუთელია — თბილისის ზარაფხანა XVII—XVIII სს. (ვერცხლის ფული)	89
Т. С. Кутелия — Тбилисский монетный двор в XVII—XVIII вв. Серебряный чекан	108

ინფორმაციები—Информации

ლ. ეძგვერაძე — თბილისის ხელოსანთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან 1900-იან წლებში	110
Л. Эдзгверадзе — Из истории революционного движения Тбилисских ремесленников в 1900-ых годах (Резюме)	121
ლ. ქვარიანი — კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება (1850—1875 წწ.)	123
Л. Д. Кваряни — Кавказское общество сельского хозяйства (1850—1875 гг.).	135
М. М. Михайлов — Свадебные обычаи ирагских греков	137
ვ. ტარტარაშვილი — პოლონეკ კოცებუს ცნობები საინგილოს შესახებ	143
ლ. მელიქსეთ-ბეგი — მოგონება ივ. ჭავჭავაძეზე	152
Г. Н. Чубинашвили — Материалы к биографии	156

სამეცნიერო მივლინებები

Научные командировки

რ. ბახტაძე, ნ. იაშვილი — სამუზეუმო ფასეულობათა კონსერვაცია-რესტავრაციის ვენეციის IV საერთაშორისო კონფერენცია	193
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Критика и библиография

ბ. შოშიტაშვილი — კიდევ ერთი საინტერესო ეთნოგრაფიული კრებული („ქსნის ხეობის“ გამოსვლის გამო)	197
მუზეუმის 1976 წ. ქრონიკა	203
Хроника Музея за 1976 г.	210
	221

ВЕСТНИК
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ
им. акад. С. И. ДЖАНАШИА
XXXIII-B

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ლ. აბჯანდაძე

გადაეცა წარმოებას 11.7.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.2.1978;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 21.0;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.70;
უე 01016; ტირაჟი 700; შეკვეთა № 3012;
ფასი 2 მან. 10 კპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060; კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

